

ჟან-პოლ სარტრი

ალტონელი განდეგილები

(თარგმანი ნინო ციმაკურიძის)

მოქმედი პირნი:

ლენი

იოჰანა

ვერნერი

მამა

ფრანცი

ესესელი და ამერიკელი

ქალი

ლეიტენანტი კლაგესი

ფელდფეხელი

წინათქმა:

დარწმუნებული ვიყავი, რომ თავად შევთხზი ამ პიესის გმირების გვარი - გერლახი. თურმე შევმცდარვარ: რემინისცენცია საკუთარ გამონაგონად მიმიჩნევია. ვწუხვარ ჩემს შეცდომას, მით უფრო, რომ ეს გვარი ნაციონალ-სოციალიზმის ერთ-ერთ ყველაზე მამაცსა და ცნობილ მოწინააღმდეგეს ეკუთვნის.

ჰელმუტ ფონ გერლახმა თავისი ცხოვრება საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისა და მშვიდობისთვის ბრძოლას მიუძღვნა. იგი პირველია 1933 წელს სამშობლოდან განდევნილ გერმანელთა შორის; ფაშისტებმა ყადაღა დაადეს მისი და მისი ნათესავების ქონებას. უკანასკნელი ძალები გერლახმა ლტოლვილ თანამემამულეთა შემწეობას მოახმარა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გადასახლებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩემი პერსონაჟების გვარის შეცვლა უკვე ძალზე დაგვიანებულია. ისღა დამრჩენია, ვთხოვო გერლახის მეგობრებსა და ახლობლებს, მიიღონ ეს შენიშვნა ჩემი ბოდიშისა და სინანულის გამოხატულებად.

მოქმედება პირველი

დიდი დარბაზი გადატვირთულია პრეტენზიული და უშნო ავეჯით, რომელთა უმეტესობაც XIX საუკუნის მიწურულის დროინდელი გერმანული ნაკეთობაა. შიდა კიბის თავზე დახურული კარი მოჩანს. მარჯვნივ ორი შემინული კარია, რომლებიც დახურულ პარკს გადაჰყურებს; გარედან შემოსული სინათლე მწვანედ იღვრება ხეთა ფოთლებიდან. დარბაზის სიღრმეში კიდევ ორი კარია: ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ. უკანა კედელზე მოჩანს ფრანცის სამი უზარმაზარი ფოტო; სურათების ჩარჩოებს ქვედა მარჯვენა კუთხეში სამგლოვიარო არშია აქვს შემოვლებული.

სცენა პირველი

ლენი, ვერნერი, იოჰანა

ლენი ფეხზე დგას, ვერნერი სავარძელში ჩამჯდარა, იოჰანა კი დივანზე ზის. ხმას არ იღებენ. მცირე ხნის შემდეგ დიდი გერმანული კედლის საათი სამჯერ ჩამოკრავს. ვერნერი საჩქაროდ წამოდგება.

ლენი (სიცილი წასკდება.) - სმენა! (პაუზა.) ოცდაცამეტი წლის ასაკში! (გაღიზიანებული.) დაჯექი, რას უდგახარ!

იოჰანა - რატომ? დროა უკვე?

ლენი - დრო? ლოდინის დასაწყისია, მეტი არაფერი. (ვერნერი მხრებს იჩეჩავს. ვერნერს.) ჩვენ უნდა ვიცადოთ და შენ ეს ძალიან კარგად იცი.

იოჰანა - საიდან უნდა იცოდეს?

ლენი - ასეთია ჩვეულება. ყოველ საოჯახო თათბირზე...

იოჰანა - ხშირად გქონიათ ასეთი თათბირები?

ლენი - ეს ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაულები იყო.

იოჰანა - ვისაც როგორ შეუძლია, ისე ზეიმობს... მერე?

ლენი (განაგრძობს.) - ვერნერი ადრე მოდიოდა, მოხუცი ჰინდენბურგი* კი იგვიანებდა.

ვერნერი (იოჰანას.) - არაფერი დაუჯერო. მამა ყოველთვის სამხედრო პირივით პუნქტუალური იყო.

ლენი - სწორედ ასე გახლდათ. ჩვენ აქ ველოდებოდით, ის კი სიგარას ეწეოდა ხოლმე კაბინეტში და საათს დასჩერებოდა. ოთხის ათ წუთზე მწყობრი ნაბიჯით შემოდიოდა, ზუსტად ათ წუთზე: არც მეტი, არც ნაკლები. თანამშრომელთა კრებაზე თორმეტ წუთს იგვიანებდა, ხოლო ადმინისტრაციის თათბირს რომ უძღვებოდა - რვა წუთს.

იოჰანა - რატომ ირჯებოდა ასე?

ლენი - შიშის დროს გვიტოვებდა.

იოჰანა - ნავსაშენში?

ლენი - შეფი ყოველთვის ბოლოს მოდის.

იოჰანა (გაოგნებული.) - მოიცა, ეს ვისი სიტყვებია? (იცინის.) ნეტავ ახლა ვიღას სჯერა მაგისი?

ლენი - მოხუც ჰინდენბურგს თავისი ცხოვრების ორმოცდაათი წლის განმავლობაში სჯეროდა.

იოჰანა - შეიძლება, მაგრამ ახლა...

ლენი - ახლა ადარაფრისა სჯერა. (პაუზა.) მაგრამ მაინც დაიგვიანებს ათ წუთს. პრინციპებს შეიძლება უღალატო, მაგრამ ჩვევები უცვლელი რჩება. მამაჩვენმა ჯერ კიდევ ბისმარკის* სიცოცხლეში შეიძინა თავისი ჩვეულებები. (ვერნერს.) აღარ გახსოვს, როგორ ველოდებოდით? (იოჰანას.) ვერნერი ცახცახებდა. ვის დასჯიანო, ფიქრობდა.

ვერნერი - განა შენ არ ცახცახებდი, ლენი?

ლენი (მშრალად, იცინის.) - მე? შიშისაგან სული მძვრებოდა, მაგრამ თავს ვიმშვიდებდი, მოვა დრო და ყველაფრისთვის პასუხს აგებს- მეთქი.

იოჰანა (ირონიულად.) - მერე, აგო?

ლენი (ლიმილით, მაგრამ უკმეხად.) - ეს დროც მოვიდა. (ვერნერს მიუბრუნდება.) ვის დასჯიან, ვერნერ? ვის დასჯიან - მე თუ შენ? როგორ გვაახალგაზრდავებს ეს ფიქრი! (უცაბედი სიუხეშით.) მძაგს მსხვერპლი, როცა ის საკუთარ ჯალათს სცემს პატივს.

იოჰანა - ვერნერი მსხვერპლი არ არის.

ლენი - აბა, შეხედეთ.

იოჰანა (სარკეს უჩვენებს.) - საკუთარ თავს შეხედეთ.

ლენი (გაოცდება.) - მე?

იოჰანა - წელანდელი სიამაყე უკვე გაგიქრათ! ბევრსაც ლაპარაკობთ.

ლენი - ხომ უნდა გაგართოთ. უკვე დიდი ხანია, მამაჩემის აღარ მეშინია. თან ამჯერად ვიცი, რაც უნდა გვითხრას.

ვერნერი - არანაირი წარმოდგენა არა მაქვს.

ლენი - არანაირი? მატყუარა, ფარისევლო, რაც არ გსიამოვნებს, ყველაფერს ივიწყებ. (იოჰანას.) მოხუცი ჰინდენბურგი მალე ჩაძაღლდება, იოჰანა. განა ეს არ იცოდით?

იოჰანა - ვიცოდი.

ვერნერი - სიცრუეა! (აცახცახდება.) სიცრუეა, მე შენ გეუბნები.

ლენი - ნუ ცახცახებ! (უცებ, გაავებით.) ჩაძაღლდება, დიახ, ჩაძაღლდება! ქოფაკივით! შენ ეს იცოდი, ვერნერ, გაგაფრთხილეს. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ იოჰანასთვის მოგიყოლია ყველაფერი.

იოჰანა - ცდებით, ლენი.

ლენი - კარგი, თუ ღმერთი გწამთ! ვერნერი თქვენ არაფერს გიმალავთ.

იოჰანა - საქმეც ის არის, რომ მიმაღავს.

ლენი - მაშ, ვინ გაგაგებინათ?

იოჰანა - თქვენ.

ლენი (გაოგნებული.) - მე?

იოჰანა - სამი კვირის წინ, კონსულტაციის შემდეგ ერთი ექიმი შემოვიდა თქვენთან, ლურჯ სასტუმრო ოთახში.

ლენი - ჰილბერტი, ჰო. მერე?

იოჰანა - მე თქვენ დერეფანში შეგხვდით, ექიმი რომ გამოგემშვიდობათ, მას მერე.

ლენი - მერე?

იოჰანა - მეტი არაფერი. (პაუზა.) თქვენი სახე ძალზე მეტყველია, ლენი.

ლენი - არც კი ვიცოდი, გმადლობთ. მოზეიმე იერი მქონდა?

იოჰანა - შეძრწუნებული იყავით.

ლენი (ყვირის.) - ტყუილია!

გონს მოდის.

იოჰანა (წყნარად.) სარკეში ჩაიხედეთ: თქვენს ტუჩებს ახლაც აზის შეძრწუნების დაღი.

ლენი (სიტყვას მოუჭრის.) - სარკეები თქვენთვის დამითმია.

ვერნერი (სავარძლის სახელურს ხელს დაჰკრავს.) - გეყოფათ! (გაბრაზებული უყურებს ქალებს.) თუ მართალია, რომ მამა კვდება, იქონიეთ ზრდილობა და ხმა მაინც გაკმინდეთ. (ლენის.) რა დაემართა? (ლენი არ პასუხობს.) რა დაემართა-მეთქი?

ლენი - თვითონაც იცი.

ვერნერი - ცდები, ლენი!

ლენი - ჩემამდე შენ გაიგე, ოცი წუთით ადრე.

იოჰანა - ლენი? როგორ გნებავთ, რომ...?

ლენი - სანამ ლურჯ დარბაზში შემოვიდოდა, ჰილბერტმა ვარდისფერი დარბაზი გაიარა. იქ ჩემი ძმა დახვდა და მანაც ყველაფერი უამბო.

იოჰანა (გაოგნებული.) - ვერნერ! (ვერნერი სავარძელში მოიკუნტება. არ პასუხობს.) მე... მე არაფერი მესმის.

ლენი - თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ გერლახებს, იოჰანა.

იოჰანა (ვერნერზე მიუთითებს.) - ამ სამი წლის წინ, ჰამბურგში, ერთი გერლახი გავიცანი და მაშინვე შემიყვარდა. შემიყვარდა ლალი, გულლია, მხიარული კაცი. როგორ შეცვალეთ!

ლენი - თქვენს გერლახს ჰამბურგშიც ეშინოდა სიტყვების?

იოჰანა - არა-მეთქი.

ლენი - მაშ მისი ნამდვილი სახე არ დაგინახავთ.

იოჰანა (ვერნერს მიუტრიალდება, ნაღვლიანად.) - შენ მე მომატყუე!

ვერნერი (სწრაფად და ხმამაღლა.) - გაჩუმდი! (ლენიზე მიუთითებს.) შეხედე, როგორ ილიმება - ნიადაგს უმზადებს.

იოჰანა - ვის?

ვერნერი - მამას. მე და შენ მსხვერპლად აგვირჩიეს და ახლა უნდა გაგვთიშონ, ესაა მათი უპირველესი მიზანი. რაც უნდა გაიფიქრო, საყვედურს ნუ მეტყვი - მაგათ წისქვილზე დაასხამ წყალს.

იოჰანა (ნაზად, მაგრამ სერიოზულად.) - არაფერი მაქვს სასაყვედურო.

ვერნერი (დაბნეული, მანიაკივით.) - ჰოდა, მით უკეთესი, მით უკეთესი!

იოჰანა - რა უნდათ ჩვენგან?

ვერნერი - ნუ ღელავ, გვეტყვიან.

სიჩუმე ჩამოვარდება.

იოჰანა - რა დაემართა?

ლენი - ვის?

იოჰანა - მამას.

ლენი - ყელის კიბო.

იოჰანა - ამით კვდებიან?

ლენი - როგორც წესი. (პაუზა.) მაგრამ შეიძლება, ერთხანს კიდევ გაძლოს. (რბილად.) თქვენ ყოველთვის მოგწონდათ მამა, ასე არ იყო?

იოჰანა - ახლაც ასეა.

ლენი - მამაჩვენი ყველა ქალს მოსწონდა. (პაუზა.) რა სასტიკია ცოდვათა გამოსყიდვა! ეს ბაგეები, ასე რომ უყვარდათ... (ამჩნევს, რომ იოჰანა ვერაფერს ხვდება.) შესაძლოა, თქვენ არც კი იცოდეთ: ყელის კიბოს ახლავს ის დიდი უხერხულობა...

იოჰანა (გაუგებს.) - გაჩუმდით!

ლენი - ყოჩაღ! თქვენ ნამდვილი გერლახი ხდებით.

ლენი ბიბლიის მოსატანად მიდის. ეს არის XVI საუკუნის გამოცემა - სქელი და მძიმე ტომი, რომელსაც ლენი გაჭირვებით ათავსებს ცალფეხა მრგვალ მაგიდაზე.

იოჰანა - ეს რა არის?

ლენი - ბიბლიაა. საოჯახო თათბირების დროს მაგიდაზე ვდებთ ხოლმე. (იოჰანა გაოცებული შეჰყურებს. ლენი გაღიზიანებული ხმით უმატებს.) დიახ, ბატონო. როცა დაფიცება გვჭირდება.

იოჰანა - არაფერია დასაფიცი.

ლენი - აბა, რას გაიგებ?

იოჰანა (იცინის, უფრო საკუთარი თავის გასამხნეებლად.) - თქვენ არც ღმერთისა გწამთ და არც ეშმაკისა.

ლენი - ეს კი მართალია. მაგრამ დრო და დრო ეკლესიაშიც დავდივართ და ბიბლიაზეც შევფიცავთ ხოლმე. მე უკვე გითხარით: ამ ოჯახმა არსებობის საზრისი კი დაკარგა, მაგრამ კეთილი ჩვევები შეინარჩუნა. (საათს შეხედავს.) ოთხის ათი წუთია. შეგიძლია ადგე, ვერნერ!

სცენა მეორე

იგივენი, მამა

იმავე წამს იღება შემინული კარი და შემოდის მამა. ხმაურზე ვერნერი სანახევროდ შებრუნდება კარისკენ. იოჰანა ყოყმანობს - წამოდგეს თუ არა, ბოლოს გადაწყვეტს და უხალისოდ წამოიწევა.

მაგრამ მამა სწრაფი ნაბიჯით გადაჭრის ოთახს, იოჰანას მხარზე ხელს მოხვევს და დასვამს.

მამა - ნუ წუხდები, ჩემო პატარავ. (იოჰანა ჯდება. მამა დაიხრება, ხელზე ემთხვევა რმაღს. სწრაფადვე გაიმართება და ვერნერსა და ლენის შეხედავს.) როგორცა ჩანს, თქვენ უკვე ყველაფერი იცით. მით უკეთესი! პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. თანაც

ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, ასე არ სჯობს? (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) მაშ ასე, მე განწირული ვარ. (ვერნერი მკლავზე შეახებს ხელს. მამა ლამის უხეშად გაითავისუფლებს თავს.) ცერემონიების გარეშე-მეთქი. (ვერნერი განაწყენებული მიტრიალდება და დაჯდება. მცირე ხანი გადის. მამა სამივეს ათვალიერებს. ოდნავ ჩახრინწული ხმით.) ვხედავ, ეჭვიც არ გეპარებათ ჩემს სიკვდილში! (თვალს არ აშორებს არც ერთს. თითქოს სურს, თავისი ნათქვამის სისწორეში დარწმუნდეს.) მე მალე ჩავმადლდები. მალე ჩავმადლდები. ეს გარდაუვალია. (განაგრძობს თითქმის მხიარულად.) ჩემო შვილებო, ბუნება უსაძაგლესად მექცევა. რაც ვღირვარ, ვღირვარ, მაგრამ ამ ჩემ სხეულს არავინ შეუწუხებია... სულ რაღაც ექვსი თვე და ყველა იმ უხეირო თვისებას შევიძენ, ცხედარს რომ ამკობს, სარგებელს კი ვერავითარს... (ვერნერის ჟესტზე გაიცინებს.) დაჯექი: ღირსეულად გავეცლები ამ ქვეყანას.

ლენი (დაინტერესდება, თავაზიანად.) თქვენ აპირებთ...

მამა - შენი აზრით, რამდენიმე უჯრედის თავნებობას ავიტან? მე, ვისი ნებაც ზღვაზე ფოლადის გიგანტებს დააცურებს? (ხანმოკლე სიჩუმე.) ექვსი თვე ჩემი საქმეების მოსაგვარებლად თავზე გადამივა.

ვერნერი - ექვსი თვის მერე კი?

მამა - მერე? მერე რაღა უნდა იყოს? არაფერი.

ლენი - სულ არაფერი?

მამა - ინდუსტრიული სიკვდილი. ამ უკანასკნელადაც ჩავერევით ბუნების საქმეში.

ვერნერი (სუნთქვა შეეკვრება.) - ვინ ჩავერევა?

მამა - შენ, თუკი ამის უნარი გაქვს. (ვერნერი შეხტება, მამას გაეცინება.) მე ვიზრუნებ ყველაფერზე: თქვენ მხოლოდ დაკრძალვის მოგვარება დაგრჩებათ. (სიჩუმე.) გვეყოფა ამ თემაზე საუბარი. (ხანგრძლივი სიჩუმე. იოჰანას, თავაზიანად.) ჩემო პატარავ, გთხოვ, ცოტაც მოითმინო. (ლენისა და ვერნერს, სხვა კილოზე.) სათითაოდ უნდა შემომფიცოთ.

იოჰანა (შეწუხდება.) - რა ცერემონიებია! აკი არ გვინდაო? რა არის შესაფიცი?

მამა (გულკეთილად.) - ბევრი არაფერი, ჩემო რძალო. შენ მაინც არავინ შეგაწუხებს, რადგან ქორწინებით ნათესავები ფიცისგან თავისუფალნი არიან. (თავის ვაჟს მიუტრიალდება საზეიმო იერით, რომელსაც ვერ გაუგებ, ირონიულია თუ გულწრფელი.) ვერნერ, წამოდექი. ჩემო შვილო, შენ ვექილად მუშაობდი. როცა ფრანცი მოკვდა და დასახმარებლად გიხმე, არც შეყოყმანებულხარ, ისე მიატოვე ადვოკატურა. ამისათვის ჯილდოს ღირსი ხარ: შენ ამ სახლის ბატონ-პატრონი და წარმოების უფროსი გახდები. (იოჰანას.) როგორც ხედავთ, თქვენი წუხილი უსაფუძვლოა: თქვენს ქმარს ამ სამყაროს მეფედ ვაქცევ. (იოჰანა დუმს.) თანახმა არა ხართ?

იოჰანა - ეს ვერნერს უნდა ჰკითხოთ!

მამა - ვერნერ! (მოუთმენლად.) უარზე ხარ?

ვერნერი (მოღუშული და აფორიაქებული.) - თქვენ რაც გსურთ, მე იმას გავაკეთებ.

მამა - თავისთავად ცხადია. (ვერნერს ათვალიერებს.) მაგრამ ვატყობ, სიხარულს არ უნდა გგვრიდეს ეს ამბავი...

ვერნერი - დიახ.

მამა - გემთმშენებლობაში ყველაზე დიდ საწარმოს გჩუქნიან და კიდევ წუხხარ? რა მიზეზია?

ვერნერი - მე... ჩავთვალოთ, რომ ღირსი არა ვარ.

მამა - სავსებით შესაძლებელია. მაგრამ რა გაეწყობა; შენს მეტი ვაჟი მემკვიდრე არა მყავს.

ვერნერი - აი, ფრანცს ყველა საჭირო თვისება გააჩნდა.

მამა - გარდა ერთისა: ის მკვდარია.

ვერნერი - წარმოიდგინეთ, რომ მე კარგი ვექილი ვიყავი. და რომ ვერ ავიტან, ცუდი მმართველი გავხდე.

მამა - იქნებ არც ისე ცუდი იყო.

ვერნერი - როცა ადამიანს თვალებში ვუყურებ, აღარ შემიძლია, რაიმე ვუბრძანო.

მამა - რატომ?

ვერნერი - ვგრძნობ, რომ მასზე უკეთესი არაფრითა ვარ.

მამა - შენც თვალს ზემოთ შეხედე. (შუბლზე მიიღებს თითს.) აი, აქ, მაგალითად, ძვლის მეტი არაფერია.

ვერნერი - თქვენი სიამაყე რომ მქონოდა...

მამა - განა არა გაქვს?

ვერნერი - საიდან უნდა მქონდეს, ნეტავ? ფრანცი რომ თქვენს კვალზე წაგეყვანათ, ამისთვის არაფერი დაიშურეთ. ჩემთვის კი უსიტყვო მორჩილების მეტი რა გისწავლებიათ?! განა ეს ჩემი ბრალია?

მამა - ეს ხომ ერთი და იგივეა.

ვერნერი - რაო? რა არის ერთი და იგივე?

მამა - მორჩილება და მბრძანებლობა: ორივე შემთხვევაში შენ გასცემ ბრძანებას, რომელიც თავად მიიღე ვილაციისგან.

ვერნერი - თქვენ იღებთ ვინმესგან ბრძანებებს?

მამა - არც თუ ისე დიდი ხანია, ეს აღარ ხდება.

ვერნერი - ვინ გიბრძანებდათ?

მამა - არ ვიცი. შესაძლოა, მე თვითონ. (იღიმება.) ერთ ხერხს გასწავლი: თუ გინდა, იმბრძანებლო, შენი თავი სხვის ადგილას დააყენე.

ვერნერი - თავს სხვად ვერ წარმოვიდგენ.

მამა - დამაცადე, მოვკვდე. ერთი კვირის შემდეგ ჩემს როლს ითამაშებ.

ვერნერი - უნდა გადაწყვიტო! დაადგინო! ყველაფერი საკუთარ თავზე ალო, მარტოდმარტომ - ასი ათასი კაცის ნაცვლად. არ მესმის, როგორ შეძელით ასე ცხოვრება!

მამა - კარგა ხანია, არაფერი გადამიწყვეტია. მე მხოლოდ კორესპონდენციას ვაწერ ხელს. მომავალ წელს შენ მოაწერ.

ვერნერი - მეტს არაფერს აკეთებთ?

მამა - აღარაფერს, ათიოდე წელია.

ვერნერი - მაშ რაღა საჭირო ხართ? ამას ხომ ნებისმიერი მოახერხებდა?

მამა - ნებისმიერი.

ვერნერი - თუნდაც მე?

მამა - თუნდაც.

ვერნერი - შეუძლებელია, ყველაფერი საუცხოოდ იყოს აწყობილი... ამდენი მექანიზმია, ამდენი ჭანჭიკი... ერთი მათგანიც რომ მოეშვას?..

მამა - გელბერი აქ არის. გამოასწორებს. საუცხოო კაცია, ხომ იცნობ? უკვე ოცდახუთი წელია, ჩვენს გვერდითაა.

ვერნერი - მაშ, ბედი მეონია, ჩემს ნაცვლად გელბერი იმბრძანებლებს.

მამა - გელბერი? ხომ არ გაგიჟდი? გელბერი შენი დაქირავებულია. მას ფულს უხდი, რათა გირჩიოს, რა ბრძანება უნდა გასცე.

ვერნერი (პაუზა.) - ო, მამაჩემო, ცხოვრებაში ერთხელაც არ გიცდიათ, მომნდობოდით. ერთადერთი ვაჟი მემკვიდრე რომ გყავართ, იმიტომ მაკისრებთ საწარმოს

ხელმძღვანელობას. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, წინდახედულად იზრუნეთ, რომ ნამდვილ საყვავილე ქოთნად გექცეთ.

მამა (ნაღვლიანად იცინის.) - საყვავილე ქოთნად! მე? მე რაღა ვარ, როგორ გგონია? ბოძზე ჩამოცმული ქუდი. (სევდიანი და ლბილი, თითქმის ბებრული სახით.) ევროპის უდიდესი საწარმო... ეს ხომ მთელი ორგანიზაციაა, ასე არ არის? მთელი ორგანიზაციაა!..

ვერნერი - ძალიან კარგი. თუ ბევრი დრო მექნა, ჩემს საქმეებს გადავიკითხავ. მერე ვიმოგზაურებთ.

მამა - არამც და არამც.

ვერნერი (გაოცდება.) - ამაზე უპრეტენზიო რა უნდა გავაკეთო?

მამა (მზმანებლურად და მკვახედ.) - გეყოფა! გაგონებაც აღარ მინდა. (ვერნერსა და ლენის შეხედავს.) ახლა კი მომისმინეთ. მემკვიდრეობა განუყოფელია. კატეგორიულად გეკრძალებათ, მიჰყიდოთ ან აჩუქოთ ვინმეს თქვენი წილი. გეკრძალებათ ამ სახლის გაყიდვა ან გაქირავება. გეკრძალებათ მისი მიტოვებაც: სიკვდილამდე აქ უნდა იცხოვროთ. შემომფიცეთ! (ლენის.) დაიწყე.

ლენი (ღიმილით.) - პატიოსნად უნდა გამოგიტყდეთ, მამაჩემო, რომ ვერავითარი ფიცი ვერ შემიბოროკავს ხელ-ფეხს.

მამა (ისიც იღიმება.) - კარგი, კარგი, ლენი, გენდობი. უჩვენე შენს ძმას მაგალითი.

ლენი - (ბიბლიასთან მიდის და ხელს იწვდის.) - ვფიც... (ხარხარს ძლივს იკავებს.) ოჰ! რა ვუყო! უნდა მაპატიოთ, მამაჩემო, გიჟივით მეცინება. (იოჰანას, ცალკე.) სულ ასე მომდის.

მამა (გულკეთილად.) - გაიცინე, შვილო, გაიცინე. ფიცის გარდა სხვა არაფერსა გთხოვ.

ლენი (ეღიმება.) - ვფიცავ ამ წმინდა ბიბლიაზე, რომ დავემორჩილები თქვენს უკანასკნელ სურვილს. (მამა ლენის უყურებს და იცინის. ვერნერს.) შენი ჯერია, ოჯახის უფროსო!

ვერნერი დაბნეულია.

მამა - რაო, ვერნერ?

ვერნერი სწრაფად ასწევს თავს და დევნილი ნადირივით შეხედავს მამას.

ლენი (სერიოზულად.) - გვიხსენი, ჩემო ძმაო, შეჰფიცე და ყველაფერი გათავდება.

ვერნერი ბიბლიისკენ მიტრიალდება.

იოჰანა (თავაზიანად და მშვიდად.) - ერთი წამით მოითმინეთ, გეთაყვა. (მამა გაოგნებას გაითამაშებს, იოჰანა რომ შეაცბუნოს, მაგრამ ქალი აღუშფოთველი მზერით უპასუხებს.) ლენის ფიცი ნამდვილი ფარსი იყო, ყველა იცინოდა. აი, ვერნერის ჯერი რომ მოვიდა, კაციშვილს აღარ ეცინება. რატომ?

ლენი - იმიტომ, რომ თქვენი ქმარი ყველაფერს სერიოზულად უდგება.

იოჰანა - ეს უფრო სასაცილო არ არის? (პაუზა.) თქვენ ვერნერს უთვალთვალებდით, ლენი.

მამა (მბრძანებლურად.) - იოჰანა...

იოჰანა - თქვენც უთვალთვალებდით, მამა.

ლენი - გამოდის, თქვენ მე მითვალთვალებდით.

იოჰანა - მამა, მე მინდა, გულახდილად მოვისაუბროთ.

მამა (ერთობა.) - მე და თქვენ?

იოჰანა - მე და თქვენ. (იოჰანა იღებს ბიბლიას, რომელსაც ძლივს ერევა და მოშორებით მდგარ ავეჯზე დებს.) ჯერ ვისაუბროთ, მერე ვისაც უნდა, იმან შემოგფიცოთ.

ლენი - ვერნერ! მისცემ შენს ცოლს უფლებას, რომ დაგიცვას?

ვერნერი - განა თავს მესხმიან?

იოჰანა - გამაგებინეთ, რატომ განაგებთ ჩემს ცხოვრებას?

მამა (ვერნერზე მიუთითებს.) - მე მის ცხოვრებას განვაგებ, რადგან ის მე მეკუთვნის. თქვენზე რა უფლება მაქვს?!

იოჰანა (ელიმება.) - რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენ სხვადასხვა ცხოვრებით ვცხოვრობთ? თქვენ ხომ გყავდათ ცოლი?! გიყვარდათ თქვენი შვილების დედა?

მამა - როგორც წესია.

იოჰანა (ელიმება.) - გასაგებია. ამიტომაც მოკვდა. ჩვენ კი ცოტა უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი, მამა. მე და ვერნერი ყოველთვის ერთად ვწყვეტდით იმ საქმეებს, რომლებიც ორივეს გვეხებოდა. (პაუზა.) თუ ჩემი ქმარი იძულებით შემოგფიცავთ და ფიცის ერთგულების გამო თავს ამ სახლში გამოიმწყვდევეს, ეს იმას ნიშნავს, რომ უჩემოდ და თანაც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტს. ასე რომ, თქვენ სამუდამოდ გვთიშავთ.

მამა (ღიმილით.) - არ მოგწონთ ჩვენი სახლი?

იოჰანა - ოდნავადაც არა.

სიჩუმე ჩამოვარდება.

მამა - რას უჩივით, ჩემო რძალო?

იოჰანა - მე ცოლად გავყევი ჰამბურგელ ვექილს, რომელსაც თავისი ნიჭის გარდა არა გააჩნდა. სამი წლის შემდეგ კი მარტოობაში ამოვყავი თავი ამ ციხე-სიმაგრეში, თანაც გემთმშენებლის ცოლი გამოვდექი.

მამა - მერე რითაა თქვენი ხვედრი სავალალო?

იოჰანა - ჩემთვის სავალალოა. ვერნერი მე თავისი დამოუკიდებლობისთვის მიყვარდა. თქვენც ხომ იცით, რომ ეს დამოუკიდებლობა მან უკვე დაკარგა.

მამა - ვინ წაართვა?

იოჰანა - თქვენ.

მამა - წლინახევრის წინ ორივემ ერთად გადაწყვიტეთ აქ გადმოსახლება.

იოჰანა - თქვენ გვთხოვეთ, გადმოდიეთ.

მამა - დავუშვათ, შეცდომა მოგივიდათ. მაშინ თქვენცა ხართ ამ შეცდომის თანამონაწილე.

იოჰანა - მე არ მინდოდა ვერნერი მეიძულებინა - ან თქვენ აერჩიეთ, ან მე.

მამა - შემცდარხართ.

ლენი (კეთილმოსურნედ.) - ცოლს აირჩევდა.

იოჰანა - ერთი შანსია ორიდან, რომ მე ავერჩიე. მაგრამ ასიდან - ასივე შანსი, რომ შესძლებოდა ეს არჩევანი.

მამა - რატომ?

იოჰანა - იმიტომ, რომ უყვარხართ. (მამა იღუშება და მხრებს იჩეჩავს.) იცით, რა არის უიმედო სიყვარული?

მამას სახე შეეცვლება. ლენი თვალს შეასწრებს.

ლენი (ცოცხლად.) - თქვენ იცით, იოჰანა?

იოჰანა (ცივად.) - არა. (პაუზა.) ვერნერმა კი იცის.

ვერნერი ადგა და შემინული კარისკენ გაემართა.

მამა (ვერნერს.) - სად მიდიხარ?

ვერნერი - გავალ. ხელს არ შეგიშლით.

იოჰანა - ვერნერ! მე ხომ *ჩვენთვის* ვიბრძვი!

ვერნერი - ჩვენთვის? (მოჭრით.) გერლახთა ოჯახებში ქალები ჩუმად არიან.

ოთახიდან გასვლას დააპირებს.

მამა (რბილად, თან ბრძანებით.) - ვერნერ! (ვერნერი უმაღლეს შეჩერდება.) მოდი, დაჯექი!

ვერნერი აუჩქარებელი ნაბიჯებით დაუბრუნდება თავის ადგილს, სხვებისაგან ზურგშექცევით დაჯდება და თავს ხელებში ჩარგავს. ამით უნდა აჩვენოს, რომ საუბარში მონაწილეობაზე უარს ამბობს.

ვერნერი - იოჰანას ჯერია!

მამა - კეთილი. მერე, ჩემო რძალო?

იოჰანა (შეშფოთებით შეხედავს ვერნერს.) - შემდეგისთვის გადავდოთ ეს საუბარი. ძალიან დავიღალე.

მამა - არა, ჩემო პატარავ. თქვენ წამოიწყეთ ეს ლაპარაკი და უნდა დავამთავროთ კიდევ. (პაუზა. დაბნეული იოჰანა ჩუმად შესცქერის ვერნერს.) როგორც გავიგე, თქვენ არ გინდათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ აქ იცხოვროთ.

იოჰანა (თითქმის ვედრებით.) - ვერნერ! (ვერნერი დუმს. იოჰანა უეცრად ცვლის ტონს.) დიახ, მამა. სწორედ ეს მინდა, ვთქვა.

მამა - სად დაბინავდებით?

იოჰანა - ჩვენს ძველ ბინაში.

მამა - ჰამბურგში დაბრუნდებით?

იოჰანა - დავბრუნდებით.

ლენი - თუკი ვერნერი მოინდომებს.

იოჰანა - მოინდომებს.

მამა - მერე საწარმო? თანახმა ხართ, ვერნერმა უხელმძღვანელოს?

იოჰანა - კი ბატონო, თუ ასე ძალიან გინდათ და თუკი ვერნერი იგუებს მარიონეტი მეპატრონის როლს.

მამა (თითქოს ჩაფიქრდა.) - ჰამბურგში იცხოვრებთ...

იოჰანა (იმედი მოეცა) - მეტს არაფერსა გთხოვთ. ნუთუ ამ ერთადერთ დათმობაზეც უარს გვეტყვიან?

მამა (თავაზიანად, მაგრამ გადაჭრით.) - დიახ. (პაუზა.) ჩემი შვილი აქ დარჩება. აქ იცხოვრებს და აქ მოკვდება ისევე, როგორც მე, ისევე, როგორც ჩემი წინაპრები.

იოჰანა - რატომ? გამაგებინეთ!

მამა - რატომ უნდა იყოს სხვაგვარად?

იოჰანა - ეს სახლი თავად მოითხოვს ბინადრებს?

მამა - დიახ.

იოჰანა (აფეთქდება.) - მაშ დამეხოს და დაიქცეს!

ლენი ახარხარდება.

ლენი (თავაზიანად.) - გინდათ, ცეცხლი წავუკიდო? ბავშვობაში სულ ამაზე ვოცნებობდი.

მამა (გარშემო მიმოიხედავს, ხალისობს.) - საწყალი ბინა: ღირდეს მაინც ამდენ სიძულვილად... დავიჯერო, ვერნერსაც ზარავს ეს სახლი?

იოჰანა - ვერნერსაც და მეც. საშინელი სიმახინჯეა!

ლენი - ეს ჩვენც ვიცით.

იოჰანა - ჩვენ ოთხნი ვართ. წლის ბოლოსთვის სამნილა დავრჩებით. რაში გვჭირდება ავეჯით გატენილი ოცდათორმეტი ოთახი? როცა ვერნერი ნავსაშენშია, მარტო დარჩენილს შიშით გული მისკდება.

მამა - აჰ, თურმე რატომ გვტოვებდით! კი მაგრამ, ეს არ არის სერიოზული მიზეზები.

იოჰანა - მართალი ბრძანდებით.

მამა - სხვა მიზეზიც გაქვთ?

იოჰანა - დიახ.

მამა - აბა, გვითხარით.

ვერნერი (ყვირის.) - იოჰანა, გიკრძალავ...

იოჰანა - მაშ, თვითონ ილაპარაკე!

ვერნერი - რა აზრი აქვს? ხომ იცი, მაინც დავმორჩილდები!

იოჰანა - რატომ?

ვერნერი - მამაა და იმიტომ. ოჰ, აღარ გვინდა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

წამოიწევს.

იოჰანა (წინ დაუდგება.) - არა, ვერნერ, არა-მეთქი!

მამა - ვერნერი მართალია, ჩემო რძალო. გავათავოთ. ოჯახი და სახლი ერთია. მე *თქვენ* გთხოვთ, ჩვენს სახლში იცხოვროთ, ვინაიდან ამ ოჯახის წევრი გახდით.

იოჰანა (იცინის.) - ოჯახს ნუ წამოჰკიდებთ ყველაფერს, თქვენ ოჯახისთვის არ გვწირავთ!

მამა - მაშ რისთვის?

ვერნერი - იოჰანა!

იოჰანა - თქვენი უფროსი ვაჟისთვის.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება.

ლენი (მშვიდად.) - ფრანცი არგენტინაში მოკვდა. დაახლოებით ოთხი წელია. (იოჰანა სახეში შესცინებს.) გარდაცვალების მოწმობა 56-ში მოგვივიდა. მიბრძანდით ალტონის მერიაში, იქ ნახავთ ამ მოწმობას.

იოჰანა - მოკვდა? ნეტავ ასე იყოს. რა შეიძლება ეწოდოს მის ცხოვრებას? მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ მკვდარი თუ ცოცხალი, ფრანცი აქ ცხოვრობს.

ლენი - არა.

იოჰანა (მეორე სართულის კარს უჩვენებს.) - იქ, მაღლა. იმ კარს უკან.

ლენი - რა სიგიჟეა! ვინ გითხრათ?

პაუზა. ვერნერი წყნარად წამოდგება. მას შემდეგ, რაც საუბარი ძმაზე ჩამოვარდება, ვერნერს თვალები უბრწყინავს, თავდაჯერება დაუბრუნდება.

ვერნერი - ვინ ეტყოდა ჩემს მეტი?

ლენი - საწოლში უამბობდი...

იოჰანა - რატომაც არა?

ლენი - ფუჰ!

ვერნერი - იოჰანა ჩემი ცოლია და უფლება აქვს იცოდეს ის, რაც მე ვიცი.

ლენი - სიყვარულით მინიჭებული უფლება? რა უხამსები ხართ! არც სულს, არც ხორცს არ დავიმშრებდი საყვარელი კაცისთვის, მაგრამ თუ საჭირო გახდებოდა, მთელი ცხოვრება მოვატყუებდი.

ვერნერი (უხეშად.) - ერთი ამ ბრმას დამიხედეთ, ფერებზე რომ ჭიკჭიკებს. ვის მოატყუებდი? თუთიყუშებს?

მამა (მბრძანებლურად.) - გაჩუმდით სამივე. (ლენის თმაზე მიეალერსება.) თავი მაგარია, მაგრამ თმა რბილი აქვს. (ლენი უხეშად გაითავისუფლებს თავს. მამა დადარაჯებული რჩება.) ფრანცი ცამეტი წელია, აქ ცხოვრობს, ოთახიდან არ გამოდის და ლენის მეტს ვერავის ხედავს. ლენი უვლის მას.

ვერნერი - ლენის და თქვენ მეტს...

მამა - ჩემ მეტს? ვინ გითხრა? ლენიმ? და შენც დაუჯერე, არა? რა კარგად ეწყობით ერთმანეთს, როცა შენვე უნდა გავნოს ხოლმე. (პაუზა.) ცამეტი წელია, აღარ მინახავს.

ვერნერი (განცვიფრებული.) - კი მაგრამ, რატომ?

მამა (ძალზე ბუნებრივად.) - იმიტომ, რომ არ სურს, მიმიღოს.

ვერნერი (დაბნეული.) - ჰო, გასაგებია! (პაუზა.) გასაგებია!

თავის ადგილს დაუბრუნდება.

მამა (იოჰანას.) - მადლობელი ვარ, ჩემო პატარავ. ხომ ხედავთ, ამ ოჯახში სიმართლეს არავინ უფრთხის. მაგრამ, როცა შესაძლებელია, ცვდილობთ, ჯერ უცხომ თქვას ეს სიმართლე. (პაუზა.) დიახ, ფრანცი ზემოთ ცხოვრობს, ავადმყოფი და მარტოსული... განა ეს რამეს ცვლის?

იოჰანა - თითქმის ყველაფერს. (პაუზა.) არ გაგაწბილებთ, მამა: თქვენს სათქმელ სიმართლეს ქორწინებით ნათესავი, იგივე უცხო, იტყვის. მე რაც ვიცი, ესაა: 46-ში ატყდა სკანდალი. ჩემი ქმარი ამ დროს ისევ ტყვედ იყო საფრანგეთში. ამიტომ არ ვიცი, რა იყო სკანდალის მიზეზი. ეტყობა, ფრანცს სასამართლო დევნიდა. ის გაქრა, თქვენ განაცხადეთ, რომ არგენტინაში წავიდა, სინამდვილეში კი ფრანცი აქ იმალებოდა. 56-ში გელბერი უეცრად მიემგზავრება სამხრეთ ამერიკაში და იქიდან გარდაცვალების ცნობა ჩამოაქვს. გარკვეული ხნის შემდეგ ვერნერი თქვენი ბრძანებით ტოვებს თავის საქმიანობას და აქ დაბინავდება, როგორც მომავალი მემკვიდრე. ხომ არაფერი შემეშალა?

მამა - არა. გააგრძელეთ.

იოჰანა - მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. მე არ ვიცი, რას წარმოადგენდა ფრანცი, რა ჩაიდინა, ანდა რა დაემართა შემდეგში. ერთადერთი, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, ის გახლავთ, რომ ჩვენი აქ დარჩენა ფრანცის მონებად გადაქცევას მოასწავებს.

ლენი (აენთება.) - ტყუილად ფიქრობთ ასე. ფრანცისთვის მეც საკმარისი ვარ.

იოჰანა - რაღაც არა მგონია.

ლენი - ჩემ გარდა სხვა არავის ნახვა არა სურს.

იოჰანა - შესაძლებელია, მაგრამ მამა შორიდან მფარველობს. მოგვიანებით კი ჩვენ მოგვიწევს მისი მფარველობა. ანდა ზედამხედველობა. იქნებ ერთდროულად მონებიც ვიყოთ და მედილეგებიც.

ლენი (შეურაცხყოფილი.) - მაშ, მედილეგე ვყოფილვარ?!

იოჰანა - რა ვიცი? იქნებ ფრანცი სწორედ თქვენ ორმა ჩაამწყვდიეთ?

სიჩუმე ჩამოვარდება. ლენი გასაღებს ამოიღებს ჯიბიდან.

ლენი - კიბეზე ადით და დააკაკუნეთ. თუ კარი არ გაგიღოთ, გასაღები აქაა.

იოჰანა (გასაღებს გამართმევს.) - გმადლობთ. (ვერნერს შეხედავს.) როგორ მოვიქცე, ვერნერ?

ვერნერი - როგორც გინდა. ასე იქნება თუ ისე, ნახავ, რომ სულელებისთვის დაგებული ხაფანგია...

იოჰანა შეეცოდნდება, მერე ნელა აუყვება კიბეს. დააკაკუნებს. კიდევ დააკაკუნებს. ნერვიული გაავება აიტანს და მუშტებს სეტყვასავით დაუშენს კარს. შემდეგ დარბაზისკენ შემობრუნდება და ჩამოსვლას დააპირებს.

ლენი (მშვიდად.) - გასაღები ხომ გაქვთ. (პაუზა. იოჰანა ყოყმანობს, შიშობს. ვერნერი შემფოთებული და აღზნებულია. იოჰანა თავს მოერევა და გასაღებს საკეტს მოარგებს. გასაღები გადატრიალდება, მაგრამ კარი არ გაიღება.) რაო?

იოჰანა - შიგნიდანაა ურდულით ჩაკეტილი.

კიბეზე ჩამოდის.

ლენი - ვინ ჩაკეტავდა? იქნებ მე?

იოჰანა - შესაძლოა, მეორე კარიც არსებობდეს.

ლენი - კარგად იცით, რომ არ არსებობს. ეს პავილიონი იზოლირებულია. ურდულს, ფრანცის მეტი, ვერავინ გადაკეტავდა. (იოჰანა უკვე კიბის ძირშია.) რას იტყვით? ჩვენ ჩაგვიმწყვდევია, არა, საბრალო?

იოჰანა - ათასი ხერხი არსებობს ადამიანის დასატყვევებლად. შეიძლება საქმე ისე მოაწყო, რომ კაცი თავისი ნებით განმარტოვდეს. ყველაზე უკეთესი ხერხიც ეს არის.

ლენი - ამას როგორ ახერხებენ?

იოჰანა - ატყუებენ.

იოჰანა ლენის შეხედავს. ლენი შეცბუნებული ჩანს.

მამა (ვერნერს, ცოცხლად.) - ასეთი საქმე თუ შეგხვედრია შენს პრაქტიკაში?

ვერნერი - რა საქმე?

მამა - ადამიანის იზოლირება - სეკვესტრი.

ვერნერი (სუნთქვაშეკრული.) - დიახ, ერთხელ.

მამა - კარგი. ახლა წარმოიდგინე, რომ აქაურობა გაჩხრიკეს. პროკურატურა ამ საქმეს ხელიდან არ გაუშვებს, არა?

ვერნერი (ხაფანგში მომწყვდეული.) - რატომ უნდა გაჩხრიკონ? ცამეტი წლის განმავლობაში ეს არ მომხდარა.

მამა - მე აქ ვიყავი!

სიჩუმე ჩამოვარდება.

ლენი - ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ მე საკმაოდ სწრაფად ვატარებ მანქანას. თქვენც ხომ გითქვამთ ეს ჩემთვის. მე შეიძლება, ხეს დავეჯახო. როგორ ფიქრობთ, ფრანცს რა მოუვა?

იოჰანა - თუ ის საღ გონებაზეა, მოსამსახურეებს დაუძახებს.

ლენი - საღ გონებაზეა, მაგრამ მოსამსახურეებს მაინც არ დაუძახებს. (პაუზა.) ჩემი ძმის სიკვდილს ცხვირით შეიტყობენ! (პაუზა.) კარს შეამტვრევენ და იატაკზე იპოვიან ნიჟარებით გარშემორტყმულს.

იოჰანა - რა ნიჟარებით?

ლენი - ხამანწკები უყვარს.

მამა - (იოჰანას, მეგობრულად.) ყური მიუგდეთ ლენის, ჩემო რძალო. ფრანცის სიკვდილი საუკუნის სკანდალი იქნება. (იოჰანა დუმს.) საუკუნის სკანდალი, იოჰანა...

იოჰანა (უდიერად.) - თქვენ რა გენადვლებათ? ამ დროს უკვე მიწაში იქნებით.

მამა (ღიმილით.) - მე კი ვიქნები, მაგრამ თქვენ? მოდით, დავუბრუნდეთ 46 წლის საქმეს. ვადა ხომ არ გაუვიდოდა ამასობაში? მიპასუხე, ეს შენი ხელობაა.

ვერნერი - მე არ ვიცი, რა სახის დანაშაულზეა ლაპარაკი.

მამა - უკეთეს შემთხვევაში - ცემა და ჭრილობების მიყენება, უარესში - მკვლელობის მცდელობა.

ვერნერი (ხმა წაერთმევა.) - არ არის ვადაგასული.

მამა - ჰოდა, კარგად იცი, რაც გველის: მკვლელობის მცდელობაში თანამონაწილეობა, ყალბისმქნელობა, სეკვესტრი.

ვერნერი - ყალბისმქნელობა? ეგ რაღა შუაშია?

მამა (იცინის.) - გარდაცვალების მოწმობა დაგავიწყდა? მერე რა ძვირი დამიჯდა! (პაუზა.) აბა, რას გვეტყვი, ვეჩილო? ალბათ, ნაფიც მსაჯულებს ვერ ავცდებით.

ვერნერი დუმს.

იოჰანა - ვერნერ! მოსახდენი მოხდა. ახლა არჩევანი ჩვენზეა: ან მოსამსახურეებად დავუდგებით ჭკუანაკლულს, რომელიც შენს თავს ურჩევნიათ, ანდა საბრალმდებლო სკამზე ამოვყოფთ თავს. რომელი გიჯობს? მე პირადად - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვარჩევ. სამუდამო კატორღა გაცილებით უარესია, ვიდრე განსაზღვრული ვადით პატიმრობა. (პაუზა.) რას იტყვი?

ვერნერი ჩუმდება. იოჰანას ჟესტი სასოწარკვეთას გამოხატავს.

მამა (გულმხურვალედ.) - ჩემო შვილებო, თითქოს ღრუბლებიდან ჩამოვვარდი. შანტაჟი! ხაფანგი! ყალბია ეს ყველაფერი, ყურით მოთრეული. ჩემო ბიჭო, მხოლოდ მცირე გულმოწყალებასა გთხოვ შენი ძმის მიმართ. არის ისეთი გარემოებანი, რომელთაც მარტო ლენი ვერ გაუმკლავდება. სხვა არაფერი შეგზღუდავთ, ჰაერივით თავისუფლები იქნებით. აი, ნახავთ: ყველაფერი კარგად დასრულდება. ფრანცი, ვშიშობ, დიდხანს ვერ იცოცხლებს. ერთ ღამეს თქვენ მას პარკში დამარხავთ. მასთან ერთად გაქრება უკანასკნელი *ჭეშმარიტი* ფონ გერლახი... (ვერნერის ჟესტი.) ... მე ვგულისხმობ უკანასკნელ ურჩხულს. თქვენ ორივე ჯანსაღები და ნორმალურები ხართ. თქვენ გააჩნთ ნორმალურ ბავშვებს, რომლებიც იქ იცხოვრებენ, სადაც მოეგუნებებათ. დარჩით, იოჰანა! ვერნერის ვაჟების გულისთვის. ისინი მემკვიდრეობით მიიღებენ საწარმოს - საარაკო ძლიერებას. თქვენ არა გაქვთ უფლება, შვილებს ეს წაართვათ.

ვერნერი (შეკრთება, თვალები აენთება და სიმკაცრე ჩაუდგება.) ჰა? (ყველა მას შეხედავს.) ვერნერის ვაჟებისთვისო, ასე ბრძანეთ? (გაოცებული მამა თავს დაუქნევს თანხმობის ნიშნად. მოზეიმე ხმით.) აი, იოჰანა, სწორედ ესაა ყალბი მანევრი. ვერნერი და მისი შვილები თქვენ, მამაჩემო, ფეხებზე გკიდიათ. ფეხებზე გკიდიათ! ფეხებზე გკიდიათ! (იოჰანა ქმარს მიუახლოვდება. პაუზა.) რომც მოსწრებოდით ჩემს პირველ ვაჟს, ის თქვენ მხოლოდ შეგზიზღებოდათ, ვინაიდან ის ჩემი ხორცი ხორცთაგანი იქნებოდა, და ვინაიდან მე მთელი ხორციტ გეზიზღებით ჩემი ამ ქვეყნად მოვლენის დღიდანვე! (იოჰანას.) საბრალო მამა! როგორ აურდაურია! ფრანცის შვილებს მართლაც გააღმერთებდა...

იოჰანა (ბრძანებით.) - გაჩუმდი! ძალიან გაგიტაცა საკუთარმა სიტყვებმა. იცოდე, დავიღუპებით, თუ თავს შეაცოდებ.

ვერნერი - პირიქით, მე თავს ვითავისუფლებ. შენ რა გინდა? თავიდან მოვიწყვიტო ისინი?

იოჰანა - დიახ.

ვერნერი (იცინის.) - შესანიშნავია.

იოჰანა - უთხარი არა . ყვირილისა და სიცილის გარეშე. უბრალოდ: არა.

ვერნერი მამამისა და ლენისკენ მიბრუნდება. ისინი უხმოდ შეჰყურებენ.

ვერნერი - მიყურებენ.

იოჰანა - მერე რა? (ვერნერი მხრებს აიჩეჩავს და კვლავ ჩამოჯდება. საშინლად დაქანცული.) ვერნერ!

ვერნერი ცოლს აღარ უყურებს. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება.

მამა (შეკავებული ზეიმით.) - რაო, ჩემო რძალო?

იოჰანა - ვერნერს ფიცი არ დაუდია.

მამა - დადებს. სუსტი ძლიერს ემსახურება: ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი.

იოჰანა (შეურაცხყოფილი.) - ვინ არის ძლიერი თქვენი აზრით? ის ნახევრად გიჟი, ზემოთ რომაა, ძუძუთა ბავშვზე უფრო უმწეო, თუ ჩემი ქმარი, რომელიც მიატოვეთ და რომელიც მარტო გაუმკლავდა თავის საქმეებს?

მამა - ვერნერი სუსტია, ფრანცი - ძლიერი. ამას ვერა კაცი ვერ აღუდგება.

იოჰანა - ვინ არიან ეს ძლიერები, რას აკეთებენ ამქვეყნად?

მამა - საზოგადოდ, არაფერს.

იოჰანა - ვხედავ.

მამა - ეს არის ხალხი, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებით სიკვდილის სიახლოვეს ცხოვრობს. სხვა ადამიანთა ბედ-იღბალი მათ ხელთაა.

იოჰანა - ფრანციც ასეთია?

მამა - დიახ.

იოჰანა - თქვენ რა იცით, რა დაემართა ამ ცამეტი წლის განმავლობაში?

მამა - ფრანცი ჩვენი ოთხივეს ბედისწერაა ისე, რომ ეს აზრადაც არ მოსდის.

იოჰანა - მაშ რა მოსდის აზრად, რაზე ფიქრობს?

ლენი (ირონიულად და უხეშად, მაგრამ გულწრფელად.) - კიბორჩხალებზე.

იოჰანა (ირონიულად.) - მთელი დღე?

ლენი - ეს ყოვლისშთანმთქავი საქმიანობაა.

იოჰანა - რა მოძველებული აზრებია, თქვენი ავეჯის ხნისა. კარგი რა! თქვენ ხომ ეს არა გჯერათ.

მამა (ილიმება.) - ექვსი თვის სიცოცხლედა დამრჩენია, ჩამო რძალო: ძალიან ცოტა დროა იმისათვის, რომ რაიმე ვირწმუნო. (პაუზა.) აი, ვერნერს სჯერა.

ვერნერი - ცდებით, მამა, ეს თქვენი აზრებია და არა ჩემი, თქვენ ისინი ძალით ჩამინერგეთ. მაგრამ რაკი თქვენვე შემოგფანტვით გზადაგზა, ალბათ არ გამკიცხავთ, თუ მეც თავიდან მოვიცილებ მათ. მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც სხვები. არც ძლიერი, არც სუსტი, ერთი მრავალთაგანი. ვცდილობ, ვიცხოვრო. ფრანცს ვიცნობ თუ არა კიდევ, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისიც ერთი მრავალთაგანია. (იოჰანას ფრანცის სურათებზე ანიშნებს.) რითაა ჩემზე მეტი? (მოჯადოებულობით შესცქერის ფრანცს) ლამაზიც კი არ არის!

ლენი (დამცინავად.) - არა, რა თქმა უნდა! ლამაზიც კი არ არის!

ვერნერი (კვლავ მონუსხული, უკვე ძალას კარგავს.) მე იმისთვის არ დავბადებულვარ, რომ მას ვემსახურო. მონები ზოგჯერ ჯანყდებიან. ჩემი ძმა ჩემი ბედისწერა ვერ იქნება.

ლენი - გიჯობს, ეს შენი ცოლი იყოს?

იოჰანა - მე ძლიერთა რიცხვს მიმაკუთვნებთ?

ლენი - დიახ.

იოჰანა - რა უცნაური აზრია! ვითომ რატომ?

ლენი - თქვენ მსახიობი იყავით, არა? ვარსკვლავი?

იოჰანა - მართალია. თუმცა კარიერა ჩავაფლავე. მერე რა?

ლენი - რა და ვერნერს გაჰყევით ცოლად: მას შემდეგ არაფერს აკეთებთ და სიკვდილზე ფიქრობთ.

იოჰანა - თუ თქვენ ვერნერის დამცირებას ცდილობთ, ამაოდ ჰკარგავთ დროს. როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, სცენა და გადასაღები მოედანი სამუდამოდ მქონდა მიტოვებული, გიჟი ვიყავი და მას შეუძლია იამაყოს, რომ მიხსნა.

ლენი - ნამღევს ჩამოვალ, არ ამაცობს.

იოჰანა (ვერნერს.) - თქვი რამე.

სიჩუმე ჩამოვარდება. ვერნერი პასუხს არ სცემს.

ლენი - როგორ აცბუნებთ, საბრალოს. (პაუზა.) იოჰანა, მარცხი რომ არ განგეცადათ, მაინც მას აირჩევდით? ზოგიერთი ქორწინება დასაფლავებას უდრის.

იოჰანას პასუხის გაცემა უნდა. მამა შეაწყვეტინებს.

მამა - ლენი! (თავზე მოეფერება, ლენი გაურბის, გაბრაზებული.) შენს თავს აღემატე, ჩემო გოგონა. ამპარტავანი რომ ვიყო, ვიფიქრებდი, რომ ჩემმა სიკვდილმა სასო წარგიკვეთა.

ლენი (ცოცხლად.) - ეჭვი ნუ გეპარებათ, მამაჩემო. ხომ ხედავთ, ეს სიკვდილი საქმეს გაართულებს.

მამა (სიცილს იწყებს, იოჰანას.) - ლენის ნუ გაუბრაზდებით, ჩემო პატარავ. იმის თქმა უნდა, რომ ჩვენ ერთი ჯიშისანი ვართ: თქვენ, ფრანცი და მე. (პაუზა.) თქვენ მე მომწონხართ, იოჰანა. ზოგჯერ ისიც მიფიქრია, რომ დამიტირებდით. ერთადერთი კი იქნებოდით.

უღიმის.

იოჰანა (მკვეთრად.) - თუ თქვენ ჯერ კიდევ გაღელვებთ ცოცხალთა საწუხარი და თუ მე ბედმა გამიღიმა და მოგწონვართ, როგორღა ბედავთ, ჩემი ქმარი ჩემ წინაშე დაამციროთ? (მამა თავს გადააქნევს და არ უპასუხებს.) სიკვდილის აქეთა მხარეს ხომ იმყოფებით?

მამა - აქეთა თუ იქეთა მხარეს: განსხვავება აღარაა. ექვსი თვე: მე მომავლის მოხუცი არა ვარ. (სიცარიელეში იყურება და თავისთვის ლაპარაკობს.) წარმოება გაიზრდება და გაიზრდება, კერძო ინვესტიციები აღარ ეყოფა, საჭირო გახდება, სახელმწიფომაც ჩაჰყოს ცხვირი; ფრანცი ზემოთ დარჩება ათი წელი, ოცი წელი. დაიტანჯება...

ლენი (კატეგორიულად.) - ის არ იტანჯება.

მამა (არ ესმის ლენის ნათქვამი.) - ჩემი სიკვდილი ახლა ჩემი ცხოვრებაა, რომელიც ისე გრძელდება, რომ მასში აღარ ვიმყოფები. (სიჩუმე ჩამოვარდება. მამა მოკუნტული ზის, გაშტერებული მზერით.) თმა გაუჭადრაკდება... პატიმრების უმწო ქონს მოიკიდებს...

ლენი (უხეშად.) - გაჩუმდით!

მამა (არ ესმის ლენის ნათქვამი.) - აუტანელია.

მამის სახეს ტანჯვა ეტყობა.

ვერნერი (ნელა.) - ნაკლებ უბედური იქნებით, ჩვენ თუ აქ დავრჩებით?

იოჰანა (სწრაფად.) - გაუფრთხილდი!

ვერნერი - რას? ეს მამაჩემია, არ მინდა, რომ იტანჯებოდეს.

იოჰანა - ის სხვისი გულისთვის იტანჯება.

ვერნერი - მით უარესი.

ვერნერი იღებს ბიბლიას და მოაქვს მაგიდაზე, სადაც მანამდე ლენიმ დადო.

იოჰანა (ისევ ისე) - სპექტაკლი დაგიდგა...

ვერნერი (გაბოროტებული, ნართაულებით სავსე ტონით.) - შენ? შენ არ დამიდგი? (მამას.) მიპასუხეთ... ნაკლებ უბედური იქნებით...

მამა - არ ვიცი.

ვერნერი (მამას.) - გამოჩნდება.

მცირე ხანი გადის. არც მამა, არც ლენი არ იძვრიან. დადარაჯებულები ელოდებიან.

იოჰანა - ერთი შეკითხვა. ერთადერთი შეკითხვა და რაც გინდა, ის ჰქენი.

ვერნერი ცოლს უყურებს, მოღუშული და ჯიუტი სახით.

მამა - შეიცადე, ვერნერ. (ვერნერი ბიბლიას მოშორდება ბურღულუნით, რომელიც თანხობის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.) რა შეკითხვა, ჩემო რძალო?

იოჰანა - რატომ განმარტოვდა ფრანცი?

მამა - ეს ერთი შეკითხვა ბევრ შეკითხვას მოიცავს.

იოჰანა - მიაშბეთ, რა მოხდა.

მამა (მსუბუქი ირონიით.) - კარგი, ბატონო, ომი იყო.

იოჰანა - ომი ყველასთვის იყო. განა სხვები იმალებიან?

მამა - თქვენ ვერ ხედავთ მათ, ვინც იმალება.

იოჰანა - ესე იგი, იბრძოდა?

მამა - ბოლომდე.

იოჰანა - რომელ ფრონტზე?

მამა - რუსეთში.

იოჰანა - როდის დაბრუნდა?

მამა - 46 წლის შემოდგომაზე.

იოჰანა - გვიანაა. რატომ?

მამა - მისი პოლკი გაანადგურეს. ფრანგი ფეხით დაბრუნდა, მალვა-მალვით, პოლონეთისა და ოკუპირებული გერმანიის გავლით. ერთ დღეს ზარი დაირეკა. (შორიდან ყრუდ ისმის ზარის ხმა.) ის იყო.

ოთახის სიღრმეში გამოჩნდება ფრანგი, მამის უკან, ნახევარჩრდილის ზონაში. სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, ახალგაზრდად გამოიყურება: ოცდასამი-ოცდოთხი წლისად. იოჰანა, ვერნერი და ლენი ამ და მომდევნო წარსულის სცენაში ვერ დაინახავენ მეხსიერებით მოხმობილ პერსონაჟს. მხოლოდ ისინი, ვინც იხსენებენ - მამა პირველი ორი მოგონების სცენაში, ლენი და მამა მესამეში - მიბრუნდებიან მათკენ, ვისაც იხსენებენ, მაშინ, როცა მათ უნდა დაელაპარაკონ. მოგონების სცენის მონაწილე პერსონაჟების ტონი და თამაში უნდა მოიცავდეს ერთგვარ უკანდახევას, „დისტანცირებას“, რომელიც, სიმპაფრის შემთხვევებშიც კი, განასხვავებს წარსულს აწმყოსაგან. მოცემულ მომენტში ვერავინ ხედავს ფრანცს, მამაც კი. ფრანცს მარჯვენა ხელში შამპანურის გახსნილი ბოთლი უჭირავს; ბოთლი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც იგი დალევს. შამპანურის ბოკალს, რომელიც იქვე, ამოზნექილ ფეხებიან მაგიდაზე დევს, სამშვენისები ეფარება. ფრანცი მას აიღებს, როდესაც დალევას დააპირებს.

იოჰანა - მაშინვე გამოიკეტა?

მამა - სახლში - მაშინვე; თავის ოთახში - ერთი წლის შემდეგ.

იოჰანა - ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე ხვდებოდით?

მამა - თითქმის.

იოჰანა - რას აკეთებდა?

მამა - სვამდა.

იოჰანა - და რას ამბობდა?

ფრანცი (შორეული და მექანიკური ხმით.) - დღე მშვიდობისა. საღამო მშვიდობისა. დიახ. არა.

იოჰანა - მეტს არაფერს?

მამა - არაფერს, თუ არ ჩავთვლით ერთ დღეს. სიტყვების წარღვნა იყო. ვერაფერი გაუგე. (მწარე სიცილი.) ბიბლიოთეკაში ვიჯექი და რადიოს ვუსმენდი.

რადიოს ტკაცუნა, განმეორებული მოხმობის სიგნალი. ყველა ეს ხმაური მოგუდულია.

დიქტორის ხმა - ძვირფასო რადიომსმენელებო, გაგაცნობთ ახალ ამბებს: ნიურნბერგში, ერთა სასამართლომ მარშალ გერინგს მიუსაჯა...

ფრანგი რადიომიმღებს გამორთავს. იგი ნახევარჩრდილის ზონაში რჩება, როდესაც გადაადგილდება.

მამა (შეხტება და შეტრიალდება.) - რას აკეთებ? (ფრანგი უსიცოცხლო თვალებით უყურებს.) განაჩენი მინდა, შევიტყო.

ფრანგი (მთელი სცენის განმავლობაში ცინიკური და პირქუში ხმა აქვს.) - ჩამოკონწილებული იქნება, სანამ არ მოკვდება.

სვამს.

მამა - შენ რა იცი? (ფრანგი დუმს. მამა იოჰანასკენ მიბრუნდება.) იმდროინდელ გაზეთებს არ კითხულობდით?

იოჰანა - არანაირად. თორმეტი წლისა ვიყავი.

მამა - ყველა მოკავშირეთა ხელში იყო. „ჩვენ გერმანელები ვართ, მაშასადამე დამნაშავენი ვართ; ჩვენ დამნაშავენი ვართ, რადგან გერმანელები ვართ“. ყოველდღე, ყოველ გვერდზე. რა აკვიატება! (ფრანცს.) ოთხმოცი მილიონი კრიმინალი: რა საზიზღრობაა! უარეს შემთხვევაში, ორმოცამდე იქნებოდნენ. ჩამოახრჩონ ისინი და გაგვამართლონ ჩვენ: კოშმარიც დამთავრდება. (მბრძანებლურად.) მასიამოვნებ, რადიოს თუ ჩამირთავ. (ფრანცი გაუნძრევლად სვამს. მშრალად.) ძალიან ბევრს სვამ. (ფრანცი ისეთი სიმკაცრით უყურებს, რომ მამა ჩუმდება, დაბნეული. მცირე ხანი გადის. შემდეგ მამა აგრძელებს, ცხოველი სურვილით ატანილი, რომ გაიგოს.) რას მოიგებენ, თუკი ხალხს სასოწარკვეთამდე მიიყვანენ? რა დავაშავე მე საიმისო, რომ ამ სამყაროს ზიზღი დავიმსახურე? ჩემი შეხედულებები ხომ ცნობილია. ანდა შენ, ფრანც, შენ, ვინც ბოლომდე იბრძოლე? (ფრანცი უხეშად იცინის.) ნაცისტი ხარ?

ფრანცი - არა, დედააფეთქებული!

მამა - მაშ, აირჩიე: ან მიუშვი, დასაჯონ პასუხისმგებლები ან მათი დანაშაული მთელ გერმანიას წამოჰკიდეს.

ფრანცი (გაუნძრევლად, ველური და მშრალი სიცილი წასკდება.) - ჰა! (პაუზა.) ეს ერთი და იგივეა.

მამა - ხომ არ გაგიჟდი?

ფრანცი - ხალხის განადგურების ორი ხერხი არსებობს: ან მას ერთიანად დასდებენ ბრალს, ან აიძულებენ, უარყოს ბელადები, რომლებიც აირჩია. მეორე ყველაზე უარესია.

მამა - მე არავის უარყოფ და არც ნაცისტები არიან ჩემი ბელადები: მე მათ ვითმენდი.

ფრანცი - შენ ისინი აიტანე.

მამა - რა ჯანდაბა გინდა, რომ მექნა?

ფრანცი - არაფერი.

მამა - გერინგს რაც შეეხება, მე მისი მსხვერპლი ვარ. გაიარე ჩვენს ნავსაშენში. თორმეტგზის დაბომბვა, ერთი ანგარიც აღარა დგას: აი, როგორ დაიცვა ისინი.

ფრანცი (უხეშად.) - *მე ვარ გერინგი*. მას თუ ჩამოახრჩობენ, მე ვიქნები ჩამომხრჩვალნი.

მამა - გერინგი გეზიზღებოდა!

ფრანცი - დავმორჩილდი.

მამა - შენს სამხედრო მეთაურებს, კი.

ფრანცი - ისინი ვისლა ემორჩილებოდნენ? (სიცილით.) ჩვენ გვეჯავრებოდა ჰიტლერი, სხვებს კი უყვარდათ: სადაა სხვაობა? შენ მას საომარი ხომალდებით ამარაგებდი, მე - გვამებით. მითხარი, ამაზე მეტს რას ვიზამდით, რომც გაგვეღმერთებინა?

მამა - მაშინ რა გამოდის? ყველა დამნაშავეა?

ფრანცი - არა, ეშმაკმა წაიღოს! არავინ. გარდა იმ მოწიგისა, რომლებიც გამარჯვებულთა მსჯავრს თანხმდებიან. ბარაქალა ამ გამარჯვებულებს! ვიცით, ვინც არიან: 1918 წელსაც იგივენი იყვნენ, იგივე ფარისევლური ღირსებებით. რა გაგვიკეთეს მას შემდეგ ჩვენ? თავის თავს რა გაუკეთეს? გაჩუმდი: ისტორიაზე პასუხისმგებლობას გამარჯვებულები იღებენ. აიღეს და ჰიტლერი მოგვცეს. მოსამართლეები? მათ რა, არასოდეს უძარცვიათ, უჭლეტიათ, უძალადიათ? ჰიროსიმაში ბომბი გერინგმა ჩამოაგდო? ისინი თუ ჩვენ გვასამართლებენ, მათ ვინ გაასამართლებს? ჩვენს დანაშაულზე იმიტომ ლაპარაკობენ, რომ გაამართლონ თავიანთი, რომელსაც ჩუმჩუმად ამზადებენ: გერმანელი ხალხის სისტემური ამოძირკვა. (ბოკალს მაგიდაზე ამსხვრევს.) ყველა უდანაშაულო ვართ მტრის წინაშე: თქვენ, მე, გერინგი და სხვები.

მამა (ყვირის.) - ფრანც! (სინათლე იკლებს და ქრება ფრანცის გარშემო; ის უჩინარდება.) ფრანც! (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება. ნელა მიტრიალდება იოჰანასკენ და ჩუმად იცინის.) ვერაფერი გავუგე. თქვენ?

იოჰანა - ვერაფერი. მერე?

მამა - სულ ეს არის.

იოჰანა - კი უნდა გაეკეთებინა არჩევანი: ყველა უდანაშაულო თუ ყველა დამნაშავე?

მამა - არ აურჩევია.

იოჰანა (ერთი წამით მეოცნებე სახე აქვს, შემდეგ.) აზრი არა აქვს ამ ყველაფერს.

მამა - შესაძლოა, აქვს კიდეც. არ ვიცი.

ლენი (ცოცხლად.) - შორს ნუ ეძებთ, იოჰანა. გერინგი და საბრძოლო ავიაცია ჩემს ძმას ნაკლებ აინტერესებდა, ის ხომ ინფანტერიაში მსახურობდა. მისთვის დამნაშავეებიც არსებობდნენ და უდანაშაულოებიც, ოღონდ ესენი ერთი და იგივენი არ ყოფილან.

(მამას, რომელსაც რაღაცის თქმა უნდა.) მე ვიცი: ყოველ დღე ვხედავ მას.

უდანაშაულონი ოცი წლისანი იყვნენ, ისინი ჯარისკაცები იყვნენ; დამნაშავეები კი - ორმოცდაათი წლისანები, მათი მამები გახლდნენ.

იოჰანა- მესმის.

მამა (დაკარგა ლაღი უბრალოება. როდესაც ფრანცზე ლაპარაკობს, მის ხმას გატაცება ემატება.) - არაფერიც არ გესმით: ლენი ტყუის.

ლენი - მამა! თქვენ კარგად იცით, რომ ფრანცს ეჯავრებით.

მამა (მძლავრად, იოჰანას) - ფრანცს ყველაზე მეტად ვუყვარდი.

ლენი - ეს ომამდე იყო.

მამა - ომამდეც, მერეც.

ლენი - თუ ასეა, რატომ ამბობთ, ვუყვარდიო.

მამა (შეცბუნებული.) - ჰო მაგრამ, ლენი... ჩვენ წარსულზე ვლაპარაკობდით.

ლენი - არ გინდათ თავის მართლება: რასაც ფიქრობდით, ის წამოგცდათ. (პაუზა.) ჩემი ძმა თვრამეტი წლისა მოხალისედ წავიდა. მამა თუ მოინდომებს, მიზეზი გვითხრას, უკეთ გაიგებთ ამ ოჯახის ისტორიას.

მამა - თვითონ თქვი, ლენი: არ მოგაკლებ მაგ სიამოვნებას.

ვერნერი (ცდილობს, მშვიდად იყოს.) - ლენი, გაფრთხილებ: თუ ერთ ფაქტს მაინც ახსენებ, რომელიც მამის ღირსებას შელახავს, ახლავე დავტოვებ ამ ოთახს.

ლენი - ასე გეშინია, ჩემი ირწმუნო?

ვერნერი - მამაჩემს ჩემი თანდასწრებით ვერ შეურაცხყოფენ.

მამა (ვერნერს.) - დამშვიდდი, ვერნერ: მე ვილაპარაკებ. ომის დაწყებიდანვე სახელმწიფო შეკვეთებს გვაძლევდა. ფლოტი ჩვენ შეეკმენით. 41 წლის გაზაფხულზე

მთავრობამ მამცნო, რომ სურდა ჩემგან მიწის რამდენიმე ნაკვეთი ეყიდა, რომლებსაც ჩვენ არ ვიყენებდით. ბორცვის უკან რომ ქვიშნარია: იცი შენ.

ლენი - მთავრობა ჰიმლერი იყო. საკონცენტრაციო ბანაკისთვის ადგილს ეძებდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვება.

იოჰანა - თქვენ ეს იცოდით?

მამა (მშვიდად) - დიახ.

იოჰანა - და დათანხმდით?

მამა (იმავე ტონით.) - დიახ. (პაუზა.) ფრანცმა აღმოაჩინა მიმდინარე სამუშაოები. მითხრეს, მავთულხლართების გასწვრივ დამრწოდაო.

იოჰანა - მერე?

მამა - არაფერი. დუმილი. თვითონვე დაარღვია. ერთ დღეს, 41 წლის ივნისში. (მამა ფრანცს მიუტრიალდება და ყურადღებით შესცქერის, თან ვერნერთან და იოჰანასთან საუბარს აგრძელებს.) უადგილოდ გამოუვიდა. ამაზე ცუდად ვერ დაემთხვეოდა: გებელსი და ადმირალი დენიცი ჰამბურგში იმყოფებოდნენ და ჩემი ახალი ობიექტების სანახავად უნდა მოსულიყვნენ.

ფრანცი (ახალგაზრდული და მშვიდი ხმით, მოსიყვარულედ, მაგრამ შეშფოთებით.) - მამა, თქვენთან საუბარი მსურდა.

მამა (შეხედავს.) - იქ იყავი?

ფრანცი - დიახ. (შემრწუნებით, მკვეთრად.) - მამა, ისინი ადამიანები აღარ არიან.

მამა - დარაჯები?

ფრანცი - პატიმრები. ჩემი თავი მძულს, მაგრამ ისინი ძრწოლას მგვრიან. მათი ჭუჭყი, მკბენარი, იარები. (პაუზა.) სულ დაფეთებულები ჩანან.

მამა - ისინი არიან, რაღაც გადააქციეს.

ფრანცი - მე ამას ვერ მიზამდნენ.

მამა - ვერა.

ფრანცი - გავუმკლავდებოდი.

მამა - რა გიმტკიცებს, რომ ისინი ვერ უმკლავდებიან?

ფრანცი - მათი თვალები.

მამა - მათ ადგილას რომ იყო, შენც ისეთივე თვალები გექნებოდა.

ფრანცი - არა. (შეუპოვარი თავდაჯერებით.) არა.

მამა ყურადღებით უყურებს მას.

მამა - შემომხედე. (ნიკაპს აუწევს და თვალს თვალში გაუყრის.) ეს საიდან გაგიჩნდა?

ფრანცი - რა?

მამა - ჩაკეტვის შიში.

ფრანცი - მე ამის არ მეშინია.

მამა - გსურს ეს?

ფრანცი - მე... არა.

მამა - მესმის. (პაუზა.) ის მიწები არ უნდა გამეყიდა?

ფრანცი - რადგან გაყიდეთ, ესე იგი, სხვაგვარად მოქცევა არ შეგეძლოთ.

მამა - შემეძლო.

ფრანცი (გაოგნებული.) - შეგეძლოთ, უარი გეთქვათ?

მამა - რასაკვირველია. (ფრანცის მძაფრი მოძრაობა.) მერე რა? შენ აღარ მენდობი?

ფრანცი (რწმენით, თავს იმორჩილებს.) ვიცი, რომ ამიხსნით.

მამა - რა არის ასახსნელი? ჰიმლერს ტყვეები ჰყავს დასაბინავებელი. ჩემს მიწებს თუ არ დავუთმობდი, სხვებს იყიდდა.

ფრანცი - სხვებისგან.

მამა - სწორედაც რომ. ოდნავ დასავლეთით თუ ოდნავ აღმოსავლეთით, იგივე ტყვეები იმავე მეთვალყურეების ხელქვეით დაიტანჯებოდნენ, მე კი მტრებს გავიჩენდი მთავრობაში.

ფრანცი (ჯიუტად.) - არ უნდა ჩარეულიყავით ამ საქმეში.

მამა - ვითომ რატომ?

ფრანცი - იმიტომ, რომ თქვენ თქვენა ხართ.

მამა - და იმისთვის, რომ შენთვის ხელების დაბანის ფარისევლური სიხარული მომენიჭებინა, პატარა პურიტანო.

ფრანცი - მამა, მაშინებთ: საკმარისად არ იტანჯებით სხვების ტანჯვით.

მამა - ჩემს თავს მაშინ მივცემდი ამის უფლებას, როდესაც საშუალება მექნებოდა, ეს ტანჯვა მომესპო.

ფრანცი - ეს საშუალება არასოდეს გექნებათ.

მამა - ჰოდა, არც დავიტანჯები: დროის კარგვას. შენ, შენ კი იტანჯები? თუ ღმერთი გწამს! (პაუზა.) არ გიყვარს შენი მოკეთე, ფრანც, ასე რომ არ იყოს, ვერ გაბედავდი ამ პატიმართა შეზიზღებას.

ფრანცი (გულზე მოხვდა.) - მე ისინი არ მეზიზღება.

მამა - გეზიზღება. იმიტომ, რომ ისინი ჭუჭყიანები არიან და იმიტომ, რომ მათ ემინიათ. (დგება და იოჰანასკენ მიდის.) მას ჯერ კიდევ სჯეროდა ადამიანური ღირსების.

იოჰანა - ცდებოდა?

მამა - ამისი არაფერი ვიცი, ჩემო რძალო. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ გერლახები ლუთერის მსხვერპლნი არიან: ამ წინასწარმეტყველმა უზომოდ ამაყები გაგვხადა. (ნელა უბრუნდება თავდაპირველ ადგილს და იოჰანას ფრანცზე მიუთითებს.) ფრანცი ბორცვებზე სეირნობდა, თან თავის თავს ეკამათებოდა და როდესაც მისმა სინდისმა ჰო თქვა, ნაკუწებადაც რომ გექციათ, აზრს ვერ შეაცვლევინებდით. მეც ასეთი ვიყავი მის ასაკში.

იოჰანა (ირონიულად.) - თქვენ სინდისი გქონდათ?

მამა - დიახ. მე ის დაგვარგე: მოკრძალების გამო. ეს ხომ უფლისწულთა ფუფუნებაა. ფრანცს შეეძლო, ამისი უფლება მიეცა თავისთვის: როდესაც არაფერს აკეთებენ, ჰგონიათ, ყველაფერზე ვაგებთ პასუხსო. მე კი ვმუშაობდი. (ფრანცს.) რა გინდა, რომ გითხრა? რომ ჰიტლერი და ჰიმლერი დამნაშავეები არიან? კი, ბატონო: ვამბობ ამას. (იცინის.) მკაცრად პირადული და ყოვლად გამორუსადეგარი შეხედულება.

ფრანცი - ესე იგი, ჩვენ უძლურები ვართ?

მამა - დიახ, თუ უძლურებას ავირჩევთ. შენ ვერაფერს შეძლებ ადამიანებისთვის, თუ მთელ დროს იმას დაუთმობ, რომ ბრალი დასდო მათ ღვთის სამსჯავროს წინაშე. (პაუზა.) მარტის შემდეგ ოთხმოცი ათასი მუშა მყავს. ვფართოვდები, ვფართოვდები! ჩემი ნავსაშენები ერთ ღამეში იზრდება. ჩინებული ძალაუფლება მაქვს.

ფრანცი - რა თქმა უნდა: თქვენ ნაცისტებს ემსახურებით.

მამა - ვინაიდან ისინი მე მემსახურებიან. ეს ადამიანები ტახტზე ასული პლებეები არიან. მაგრამ ისინი ომობენ იმისთვის, რომ ჩვენ ბაზრები მოგვიპოვონ და მე მათთან მიწის ნაკვეთების გამო ჩხუბს არ ვაპირებ.

ფრანცი (გაჯიუტებული.) - არ უნდა ჩარეულიყავით ამაში.

მამა - პატარა უფლისწული! პატარა უფლისწული! მთელი სამყარო მხრებით გინდა, ატარო? სამყარო მძიმეა და შენ მას არ იცნობ. თავი ანებე. წარმოებით დაკავდი: დღეს ჩემია, ხვალ - შენი; ჩემი სხეული და სისხლი, ჩემი ძალა და ძლიერება, შენი მომავალი. ოც წელიწადში შენ იქნები ბატონ-პატრონი და შენი გემები ყველა ზღვაში იცურებენ, ჰიტლერი ვიდას ემახსოვრება? (პაუზა.) არაამქვეყნიური ხარ.

ფრანცი - არც იმდენად, თქვენ რომ გგონიათ.

მამა - აჰ! (ყურადღებით შესცქერის.) - რა მოიმოქმედე? რამე ცუდი?

ფრანცი (ამაყად.) - არა.

მამა - კარგი? (ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვება.) ეშმაკმა დალაზვროს! (პაუზა.) მაშ, სერიოზულადაა საქმე?

ფრანცი - დიახ.

მამა - ჩემო პატარა უფლისწულო, ნურაფრის შეგეშინდება, მე მოგიგვარებ.

ფრანცი - არა ამჯერად.

მამა - ამჯერადაც ისევე, როგორც სხვა ჯერზე. (პაუზა.) აბა, რაო? (პაუზა.) გინდა, რომ მე დაგისვა კითხვები? (ჩაფიქრდება.) ნაცისტებს ეხება? კეთილი. ბანაკს? კეთილი. (გონება გაუნათდება.) პოლონელი! (წამოდგება და აფორიაქებული დადის. იოჰანას.) ეს იყო პოლონელი რაბინი: წინა დღეს გაიქცა და ბანაკის ხელმძღვანელობამ ჩვენ შეგვატყობინა ეს ამბავი. (ფრანცს.) სად არის?

ფრანცი - ჩემს ოთახში.

სიჩუმე ჩამოვარდება.

მამა - სად გადააწყდი?

ფრანცი - პარკში: არც კი იმალებოდა. გაგიჟებამ გააქცია; ახლა კი ეშინია. თუ ჩაავლეს?..

მამა - ვიცი. (პაუზა.) თუ არავის უნახავს, საქმეც მოგვარებულია. სატვირთო მანქანით გავაპარებთ ჰამბურგში. (ფრანცი დამაბული რჩება.) ვინმემ დაინახა? კეთილი. ვინ?

ფრანცი - ფრიცმა.

მამა (იოჰანას, მუსაიფის ტონით.) - ფრიცი ჩვენი მძღოლი იყო, ჭეშმარიტი ნაცისტი.

ფრანცი - ამ დილას მანქანა წაიყვანა, თქვა, ალტონას გარაჟში მივდივარო. ჯერ არ დაბრუნებულა. (სიამაყე დაეტყო.) ასეთი არაამქვეყნიური ვარ?

მამა (ილიმის.) - უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. (ხმა შეეცვლება.) რატომ აიყვანე შენს ოთახში? ჩემი ბრალი გამოისყიდე? (სიჩუმე ჩამოვარდება.) მიპასუხე: ჩემი გულისთვის გააკეთე?

ფრანცი - ჩვენი გულისთვის. მე და თქვენ რამ გაგვყო?

მამა - ჰო. (პაუზა.) ფრიცმა თუ ჩაგიშვა...

ფრანცი (მაშინვე.) - ვიცი, რომ მოვლენ.

მამა - ლენის ოთახში ადი და ურდული ჩარაზე. ეს ბრძანებაა. მე მოვაგვარებ ყველაფერს. (ფრანცი უნდობლად უყურებს.) კიდევ რა?

ფრანცი - ტყვე...

მამა - ყველაფერს-მეთქი. ტყვე ჩემს ჭერქვეშაა. წადი.

ფრანცი ქრება. მამა კვლავ დაჯდება.

იოჰანა - მოვიდნენ?

მამა - ორმოცდახუთი წუთის შემდეგ.

სიღრმეში ჩნდება ესესელი. მის უკან ორი კაცი დგას უძრავად და უტყვად.

ესესელი - ჰაილ ჰიტლერ.

მამა (სიჩუმეში.) - ჰაილ. ვინ ბრძანდებით და რა გნებავთ?

ესესელი - თქვენი ვაჟი ვიპოვეთ თავის ოთახში გაქცეულ პატიმართან ერთად, რომელსაც წუხანდელს აქეთ მალავს.

მამა - თავის ოთახში? (იოჰანას.) ლენის ოთახში ჩაკეტვა არ ისურვა მამაცმა ბიჭუნამ. საფრთხეს არ დაერიდა. კეთილი. მერე?

ესესელი - გაიგეთ, რაც გითხარით?

მამა - ძალიან კარგად: ჩემმა შვილმა სერიოზული დაუდევრობა გამოიჩინა.

ესესელი (გაოგნებული და აღშფოთებული.) - რა გამოიჩინაო? (პაუზა.) ფეხზე ადექით, როდესაც გელაპარაკებით.

გაისმის ტელეფონის რეკვა.

მამა (არ დგება.) - არა.

ყურმილს აიღებს და ესესელს გაუწვდის ისე, რომ არც კითხულობს, ვინ რეკავს. ესესელი ხელიდან გამოგლეჯს ყურმილს.

ესესელი (ტელეფონში.) - ალო? ოჰ! (ქუსლებს ერთმანეთს მიარტყამს.) დიახ. დიახ. დიახ. არის! (უსმენს და განცვიფრებით შესცქერის მამას.) კეთილი. არის! (ქუსლების მირტყმის ხმა. ყურმილს დებს.)

მამა (მტკიცედ, ღიმილის გარეშე.) - დაუდევრობა, ასე არ არის?

ესესელი - სხვა არაფერი.

მამა - მისი თმის ერთ ღერსაც თუ შეეხეთ...

ესესელი - თვითონ გვეცა.

მამა (გაკვირვებული და შეწუხებული.) ჩემი ვაჟი? (ესესელი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.) და თქვენ დაარტყით?

ესესელი - არა. გეფიცებით. მხოლოდ შევაკავეთ...

მამა (ჩაფიქრდება.) - გეცათ! მის საქციელს არა ჰგავს, როგორც ჩანს, გამოიწვიეთ... რა ჰქენით? (ესესელი დუმს.) ტყვე! (წამოდგება.) მის თვალწინ? ჩემი ვაჟის თვალწინ? (შეკავებული, მაგრამ საშინელი ბრაზით.) ვფიქრობ, ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეთ. რა გქვიათ?

ესესელი (საწყლად.) - ჰერმან ალდრიხი.

მამა - ჰერმან ალდრიხ! სიტყვას გაძლევთ, რომ 1941 წლის 23 ივნისი მთელი ცხოვრება გემახსოვრებათ. მიბრძანდით.

ესესელი ქრება.

იოჰანა - ახსოვდა?

მამა (ღიმილით.) - ასე მგონია. თუმცა მისი სიცოცხლე არც თუ ხანგრძლივი გამოდგა.

იოჰანა - ფრანცი?

მამა - დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს. იმ პირობით, რომ ჯარში წავიდოდა. მომდევნო ზამთარს ლეიტენანტის რანგში მსახურობდა რუსეთის ფრონტზე. (პაუზა.) რა იყო?

იოჰანა - არ მომწონს ეს ამბავი.

მამა - მე არ ვამბობ, რომ მოსაწონია. (პაუზა.) 41 წელი იდგა, ჩემო რძალო.

იოჰანა (მშრალად.) - მერე რა?

მამა - თავი უნდა გადაგვერჩინა.

იოჰანა - პოლონელმა ვერ გადაირჩინა თავი.

მამა (გულგრილად.) - ვერა. ჩემი ბრალი არ არის.

იოჰანა - საკითხავია.

ვერნერი - იოჰანა!

იოჰანა - თქვენს განკარგულებაში ორმოცდახუთი წუთი იყო. რა გააკეთეთ თქვენი ვაჟის გადასარჩენად?

მამა - ძალიან კარგად იცით, რაც.

იოჰანა - გებელსი ჰამბურგში იყო და მას დაურეკეთ.

მამა - დიახ.

იოჰანა - შეატყობინეთ, რომ ერთი პატიმარი გაიქცა და შეევედრეთ, გულმოწყალება გამოეჩინა თქვენი ვაჟის მიმართ.

მამა - მე ისიც ვთხოვე, პატიმრის სიცოცხლე დაეზოგათ.

იოჰანა - თავისთავად ცხადია. (პაუზა.) როდესაც გებელსს დაურეკეთ...

მამა - რა მერე?

იოჰანა - არ შეგეძლოთ გცოდნოდათ, რომ მძღოლმა ფრანცი ჩაუშვა.

მამა - კარგი, რა! ის გამუდმებით გვჯაშუშობდა.

იოჰანა - დიახ, მაგრამ შესაძლოა, ვერაფერი დაენახა და მანქანა სულ სხვა მიზეზით წაეყვანა.

მამა - შესაძლოა.

იოჰანა - ბუნებრივია, მისთვის არაფერი გიკითხავთ.

მამა - ვისთვის?

იოჰანა - ამ ფრიცისთვის. (მამა მხრებს იჩეჩავს.) ახლა სად არის?

მამა - იტალიაში, ხის ჯვრის ქვეშ.

იოჰანა (პაუზა.) - გასაგებია. ჰოდა, სუფთა გული ვერასოდეს გვექნება. თუ ფრიცს არ გაუცია ტყვე, მაშინ ეს თქვენ უნდა გექნათ.

ვერნერი (მძაფრად) - გიკრძალავ...

მამა - ნუ ყვირი წამდაუწუმ, ვერნერ, (ვერნერი ჩუმდება.) მართალი ხართ, ჩემო პატარავ. (პაუზა.) ტელეფონს რომ მოგვიდე ხელი, ჩემ თავს ვუთხარი, ერთი შანსია ორიდან-თქო!

პაუზა.

იოჰანა - ერთი შანსი ორიდან, რომ მოაკვლევინო ებრაელი. (პაუზა.) და ეს არასოდეს გიფორიაქებთ ძილს?

მამა (მშვიდად.) - არასოდეს.

ვერნერი (მამას.) - მამა, მე უპირობოდ გიწონებთ საქციელს. ყველა სიცოცხლე სიცოცხლეა, მაგრამ თუ ასარჩევად დადგება საქმე, ვფიქრობ, შვილი წინა პლანზე უნდა იყოს.

იოჰანა (წყნარად.) - საუბარი იმაზე არაა, შენ რას ფიქრობ, არამედ იმაზე, რა შეეძლო ეფიქრა ფრანცს. ლენი, რა იფიქრა?

ლენი (ილიმის.) - თქვენ ხომ იცნობთ ფონ გერლახებს, იოჰანა.

იოჰანა - ხმა არ ამოუღია?

ლენი - სიტყვაუთქმელად წავიდა სახლიდან და არც არასდროს მოუწერია.

პაუზა.

იოჰანა (მამას.) - თქვენ მას უთხარით, ყველაფერს მოვაგვარებო და ისიც გენდოთ. როგორც ყოველთვის.

მამა - სიტყვა არ გამიტეხია: ტყვეს რაც შეეხება, მივიღე დაპირება, რომ მას არ დასჯიდნენ. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილის თვალწინ მოკლავდნენ?

იოჰანა - ეს 41 წელს ხდებოდა. 41 წელს უნდა გეფრთხილათ და ყველაფერი წარმოგედგინათ. (ფოტოებს უახლოვდება და ათვალიერებს. პაუზა. ისევ პორტრეტს უყურებს.) ის პატარა პურიტანი იყო, ლუთერის მსხვერპლი, რომელსაც უნდოდა თავისი სისხლით ის მიწები გამოესყიდა, თქვენ რომ გაყიდეთ. (მამისკენ მიტრიალდება.) თქვენ ყველაფერს ხაზი გადაუსვით. მდიდარ ბიჭუნას თამაშილა დარჩა. სიკვდილის საფრთხითურთ, რასაკვირველია: მაგრამ პარტნიორისთვის... იგი მიხვდა, რომ ყველაფრის ნებას რთავდნენ, რადგან არაფერს წარმოადგენდა.

მამა (სახე გაუნათდება, იოჰანაზე მიუთითებს.) - აი, როგორი ქალი სჭირდებოდა მას.

ვერნერი და ლენი მკვეთრად დაუდგებიან წინ.

ვერნერი (გააფთრებული.) - რაო?

ლენი - მამა, რა მდარე გემოვნებაა!

მამა (ორივეს.) - იგი მაშინვე მიხვდა. (იოჰანას.) ასე არაა? ორწლიან პატიმრობაზე უნდა მოვლაპარაკებოდი. იაღლიში მომივიდა! დაუსჯელობას ყველაფერი აჯობებდა.

პაუზა. მამას მეოცნებე სახე აქვს. იოჰანა ისევ პორტრეტებს შესცქერის. ვერნერი დგება, იოჰანას მხრებში მოჰკიდებს ხელს და თავისკენ მოაბრუნებს.)

იოჰანა (ცივად.) - რა ხდება?

ვერნერი - ფრანცზე გული ნუ აგიჩუყდება: ეს ის ტიპი არ იყო, მარცხზე რომ შეჩერდებოდა.

იოჰანა - რისი თქმა გინდა?

ვერნერი (პორტრეტზე ანიშნებს.) - შეხედე, თორმეტი ჯილდო.

იოჰანა - თორმეტი მარცხით მეტი. იგი ფეხდაფეხ მისდევდა სიკვდილს, მაგრამ არ გაუმართლა: სიკვდილი უფრო სწრაფად გარბოდა. (მამას.) დავამთავროთ: მან იბრძოლა, 46-ში დაბრუნდა და მერე, ერთი წლის თავზე, სკანდალი მოხდა. რა იყო ეს?

მამა - ჩვენმა ლენიმ იცელქა.

ლენი (თავმდაბლად.) - მამა მეტისმეტად კეთილია. მე შესაფერისი სიტუაცია შევუქმენი. მეტი არაფერი.

მამა - ჩვენ ჰერს ვუთმობდით ამერიკელ ოფიცრებს. ლენი მათ ცეცხლს უკიდებდა და მერე, თუ კარგად აგიზგიზდებოდნენ, ყურში უჩურჩულებდა: „მე ნაცისტი ვარ“ და ბინძურ ებრაელებს ეძახდა.

ლენი - რომ ჩამექრო ისინი. სახალისო იყო, არა?

იოჰანა - ძალიან სახალისო. ქრებოდნენ?

მამა - ხანდახან. ზოგჯერ კი ფეთქდებოდნენ. ერთმა ძალიან ცუდად მიიღო ეს ამბავი.

ლენი (იოჰანას.) - ამერიკელი, თუ ებრაელი არ არის, ანტისემიტია, ან ორივე ერთადაა. ეს ამერიკელი ებრაელი არ ყოფილა: თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

იოჰანა - მერე?

ლენი - ჩემი გაუპატიურება მოინდომა. ფრანცი საშველად მოვიდა, ძირს გაგორდნენ, ტიპი სჯაბნიდა. ბოთლი ავიღე და ვთხლიშე.

იოჰანა - მოკვდა?

მამა (ძალზე მშვიდად.) - რას ამბობთ! მისმა თავის ქალამ ბოთლი დაამსხვრია. (პაუზა.) ექვსი თვე იწვა საავადმყოფოში. ბუნებრივია, ფრანცმა ყველაფერი თავის თავზე აიღო.

იოჰანა - ბოთლის დარტყმაც?

მამა - ყველაფერი. (სიღრმეში ორი ამერიკელი ოფიცერი გამოჩნდება. მამა მათკენ მიბრუნდება.) საქმე დაუდევრობას ეხება, მაპატიეთ ეს გამოთქმა: სერიოზულ

დაუდევრობას. (პაუზა.) გთხოვთ, ჩემი სახელით მადლობა გადაუხადოთ გენერალ ჰოპკინსს. გადაეცით, რომ ჩემი ვაჟი გერმანიას მაშინვე დატოვებს, როგორც კი ვიზებს მისცემენ.

იოჰანა - არგენტინისთვის?

მამა (იოჰანასკენ ტრიალდება იმ დროს, როდესაც ამერიკელები ქრებიან.) - ასეთი იყო პირობა.

იოჰანა - მესმის.

მამა (ძალზე თავისუფლად.) - ამერიკელები მართლაც ძალიან კარგი ხალხი გამოდგა.

იოჰანა - როგორც გებელსი 41-ში.

მამა - უკეთესი. ბევრად უკეთესი. ვაშინგტონი ფიქრობდა, ჩვენი წარმოება ამოექაჩა და ჩვენთვის სავაჭრო ფლოტის აღდგენა მოენდო.

იოჰანა - საბრალო ფრანცი!

მამა - რა შემეძლო, გამეკეთებინა? სასწორზე მსხვილი ინტერესები იდო. მათ მეტი წონა ჰქონდათ, ვიდრე ვიღაც კაპიტნის თავის ქალას. მე რომც არ ჩავრეულიყავი, ოკუპანტები სკანდალს მიაჩუმათებდნენ.

იოჰანა - სავსებით შესაძლებელია. (პაუზა.) გამგზავრებაზე უარი თქვა?

მამა - მაშინვე არა. (პაუზა.) ვიზები მოვიპოვე. ერთ შაბათ დღეს უნდა დავეტოვებინეთ. პარასკევ დილას ლენი მეუბნება, რომ ის აღარასდროს ჩამოვა ქვემოთ. (პაუზა.) პირველად მეგონა, მოკვდა-თქო. მერე ჩემი ქალიშვილის თვალები დავინახე: მან მოიგო.

იოჰანა - რა მოიგო?

მამა - ეს არასოდეს უთქვამს.

ლენი (ილიმის.) - იცით, ჩვენ აქ წაგებ-მოგებობანას ვთამაშობთ: ვინც აგებს, იგებს.

იოჰანა - მერე?

მამა - ცამეტი წელი ვიცხოვრეთ.

იოჰანა (პორტრეტისაკენ შეტრიალდება.) ცამეტი წელი.

ვერნერი - მშვენიერი ნამუშევარია! მერწმუნეთ, მე, როგორც მოყვარულმა, ყველაფერი დავაფასე. რა მანევრები ჩაუტარეთ საბრალო ქალს. თავდაპირველად, ძლივს გისმენდათ; ბოლოს კითხვას კითხვაზე გაყრდილათ. და აჰა, პორტრეტიც დასრულებულია. (იცინის.) „თქვენ ხართ ის ქალი, მას რომ სჭირდებოდა!“ ბრავო, მამა! გენიაც ამას ჰქვია.

იოჰანა - შეწყვიტე! დაგვლუპავ.

ვერნერი - დაღუპულები ვართ უკვე: რაღა დაგვრჩა? (მკლავში ხელს მოავლებს იდაყვს ზემოთ, თავისკენ მიიზიდავს და შესცქერის.) სად არის შენი მზერა? ქანდაკების თვალები გაქვს: გამოთეთრებული. (უხეშად უკუაგდებს.) როგორი ვულგარული პირფერობით მოგაღორეს! იმედი გამიცრუე, პატარავ.

პაუზა. ყველა ვერნერს უყურებს.

იოჰანა - ეს მომენტიც დადგა.

ვერნერი - რა?

იოჰანა - მოკვდინების, ჩემო სიყვარულო.

ვერნერი - რა მოკვდინების?

იოჰანა - შენი მოკვდინების. (პაუზა.) მუქში მოგვიმწყვდიეს. ფრანცზე როცა მელაპარაკებოდნენ, ისე მოაწყეს, რომ სიტყვებს შენ გაეგმირეთ რიკოშეტით.

ვერნერი - იქნებ ისიც მე ვარ, ვინც აცდუნეს?

იოჰანა - არავინაც არ უცდუნებიათ: მათ უნდოდათ შენ დაერწმუნებინეთ, რომ მაცდუნებდნენ.

ვერნერი - რატომ, იქნებ ესეც თქვა?

იოჰანა - რათა შენთვის შეეხსენებინათ, რომ არაფერი გეკუთვნის, შენი ცოლიც კი. (მამა წყნარად იფშვნეტს ხელებს. პაუზა. მკვეთრად.) მომაშორე აქაურობას! (ხანმოკლე სიჩუმე.) გთხოვ! (ვერნერი იცინის. იოჰანა გახევებული და ცივი გახდება.) უკანასკნელად გთხოვ, წავიდეთ. უკანასკნელად-მეთქი, გესმის?

ვერნერი - მესმის. მეტი არაფერი გინდა, მკითხო?

იოჰანა - არა.

ვერნერი - მაშ, იმას ვაკეთებ, რაც მსურს? (ქანცაწყვეტილი იოჰანას ჟესტი.) ძალიან კარგი. (ბიბლიასთან.) ვფიცავ, დავემორჩილო მამაჩემის უკანასკნელ სურვილებს.

მამა - აქ დარჩები?

ვერნერი (ხელი ისევ ბიბლიისკენ აქვს გაწვდილი.) ვინაიდან თქვენ ამას მოითხოვთ. ეს სახლი ჩემია, აქ ვიცხოვრებ და აქ მოვკვდები.

თავს ხრის.

მამა (დგება და ვერნერისკენ გაემართება, გულთბილი პატივისცემისცემით.)
შესანიშნავია.

უდიმის. ვერნერი ერთი წამით შუბლშეკრულია, ბოლოს ისიც უდიმის მორჩილი მადლიერებით.

იოჰანა (სამივეს შეხედავს.) - აი, თურმე რა ყოფილა საოჯახო თათბირი. (პაუზა.) ვერნერ, მე მივდივარ. შენთან ერთად თუ უშენოდ, აირჩიე.

ვერნერი (არ უყურებს.) - უჩემოდ.

იოჰანა - კარგი. (ხანმოკლე სიჩუმე.) გისურვებ, მეტისმეტად არ დაგენანო.

ლენი - ჩვენ დაგვენანებით. მამას განსაკუთრებით. როდის აპირებთ, რომ დაგვტოვოთ?

იოჰანა - ჯერ არ ვიცი. როდესაც დავრწმუნდები, რომ პარტია წავაგე.

ლენი - არა ხართ დარწმუნებული?

იოჰანა (ღიმილით.) - ოჰ, არა: ჯერ არა.

პაუზა.

ლენი (ფიქრობს, რომ მიუხვდა.) - აქ თუ პოლიცია შემოვიდა, სამივეს დაგვაპატიმრებენ ფრანცის გამომწყვდევისათვის. მე კი, დამატებით, მკვლელობაშიც დამდებენ ბრალს.

იოჰანა (აუღელვებლად.) - ვგავარ პოლიციის გამომძახებელს? (მამას.) ნება მომეცით, დაგტოვოთ.

მამა - ღამე მშვიდობისა, ჩემო პატარავ.

იოჰანა თავს უკრავს და გადის. ვერნერი სიცილს იწყებს.

ვერნერი (სიცილით.) - ესეც ასე...ესეც ასე... (მოსხლეტით გაჩუმდება. მამას მიუახლოვდება, მორცხვად შეეხება მკლავზე და წუხილითა და სინაზით უყურებს.) კმაყოფილი ხართ?

მამა (შეძრწუნებული.) - ნუ მეხეები! (პაუზა.) თათბირი დასრულებულია, შენს ცოლს მიაკითხე.

ვერნერი ცოტა ხანს ერთგვარი სასოწარკვეთით უცქერის, შემდეგ სანახევროდ შეტრიალდება და გავა.

სცენა მესამე

მამა, ლენი

ლენი - არ მიგაჩნიათ, რომ მეტისმეტად მკაცრი ხართ?

მამა - ვერნერთან? თუ საჭირო გახდებოდა, ნაზიც ვიქნებოდი. მაგრამ ისე ხდება, რომ სიმკაცრე უფრო მომგებიანია.

ლენი - უკიდურესობამდე არ უნდა მიიყვანოთ.

მამა - ოღონდაც!

ლენი - მის ცოლს რაღაც გეგმები აქვს.

მამა - თეატრალური მუქარაა: გაღიზიანებამ მსახიობი გამოაცოცხლა და სცენაზე გამოსვლამაც არ დაახანა.

ლენი - ღმერთმა გისმინოთ... (პაუზა.) საღამოს შევხვდებით, მამა. (ელოდება, რომ მამა წავა. მამა არ იძვრის.) დარაბები უნდა დავხურო, მერე კი ფრანცის დროა. (დაჟინებით.) საღამომდე.

მამა (ღიმილით.) - მივდივარ, მივდივარ! (პაუზა. ერთგვარი სიმორცხვით.) მან იცის, რაც დამემართა?

ლენი (გაოცებული.) - ვინ? ოჰ! ფრანცმა! ღმერთმანი, არა.

მამა - აჰ! (ტანჯული ირონიით.) ზოგავ მას?

ლენი - მას? თქვენ შეიძლებოდა, მატარებლის ქვეშ მოყოლილიყავით... (გულგრილად.) რომ არაფერი დაგიმალოთ, დამავიწყდა, მასთან ამაზე მელაპარაკა.

მამა - ცხვირსახოცი გამონასკვე.

ლენი (ცხვირსახოცს აიღებს, რომ გამონასკვოს.) ესეც ასე.

მამა - არ დაგავიწყდება?

ლენი - არა, მაგრამ შესაფერისი შემთხვევა უნდა გამოინახოს.

მამა - როცა შესაფერისი შემთხვევა გამოინახება, ეცადე ისიც ჰკითხო, მიმიღებს თუ არა.

ლენი (დაქანცული.) - აი კიდეც! (მკაცრად, მაგრამ ბრაზის გარეშე.) ის თქვენ არ მიგიღებთ. რატომ მაიძულებთ, ყოველ დღე გიმეოროთ ის, რაც ცამეტი წელია, იცით?

მამა (აგრესიით.) - რა ვიცი, გოგო? რა ვიცი? ისე იტყუები, თვალს არ ახამხამებ. მე ისიც არ ვიცი, გადასცემ თუ არა მას ჩემს წერილებსა და თხოვნებს და ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, ხომ არ დაარწმუნე, რომ მეათე წელი იქნება, რაც მოვკვდი.

ლენი (მხრებს იჩეჩავს.) - რას ეძებთ?

მამა - სიმართლეს ვეძებ ან რაიმე კავშირს შენს ტყუილებთან.

ლენი (მეორე სართულზე მიუთითებს.) - სიმართლე იქაა, მაღლა. აბრძანდით და იპოვით. აბრძანდით! აბრძანდით-მეთქი!

მამა (ბრაზი დაუცხრება, შემინებული ჩანს.) - გაგიჟდი!

ლენი - მას შეეკითხეთ: ყველაფერს გაარკვევთ.

მამა (იგივე მდგომარეობაში.) - მე არც კი ვიცი...

ლენი - სიგნალი! (სიცილით.) ოჰ! რა თქმა უნდა, იცით. ასჯერ გამოგიჭირეთ თვალთვალში. თქვენი ნაბიჯების ხმა მესმოდა, თქვენს ჩრდილს ვხედავდი, არაფერს ვამბობდი, მაგრამ თავს ვებრძოდი, გიჟური ხარხარი რომ არ წამსკდომოდა. (მამას გაპროტესტება სურს.) შევცდი განა? მაშ კარგი, სიამოვნებით გაგათვითცნობიერებთ.

მამა (ყრუდ და თავისდა უნებურად.) - არა.

ლენი - დააკაკუნეთ ოთხჯერ, მერე ხუთჯერ, მერე სამჯერ და ისევ სამჯერ. რა გაკავებთ?

მამა - ვინ დამხვდება? (პაუზა. ყრუ ხმით.) თუ გამომაგდება, ამას ვერ გადავიტან.

ლენი - ის გირჩევნიათ, თავი დაირწმუნოთ, რომ მე ვუშლი ხელს, გულში ჩაგეხუტოთ.

მამა (მძიმედ.) - უნდა მაპატიო, ლენი. მე ხშირად უსამართლო ვარ... (თავზე ეფერება, ლენი იკრუნჩხება.) რბილი თმა გაქვს. (უფრო დაბნეული ეფერება, თითქოს ფიქრობს.) შენ ხომ გაქვს მასზე გავლენა?

ლენი (ამაყად.) - რასაკვირველია.

მამა - განა ვერ შეძლებდი, ნელ-ნელა, მოხერხებულად... გთხოვ, განსაკუთრებული დაჟინებით ჩააგონო ის, რაც უმთავრესია: ჩემი პირველი სტუმრობა უკანასკნელიც იქნება. ერთ საათზე მეტს არ დავყოფ. ნაკლებსაც, თუ ეს მას დადლის. აუცილებლად უთხარი, რომ არ მეჩქარება. (ელემება.) ძალიანაც არ მეჩქარება.

ლენი - ერთადერთი შეხვედრა.

მამა - ერთადერთი.

ლენი - ერთადერთი და მერე თქვენ მოკვდებით. რისთვის უნდა ნახოთ?

მამა - რომ ვნახო. (ლენი თავხედურად იცინის.) და რომ გამოვემშვიდობო.

ლენი - რა შეიცვლებოდა, თუ უჩუმრად წახვიდოდით?

მამა - ჩემთვის? ყველაფერი. თუ მას ვნახავ, ანგარიშს მოვრჩები და ჯამს გამოვიყვან.

ლენი - ღირს კი წვალებად? თავისითაც კარგად შეჯამდება.

მამა - ასე გგონია? (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) დასკვნითი სიტყვა მე თვითონ უნდა ვთქვა, თორემ ყველაფერი ჩამოიშლება. (თითქმის მორცხვი ღიმილით.) ბოლოს და ბოლოს, ეს ცხოვრება მე განვვლე: არ მინდა, რომ იგი დაიკარგოს. (პაუზა. თითქმის მორცხვად.) დაელაპარაკები?

ლენი (უხეშად.) - რატომ უნდა დაველაპარაკო? უკვე ცამეტი წელია, რაც მას ვიცავ და მაშინ მოვადუნო სიფხიზლე, როცა ექვსი თვე დარჩა გასაძლები?

მამა - ჩემგან იცავ?

ლენი - ყველასგან, ვისაც მისი დაღუპვა უნდა.

მამა - მე მინდა ფრანცის დაღუპვა?

ლენი - დიახ.

მამა (გამძაფრებით.) - შენ ხომ არ გაგიჟდი? (მშვიდდება. აგრძელებს გულმხურვალე სურვილით, რომ დაარწმუნოს, თითქმის ვედრებით.) მომისმინე, შესაძლოა, ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის, რა არის მისთვის უკეთესი. მაგრამ მე მხოლოდ ერთ შეხვედრას გთხოვ: სად მექნება იმის დრო, რომ რამე ვავნო, ასეთი სურვილი რომც მქონდეს? (ლენი უხეშად იცინის.) პირობას გაძლევ...

ლენი - ვინ გთხოვთ პირობა? არავითარი საჩუქრები!

მამა - მაშინ ერთმანეთში გავარკვიოთ.

ლენი - ფონ გერლახები არაფერსაც არ არკვევენ.

მამა - ფიქრობ, რომ მომიმწყვდიე?

ლენი (იგივე ტონი, იგივე ღიმილი.) - სულ ცოტათი მოგიმწყვდიეთ, არა?

მამა (ირონიული და აგდებული გრიმასა.) - გეგონოს!

ლენი - ჩვენ ორიდან, მამა, ვის სჭირდება მეორე?

მამა (წყნარად.) - ჩვენ ორიდან, ლენი, ვინ გვრის შიშს მეორეს?

ლენი - თქვენი არ მეშინია. (იცინის.) როგორი ბლეფია! (გამოწვევით შეხედავს.) იცით, რა მხდის მოუწყვლელს? მე ბედნიერი ვარ.

მამა - შენ? რა გაგეგება ბედნიერების?

ლენი - და თქვენ? თქვენ რაღა გაგეგებათ?

მამა - კარგად გხედავ: თუ ბედნიერებამ ასეთი თვალები მოგცა, ის ყველაზე დახვეწილი ტანჯვა ყოფილა.

ლენი (თითქმის თავგზააარეული.) - სწორედაც რომ! ყველაზე დახვეწილი, ყველაზე დახვეწილი! მე ვბზრიალებ! თუ გავჩერდები, თავ-პირს წავიმტვრევ. აი, ესაა ბედნიერება, გიჟური ბედნიერება. (ტრიუმფით და გაავებით.) მე ფრანცს ვხედავ, მე! ყველაფერი მაქვს, რაც მსურს. (მამა ხმადაბლა იცინის. ლენი მოწყვეტით ჩერდება და დაჟინებით უყურებს.) არა. თქვენ ბლეფი არ გჩვევიათ. ეჭვი მაქვს, მთავარი კოზირი შემოინახეთ. კეთილი. გამოაჩინეთ.

მამა (გულკეთილად.) - ახლავე?

ლენი (გამკაცრებული) - ახლავე. თქვენ მას არ შემოინახავთ იმ დროისთვის, როცა მე არ დაველოდები.

მამა (ისევ გულკეთილად.) - და თუ არ მინდა, გამოვაჩინო?

ლენი - გაიძულე.

მამა - რანაირად?

ლენი - გოჯსაც არ დაგითმობთ. (ძლივს იღებს ბიბლიას და მაგიდაზე დებს.) ფრანცი თქვენ არ მიგიღებთ, ვფიცავ. (ხელს გაიწვდის.) ვფიცავ ამ ბიბლიაზე, რომ ფრანცის უნახავად მოკვდებით. (პაუზა.) აი, ასე. (პაუზა.) გახსენით თქვენი კარტები.

მამა (მშვიდობიანად.) - დახე! არ გადაგიხარხარია. (თმაზე ეფერება.) შენს თმას რომ ვეფერები, მიწაზე ვფიქრობ: გარედან აბრეშუმითაა მოჩითული, შიგნით კი თუხთუხებს. (წყნარად იფშვნეტს ხელებს. უვნებელი და თბილი ღიმლით.) დაგტოვებ, ჩემო პატარავ.

გადის.

სცენა მეოთხე

ლენი, მარტო, მერე იოჰანა, მერე მამა

ლენი რჩება თვალმომტერებული კარზე, რომელიც ოთახის სიღრმეშია, მარცხნივ, და საიდანაც მამა გავიდა. მერე გამოცოცხლდება. გაემართება გარეთ გამავალი შემინული კარებისკენ, მარჯვნივ, და გააღებს მათ, შემდეგ დაუშვებს დიდ დარაბებს, და კვლავ მიხურავს შემინულ კარებს. ოთახი ბინდ-ბუნდში ჩაეფლობა. ნელა აუყვება კიბეს მეორე სართულისკენ და ფრანცის ოთახს მიუკაკუნებს: ოთხი დარტყმა, მერე ხუთი, მერე ორგზის სამი.

იმ დროს, როდესაც სამ-სამჯერ აკაკუნებს, მარჯვენა, სიღრმის კარი გაიღება და უხმაუროდ ჩნდება იოჰანა. ლენის უთვალთვალეხს. ისმის ურდულის გაწევისა და რკინის კეტის აწევის ხმა, ზემოთ კარი იღება და ფრანცის ოთახიდან ელექტროშუქი გადმოიღვრება. მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩანს. ლენი შედის და კარს ხურავს: ისმის ურდულის გაწევისა და რკინის კეტის დაშვების ხმა.

იოჰანა ოთახში შემოდის, ამოზნექილ ფეხებიან მაგიდას უახლოვდება და საჩვენებელი თითით სამ-სამჯერ აკაკუნებს, რათა დაიმახსოვროს. როგორცაა ჩანს, დარტყმების პირველი სერია - ხუთი და ოთხი - ვერ გაიგონა. ისევ აკაკუნებს.

ამ დროს ჭადის ყველა ნათურა აინთება და იოჰანა შეხტება, ყვირილს ძლივს შეიკავებს. მარცხენა მხარეს გამოჩნდება მამა. ეს მან გადაატრიალა ჩამრთველი.

იოჰანა თვალზე ხელს აიფარებს შუქისგან დასაცავად.

მამა - აქ ვინ არის? (იოჰანა ხელს დაუშვებს.) იოჰანა! (იოჰანასკენ მიიწევს.) ვწუხვარ. (მამა ოთახის შუაგულში დგას.) პოლიციაში, დაკითხვის ოთახში ბრალდებულს პროჟექტორებს მიუშვერენ ხოლმე: რას იფიქრებთ ჩემზე, ამხელა შუქი რომ მოგანათეთ?

იოჰანა - ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ ჩააქრობდით.

მამა (არ იძვრის.) - და მერე?

იოჰანა - და მერე, თქვენ პოლიციელი არა ხართ, მაგრამ დაკითხვას კი მიპირებთ. (მამა გაიღიმებს და ხელებს დაუშვებს ვითომ დათრგუნული. ცოცხლად.) ამ ოთახში თქვენ არასდროს შემოდიხართ. რას აკეთებდით, თუ მე არ მითვალთვალებდით?

მამა - ჰო მაგრამ, ჩემო პატარავ, აქ არც თქვენ შემოდიხართ არასდროს. (იოჰანა არ პასუხობს.) დაკითხვა არ ჩატარდება. (მამა აანთებს ორ ნათურას - ვარდისფერი

მუსლინის აბაჟურს - და მიდის ჭადის გამოსართავად.) აი ნახევარსიმართლეების ვარდისფერი შუქი. თავს უფრო მოხერხებულად გრძნობთ?

იოჰანა - არა. დაგტოვებთ, თუ ნებას დამრთავთ.

მამა - ნებას დაგრთავთ, როდესაც ჩემს პასუხს მოისმენთ.

იოჰანა - მე არაფერი მიკითხავს.

მამა - თქვენ მკითხეთ, თუ რას ვაკეთებდი აქ და მე მინდა, გიპასუხოთ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქციელით ნამდვილად ვერ ვიამაყებ. (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) წლების განმავლობაში, თითქმის ყოველდღე, როცა ვრწმუნდები, რომ ლენი არ წამადგება თავს, ამ სავარძელში ვჯდები და ველოდები.

იოჰანა (უნებურად დაინტერესებული.) - რას?

მამა - რომ ფრანცი ისეირნებს თავის ოთახში და რომ გამიმართლებს და მისი ნაბიჯების ხმას გავიგონებ. (პაუზა.) ჩემი შვილისგან რაც დამიტოვეს, სულ ესაა: იატაკზე ორი ლანჩის დარტყმის ხმა. (პაუზა.) ღამით ვდგები ხოლმე. ყველას სძინავს, ფრანცი ფხიზლობს, ვიცი: მეც და მასაც ერთი და იგივე უძილობა გვტანჯავს. აი, ამგვარად ვართ ერთად. თქვენ, იოჰანა? ვის უთვალთვალეხდით?

იოჰანა - არავისაც არ ვუთვალთვალეხდი.

მამა - მაშ, შემთხვევითობა ყოფილა, ყველაზე დიდი შემთხვევითობა. და ყველაზე ბედნიერიც: თქვენთან პირისპირ საუბარი მსურდა. (იოჰანა ღიზიანდება. ცოცხლად.) არა, არა, არავითარი საიდუმლო, არავითარი საიდუმლო, მხოლოდ ლენისგან. ვერნერს ყველაფერი უთხარით, ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია.

იოჰანა - ამ შემთხვევაში, ყველაზე უპრიანი იქნებოდა, ვერნერისთვის დაგვეძახა.

მამა- ორ წუთსა გთხოვთ. ორი წუთი და მე თვითონ დავუძახებ. თუ ისევ გენდომებათ.

ბოლო ფრაზით გაკვირვებული იოჰანა ჩერდება და სახეში შეხედავს მამას.

იოჰანა - კეთილი. რა გნებავთ?

მამა - ჩემს რძალს დაველაპარაკო გერლახთა ახალგაზრდა ოჯახის შესახებ.

იოჰანა - გერლახთა ახალგაზრდა ოჯახი ნამსხვრევებადაა ქცეული.

მამა - რას მეუბნებით?

იოჰანა - ახალს არაფერს: იგი თქვენ დაამსხვრიეთ.

მამა (შეწუხებული.) - ღმერთო ჩემო! მოუქნელობით მომივიდოდა. (მზრუნველად.) მაგრამ მე თითქოს გავიგე, რომ თქვენ მისი აღდგენის საშუალება გამონახეთ. (იოჰანა სწრაფად გაემართება სცენის სიღრმისკენ, მარცხნივ.) რას აპირებთ?

იოჰანა (ყველა ნათურას აანთებს.) - დაკითხვა იწყება: პროექტორებს ვანთებ. (ქალის ქვეშ დადგება.) სად უნდა დავდგე? აქ? კეთილი. ახლა კი სრულ სიმართლეთა და საუცხოო სიცრუეთა ცივი შუქის ქვეშ, ვაცხადებ, რომ არ ვაღიარებ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არაფერი მაქვს საღიარებელი. მე მარტო ვარ, უღონო და სრულად ვაცნობიერებ ჩემს უძლურებას. წავალ და ვერნერს ჰამბურგში დაველოდები. თუ არ დაბრუნდება...

სასოწარკვეთილი ჟესტი.

მამა (სერიოზულად.) - საბრალო იოჰანა, ჩვენ თქვენთვის ავის მეტი არა გვიქნია. (ხმა შეეცვლება, უეცრად განდობით და მხიარულად.) და რაც მთავარია, იყავით მშვენიერი.

იოჰანა - რა ბრძანეთ?

მამა (ღიმილით.) - მე გეუბნებით: იყავით მშვენიერი.

იოჰანა (თითქმის შეურაცხყოფილი, უხეშად.) - მშვენიერი!

მამა - ეს არ გაგიჭირდებათ.

იოჰანა (იგივე თამაში.) - მშვენიერი! გამომშვიდობების დღეს, ალბათ: საუკეთესო მოგონებებს დაგიტოვებთ.

მამა - არა, იოჰანა: იმ დღეს, როდესაც თქვენ ფრანცთან მიხვალთ. (იოჰანა გაკვირვებული რჩება.) ორი წუთი ამოიწურა: დავუძახო თქვენს ქმარს? (იოჰანა ანიშნებს, რომ არა.) ძალიან კარგი. ეს ჩვენი საიდუმლო იქნება.

იოჰანა - ვერნერი ყველაფერს გაიგებს.

მამა - როდის?

იოჰანა - რამდენიმე დღეში. დიახ, მე მას ვნახავ, თქვენს ფრანცს, ვნახავ ამ შინაურ ტირანს, ჯობს ღმერთთან დაიჭირო საქმე, ვიდრე მის წმინდანებთან.

მამა (პაუზა.) - კმაყოფილი ვიქნები, თუ ბედს ცდით.

ხელებს მოიფშვნეტს და ჯიბეში ჩაიწყოფს.

იოჰანა - ნება მომეცით, ეჭვი შევიტანო.

მამა - ვითომ რატომ?

იოჰანა - იმიტომ რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მე მინდა, რომ ფრანცი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

მამა - მეც ეს მინდა.

იოჰანა - თქვენ? გარეთ თუ გამოჰყოფს ცხვირს, ჟანდარმები დააპატიმრებენ და ოჯახს თავი მოეჭრება.

მამა (ღიმილით.) - ვგონებ, თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ ჩემს სიძლიერეზე. ჩემმა შვილმა ოღონდ თავი შეიწუხოს და ჩამოვიდეს: იმ წამსვე მოვაგვარებ ყველაფერს.

იოჰანა - საუკეთესო საშუალება იქნება იმისთვის, რომ სირბილით აბრუნდეს თავის ოთახში და სამუდამოდ ჩაიკეტოს.

სიჩუმე ჩამოვარდება. მამა თავს ხრის და ხალიჩას მისჩერებია.

მამა (ყრუ ხმით.) - ერთი შანსია ათიდან, რომ კარი გაგიღოთ, ერთი ასიდან, რომ მოგისმინოთ, ერთი ათასიდან, რომ პასუხი გაგცეთ. თუ თქვენ ეს მეათასედი შანსი გექნებათ...

იოჰანა - რა მერე?

მამა - თანახმა იქნებოდით, მისთვის გეთქვათ, რომ მე მალე მოვკვდები?

იოჰანა - ლენის არ...?

მამა - არა.

მამა თავს სწევს. იოჰანა დაჟინებით უყურებს მას.

იოჰანა - აი, თურმე რა ყოფილა. (ისევ მამას უყურებს.) თქვენ არ იტყუებით. (პაუზა.) ერთი შანსი ათასიდან. (გააკანკალებს, მაგრამ იმ წამსვე მოიკრებს ძალას.) ისიც უნდა ვკითხო, სურს თუ არა, მიგიღოთ?

მამა (ცოცხლად, შეშინებული.) - არა, არა! მხოლოდ შეატყობინებთ, მეტი არაფერი: მოხუცი მალე მოკვდება. კომენტარების გარეშე. სიტყვას გაძლევთ!

იოჰანა (ღიმილით.) - ბიბლიაზე ვფიცავ!

მამა - გმადლობთ. (იოჰანა ისევ მას უყურებს. კბილებში გამოცრის, თითქოს რძალს უნდა, აუხსნას თავისი საქციელი, მაგრამ ისეთი ყრუ ხმით, რომ ჩანს, თავის თავს მიმართავს.) მინდოდა, დავხმარებოდი. დღეს ნუ მოსინჯავთ ნურაფერს. ლენი გვიან ჩამოვა, ის უეჭველად დაიღლება.

იოჰანა - ხვალ?

მამა - დიახ. თორმეტის მერე.

იოჰანა - სად შემიძლია, გნახოთ, თუ საჭირო იქნება...

მამა - ვერ მნახავთ. (პაუზა.) ლაიფციგში მივდივარ. (პაუზა.) თუ არ გამოგივიდათ... (ქესტი.) რამდენიმე დღეში დავბრუნდები. როდესაც უკვე მოიგებთ ან წააგებთ.

იოჰანა (შეწუხებული.) - მარტოს მტოვებთ? (გონზე მოდის.) რატომაც არა? (პაუზა.) კარგი, კეთილ მგზავრობას გისურვებთ და გევედრებით, მე არაფერი მისურვოთ.

მამა - მოიცადეთ! (მობოდიშების ღიმილით, მაგრამ სერიოზულად.) ვშიშობ, რომ თავს გაბეზრებთ, ჩემო პატარავ, მაგრამ გიმეორებთ, მშვენიერი უნდა იყოთ.

იოჰანა - აი კიდეც!

მამა - ცამეტი წელი შესრულდა, რაც ფრანცს არავინ უნახავს. ერთი სულიერიც კი.

იოჰანა (მხრებს იჩეჩავს.) გარდა ლენისა.

მამა - ლენი სულიერი არ არის. და ისიც საკითხავია, ხედავს თუ არა მას. (პაუზა.) კარს გააღებს და რა მოხდება? რომ შეშინდეს? სამუდამოდ რომ ჩაეფლოს მარტოობაში?

იოჰანა - რა შეიცვლებოდა, სახეს თუ არ გავითხიპნიდი?

მამა (წყნარად.) - ფრანცს სილამაზე უყვარდა.

იოჰანა - რად უნდოდა ეს სილამაზე მეწარმის ვაჟს?

მამა - ის გეტყვით ხვალ.

იოჰანა - არაფერსაც არ მეტყვის. (პაუზა.) მე მშვენიერი არა ვარ. გასაგებია?

მამა - თუ თქვენ არა, მაშ ვინ იქნება მშვენიერი?

იოჰანა - არავინ: მხოლოდ შენიღბული უშნოები არსებობენ. მე ნიღაბს არ გავიკეთებ.

მამა - ვერნერის გულისთვისაც არა?

იოჰანა - ვერნერის გულისთვისაც არა, დიახ, თქვენთვის შეინახეთ. (პაუზა.) გესმით, რას ვამბობ? მე მიკეთებდნენ... მშვენიერებას. თითოს თითო ფილმისთვის. (პაუზა.) მაპატიეთ, მაგრამ ეს მტკივნეული ადგილია. ამას როცა ეხებიან, თავ-გზას ვკარგავ!

მამა - მე მაპატიეთ, ჩემო პატარავ.

იოჰანა - არა უშავს. თქვენ არ შეგეძლოთ, გცოდნოდათ. ან იქნებ, იცოდით კიდეც, რა მნიშვნელობა აქვს. (პაუზა.) მე ლამაზი ვიყავი, ასე მგონია... მოვიდნენ და მითხრეს, მშვენიერი ხარო და მეც დავუჯერე. მესმოდა განა, რას ვაკეთებდი ამ ქვეყანაზე? შენი სიცოცხლე აუცილებლად უნდა გაამართლო. სამწუხარო ისაა, რომ ისინი შეცდნენ. (უხეშად.) გემები? არის ეს გამართლება?

მამა - არა.

იოჰანა - ასეც ვეჭვობდი. (პაუზა.) ფრანცი ისეთს მიმიღებს, როგორც ვარ. ამ კაბითა და ამ სახით. ნებისმიერი ქალი ყოველთვის საკმაოდ კარგია ნებისმიერი კაცისთვის.

სიჩუმე ჩამოვარდება. ზემოთ ფრანცი სიარულს იწყებს. უწესრიგო ნაბიჯებია, ხან ნელი და არათანაბარი, ხან სწრაფი და რიტმული, ხანაც ადგილის ტკეპნა.

იოჰანა შეშფოთებული უყურებს მამას, თითქოს ეკითხება: „ეს ფრანცია?“

მამა (ამ მზერას პასუხობს.) - დიახ.

იოჰანა - და თქვენ მთელი ღამეები რჩებით...

მამა (გაფითრებული და მოკრუნჩხული.) - დიახ.

იოჰანა - თამაშიდან გავდივარ.

მამა - თქვენ ის გიჟი გგონიათ?

იოჰანა - დასაბმელი გიჟი.

მამა - ეს სიგიჟე არ არის.

იოჰანა (მხრებს იჩეჩს.) - მაშ რა არის?

მამა - უბედურება.

იოჰანა - გიჟზე მეტად უბედური ვინ უნდა იყოს?

მამა - ის.

იოჰანა (უხეშად.) - მე არ წავალ ფრანცთან.

მამა - წახვალთ. ხვალ, თორმეტის შემდეგ. (პაუზა.) მეტი შანსი ჩვენ არ გაგვაჩნია, არც თქვენ, არც მას, არც მე.

იოჰანა (კიბისკენ მიბრუნებული, ნელა.) - ამ კიბეს ავუყვები, ამ კარზე დავაკაკუნებ... (პაუზა. ნაბიჯები შეწყდა.) კარგი, გავხდები მშვენიერი. თავი რომ დავიცვა.

მამა მას უღიმის და ხელებს იფშვნეტს.

პირველი მოქმედების დასასრული.

მოქმედება მეორე

ფრანცის ოთახი. მარცხნივ, ნიშაში, კარია. (იგი კიბის ბაქანზე გადის.) ურდული, რკინის კეტი. სიღრმეში ორი კარია, საწოლის ორსავე მხარეს: ერთი სააბაზანოში გადის, მეორე - ტუალეტში. უზარმაზარი საწოლი, მაგრამ არც თეთრეული, არც ლეიბი: დაკეცილი საბანი საწოლის ზამბარაზე. მარჯვენა კედელზე მაგიდაა მიდგმული. ერთადერთი სკამი. მარცხნივ უცნაური ზვინია დამტვრეული ავეჯის, გაფუჭებული სამშვენისების; ეს ნაგვის გროვადა დარჩენილა ოთახის მოწყობილობისაგან. უკანა კედელზე ჰიტლერის დიდი პორტრეტი (მარჯვნივ, საწოლის თავზე.) ასევე მარჯვნივ თაროებია. თაროებზე მაგნეტოფონის ბოხინები. კედელზე პლაკატები - ტექსტები ნაბეჭდი ასოებითაა, ხელით მიწერილია: „Don't disturb,“ * „შიში აკრძალულია“. მაგიდაზე ყრია ხამანწკები, შამპანურის ბოთლები, ბოკლები, სახაზავი და ა.შ. კედლებსა და ჭერზე ობია მოკიდებული.

სცენა პირველი

ფრანცი, ლენი

ფრანცს ჯარისკაცის დაძმონძილი უნიფორმა აცვია. ალაგ-ალაგ კანი მოუჩანს დახეული ქსოვილიდან. მაგიდასთან ზის და ზურგი აქვს შექცეული ლენისთვის - და, სამი მეოთხედით, მაყურებლისთვის.

მაგიდაზე ხამანწკები და შამპანურის ბოთლები აწყვია. მაგიდის ქვეშ მაგნეტოფონია დამალული.

ლენი, სახით მაყურებლისკენ, გვის, კაბაზე თეთრი წინსაფარი უკეთია. მშვიდად მუშაობს, ზედმეტი მოწადინებისა და ფაცი-ფუცის გარეშე, კარგი დიასახლისივით, მისი სახე დაცლილია ყოველგვარი გამომეტყველებისგან, თითქმის თვლემს, ვიდრე ფრანცი ლაპარაკობს. თუმცა, დროდადრო, სწრაფ მზერას ავლებს მას. იგრძნობა, რომ ლენი თვალს ადევნებს ფრანცს და ელოდება მისი სიტყვის დასრულებას.

ფრანცი - ჭერთა შენიღბულო ბინადარნო, ყურადღება! ჭერთა შენიღბულო ბინადარნო, ყურადღება! თქვენ გატყუებენ. ორი მილიარდი ცრუ მოწმე! ორი მილიარდი ცრუ

მოწმობა წამში! უსმინეთ ადამიანთა საჩივარს: „ჩვენ გვიღალატეს ჩვენმა ქმედებებმა. ჩვენმა სიტყვებმა, ჩვენმა გამაღლებულმა ცხოვრებამ!“ ათეუხა არსებებო, მე ვამოწმებ, რომ ისინი არ ფიქრობდნენ, რასაც ამბობდნენ და არ იქმოდნენ, რაც სურდათ. ჩვენ ვამტკიცებთ: დამნაშავენი არ არიან. რაც მთავარია, ნუ განსჯით მათ თუნდაც ხელმოწერილი აღიარებების საფუძველზე: იმ დროს ასე ამბობდნენ: „ბრალდებულმა აღიარა, ესე იგი, ის უდანაშაულოა.“ ძვირფასო მსმენელებო, ჩემი საუკუნე ძველმანების ბაზრობა იყო: ადამიანთა მოდგმის ლიკვიდაცია ზემოთ გადაწყდა. დაიწყეს გერმანიით, საფუძვლიანად დაიწყეს. (სასმელს ისხამს.) მხოლოდ ერთი ამბობს სიმართლეს: შემუსრული ტიტანი, თვითმხილველი, საუკუნეთა მხილველი, მეომარი და მშვიდობიანი მოქალაქე, *in secula seculorum**. ეს მე ვარ. ადამიანი მოკვდა და მე ვარ მისი მოწმე. საუკუნენო, მე გეტყვით, რა გემო დაჰკრავდა ჩემს საუკუნეს და თქვენ გაამართლებთ ბრალდებულებს. ფეხებზე მკიდია ფაქტები: დამითმია ისინი ცრუ მოწმეთათვის; მათთვის დამითმია შემთხვევითი საბაბები და ფუნდამენტური მიზეზებიც. იყო ეს გემო. და იგი პირს გვივსებდა ყველას. (სვამს.) და ჩვენ ვსვამდით, რათა ის ჩაგვერეცხა. (მეოცნებე სახით.) ფრიად უცნაური გემო იყო, ჰა, რაო? (მკვეთრი მოძრაობით წამოდგება, შეძრწუნებული.) მე კვლავ დავუბრუნდები ამ საუბარს.

ლენი (ფიქრობს, რომ ფრანცმა დაამთავრა.) - ფრანც, სალაპარაკო მაქვს შენთან.

ფრანცი (ყვირის.) - სიჩუმე კიბორჩხალების სამყოფელში.

ლენი (ბუნებრივი ხმით.) - მომისმინე: ეს სერიოზულია.

ფრანცი (კიბორჩხალებს მიმართავს.) - ჯავშანი არჩიეთ, ხომ? ბრავო! მშვიდობით, სიშიშვლევ! მაგრამ თვალები რად შეინახეთ? ყველაზე მახინჯი ხომ ეს გვექონდა. ჰა? რატომ? (ვითომ ელოდება. ჩხაკუნის ხმა. შეხტება. შეცვლილი - მშრალი, სწრაფი, ხრინწიანი - ხმით.) ეს რა არის? (ლენისკენ მიბრუნდება და უნდობლად და მკაცრად უყურებს.)

ლენი (მშვიდად.) - ფირი. (იხრება, იღებს მაგნეტოფონს და მაგიდაზე დებს.) გათავდა... (ლილაკზე აჭერს თითს და ფირი კვლავ ეხვევა: ფრანცის ხმა უკუღმა ისმის.) ახლა კი მომისმენ. (ფრანცი სკამზე დავარდება და ხელს მკერდზე მიიჭერს. ლენი გაჩუმდება, მიბრუნდება და დაინახავს ფრანცის მოკრუნჩხულ, გაწამებულ სახეს. აუღელვებლად.) რა დაგემართა?

ფრანცი - რა უნდა დამმართნოდა?

ლენი - გული?

ფრანცი (ტკივილით.) - მჩხვლეტს!

ლენი - რა გინდა, გამომძალველო? სხვა ფირი?

ფრანცი (უცებ დამშვიდდება.) - ოღონდ ეგ არა! (წამოდგება და სიცილს იწყებს.) მე მოგკვდი. დაღლილობისგან, ლენი; დაღლილობისგან მოგკვდი. მოხსენი ეგ! (ლენი მიდის, რომ ფირი მოხსნას.) მოიცა! მინდა, ჩემს თავს მოვუსმინო.

ლენი - თავიდან ჩავრთო?

ფრანცი - სულ ერთია, საიდან. (ლენი ჩართავს მაგნეტოფონს. ისმის ფრანცის ხმა: „მხოლოდ ერთი ამბობს სიმართლეს... და ა.შ.“. ფრანცი ერთი წუთი უსმენს, სახე ეღრიცება. ჩანაწერის პარალელურად ლაპარაკობს.) მე ამის თქმა არ მინდოდა. კი მაგრამ, ვინ ლაპარაკობს? ერთი სიტყვაც არაა მართალი. (ისევ ყურს უგდებს.) აღარ შემიძლია ამ ხმის ატანა. მკვდარი ხმაა. გააჩერე, ღვთის გულისათვის! გააჩერე-მეთქი, ჭკუიდან გადაგყავარ!... (ლენი ზედმეტი აჩქარების გარეშე აჩერებს მაგნეტოფონს და ახვევს ფირს. ფირზე ნომერს აწერს და სხვა ფირებთან დებს. ფრანცი დათრგუნული უყურებს მას.) კეთილი. ყველაფერი თავიდანაა დასაწყები!

ლენი - როგორც ყოველთვის.

ფრანცი - არა, არა: წინ მივიწევ. ერთ დღესაც სიტყვები თავად მეწვევიან და მე ვიტყვი იმას, რაც მსურს. მერე კი დავისვენებ! (პაუზა.) შენ გჯერა, რომ ის არსებობს?

ლენი - რა?

ფრანცი - დასვენება?

ლენი - არა.

ფრანცი - მეც ასე ვფიქრობდი.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.

ლენი - მომისმენ თუ არა?

ფრანცი - ეჰ!

ლენი - მეშინია!

ფრანცი (შეხტება.) - გეშინია? (შეწუხებული შესცქერის.) ნამდვილად შიში ახსენე?

ლენი - დიახ.

ფრანცი (უხეშად.) - ჰოდა, წადი აქედან!

მაგიდიდან სახაზავს აიღებს და მის ბოლოს ერთერთ პლაკატს მიარტყამს: „შიში აკრძალულია.“

ლენი - კარგი. აღარ მეშინია. (პაუზა.) მომისმინე, გთხოვ.

ფრანცი - ამის მეტს რას ვაკეთებ. თავი ამატკიე. (პაუზა.) აბა?

ლენი - ზუსტად არ ვიცი, რა მზადდება, მაგრამ...

ფრანცი - რამე მზადდება? სად, ვაშინგტონში? მოსკოვში?

ლენი - შენი ტერფების ქვეშ.

ფრანცი - პირველ სართულზე? (უეცრად გაუნათდება თავი.) მამა მალე მოკვდება.

ლენი - მამაზე ვინ ლაპარაკობს? ის ჩვენ ყველას გაგვისტუმრებს.

ფრანცი - მით უკეთესი.

ლენი - მით უკეთესი?

ფრანცი - მით უკეთესი, მით უარესი, ფეხებზე მკიდია. მერე? რაშია საქმე?

ლენი - საფრთხე გემუქრება.

ფრანცი (დამაჯერებლად.) - დიახ. ჩემი სიკვდილის შემდეგ! თუ საუკუნეები ჩემს კვალს დაკარგავენ, წასულია ჩემი საქმე! ვინღა იხსნის ადამიანს, ლენი?

ლენი - ვინც მოისურვებს. ფრანც, გუშინდელს აქეთ შენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ფრანცი (გულგრილად.) - ჰოდა, დამიცავი: შენი საქმეც ეს არის.

ლენი - დიახ, თუ შენც დამეხმარები.

ფრანცი - არ მცალია. (გალიზიანებული.) მე ისტორიას ვწერ და შენ კი რაღაც ამბებით მაწუხებ.

ლენი - ამბავი მაშინ იქნება, თუ მოგკლეს.

ფრანცი - ჰო.

ლენი - ძალიან ადრე რომ მოგკლან?

ფრანცი (წარბს იჭმუხნის.) - ძალიან ადრე? (პაუზა.) ვის უნდა ჩემი მოკვლა?

ლენი - ოკუპანტებს.

ფრანცი - გასაგებია. (პაუზა.) ხმას ჩამიწყვეტენ და ოცდამეათეს ყალბი დოკუმენტებით თვალში ნაცარს შეაყრიან. (პაუზა.) ვინმე ჰყავთ ამ სახლში ?

ლენი - ვფიქრობ, კი.

ფრანცი - ვინ?

ლენი - ჯერ არ ვიცი. ვგონებ, ეს ვერნერის ცოლია.

ფრანცი - კუზიანი?

ლენი - ჰო. ყველგან ჰყოფს ცხვირს.

ფრანცი - ვირთხის წამალი ჩაუყარე.

ლენი - ძალიან ფრთხილია.

ფრანცი - რამდენი ხათაბალაა. (შეწუხებული.) ათი წელი მჭირდება.

ლენი - ათი წუთი მომეცი.

ფრანცი - თავს მახეზრებ.

ფრანცი მიდის უკანა კედელთან და თაროებზე დაწყობილ ბოზინებს თითოთ ეხება.

ლენი - ესენი რომ მოგპარონ?

ფრანცი (მკვეთრად მოტრიალდება სანახევროდ.) - რაო?

ლენი - ფირები.

ფრანცი - გაგიჟებულხარ.

ლენი (მშრალად.) - ხომ შეგიძლია, დაუშვა, რომ ისინი მოვლენ ჩემს არყოფნაში - ან კიდევ უკუთესი: მას შემდეგ, რაც მე მომიშორებენ?

ფრანცი - მერე რა? კარს არ გავუღებ. (გახალისებული.) შენი მოშორებაც უნდათ?

ლენი - ფიქრობენ. უჩემოდ რა უნდა გააკეთო? (ფრანცი არ პასუხობს.) შიმშილით მოკვდები.

ფრანცი - შიმშილის დრო არა მაქვს. მოვკვდები, სულ ესაა. მე ვლაპარაკობ. სიკვდილი ჩემი სხეულის საქმეა: მე მას ვერც შევამჩნევ: ლაპარაკს გავაგრძელებ. (სიჩუმე ჩამოვარდება.) შეღავათი იქნება, შენ რომ არ დამიხუჭავ თვალებს. ისინი კარს შემოამტვრევენ და რა დახვდებათ? განგმირული გერმანიის ცხედარი. (იცინის.) სინდისის ქენჯნასავით ავყროლდები.

ლენი - არაფერსაც არ შემოამტვრევენ. ისინი დააკაკუნებენ, შენ ჯერ ცოცხალი იქნები და თვითონ გაუღებ კარს.

ფრანცი (გაკვირვებული, ხალისით.) - მე?

ლენი - შენ. (პაუზა.) მათ იციან სიგნალი.

ფრანცი - არ შეუძლიათ, იცოდნენ.

ლენი - იმ ხნის განმავლობაში, რაც მითვალთვალებენ, ეჭვი არ შეგეპაროს, დაადგენდნენ. აი, მამას, დარწმუნებული ვარ, ეცოდინება.

ფრანცი - აჰ! (სიჩუმე ჩამოვარდება.) ისიც შეთქმულია?

ლენი - ვინ იცის? (პაუზა.) გეუბნები, შენ თვითონ გაუღებ კარს.

ფრანცი - მერე?

ლენი - შენს ფირებს წაიღებენ.

ფრანცი მაგიდის უჯრას აღებს, ამოაქვს სამსახურეობრივი რევოლვერი და ღიმილით უჩვენებს მას ლენის.

ფრანცი - ამაზე რას იტყვი?

ლენი - ძალით არ წაგართმევენ. დაგარწმუნებენ და თვითონ მისცემ. (ფრანცი ახარხარდება.) ფრანცი, გევედრები, შეეცვალოთ სიგნალი. (ფრანცი სიცილს წყვეტს. ლენის უყურებს გულჩათხრობილი და დევნილი იერით.) ჰა?

ფრანცი - არა. (გზადაგზა იგონებს უარის მიზეზებს.) ყველაფერი ერთმანეთზეა აკინძული. ისტორია წმინდა წერილია; ერთი მძიმეც რომ შეეცვალო, აღარაფერი დარჩება.

ლენი - ჩინებულია. ისტორიას ნუ შევხებით. შენ მათ ფირებს აჩუქებ. და მეგნეტოფონსაც ზედ მიაყოლებ.

ფრანცი ფირებთან მიდის და დევნილი სახით შესცქერის მათ.

ფრანცი (თავიდან ყოყმანობს და გული ეგლიჯება.) - ფირები... ფირები... (პაუზა. შემდეგ მარცხენა ხელის მკვეთრი მოძრაობით გადმოყრის და იატაკზე მოაპნევს მათ.) აი, რას ვუზამ მათ! (ეგზალტირებული ლაპარაკობს, თითქოს მნიშვნელოვან საიდუმლოს უმხელს ლენის. სინამდვილეში, ამ წუთას იგონებს, რასაც ამბობს.) ეს მხოლოდ სიფრთხილის ზომა იყო, წარმოიდგინე. იმ შემთხვევისთვის, თუ ოცდამეათე მინას ვერ აღმოაჩენდა.

ლენი - მინას? აი, ახალი ამბავი. ამაზე არასოდეს გილაპარაკია ჩემთან.

ფრანცი - მე ყველაფერს არ ვამბობ, დაიკო. (გახარებული იფშვნეტს ხელებს, როგორც მამა პირველ სურათში.) წარმოიდგინე შავი მინა. ეთერზე უფრო თხელი. ულტრა-მგრძნობიარე. ერთი სულის შებერვაც კი აღიბეჭდება მასზე. სულ მცირე შებერვაც. მთელი ისტორიაა მასზე ამოტვიფრული, ათადაც ბაზადან და ამ თითების გატკაცუნებამდე.

თითებს გაატკაცუნებს.

ლენი - სად არის ის?

ფრანცი - მინა? ყველგან. აქ. ეს სინათლის უკუ პირია. გამოიგონებენ აპარატებს, რომლებიც მას ვიბრაციას დააწყებინებს; ყველაფერი გაცოცხლდება. ჰა, რაო? (ერთბაშად ჰალუცინაცია შეიპყრობს.) ყველა ჩვენი ქმედება. (აგრძელებს უხეშად და

შთაგონებული.) ნამდვილი კინოა, გეუბნები: კიბორჩხალები წრიულად სხედან და უყურებენ ცეცხლმოკიდებულ რომს და აცეკვებულ ნერონს. (ჰიტლერის ფოტოს.) შენც დაგინახავენ, მამიკო. ვინაიდან შენც იცეკვე, ასე არა არის? დიახ, იცეკვე. (ფირებს ფეხს წაკრავს.) ცეცხლში! ცეცხლში! რა ოხრად მინდა? მომამორე ესენი. (მკვეთრად.) რას აკეთებდი 44 წლის 6 დეკემბერს, 20 საათსა და 30 წუთზე? (ლენი მხრებს იჩეჩავს.) აღარ იცი? მათ იციან: მათ მთელი შენი ცხოვრება გადაფურცლეს, ლენი; საზარელი სიმართლე აღმოვაჩინე: ჩვენ გამუდმებით გვითვალთვალებენ.

ლენი - ჩვენ?

ფრანცი (სახით მაყურებლისკენ.) - შენ, მე, ყველა ამ მკვდარს: ადამიანებს. (იცინის.) გასწორდი. გიყურებენ. (მოქუფრული, თავის თავს.) არავინაა მარტო. (ლენის მშრალი სიცილი.) მოასწარი სიცილი, საბრალო ლენი. ოცდამეათე ქურდივით წაგვადგება თავს. სახელური გადატრიალდება, ღამე ვიბრირებას დაიწყებს; და შენ მათ შუაგულში ამოჰყოფ თავს.

ლენი - ცოცხალი?

ფრანცი - ათასი წლის მკვდარი.

ლენი (გულგრილად.) - კარგი ერთი.

ფრანცი - მკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი: მინა ყველაფერს აჩვენებს, ჩვენს ფიქრებსაც კი. ჰა, რაო? (პაუზა.) (შეშფოთებით, რომელიც არ ჩანს, გულწრფელია თუ ნათამაშები.) იქნებ ჩვენ უკვე იქა ვართ?

ლენი - სად?

ფრანცი - ოცდამეათე საუკუნეში. დარწმუნებული ხარ, რომ ეს კომედია პირველად გაითამაშეს? ცოცხლები ვართ თუ მკვდრეთით აღმდგარნი? (იცინის.) გასწორდი. თუ ათფეხა არსებები გვიყურებენ, უეჭველად მახინჯებად გვთვლიან.

ლენი - შენ რა იცი?

ფრანცი - კიბორჩხალებს მხოლოდ კიბორჩხალები მოსწონთ: ბუნებრივი ამბავია.

ლენი - და თუ ეს ადამიანები არიან?

ფრანცი - ოცდამეათე საუკუნეში? თუ დარჩება ერთი ადამიანი მაინც, მას მუზეუმში მოათავსებენ... როგორ გგონია, ჩვენს ნერვიულ სისტემას არ შეინახავენ?

ლენი - კიბორჩხალებად გარდაიქმნებიან?

ფრანცი (ძალიან მშრალად.) - დიახ. (პაუზა.) მათ სხვა სხეულები ექნებათ, მაშასადამე სხვა აზრებიც. მაგრამ როგორი? როგორი?... ისიგრძეგანებ, რა მნიშვნელოვან საქმეს

შევეჭიდე და როგორ უჩვეულოდ რთულია იგი? მე თქვენ გიცავთ მაგისტრთა წინაშე და ის ბედნიერებაც არ გამაჩნია, ვიცნობდე მათ. ბრმასავით მოქმედებ: იტყვი ერთ სიტყვას აქ, ალალბედზე; იგი საუკუნიდან საუკუნეში გახმიანდება. რა მნიშვნელობას შეიძენს იქ, ზემოთ? იცი შენ, რომ მიწევს „თეთრი“ ვთქვა მაშინ, როცა მათ „შავი“ მინდა გავაგონო? (უცებ სკამზე დავარდება.) ღმერთო დიდებული!

ლენი - კიდევ რა?

ფრანცი (გასავათებული.) მინა!

ლენი - რა მერე?

ფრანცი - ყველაფერი პირდაპირ გადაიცემა. ჩვენ გამუდმებით უნდა ვაკონტროლოთ თავი. როგორ მჭირდებოდა, ეს მინა მეპოვნა! (მმაფრად.) ამეხსნა! გამემართლებინა! წამით შეყოვნებაც აღარ შეიძლება! კაცებო, ქალებო, დევნილო ჯალათებო, უღმობელო მსხვერპლნო, მე თქვენი წამებული ვარ.

ლენი - თუ ისინი ყველაფერს ხედავენ, შენი კომენტარები რაღად სჭირდებათ?

ფრანცი (იცინის.) - ჰა! ისინი ხომ კიბორჩხალები არიან, ლენი: არაფერიც არ ესმით. (შუბლს ცხვირსახოცით შეიმშრალებს, დახედავს ცხვირსახოცს და ზიზღით მოისვრის მაგიდაზე.) მლაშე წყალი.

ლენი - შენ რას ელოდი?

ფრანცი (მხრებს იჩეჩავს.) - სისხლის ოფლს. მე ის მოვიპოვე. (წამოდგება, მკვირცხლად და ხელოვნური მხიარულებით.) ლენი, უსმინე ჩემს ბრძანებებს! პირდაპირი გადაცემისთვის გამოგიყენებ. ხმის სინჯი ვცადოთ. ილაპარაკე ხმამაღლა და მკაფიოდ გამოთქვი. (ძალიან ხმამაღლა.) მაგისტრთა წინაშე დაამოწმე, რომ დემოკრატიის ჯვაროსნებს არ სურთ ნება დაგვროთ, რომ ჩვენი სახლების კედლები წამოვაყენოთ. (ლენი დუმს, გაღიზიანებული.) მიდი, თუ დამმორჩილდები, მაშინ მოგისმენ.

ლენი (ჭერს მიმართავს.) - მოწმე ვარ, რომ ყველაფერი იქცევა და ინგრევა.

ფრანცი - უფრო ხმამაღლა!

ლენი - ყველაფერი იქცევა და ინგრევა.

ფრანცი - რაღა დარჩა მიუნხენიდან?

ლენი - ერთი-ორი აგური.

ფრანცი - ჰამბურგიდან?

ლენი - No man's land*, ხრიოკი მიწა.

ფრანცი - უკანასკნელი გერმანელები სადღა არიან?

ლენი - სარდაფებში.

ფრანცი (ჭერს მიმართავს.) - ეი, თქვენ! წვდებით ყველაფერ ამას? ცამეტი წელი გავიდა! ქუჩებს ბალახი მოსდებია, ჩვენს მანქანებს მიწა წაჰყრია და ზედ სარეველა ბიბინებს. (ვითომ უსმენს.) სასჯელი? რა ბოდვია? ევროპაში კონკურენცია არ იქნება, ესაა მოძღვრება და პრინციპი. მითხარი, რა დარჩა წარმოებიდან?

ლენი - ორი ნავსაშენი.

ფრანცი - ორი! ომამდე ასი გვექონდა! (ხელებს იფშვნეტს. ლენის, ბუნებრივი ხმით.) დღეისთვის კმარა. სუსტი ხმა გაქვს, მაგრამ თუ თავს ძალას დაატან, ივარგებს. (პაუზა.) ახლა კი ილაპარაკე. რა ხდება? (პაუზა.) ჩემს სულიერ მდგომარეობაზე სურთ იერიშის მიტანა?

ლენი - დიახ.

ფრანცი - განწირული მანევრია: ფოლადივით მტკიცე სული მაქვს.

ლენი - ჩემო საბრალო ფრანც! რასაც მოისურვებს, იმას გიზამს.

ფრანცი - ვინ?

ლენი - ოკუპანტების მოგზავნილი.

ფრანცი - ჰა! ჰა!

ლენი - ის დააკაკუნებს, შენ გაუღებ და იცი, რას გეტყვის?

ფრანცი - ფეხებზე მკიდია!

ლენი - ის გეტყვის: შენი თავი მოწმე გგონია და სინამდვილეში ბრალდებული ხარ. (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) რას უპასუხებ?

ფრანცი - მომშორდი! შენ მოგისყიდეს! ეს შენ ცდილობ ჩემს წონასწორობიდან გამოყვანას.

ლენი - რას უპასუხებ, ფრანც? რას უპასუხებ? უკვე თორმეტი წელია, ძირს განრთხმულხარ ამ მომავლის სასამართლოს წინაშე და ყოველგვარ უფლებას ანიჭებ მას. შენი გასამართლების უფლებაც მიგეცა ბარემ?

ფრანცი (იცინის.) - იმიტომ რომ მე დაცვის მოწმე ვარ.

ლენი - ვინ აგირჩია?

ფრანცი - ისტორიამ.

ლენი - ისეც მომხდარა, რომ ადამიანს მისგან სახელდებული ეგონა თავი, ისტორიამ კი მის მეზობელს უხმო.

ფრანცი - მე ეს არ დამემართება. თქვენ ყველას გაგამართლებენ. შენც კი: ასეთი იქნება ჩემი შურისძიება. ისტორიას თავის სოროში შევამკრენ! (ჩერდება შეწუხებული.) ჩუ! ჩვენ გვისმენენ. იმდენი მიჩხიკინე, მეც აგყევი. (ჭერს მიმართავს.) ბოდიშს ვიხდი, ძვირფასო მსმენელებო: სიტყვებმა ჩემს ფიქრს უგანეს.

ლენი (მძაფრად და ირონიულად.) - აი, ისიც, ფოლადის სულის ადამიანი! (ზიზღით.) ბოდიშის მოხდის მეტს არაფერს აკეთებ.

ფრანცი - გნახავდი, ჩემს ადგილას რომ იყო. ამ საღამოს ისინი იღრჭიალებენ.

ლენი - კიბორჩხალები ღრჭიალებენ?

ფრანცი - ესენი კი. ეს ძალზე უსიამოვნოა. (ჭერს მიმართავს.) ძვირფასო მსმენელებო, მხედველობაში მიიღეთ ჩემი შესწორება...

ლენი (ფეთქდება.) - საკმარისია! საკმარისია! შეეშვი მათ!

ფრანცი - ჭკუიდან გადაცდი?

ლენი - აიცილე ეს სასამართლო, გთხოვ, ეს შენი ერთადერთი სისუსტეა. უთხრი მათ: „თქვენ ჩემი მოსამართლეები არა ხართ!“ და შენ აღარავისი შეგეშინდება. არც ამ სამყაროში და არც სხვაში.

ფრანცი (უხეშად.) - წადი აქედან!

იღებს ორ ნიჟარას და ერთმანეთს უხახუნებს.

ლენი - დალაგება არ დამიმთავრებია.

ფრანცი - ძალიან კარგი: მე ოცდამეათეში მივდივარ. (დგება, ლენის ზურგს აქცევს და გადაატრიალებს პლაკატს, რომელზეც ეწერა „Don't disturb“; პლაკატის უკანა მხარეს იკითხება „ხვალ შუადღემდე არ ვიქნები“. ისევ ჯდება და ისევ ნიჟარებს უხახუნებს ერთმანეთს.) შენ მე მიყურებ: კეფა მეწვის. გიკრძალავ, მიყურო! თუ დარჩი, რამით დაკავდი! (ლენი არ ინძრევს.) დახრი თუ არა თვალებს!

ლენი - დავხრი, თუ დამელაპარაკები.

ფრანცი - შენ მე გამაგიჟებ! გამაგიჟებ! გამაგიჟებ!

ლენი (ჩაიცინებს, ოღონდ არა მხიარულად.) - შენც ეს გინდოდა.

ფრანცი - გინდა მიყურო? მიყურე! (წამოდგება. მარშირებს პრუსიული, იგივე ბატის ნაბიჯით.*) ერთი, ორი! ერთი, ორი!

ლენი - შეწყვიტე!

ფრანცი - ერთი, ორი! ერთი, ორი!

ლენი - შეწყვიტე, გთხოვ!

ფრანცი - რაო, ჩემო ლამაზო, ჯარისკაცის გეშინია?

ლენი - მეშინია, არ შემძაგდე.

წინსაფარს მოიხსნის, საწოლზე მიაგდებს და ოთახიდან გასვლას დააპირებს.
ფრანცი უმაღლესი შეჩერდება.

ფრანცი - ლენი! (ლენი კართანაა. ნაზად, ცოტა დაბნეული.) ნუ დამტოვებ მარტოს.

ლენი (მოტრიალდება, გატაცებით.) - გინდა, რომ დავრჩე?

ფრანცი (იგივე ტონით.) - მჭირდება, ლენი.

ლენი (აღელვებული გაემართება მისკენ.) - ჩემო ძვირფასო!

მიუახლოვდება ფრანცს, დაურწმუნებლად ასწევს ხელს და სახეზე ეფერება.

ფრანცი (ერთი წუთი მიუშვებს ლენის, მოეფეროს, მერე უკან გადახტება.) - დისტანცია დაიცავი! კეთილგონივრული დისტანცია დაიცავი! გრძნობების გარეშე.

ლენი (იღიმის.) - პურიტანო!

ფრანცი - პურიტანი? (პაუზა.) ასე გგონია? (ლენის მიუახლოვდება და მხრებსა და ყელზე მიეფერება. ლენი გაიყურსება, შეცბუნებული.) პურიტანებმა ალერსი არ იციან. (მკერდზე ეფერება, ლენი აცახცახდება და თვალს დახუჭავს.) მე კი ვიცი. (ლენი მიეყრდნობა. ფრანცი მკვეთრად გაითავისუფლებს თავს.) მომშორდი! გულს მირევ!

ლენი (ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს. გაყინული სიმშვიდით.) - არა ყოველთვის!

ფრანცი - ყოველთვის! ყოველთვის! პირველი დღიდან მოყოლებული!

ლენი - დაიჩოქე! რას უდგახარ, პატიებას რატომ არ სთხოვ მათ?

ფრანცი - პატიებას რისთვის? არაფერი მომხდარა!

ლენი - და გუშინ?

ფრანცი - არაფერი, გეუბნები! სრულიად არაფერი!

ლენი - არაფერი გარდა ინცესტისა.

ფრანცი - შენ სულ აზვიადებ!

ლენი - ჩემი ძმა არა ხარ?

ფრანცი - როგორ არა, როგორ არა.

ლენი - ჩემთან არ დაწოლილხარ?

ფრანცი - სულ ოდნავ.

ლენი - მხოლოდ ერთხელაც რომ გექნა... ასე გეშინია სიტყვების?

ფრანცი (მხრებს იჩეხს.) - სიტყვები! (პაუზა.) განა სიტყვები უნდა ვეძებოთ, რომ ამ მძორის ყველა წვალეზა განვმარტოთ? (იცინის.) შენ ამტკიცებ, რომ ეს სიყვარულია? ოჰ! დაიკო! შენ აქა ხარ, მე გეხვევი, სახეობა სახეობასთან წვება, როგორც ეს ხდება ყოველ ღამე მილიარდჯერ ამ დედამიწაზე. (ჭერს მიმართავს.) მინდა განვაცხადო, რომ ფრანცს, გერლახთა ოჯახის უფროს ვაჟს, არასოდეს უსურვებია ლენი, თავისი უმცროსი და.

ლენი - ლაჩარო! (ჭერს მიმართავს.) - ჭერთა შენიღბულო ბინადარნო, საუკუნის მოწმე ცრუ მოწმეა. მე, ლენის, სისხლისადმრევ დას, მიყვარს ფრანცი და მიყვარს იმიტომ, რომ ის ჩემი ძმია. თუ თქვენ ოჯახის სულ მცირე პატივისცემა მაინც შემოგრჩათ, გაგვასამართლებთ გასაჩივრების უფლების გარეშე, მაგრამ მე ეს ფეხებზე მკიდია. (ფრანცს.) საბრალო გზაარეულო, აი, როგორ უნდა ელაპარაკო მათ. (კიბორჩხალებს.) ვუნდივარ, მაგრამ არ ვუყვარვარ, სირცხვილისგან იწვის, სიბნელეში წვება ჩემთან... მერე რა? მოგებული მე ვარ. მე მინდოდა, ის ჩემი ყოფილიყო და ის ჩემია.

ფრანცი (კიბორჩხალებს.) - გიჟია. (თვალს უკრავს მათ.) მე თქვენ აგისხნით. როცა მარტო დავრჩებით.

ლენი - გიკრძალავ! მოგკვდები, მოგკვდი უკვე და გიკრძალავ ჩემს დაცვას. მე მხოლოდ ერთი მოსამართლე მყავს: ჩემი თავი და მე ჩემს თავს ვამართლებ. ო, დაცვის მოწმე, დაამოწმე საკუთარი თავის წინაშე. შენ მოუწყვლელი გახდები, თუ გაზედავ და განაცხადებ: „მე გავაკეთე ის, რაც მსურდა და მე მსურს ის, რაც გავაკეთე.“

ფრანცი (სახე უცბად გაუქვავდება, ცივი, სიძულვილითა და მუქარით სავსე იერი აქვს. მკაცრი და უნდობელი ხმით.) - რა გავაკეთე, ლენი?

ლენი (ყვირილით.) - ფრანც! ისინი დაგლუპავენ, თუ თავს არ დაიცავ.

ფრანცი - ლენი, რა გავაკეთე?

ლენი (შეწუხებული, პოზიციას თმობს.) - რა და... უკვე გითხარი...

ფრანცი - ინცესტი? არა, ლენი, შენ ინცესტზე არ ლაპარაკობდი. (პაუზა.) რა გავაკეთე-მეთქი?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება: ისინი ერთმანეთს უყურებენ. პირველი ლენი მიატრიალებს თავს.

ლენი - კარგი. წავაგე: დაივიწყე. შენი დახმარების გარეშეც დაგიცავ: მიჩვეული ვარ.

ფრანცი - წადი აქედან! (პაუზა.) თუ არ დამიჯერებ, მდუმარე გაფიცვას გამოვაცხადებ. შენ იცი, რომ ორი თვე შემიძლია, გავძლო.

ლენი - ვიცი. (პაუზა.) მე კი არ შემიძლია. (კართან მივა, კეტს ასწევს, ურდულს გადაატრიალებს.) სადამოს ვახშამს ამოგიტან.

ფრანცი - აზრი არა აქვს: არ გაგიღებ.

ლენი - შენი საქმისა შენ იცი. ჩემი საქმე ისაა, მოგიტანო. (ფრანცი არ პასუხობს. გასვლისას კიბორჩხალებს მიმართავს.) თუ კარს არ გამიღებს, ღამე მშვიდობისა, ჩემო ლამაზებო!

ლენი კარს გამოიხურავს.

სცენა მეორე

ფრანცი, მარტო

მიტრიალდება, ერთ წუთს შეიცდის, კეტს დაუშვებს და ურდულს გასწევს. ამ ქმედების დროს სახე მოკრუნჩხული აქვს.

როგორც კი თავს უსაფრთხოდ დაიგულებს, მოეშვება. თავდაჯერებული, თითქმის უშუალო გამომეტყველება აქვს; მაგრამ სწორედ ამ დროს მოჩანს ყველაზე შეშლილად. მთელი სცენის განმავლობაში მისი სიტყვები კიბორჩხალებისკენაა მიმართული. ეს არ არის მონოლოგი, არამედ დიალოგი უჩინარ პერსონაჟებთან.

ფრანცი - საეჭვო მოწმეა. მოუსმინეთ ჩემი თანდასწრებით და ჩემი მითითებების შესაბამისად. (პაუზა. მისი იერი თავდაჯერებული, დაღლილი და ძალზე რბილია.) ჰა?

დამღლელია? რაც არის, არის: დამღლელი ითქმის სწორედ. მაგრამ რა ცეცხლი აქვს! (ამთქნარებს.) მისი მთავარი მოვალეობა ისაა, ფხიზლად ვყავდე. (ამთქნარებს.) უკვე ოცი წელია, ამ საუკუნეში შუაღამეა: ვერ არის მთლად მოსახერხებელი, თვალდია დარჩე შუაღამისას. არა, არა: უბრალო თვლელმა. ხანდახან მემართება, მარტო როცა ვარ. (თვლელმა ერევა.) არ უნდა გამეგდო. (ბარბაცებს, უცებ გაიმართება, სამხედრო ნაბიჯით მივა მაგიდასთან. ნიჟარებს აიღებს და ჰიტლერის პორტრეტს დაუშენს, ყვირილით.) ზიგ! ჰაილ! ზიგ! ჰაილ! ზიგ! (გასწორდება, ქუსლებს ერთმანეთს მიატყვამს.) ფიურერო, მე ჯარისკაცი ვარ. თუ ჩამეძინება, ეს სერიოზული , ძალზე სერიოზული ამბავი იქნება: პოსტის მიტოვება. შემოგფიცავ, რომ ვიფხიზლებ. ეი, თქვენ, მოანათეთ პროექტორები! კაშკაშა შუქი; პირდაპირ სიფათში, შიგ თვალებში, ეს აღვიძებს. (იცდის.) სალახანებო! (სკამისკენ მიდის. რბილი და შემრიგებლური ხმით.) კარგი, ცოტას ჩამოვჯდები... (ჯდება, თავს აკანტურებს. თვალებს ახამხამებს.) ვარდები... ოჰ! რა მშვენიერია... (ისე მკვეთრად წამოდგება, რომ სკამს გადააყირავებს.) ვარდები? თაიგულს თუ დავიჭერ, კარნავალის სამიზნე აღმოვჩნდები. (კიბორჩხალებს მიმართავს.) ურცხვი კარნავალის! ჩემკენ, მეგობრებო, მე მეტისმეტად ბევრი ვიცი, დიდი ცდუნება სწავთ,მიწაში ჩამაძვრინონ! (საწოლთან, ტუმბოსთან მიდის, კოლოფიდან აბებს ამოიღებს და კვნეტს.) ფუჰ! ძვირფასო მსმენელებო, ჩაინიშნეთ ჩემი ახალი მოწოდება: De profundis clamavi*, D.P.C. ისმინეთ ყველამ! იღრჭიალეთ! იღრჭიალეთ! თუ არ მომისმენთ, დამეძინება. (ჭიქაში შამპანურს ჩამოისხამს, სითხის ნახევარს მუნდირზე ჩამოიწუწებს, ხელს დაბლა დაუშვებს, ტანის სიგრძეზე. ბოკალი თითის წვერებზე ჰკიდია.) ამასობაში საუკუნე მიჰქრის... თავში ბამბა ჩამიტენეს. ნისლი. ყველაფერი თეთრია. (თვალებს ახამხამებს.) მინდვრებამდე ჩამოწოლილა... იცავს მათ. ცოცავენ. ამაღამ სისხლი დაიღვრება.

შორიდან მოისმის სროლა, ხმაური, სირბილის ხმა. ფრანცს ძილი მოერევა, თვალებს დახუჭავს. ფელდფებელი ჰერმანი აღებს ტუალეტის კარს და ფრანცისკენ მიიწევს, რომელიც მაყურებლისკენაა მიბრუნებული, თვალდახუჭული. სამხედრო სალამს მისცემს და სწორდება.

სცენა მესამე

ფრანცი, ფელდფებელი ჰერმანი

ფრანცი (გაწელილი ხმით და თვალაუხელად.) - პარტიზანები?

ფელდფეხელი - ოციოდე.

ფრანცი - დახოცილები?

ფელდფეხელი - არა. ორი დაჭრილი.

ფრანცი - ჩვენები?

ფელდფეხელი - ისინი. ბელელში ჩაამწყვდიეს.

ფრანცი - თქვენ იცით ჩემი ბრძანებები. წადით!

ფელდფეხელი ყოყმანით და ბრაზით შესცქერის.

ფელდფეხელი - კეთილი, ლეიტენანტო.

სამხედრო სალამს აძლევს. ტუალეტის კარიდან გადის და კარს მიიხურავს. სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცს მკერდზე აქვს ჩამოვარდნილი თავი. საშინლად დაიღრიალებს და გამოიღვიძებს.

სცენა მეოთხე

ფრანცი, მარტო

ელვძიება, წამოხტება და თავგზააარეული შესცქერის მაყურებელს.

ფრანცი - არა! ჰაინრიხ! ჰაინრიხ! არა-მეთქი! (მძიმედ წამოდგება, მაგიდიდან სახაზავს აიღებს და მარცხენა ხელის თითებზე ირტყამს. კარგად დასწავლილივით.) რა თქმა უნდა, კი! (სახაზავის დარტყმები.) ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. როგორ ამბობდა? (ლენის მიერ მისი მისამართით ნათქვამ სიტყვებს იმეორებს.) მე ვაკეთებ იმას, რაც მსურს. (დევნილი სახით.) 3059 წლის 20 მაისის სხდომა, ფრანც ფონ გერლახი, ლეიტენანტი. ნუ მოისვრით ჩემს საუკუნეს სანაგვეზე. ჯერ მომისმინეთ. ბოროტება, ბატონო მოსამართლენო, ბოროტება, ეს იყო ერთადერთი მასალა. მას ჩვენს ქარხნებში გადაამუშავებდნენ. სიკეთე კი მზა პროდუქტი გახლდათ. აქედან შედეგი: სიკეთე ბოროტებად მიიქცეოდა. და არ გეგონოთ, რომ ბოროტება იქცეოდა სიკეთედ. (იღიმება, კეთილი სახით. თავს ხრის.) ჰა? (ყვირის.) თვლელმა? კარგი ერთი! ჭკუასუსტობა. თავი

უნდათ, დამიზიანონ. ფრთხილად იყავით, მოსამართლენო: მე თუ მოვიშლები, ჩემი საუკუნე შთაინთქმება. საუკუნეთა ფარას ქეციანი ცხვარი აკლია. რას იტყვის მეორმოცე, ფეხსახსრიანებო, თუკი მეოცეს გზა აერია? (პაუზა.) საშველი არ არის? არასოდეს არ არის საშველი? დაე, აღსრულდეს ნება თქვენი. (ავანსცენას უყურებს და მიდის, რომ დაჯდეს.) აჰ! არაფრით არ უნდა გამეგდო. (კარზე აკაკუნებენ. ფრანცი უსმენს და წამოდგება. ეს დათქმული სიგნალია. სიხარულის შეძახილი.) ლენი! (კართან მიირბენს, კეტს ასწევს, ურდულს ახსნის, მტკიცე და დაჯერებული ჟესტებით. სავსებით გამოფხიზლებულია. აღებს რა კარს.) მალე შემოდი! (უკან მიდგამს ნაბიჯს, რომ ლენი შემოუშვას.)

სცენა მეხუთე

ფრანცი, იოჰანა

კარის ზღურბლზე გამოჩნდება იოჰანა, ძალიან ლამაზი, მაკიაჟით, გრძელი კაბით. ფრანცი უკან დგამს ერთ ნაბიჯს.

ფრანცი (ხრინწიანი ყვირილით.) - ჰა! (უკან იხევს.) ეს რა არის? (იოჰანას სურს უპასუხოს, ფრანცი შეაჩერებს.) არც ერთი სიტყვა! (უკან იხევს და ჯდება. დიდხანს შესცქერის იოჰანას მხედარივით გადამჯდარი თავის სკამზე: მონუსხული გამომეტყველება აქვს. თავს იქნევს თანხმობის ნიშნად და შეკავებული ხმით ამბობს.) დიახ. (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) ის შემოვა... (იოჰანა აკეთებს იმას, რასაც ფრანცი ამბობს.) ... და მე დავრჩები მარტო. (კიბორჩხალებს მიმართავს.) გმადლობთ, ამხანაგებო! ძალიან მჭირდებოდა თქვენი დახმარება. (ერთგვარი ექსტაზით.) ის გაჩუმდება, და არყოფნაში დაინთქმება: მე მას შევხედავ!

იოჰანა (ისინიც მონუსხული ჩანდა. თავს მოერევა. ლაპარაკობს ღიმილით, შიშს რომ გაუმკლავდეს.) - და მაინც საჭიროა, რომ დაგელაპარაკოთ.

ფრანცი (უკუსვლით მოშორდება იოჰანას, ნელა, ისე, რომ თვალს არ აშორებს.) - არა! (მაგიდას ურტყამს ხელს.) ვიცოდი, რომ ყველაფერს გააფუჭებდა. (პაუზა.) ახლა აქ ვიღაცაა. ჩემს ოთახში! გაუჩინარდით! (იოჰანა არ ინძრევს.) მათხოვარივით გავაძევებინებ თქვენს თავს.

იოჰანა - ვის გააძევებინებთ?

ფრანცი (ყვირის.) - ლენი! (პაუზა.) პატარა ნათელმა თავმა სუსტი წერტილი მიპოვა: მე მარტო ვარ. (მკვეთრად მოტრიალდება. პაუზა.) ვინა ხართ?

იოჰანა - ვერნერის ცოლი.

ფრანცი - ვერნერის ცოლი? (წამოდგება და შეხედავს.) ვერნერის ცოლი? (გაოგნებული ათვალიერებს.) ვინ გამოგზავნათ?

იოჰანა - არავინ.

ფრანცი - სიგნალი საიდან გაიგეთ?

იოჰანა - ლენისგან.

ფრანცი (მშრალად იცინის.) - ლენისგან? როგორ არა, დაგიჯერეთ!

იოჰანა - ის აკაკუნებდა. მე მას... წავასწარი და დარტყმები დავითვალე.

ფრანცი - მე გამაფრთხილეს, რომ ყველგან ჰყოფდით ცხვირს. (პაუზა.) ჰოდა, ქალბატონო, კინაღამ მომკალით. (იოჰანა იცინის.) იცინეთ! იცინეთ! შეიძლებოდა, ელდას ძირს დავეგდე. რას იზამდით? სტუმრების მიღება აკრძალული მაქვს - ჩემი გულის გამო. ეს ორგანო უეჭველად ვერ გაუძლებდა, რომ არა გაუთვალისწინებელი გარემოება: ილბალმა ინება, რომ თქვენ მშვენიერი ყოფილიყავით. ოჰ! ერთი წამიც: ყველაფერი კარგად დამთავრდა. ღმერთმა უწყის, რად მიგიჩნიეთ - იქნებ ხილვადაც. ისარგებლეთ ამ მხსნელი შეცდომით, გაუჩინარდით, ვიდრე დანაშაულს ჩაიდენდეთ!

იოჰანა - არა.

ფრანცი (ყვირის.) - მე ახლა... (იოჰანასკენ მიდის, მუქარის გამომეტყველებით, და ჩერდება. სკამზე დავარდება. პულსს ისინჯავს.) ას ორმოცი მაინც იქნება. მოუსვით აქედან, ღვთის გულისათვის, ხომ ხედავთ, საცაა ფეხებს გავფშევ!

იოჰანა - ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

ფრანცი - ჰა? (მკერდიდან ხელს იშორებს და გაკვირვებით შესცქერის იოჰანას.) ლენი მართალი იყო: თქვენ მოგისყიდეს! (დგება და თავისუფლად დადის.) ასე იოლად ვერ ჩამიგდებენ ხელში. წყნარად! წყნარად! (უცებ მიუახლოვდება იოჰანას.) საუკეთესო გამოსავალი? ვისთვის? ამქვეყნად არსებული ყველა ცრუ მოწმისთვის?

იოჰანა - ვერნერისა და ჩემთვის.

იოჰანა ფრანცს უყურებს.

ფრანცი (გამოშტერდება.) - რამეს გიშლით?

იოჰანა - თქვენ ჩვენი ტირანი ხართ.

ფრანცი - მე არც კი გიცნობთ.

იოჰანა - ვერნერს ხომ იცნობთ.

ფრანცი - მისი ნაკვთებიც აღარ მახსოვს.

იოჰანა - ჩვენ აქ ძალით გვაჩერებენ. თქვენი სახელით.

ფრანცი - ვინ?

იოჰანა - მამა და ლენი.

ფრანცი (ხალისობს.) - გცემენ? გაბამენ?

იოჰანა - არა, რა თქმა უნდა.

ფრანცი - აბა?

იოჰანა - გვაშანტაჟებენ.

ფრანცი - ეს - კი. ეს ეხერხებათ. (მშრალად იცინის. ისევ გაკვირვებული.) ჩემი სახელით? რა უნდათ?

იოჰანა - რეზერვში გვინახავენ: უბედური შემთხვევისას ჩვენ ჩავენაცვლებით.

ფრანცი (ერთობა.) - თქვენი ქმარი გამიკეთებს სუფს და თქვენ დამიგვით ოთახს? დაკერება იცით?

იოჰანა (დამონძილ უნიფორმაზე მიუთითებს.) - საკერებელი ბევრი არ იქნება.

ფრანცი - ტყუილად გგონიათ! ეს ნახვრეტები გამაგრებულია. ჩემს დას რომ ჯადოქრის თითები არ ჰქონოდა... (უცბად დასერიოზულდება.) არავითარი ცვლა: წაიყვანეთ ვერნერი ჯანდაბაში და აღარ დამენახოთ! (სკამისკენ მიდის. სანამ დაჯდება, მოტრიალდება.) ისევ აქა ხართ?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - თქვენ ვერ გამიგეთ: უკან გიბრუნებთ თქვენს თავისუფლებას.

იოჰანა - არაფერსაც არ გვიბრუნებთ.

ფრანცი - გეუბნებით, თავისუფლები ხართ-თქო.

იოჰანა - ეს სიტყვებია. ცარიელი ჰაერი.

ფრანცი - ქმედებები გვნებავს?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - მაშ, კარგი. რა უნდა გავაკეთო?

იოჰანა - ყველაფერს აჯობებდა, თავს თუ მოიკლავდით.

ფრანცი - კიდეც! (ჩაიცინებს.) ამის იმედი ნუ გექნებათ. არ გეწყინოთ.

იოჰანა (პაუზა.) - მაშინ დაგვეხმარეთ.

ფრანცი (სუნთქვაშეკრული.) - ჰა?

იოჰანა (გულმხურვალედ.) - უნდა დაგვეხმაროთ, ფრანც!

პაუზა.

ფრანცი - არა.(პაუზა.) მე ამ საუკუნეს არ ვეკუთვნი. ყველას ერთად ვიხსნი, მაგრამ ცალკე არავის დავეხმარები. ((აფორიაქებული დადის.) გიკრძალავთ, თქვენს ამბებში გამრიოთ. მე ავადა ვარ, გესმით? ამით სარგებლობენ და ყველაზე სულმდაბალ დაქვემდებარებაში მამყოფებენ, თქვენ კი უნდა გრცხვენოდეთ, თქვენ, ახალგაზრდა და ჯანმრთელი, საპყარსა და ჩაგრულს უხმობთ საშველად. (პაუზა.) მე მყიფე ვარ, ქალბატონო, და ჩემი სიმშვიდე ყველაზე მნიშვნელოვანია. სამედიცინო თვალსაზრისით. ჩემს თვალწინ რომც გაგგლიჯონ, თითსაც არ გავანძრევ. (თვითკმაყოფილებით.) ზიზღს გგვრით?

იოჰანა - უსაზღვროდ.

ფრანცი (ხელებს იფშვნეტს.) - ჩინებულია!

იოჰანა - ოღონდ ეს არ კმარა იმისთვის, რომ წავიდე.

ფრანცი - კეთილი. (იღებს რევოლვერს და იოჰანას უმიზნებს.) სამამდე ვითვლი. (იოჰანა იღიმის.) ერთი! (პაუზა.) ორი! (პაუზა.) ბახ! აღარავინ აღარ არის. ფაფუ! (კიბორჩხალებს მიმართავს.) რა სიმშვიდეა! ის დუმს. სულ ესაა, ამხანაგებო: „იყავ მშვენიერი და იყუჩე.“ ამოიკაწრა ეს სურათი თქვენს მინაზე? არაფერიც. რა უნდა ამოკაწრულიყო? არაფერი შეცვლილა; არაფერი მომხდარა. ოთახში ცრუ გასროლის სიცარიელემ გაიხმიანა, მორჩა და გათავდა. სიცარიელე, ბრილიანტი, რომელიც ნაკაწრსაც არ ამჩნევს არც ერთ მინას, არყოფნა, მშვენიერება. თქვენ მხოლოდ ცეცხლს დაინახავთ, საბრალო ფეხსახსრიანებო. თქვენ ჩვენი თვალები მიითვისეთ, რათა განგეჩხრიკათ, რაც არსებობს. მაგრამ ჩვენ, ადამიანთა ეპოქის შვილები, ამავე თვალებით იმასაც ვხედავდით ხოლმე, რაც არ არსებობს.

იოჰანა (მშვიდად.) - მამა მალე მოკვდება.

სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცი რევოლვერს გადააგდებს და მკვეთრი მოძრაობით წამოდგება.

ფრანცი - გამორიცხულია! ლენიმ მითხრა, რომ კაჟივით ჯანმრთელია.

იოჰანა - ლენი იტყუება.

ფრანცი (დარწმუნებით.) - ყველასთან, ჩემ გარდა: ასეთია თამაშის წესი. (უხეშად.) წადით, თვალს მოეფარეთ, სირცხვილით უნდა იწვოდეთ. ასეთი უხეში და ასე ადვილად გასაბათილებელი ვირემმაკობა! ჰა, რაო? საათიც არ გასულა, ორჯერ მომეწვლინეთ ასეთი მშვენიერი - და ამ გაუგონარ შანსს არც კი იყენებთ! ვულგარული ხარო, ჩემო რძალო და აღარც მიკვირს, რომ ვერნერმა შეგირთოთ.

იოჰანას ზურგს შეაქცევს, ჯდება, ორ ნიჟარას ერთმანეთს შემოჰკრავს. სახე გამკაცრებული და მარტოკაცისა აქვს: იოჰანას არსებობას არ იმჩნევს.

იოჰანა (პირველადაა შეცბუნებული.) - ფრანცი! (სიჩუმე.).. . ის ექვს თვეში მოკვდება! (სიჩუმე. გადალახავს რა შიშს, მიუახლოვდება ფრანცს და მხარზე შეახებს ხელს. რეაქცია არ არის. ხელი ჩამოუვარდება. ჩუმად შესცქერის ფრანცს.) მართალი ხარო: ვერ შევძელი, მესარგებლა ჩემი შანსით. მშვიდობით!

გასვლას დააპირებს.

ფრანცი (უეცრად.) - მოიცადეთ! (იოჰანა ნელა შემოტრიალდება. ფრანცი მას ზურგს შეაქცევს.) იქ ახვია, კოლოფში. ტუმბოზე. მომაწოდეთ!

იოჰანა (ტუმბოსთან მიდის.) - ბენზედრინი: ესაა? (ფრანცი თავს უქნევს. იოჰანა კოლოფს ესვრის, ფრანცი ჰაერში იჭერს მას.) ბენზედრინს რატომ სვამთ?

ფრანცი - თქვენ რომ აგიტანოთ, იმიტომ.

ოთხ აბს გადაყლაპავს.

იოჰანა - ოთხი ერთბაშად?

ფრანცი - და ოთხიც ეს წუთია, ჯამში რვა. (სვამს.) ჩემს სიცოცხლეს ემუქრებიან, ქალბატონო, მე ეს ვიცი; თქვენ იარაღი ხარო მკვლელის ხელში. ახლა ის დროა, ზუსტად განვსაჯოთ, ჰა, რაო? და წინდახედულად. (ბოლო აბს ყლაპავს.) ნისლი იყო... (თითს მიიღებს შუბლზე.) ... აქ. მე აქ დავდგამ მზეს. (სვამს. თავს ძალას ატანს და მობრუნდება. სახე კონცენტრირებული და მკაცრი აქვს.) ეს კაბა, ეს სამკაულები, ეს ოქროს ძეწკვები, ვინ გირჩიათ ასე გამოწყობილიყავით? ასე გამოწყობილიყავით *დღეს*? მამამ გამოგგზავნათ?

იოჰანა - არა.

ფრანცი - მაგრამ კეთილი რჩევები არ დაიშურა. (იოჰანა ლაპარაკს დააპირებს.) აზრი არა აქვს! მას ისე ვიცნობ, თითქოს მე შემექმნას. და რომ არ დავმალო, აღარც კი ვიცი, ჩვენ ორიდან რომელმა რომელი შექმნა. როცა მინდა, ამოვიცნო, თუ რას ხლართავს, ტვინს გამოვირეცხავ ხოლმე და სიცარიელეს მივუბნობ: პირველივე ფიქრი, რაც

გამიჩნდება, მისია. იცით რატომ? მან მე შემქმნა სახებად თვისად - და ვგონებ, თვითონაც გადაიქცა ამ თავის ქმნილებად. (იცინის.) ვერაფერი გაიგეთ? (დაღლილი ჟესტით მოიშორებს ყველაფერს.) ეს ანარეკლების თამაშებია. (მამას აჯავრებს.) „და რაც მთავარია, იყავით მშვენიერი!“ აქ მესმის მისი ხმა. უყვარს სილამაზე ბებერ დამთხვეულს: ჰოდა ისიც იცის, რომ მეც ვერაფრით გადავფარავ მას. გარდა ჩემი საკუთარი სიგიჟისა. მისი საყვარელი ხართ? (იოჰანა თავს გადააქნევს.) ესე იგი, დაბერებულია. მაშ თანამზრახველი?

იოჰანა - აქამდე მისი მეტოქე ვიყავი.

ფრანცი - კავშირები გადაათამაშა? გიჟდება ამაზე. (უეცრად დასერიოზულდება.) ექვსი თვე?

იოჰანა - მეტი არა.

ფრანცი - გული?

იოჰანა - ყელი.

ფრანცი - კიბო? (იოჰანას ნიშანი.) დღეში ოცდაათი სიგარა! სულელი! (სიჩუმე ჩამოვარდება.) კიბო? ესე იგი, თავს მოიკლავს. (პაუზა. ფრანცი წამოდგება, აიღებს ნიჟარებს და ჰიტლერის პორტრეტს დაუშენს.) თავს მოიკლავს, ბებერო ფიურერო, თავს მოიკლავს! (სიჩუმე ჩამოვარდება. იოჰანა ფრანცს უყურებს.) რა ხდება?

იოჰანა - არაფერი. (პაუზა.) თქვენ ის გიყვართ.

ფრანცი - იმდენად, რამდენადაც საკუთარი თავი და ნაკლებად, ვიდრე ქოლერა. რა სურს? შეხედრა?

იოჰანა - არა.

ფრანცი - მით უკეთესი მისთვის. (ყვირილით.) რა მენადვლება, იცოცხლებს თუ არა! რა მენადვლება, ჩაძაღვდება თუ არა! შეხედეთ, რა მიქნა!

აიღებს აბების კოლოფს და თავის მოხსნას აპირებს.

იოჰანა (ნაზად.) - მომეცით ეს კოლოფი.

ფრანცი - ნუ ერევით.

იოჰანა (ხელს იწვდის.) - მომეცით-მეთქი.

ფრანცი - დოპინგი მჭირდება: ვერ ვიტან, ჩემს ჩვევებს რომ ცვლიან. (იოჰანა ისევ იწვდის ხელს.) მოგცემთ, ოღონდ თქვენ აღარ დამელაპარაკებით ამ სულელურ ამბავზე. შევთანხმდით? (იოჰანა გაურკვეველ ნიშანს აძლევს, რაც შეიძლება თანხმობად ჩაითვალოს.) კეთილი. (კოლოფს მისცემს.) მე ყველაფერს დავივიწყებ. ახლავ. ვივიწყებ,

რაც მსურს: ეს ძლიერებას ნიშნავს, არა? (პაუზა.) აი, ასე: Requiscat in pace*. (პაუზა.) აბა? მელაპარაკეთ!

იოჰანა - ვისზე? რაზე?

ფრანცი - ყველაფერზე, ოჯახის გარდა. თქვენზე.

იოჰანა - არაფერია სათქმელი.

ფრანცი - ეგ ჩემი გადასაწყვეტია. (ყურადღებით შესცქერის.) ხაფანგი სილამაზით, აი, რა ხართ. (გულდასმით ათვალიერებს.) ასეთ დონეზე უკვე პროფესიონალიზმია. (პაუზა.) მსახიობი ხართ?

იოჰანა - ვიყავი.

ფრანცი - მერე?

იოჰანა - ვერნერს გავყევი ცოლად.

ფრანცი - კარიერა არ აგეწყოთ?

იოჰანა - არც მაინცდამაინც.

ფრანცი - სტატისტი? ამომავალი ვარსკვლავი?

იოჰანა (ჟესტით, რომელიც უარყოფს წარსულს.) - ოჰ!

ფრანცი - ვარსკვლავი?

იოჰანა - თუ გნებავთ.

ფრანცი (ირონიული აღტაცება.) - ვარსკვლავი! და არ აგეწყოთ? რა გინდოდათ?

იოჰანა - რა გვინდა ხოლმე? ყველაფერი.

ფრანცი (ნელა.) - დიახ, ყველაფერი. არაფერი სხვა. ყველაფერი ან არაფერი. (იცინის.) ეს ცუდად მთავრდება ხოლმე, ჰო?

იოჰანა - ყოველთვის.

ფრანცი - ვერნერი? მასაც ყველაფერი უნდა?

იოჰანა - არა.

ფრანცი - რატომ გაჰყევით?

იოჰანა - იმიტომ, რომ მიყვარდა.

ფრანცი (ნაზად.) - ო, არა.

იოჰანა (აიყალყება.) - რა?

ფრანცი - მათ, ვისაც ყველაფერი უნდათ...

იოჰანა (იგივე თამაში.) - რა მათ?

ფრანცი - სიყვარული არ შეუძლიათ.

იოჰანა - მე აღარაფერი მინდა.

ფრანცი - გარდა მისი ბედნიერებისა, ვიმედოვნებ!

იოჰანა - გარდა ამისა. (პაუზა.) დაგვეხმარეთ!

ფრანცი - ჩემგან რას მოელით?

იოჰანა - თქვენს მკვდრეთით აღდგომას.

ფრანცი - მოიცა! (იცინის.) თვითმკვლელობას მთავაზობდით.

იოჰანა - ან ერთი, ან მეორე.

ფრანცი (ჩაიქირქილებას.) - ყველაფერი ცხადი ხდება! (პაუზა.) მე მკვლელობაში მედება ბრალი და დევნას ბოლო ჩემმა სამოქალაქო სიკვდილმა მოუღო. თქვენ ეს იცოდით, ასე არ არის?

იოჰანა - ვიცოდი.

ფრანცი - და თქვენ გსურთ, რომ მკვდრეთით აღვსდგე?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - გასაგებია. (პაუზა.) თუ ვერ მოვკლავთ მაზლს, ციხეში ამოვაციოფინებთ თავს. (იოჰანა მხრებს იჩეჩავს.) აქ უნდა დაველოდო პოლიციას თუ ჩავბარდე?

იოჰანა (გაბრაზებული.) - თქვენ ციხეში არ წახვალთ.

ფრანცი - არა?

იოჰანა - ცხადია, არა.

ფრანცი - მაშასადამე, ის მოაგვარებს ჩემს საქმეებს. (იოჰანა თანხმობის ნიშანს აძლევს.) ფარ-ხმალს არ ჰყრის, არა? (ირონიით, რომელიც ბოლმითაა სავსე.) რა არ იღონა ჩემთვის, სულგრძელმა ვაჟბატონმა! (ჟესტი, რომლითაც საკუთარ თავს და ოთახს აჩვენებს.) და აი, შედეგიც! (მძაფრად.) ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა!

იოჰანა (ქანცგაწყვეტილი იმედგაცრუებით.) - ოჰ! ფრანც! თქვენ ლაჩარი ხართ!

ფრანცი (მკვეთრად წამოიძვრება.) რაო? (თავს მოერევს. ხაზგასმული ცინიზმით.) - დიახაც, ვარ. მერე რა?

იოჰანა - ამათზე რას იტყვით?

თითის წვერებით მის მედლებს შეეხება.

ფრანცი - ესენი? (მოიგლეჯს ერთ მედალს, მოხსნის ვერცხლისფერ ქაღალდს. მედალი შოკოლადისაა, ფრანცი მას ჭამს.) ოჰ! ესენი ყველა მოვიგე, ჩემებია, უფლება მაქვს, შევჭამო. გმირობა ჩემი ხელობაა. მაგრამ გმირები... თქვენც იცით, ეს რაა.

იოჰანა - არა.

ფრანცი - კეთილი, ისინი ყველა ჯურისანი არიან: ჟანდარმები და ქურდები, სამხედროები და სამოქალაქოები - ცოტა სამოქალაქო -, ლაჩრები და მამაცი ადამიანებიც კი: როგორც ბაზრობაზე. ერთი საერთო შტრიხი აქვთ: მედლები. მე ლაჩარი გმირი ვარ და შოკოლადის მედლებს ვატარებ: ეს უფრო წესიერი საქციელია. თქვენც ხომ არ გინდათ? არ მოგერიდოთ: ასზე მეტი მექნება უჯრებში.

იოჰანა - სიამოვნებით.

ფრანცი მოიძრობს მედალს და გაუწოდებს. იოჰანა გამოართმევს და შეჭამს.

ფრანცი (მოულოდნელი სიუხეშით.) - არა!

იოჰანა - რა ბრძანეთ?

ფრანცი - ჩემი უმცროსი ძმის ცოლს ნებას არ მივცემ, განმსაჯოს. (ძლავრად.) მე ლაჩარი არა ვარ, ქალბატონო, და ციხისა არ მეშინია: მე ციხეში ვცხოვრობ. სამ დღესაც ვერ გაუძლებდით იმ რეჟიმს, რასაც თავს მახვევენ.

იოჰანა - მერე ეს რას ამტკიცებს? თვითონ აირჩიეთ.

ფრანცი - მე? მე არასოდეს ვირჩევ, ჩემო საბრალო მეგობარო! მე ამირჩიეს. ცხრა თვით ადრე, სანამ დავიბადებოდი, აირჩიეს ჩემი სახელი, ჩემი საქმიანობა, ჩემი ხასიათი და ჩემი ბედ-ილბალი. მე თქვენ გეუბნებით, რომ ამ განდევილის რეჟიმს თავს მახვევენ და უნდა ხვდებოდეთ, რომ, თუ არა უმნიშვნელოვანესი მიზეზი, ამას არ დავთანხმდებოდი.

იოჰანა - რა მიზეზი?

ფრანცი (ერთ ნაბიჯს გადადგამს უკან. ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) - თვალები გიბრწყინავთ. არა, ქალბატონო, აღიარებას არ ვაპირებ.

იოჰანა - კედელთანა ხართ მიყენებული, ფრანც: ან თქვენი მიზეზები ღირებული იქნება, ანდა თქვენი უმცროსი ძმის ცოლი გაგასამართლებთ გასაჩივრების უფლების გარეშე.

ფრანცს მიუახლოვდება და სურს, ერთი მედალი მოაძროს.

ფრანცი - ეს თქვენა ხართ სიკვდილი? არა, ჯობს ჯვრები აიღოთ: შვეიცარიული მოკოლადისაა.

იოჰანა (ერთ ჯვარს აიღებს.) - გმადლობთ. (ცოტათი მოშორდება.) სიკვდილი? მე მას ვგავარ?

ფრანცი - ხანდახან.

იოჰანა (სარკეს შეავლებს თვალს.) - თქვენ მე მაოცებთ. როდის?

ფრანცი - როდესაც მშვენიერი ხართ. (პაუზა.) ისინი იარაღად გიყენებენ, ქალბატონო. ისე მოაწყვეს, რომ თქვენ მოგეთხოვათ ჩემგან ანგარიში. და თუ მას ჩაგაბარებთ, ჩემს სიცოცხლეს საფრთხეს შევუქმნი. (პაუზა.) მით უარესი: რისკი თუა, რისკი იყოს, მიდით!

იოჰანა (მცირე ხნის შემდეგ.) - აქ რატომ იმალებით?

ფრანცი - ჯერ ერთი, არ ვიმალები. რომ მნდომოდა, ძიებას დავმალვოდი, კარგა ხნის წინ წავიდოდი არგენტინაში. (კედელს აჩვენებს.) ფანჯარა იყო. აქ. პარკს გადაჰყურებდა, უფრო სწორად იმას, რაც ადრე პარკი იყო.

იოჰანა - რაც ადრე პარკი იყო?

ფრანცი - ჰო. (რამდენიმე წამი ერთმანეთს შეჰყურებენ. აგრძელებს.) ამოვაშენებინე. (პაუზა.) რაღაც ხდება. გარეთ. რაღაც, რაც მე არ შემიძლია დავინახო.

იოჰანა - რა?

ფრანცი (გამომწვევად უყურებს.) - გერმანიის მკვლელობა. (ისევ იოჰანას უყურებს, სანახევროდ ვედრებით, სანახევროდ მუქარით, თითქოს უნდა, ხელი შეუშალოს ლაპარაკში: სახიფათო ზონას მიაღწიეს.) გაჩუმდით: მე ვნახე ნანგრევები.

იოჰანა - როდის?

ფრანცი - რუსეთიდან რომ დავბრუნდი.

იოჰანა - მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა.

ფრანცი - დიახ.

იოჰანა - და თქვენ გგონიათ, რომ არაფერი შეცვლილა?

ფრანცი - მე ვიცი, რომ ყველაფერი თვალდათვალ უარესდება.

იოჰანა - ლენი გაწვდით ინფორმაციას?

ფრანცი - დიახ.

იოჰანა - გაზეთებს კითხულობთ?

ფრანცი - ლენი კითხულობს ჩემს ნაცვლად. მიწასთან გასწორებული ქალაქები, დაღეწილი მანქანები, იავარქმნილი წარმოება, უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, და ტუბერკულოზი, შობადობის ვერტიკალური ვარდნა, არაფერი გამომჟღავნებს. ჩემი და იწერს ყველა სტატისტიკურ მონაცემს (მაგიდის უჯრაზე მიუთითებს.) ამ უჯრაში აწყვია; ეს არის ისტორიის ყველაზე სრულქმნილი მკვლელობა, მე ყველა სამხილი მაქვს. სულ ცოტა ოც წელიწადში და დიდი დიდი, ორმოცდაათში, უკანასკნელი გერმანელი სიცოცხლეს გამოეთხოვება. არ იფიქროთ, რომ ვწუწუნებ: ჩვენ დავმარცხდით და ყელს გვადრავენ, ეს გარდაუვალია. მაგრამ ალბათ გესმით, რომ არ მინდა, ვესწრებოდე ამ სასაკლავოს. მე არ ჩამოვუვლი ტურისტული დანგრეულ კათედრალურებსა და ნახანძრულ ფაბრიკებს, მე არ ვესტუმრები სარდაფებში მოქუჩებულ ოჯახებს, მე არ ვიხეტივარ ხეივანებში, მონათა, მოღალატეთა და ბოზთა შორის. თქვენ ალბათ შეეჩვიეთ ამ სანახაობას, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, იგი ჩემთვის აუტანელი იქნებოდა. ჩემს თვალში ლაჩრებიც სწორედ ისინი არიან, ვისაც მისი ატანა შეუძლიათ. ეს ომი უნდა მოგვეგო. ყველა საშუალებით. დიახ, ყველა საშუალებით; ჰა, რაო? ან გავმქრალიყავით. მერწმუნეთ, მეყოფოდა მხედრული სიმამაცე იმისათვის, რომ შუბლში ტყვია მეკრა, მაგრამ ვინაიდან გერმანელი ხალხი თანხმდება სულმდაბალ აგონიას, რასაც თავს ახვევენ, მე გადავწყვიტე, შემენარჩუნებინა ხმა, რათა მეყვირა „არა“. (უცრად ანერვიულდება.) არა! *დამნაშავე არ არის!* (ყვირის.) არა! (სიჩუმე.) აი, ასე.

იოჰანა (ნელა; არ იცის, რა გადაწყვიტოს.) - სულმდაბალი აგონია, რასაც თავს ახვევენ...

ფრანცი (თვალს არ აშორებს.) - მე ვთქვი: აი, ასე. სულ ეს არის.

იოჰანა (დაბნეული.) - ჰო, აი, ასე. სულ ეს არის. (პაუზა.) ესაა ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ჩაიკეტეთ?

ფრანცი - ერთადერთი მიზეზი. (სიჩუმე ჩამოვარდება. იოჰანა ჩაფიქრდება.) რა ხდება? დაასრულეთ თქვენი სამუშაო. ხომ არ შეგაშინეთ?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - რატომ, კეთილო სულო?

იოჰანა - იმიტომ, რომ თქვენ გეშინიათ.

ფრანცი - თქვენი?

იოჰანა - იმისი, რასაც მე ვიტყვი. (პაუზა.) კარგი იქნებოდა, არ მცოდნოდა ის, რაც ვიცი.

ფრანცი (დასძლევს მომაკვდინებელ შეშფოთებას, გამომწვევად.) - რა იცით თქვენ? (იოჰანა ყოყმანობს, მზერით წონიან ერთმანეთს.) ჰა? რა იცით-მეთქი? (იოჰანა არ პასუხობს. სიჩუმე. ერთმანეთს უყურებენ: ეშინიათ. კარზე აკაკუნებენ: ხუთი, ოთხი,

სამგზის ორ-ორჯერ. ფრანცი ოდნავ იღიმის. დგება და სიღრმეში არსებულ ერთ კარს გააღებს, საიდანაც აბაზანა მოჩანს. ხმადაბლა.) მხოლოდ ერთი წუთით.

იოჰანა (ჩუმად.) - მე არ დავიმალები.

ფრანცი (თითს მიიტანს ტუჩებთან.) - ჩუ! (ხმადაბლა.) თუ სიამაყე დაგძლევთ, თქვენი პატარა კომბინაციის სარგებელს დაჰკარგავთ.

იოჰანა ყოყმანობს, შემდეგ გადაწყვეტს, რომ სააბაზანო ოთახში შევიდეს. კვლავ აკაკუნებენ.

სცენა მეექვსე

ფრანცი, ლენი

ლენის ლანგარი მოაქვს.

ლენი (განცვიფრებული.) - ურდული არ გაუყარე?

ფრანცი - არა.

ლენი - რატომ?

ფრანცი (მშრალად.) - დაკითხვას მიწყო? (სწრაფად.) მომეცი ეს ლანგარი და მანდ დარჩი.

ხელიდან ლანგარს გამოართმევს და მაგიდასთან მიიტანს.

ლენი (გაოგნებული) - რა გეტაკა?

ფრანცი - ძალიან მძიმეა. (მოტრიალდება და ლენის შეხედავს.) კეთილი ქცევებისთვის საყვედურს მეუბნები?

ლენი - არა, მაგრამ შემეშინდა. კეთილი როცა ხდები, ყველაზე უარესს ველი.

ფრანცი (იცინის.) - ჰა! ჰა! (ლენი შედის და კარს დახურავს.) მე არ მითქვამს, შემოდის. (პაუზა. ქათმის ფრთას აიღებს და ჭამს.) უნდა ვივახშმო. ხვალამდე.

ლენი - მოიცადე. ბოდიში მინდა, მოგიხადო. ჩხუბი მე წამოვიწყე.

ფრანცი (გამოტენილი პირით.) - ჩხუბი?

ლენი - ჰო, წელან.

ფრანცი (გაურკვევლად.) - აჰ, ჰო! ახლახან... (ცოცხლად.) ჰოდა, მორჩა! გპატიობ.

ლენი - მე გითხარი, რომ მეშინოდა, არ შემძაგებოდი: მოვიტყუე.

ფრანცი - საუცხოოა! საუცხოოა! ყველაფერი საუცხოოა.

ჭამს.

ლენი - შენს კიბორჩხალებს ვიღებ და მათ სასამართლოს ვექვემდებარები. გინდა, რომ მე თვითონ ვუთხრა მათ? (კიბორჩხალებს მიმართავს.) ფეხსახსრიანებო, პატივს მოგაგებთ.

ფრანცი - რამ წამოგიარა?

ლენი - არ ვიცი. (პაუზა.) კიდეც ამის თქმა მინდოდა: მე მჭირდება, რომ შენ არსებობდე, შენ, გვარის მემკვიდრე, ერთადერთი, ვისი ალერსიც მაფორიაქებს ისე, რომ არ მამცირებს. (პაუზა.) მე არად ვღირვარ, მაგრამ მე გერლახად დავიბადე, ეს კი ნიშნავს, რომ გიჟივით ამაყი ვარ - და მე შემძლია, მხოლოდ გერლახს ვესიყვარულო. ინცესტი ჩემი კანონია, ჩემი ბედისწერაა. (იცინის.) ერთი სიტყვით, ჩემებურად ვამტკიცებ ოჯახურ კავშირებს.

ფრანცი (მბრძანებლურად.) - საკმარისია. ფსიქოლოგია ხვალისთვის გადავდოთ. (ლენი შეხტება, უნდობლობა დაუბრუნდება, ყურადღებით ათვალიერებს ფრანცს.) შევრიგდით, სიტყვას გაძლევ. (სიჩუმე ჩამოვარდება.) მითხარი, კუზიანი...

ლენი (შეცბება.) - რომელი კუზიანი?

ფრანცი - ვერნერის ცოლი. ლამაზი თუ მაინც არის?

ლენი - ჩვეულებრივია.

ფრანცი - გასაგებია. (პაუზა. სერიოზულად.) გმადლობ, დაიკო. შენ ის გააკეთე, რაც შეგეძლო. ყველაფერი, რაც შეგეძლო. (კარამდე მიაცილებს. ლენი დაჰყვება, მაგრამ კვლავ შეწუხებულია.) მე არ ვიყავი მთლად მოსახერხებელი ავადმყოფი, ხომ? მშვიდობით!

ლენი (ცდილობს, გაიცინოს.) - რა საზეიმოდ მემშვიდობები! ხვალ ისევ გნახავ, ხომ იცი.

ფრანცი (რბილად, თითქმის ნაზად.) - მთელი გულით ვიმედოვნებ.

კარს ალებს. იხრება და შუბლზე კოცნის. ლენი თავს სწევს, უცბად ტუჩებში აკოცებს და გადის.

სცენა მეშვიდე

ფრანცი, მარტო

კარს მიხურავს, ურდულს ჩაკეტავს, ცხვირსახოცს ამოიღებს და ტუჩებს შეიწმენდს. მაგიდასთან დაბრუნდება.

ფრანცი - არ მოტყუვდეთ, ამხანაგებო: ლენის ტყუილის თქმა არ შეუძლია. (სააბაზანო ოთახს აჩვენებს.) მატყუარა იქაა: მე მას ვამხელ, ჰა, რაო? ნუ შეშინდებით: საამისო ხრიკი ბევრი ვიცი. ამ საღამოს თქვენ დაესწრებით ცრუ მოწმის გაცამტვერებას. (შეამჩნევს, რომ ხელები უკანკალებს, რაც შეუძლია, თავს ძალას ატანს, თან ხელებს თვალს არ აშორებს.) მიდით, ჩემო პატარებო, მიდით, აბა! ასე! ასე! (ხელები თანდათან კანკალს წყვეტს. სარკეს შეავლებს თვალს, მუნდირს ჩამოქაჩავს და ქამარს გაისწორებს. შეიცვლება. პირველად, სურათის დასაწყისიდან, სრულიად ფლობს თავს. სააბაზანო ოთახის კართან მიდის, ალებს და თავს დახრის.) საქმეს შევუდგეთ, ქალბატონო!

იოჰანა შემოდის. ფრანცი კარს ხურავს და იოჰანას უკან მიჰყვება, მკაცრი, დადარაჯებული. მთელი შემდეგი სცენის განმავლობაში თვალსაჩინო იქნება, რომ ფრანცი ცდილობს, იოჰანა დაჯაბნოს.

სცენა მერვე

ფრანცი, იოჰანა

ფრანცი კვლავ კეტავს კარს. შემდეგ იოჰანას წინ დაუდგება. იოჰანა ერთ ნაბიჯს შემოსასვლელი კარისკენ გადადგამს. გაჩერდება.

ფრანცი - არ გაინძრეთ. ლენი მისაღები ოთახიდან ჯერ არ გასულა.

იოჰანა - რას აკეთებს იქ?

ფრანცი - აწესრიგებს. (კიდევ ერთი ნაბიჯი.) თქვენი ქუსლები! (კარზე აკაკუნებს ქალის ქუსლების იმიტაციისთვის. ლაპარაკისას იოჰანას თვალს არ აშორებს. იგრძნობა, რომ რისკს წონის და რომ მისი სიტყვები გათვლილია.) წასვლა მოინდომეთ, მაგრამ ჩემთვის რაღაცის გამჟღავნებას რომ აპირებდით?

იოჰანა (თავს მოუხერხებლად გრძნობს მას შემდეგ, რაც სააბაზანო ოთახიდან გამოვიდა.) - არა, არა.

ფრანცი - აჰ? (პაუზა.) მით უარესი! (პაუზა.) არაფერს იტყვით?

იოჰანა - არაფერი მაქვს სათქმელი.

ფრანცი (მკვეთრად წამოდგება.) - არა, ჩემო ძვირფასო რძალო, ეს ძალიან კომფორტული იქნებოდა. ჯერ ჩემი გათავისუფლება მოისურვეთ, მერე გადაიფიქრეთ, ახლა კი სამუდამოდ მტოვებთ დიდრონ ეჭვებთან ერთად, რომლებიც ცხოვრებას მომიწამლავს: ეს არ მოხდება! (მაგიდასთან მიდის, ორ ბოკალსა და ბოთლს აიღებს. შამპანურს ჩამოასხამს ორივე ბოკალში.) რაო, გერმანია? ფეხზე დგება? კეთილდღეობაში ვცურავთ?

იოჰანა (სასოწარკვეთილი.) - გერმანია...

ფრანცი (ძალზე სწრაფად, თან ყურებს დაიცობს.) - აზრი არა აქვს! აზრი არა აქვს! მე თქვენ არ დაგიჯერებთ. (იოჰანა მას უყურებს, მხრებს იჩეჩავს და ჩუმდება. ფრანცი დადის, მოშვებული და თავისუფალი.) ჯამში ეს მარცხია.

იოჰანა - რა?

ფრანცი - თქვენი წამოწყება.

იოჰანა - ჰო. (პაუზა. ყრუ ხმით.) თქვენ ან უნდა განიკურნოთ ან მოკვდეთ.

ფრანცი - დიახ, ბატონო. (თავაზიანად.) ალბათ სხვა გზასაც მონახავთ. (პაუზა.) თქვენი ცქერის სიამოვნება მომანიჭეთ და მე მაღლობას გიხდით ამ გულუხვობისათვის.

იოჰანა - მე გულუხვი არა ვარ.

ფრანცი - აბა რას დაარქმევთ ამ წვალებას, ამ შრომას სარკის წინ? რამდენიმე საათი ხომ წაგართვათ? რამდენი გიპრანჭიათ მხოლოდ ერთი კაცისთვის!

იოჰანა - მე ყოველ საღამოს ასე ვიქცევი.

ფრანცი - ვერნერისთვის.

იოჰანა - ვერნერისთვის. და ზოგჯერ მისი მეგობრებისთვისაც.

ფრანცი (ღიმილით აქნევს თავს.)- არა.

იოჰანა - აბა ფეთხუმივით დავიარები ოთახში? თავს არ ვუვლი?

ფრანცი - არც ეგ. (შეწყვეტს იოჰანას ყურებას, თვალებს კედლისკენ მიატრიალებს და აღწერს მას, როგორადაც წარმოუდგენია.) თქვენ გამართული დგახართ. ძალზე გამართული. თითქოს თავი წყლის ზემოთ გიჭირავთო. თმა გადაწეული. ტუჩები შეუღებავი. ნამცევი პუდრიც არ გისვიათ. ვერნერს აქვს უფლება ზრუნვის, სინაზის, კოცნის; ღიმილისა კი არასოდეს; თქვენ აღარ იღიმებით.

იოჰანა (იღიმება.) - ნათელმზილველი!

ფრანცი - განდეგილებს საგანგებო ნათელი მოსავთ, რომელიც საშუალებას აძლევთ, თავისიანები ამოიცნონ.

იოჰანა - არა მგონია, ხშირად უწევდეთ შეხვედრა.

ფრანცი - აი, ხომ ხედავთ: ხანდახან უწევთ.

იოჰანა - თქვენ მე ამომიცანით?

ფრანცი - ჩვენ ერთმანეთი ამოვიცანით.

იოჰანა - მე განდეგილი ვარ? (დგება, სარკეში იყურება, მოტრიალდება ძალზე ლამაზი და, პირველად, გამომწვევი.) ვერ ვიფიქრებდი.

ფრანცისკენ გაემართება.

ფრანცი (ცოცხლად.) - ქუსლები!

იოჰანა ფეხსაცმელებს გაიხდის და რიგ-რიგობით ესვრის მათ ჰიტლერის პორტრეტს.

იოჰანა (ფრანცთან ახლოსაა.) - მე მინახავს ვერნერის ერთი კლიენტის ქალიშვილი: ჯაჭვით დაბმული, ოცდათხუთმეტი კილო, ტილებით სავსე. მას ვგავარ?

ფრანცი - როგორც ღვიძლი და. მას ყველაფერი სურდა, ჩემი ვარაუდით: ეს კი წაგებული თამაშია. მან ყველაფერი წააგო და თავის ოთახში გამოიკეტა, რომ თავი მოეჩვენებინა, ყველაფერი უარყავიო.

იოჰანა (გაბრაზებული.) - კიდევ დიდხანს ვილაპარაკებთ ჩემზე? (უკან გადადგამს ერთ ნაბიჯს და იატაკზე მიუთითებს.) ლენი უკვე დატოვებდა მისაღებ ოთახს.

ფრანცი - ჯერ არა.

იოჰანა (მაჯის საათს დახედავს.) - საცაა, ვერნერი დაბრუნდება. რვა საათია.

ფრანცი (მძაფრად.) - არა! (იოჰანა გაოცებული შეხედავს.) აქ დროს არასოდეს ახსენებენ: აქ მარადისობაა. (დამშვიდდება.) მოითმინეთ: მალე გათავისუფლდებით.

პაუზა.

იოჰანა (გამოწვევისა და ცნობისმოყვარეობის ნაზავით.) - მაშ, განდევილი ვარ?

ფრანცი - დიახ.

იოჰანა - სიამაყის გამო?

ფრანცი - რა თქმა უნდა!

იოჰანა - რა დაგაკლდათ?

ფრანცი - საკმარისად მშვენიერი არ იყავით.

იოჰანა (ილიმება.) - პირფერო!

ფრანცი - მე იმას ვამბობ, რასაც თქვენ ფიქრობთ.

იოჰანა - თქვენ? თქვენ რას ფიქრობთ?

ფრანცი - ჩემზე?

იოჰანა - ჩემზე.

ფრანცი - რომ თქვენ შეპყრობილი ხართ.

იოჰანა - გიჟი?

ფრანცი - დასაბმელი.

იოჰანა - რას მიყვებით? თქვენს ამბავს თუ ჩემსას?

ფრანცი - ჩვენსას.

იოჰანა - თქვენ, თქვენ რითი იყავით შეპყრობილი?

ფრანცი - განა ამას სახელი აქვს? სიცარიელე. (პაუზა.) ვთქვათ: განდიდება... (იცინის.) ის დამეუფლა, მე - ვერა.

იოჰანა - სწორედაც.

ფრანცი - თქვენს თავს უთვალთვალეზდით, ჰო? ცდილობდით, წაგესწროთ? (იოჰანა თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.) გამოიჭირეთ?

იოჰანა - საქმეში ხართ? (უხალისოდ იყურება სარკეში.) *ამას ვხედავდი.* (თავის ანარეკლზე მიუთითებს. პაუზა.) უბნის კინოთეატრებში დავდიოდი. როდესაც ვარსკვლავი იოჰანა თისი სიღრმეში, კედელზე გამოსრიალდებოდა, დარბაზს ჩურჩული გადაუვლიდა. ღელავდნენ, ერთმანეთს ემოციას გადასდებდნენ. მე ვუყურებდი...

ფრანცი - და მერე?

იოჰანა - და მერე არაფერი. მე ვერც ერთხელ ვერ დავინახე ის, რასაც სხვები ხედავდნენ. (პაუზა.) თქვენ?

ფრანცი - მეც თქვენსავით ვიყავი: ხელი მომეცარა. მთელი ჯარის წინ დამაჯილდოვეს ორდენით. ვერნერს მიაჩნია, რომ მშვენიერი ხართ?

იოჰანა - იმედი მაქვს, არა. ერთადერთი კაცი, ფიქრობთ თქვენ. განა ეს ითვლება?

ფრანცი (ნელა.) - მე მიმაჩნია, რომ მშვენიერი ხართ.

იოჰანა - მით უკეთესი თქვენთვის, მაგრამ ნუ დამელაპარაკებით ამაზე. არავინ, გესმით, არავინ, მას შემდეგ, რაც მაყურებელმა ზურგი შემაქცია... (ცოტა დამშვიდდება და იცინის.) თქვენ თავს არმიის კორპუსად მიიჩნევთ.

ფრანცი - რატომაც არა? (თვალს არ აშორებს.) უნდა დამიჯეროთ, ეს თქვენი შანსია, თუ დამიჯერებთ, ურიცხვი გავხდები.

იოჰანა (ნერვულად იცინის.) - გარიგება დავდოთ: „შემოდით ჩემს სიგიჟეში, მე თქვენსაში შემოვალ.“

ფრანცი - რატომაც არა? თქვენ აღარაფერი გაქვთ დასაკარგი. რაც შეეხება ჩემს სიგიჟეს, თქვენ დიდი ხანია, მასში შემოხვედით. (შემოსასვლელ კარს უჩვენებს.) კარი როცა გაგიღეთ, მე კი არ დაგინახივართ, არამედ რაღაც სურათი ჩემს თვალებში.

იოჰანა - იმიტომ, რომ ისინი ცარიელია.

ფრანცი - სწორედ ამიტომ.

იოჰანა - ველარც ვიხსენებ, ეს რა იყო, გარდაცვლილი ვარსკვლავის ფოტო. ყველაფერი გაქრა, როდესაც თქვენ დაილაპარაკეთ.

ფრანცი - ჯერ თქვენ დაილაპარაკეთ.

იოჰანა - აუტანელი იყო. სიჩუმე უნდა დაგვერღვია.

ფრანცი - ჯადო უნდა მოგვეხსნა.

იოჰანა - ასეა თუ ისე, კარგად დამთავრდა. (პაუზა.) რა დაგემართათ? (ნერვულად იცინის.) თითქოს კამერის თვალიაო. გეყოფათ. თქვენ მოკვდით.

ფრანცი - თქვენს სამსახურში მიგულეთ. სიკვდილი სიკვდილის სარკეა. ჩემი სიდიადე თქვენს მშვენიერებას აირეკლავს.

იოჰანა - მე ცოცხლებს მინდოდა, მოვწონებოდი.

ფრანცი - ქანცგაწყვეტილ ბრბოებს, რომლებიც სიკვდილზე ოცნებობენ? თქვენ მათ აჩვენებდით მარადიული განსასვენებლის სუფთა და მშვიდ სახეს. კინო სასაფლაოა, ძვირფასო მეგობარო. რა გქვიათ?

იოჰანა - იოჰანა.

ფრანცი - იოჰანა, მე თქვენ არც მსურხართ და არც მიყვარხართ. მე თქვენი და ყველა ადამიანის მოწმე ვარ. საუკუნეთა წინაშე ვამოწმებ და ვამბობ: თქვენ მშვენიერი ხართ.

იოჰანა (მონუსხულივით.) - დიახ.

ფრანცი უხეშად ურტყამს მაგიდაზე.

ფრანცი (მკაცრი ხმით.) - აღიარეთ, რომ მოიტყუეთ: თქვით, რომ გერმანია აგონიაშია.

იოჰანა (თითქმის ტკივილით კანკალებს. ეს გამოღვიძებაა.) - ჰა! (ცახცახებს, სახე ეკრუნჩხება. ერთი წამით თითქმის მახინჯი ხდება.) თქვენ ყველაფერი გააფუჭეთ.

ფრანცი - ყველაფერი: სურათი ავრიე. (უხეშად.) და თქვენ ჩემი მკვდრეთით აღდგენა გსურდათ? არაფრის გულისთვის დაამსხვრევდით სარკეს. მე თქვენთან ჩამოვიდოდი. ოჯახურ სადილზე სუფს მივირთმევდი, ხოლო თქვენ ჰამბურგში წახვიდოდით თქვენს ვერნერთან ერთად. სად მიგვიყვანს ეს?

იოჰანა (თავს დაეუფლა. ღიმილით.) - ჰამბურგში.

ფრანცი - თქვენ იქ აღარასოდეს იქნებით მშვენიერი.

იოჰანა - არა, აღარასოდეს.

ფრანცი - აქ კი ყოველდღე იქნებით.

იოჰანა - ჰო, თუ ყოველდღე დავბრუნდები.

ფრანცი - დავბრუნდებით.

იოჰანა - კარს გააღებთ?

ფრანცი - გავაღებ.

იოჰანა (ფრანცს გამოაჯავრებს.) - სად მიგვიყვანს ეს?

ფრანცი - აქ, მარადისობაში.

იოჰანა (ილიმება.) - ორთა ბოდვაში... (დაფიქრდება. მონუსხვა გაქრა და იგრძნობა, რომ თავდაპირველ გეგმებს უბრუნდება.) კეთილი. დავბრუნდები.

ფრანცი - ხვალ?

იოჰანა - შესაძლოა, ხვალ.

ფრანცი (წყნარად. იოჰანა დუმს.) - თქვით, რომ გერმანია აგონიაშია. თქვით, თორემ სარკე ნამსხვრევებად იქცევა. (განერვიულდება, ხელები აუკანკალდება.) თქვით! თქვით! თქვით!

იოჰანა (ნელა.) - ორთა ბოდვა: დაე, იყოს. (პაუზა.) გერმანი აგონიაშია.

ფრანცი - ეს სინამდვილეა?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - ყელს გვლადრავენ?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - კეთილი. (მიაყურადებს.) ლენი წავიდა. (წამოკრეფს იოჰანას ფეხსაცმელებს, მუხლზე დადგება მის წინ და აცმევს. იოჰანა ადგება. ფრანციც დგება და თავს უკრავს, ქუსლებს ერთმანეთს მიატყამს.) ხვალამდე! (იოჰანა თითქმის კარამდე მიდის, ფრანცი უკან მიჰყვება, ურდულს გასწევს, კარს უღებს. იოჰანა თავს დაუკრავს და ოდნავ შესამჩნევად გაუღიმებს. იოჰანა გადის უკვე, როცა ფრანცი შეაჩერებს.) მოიცადეთ! (იოჰანა მობრუნდება, ფრანცი უცარი უნდობლობით შეჰყურებს.) ვინ მოიგო?

იოჰანა - რა მოიგო?

ფრანცი - პირველი ხელი.

იოჰანა - გამოიცანით.

იოჰანა გადის. ფრანცი კარს კეტავს. კეტი. ურდული. ფრანცი თითქოს შვებით ამოისუნთქებს. ოთახის შუაში დადგება.

სცენა მეცხრე

ფრანცი, მარტო

ფრანცი - უფ! (ცოტა ხნით ღიმილი შერჩება სახეზე, მერე კი ნაკვთები მოეკრუნჩხება. მას ეშინია.) De profundis clamavi! (ტანჯვა მთლიანად ეუფლება.) იღრჭიალეთ! იღრჭიალეთ! მაშ, იღრჭიალეთ! (ცახცახი აუტყდება.)

მეორე მოქმედების დასასრული

მოქმედება მესამე

ვერნერის კაბინეტი. თანამედროვე ავეჯი. სარკე. ორი კარი.

სცენა პირველი

მამა, ლენი

აკაკუნებენ. სცენა ცარიელია. კვლავ აკაკუნებენ. შემდეგ შემოდის მამა. მარცხენა ხელში პორტფელი უჭირავს; მარჯვენა ხელზე გადაკიდებული აქვს საწვიმარი. კარს მიხურავს, საწვიმარსა და პორტფელს სავარძელში ჩადებს, შემდეგ გადაიფიქრებს, კართან მიბრუნდება და გააღებს მას.

მამა (კულისებისკენ დაიძახებს.) - მე შენ გხედავ! (ხანმოკლე სიჩუმე.) ლენი!

მალევე გამოჩნდება ლენი.

ლენი (ცოტა გამოწვევით.) - აი, მეც.

მამა (თმაზე მიეფერება.) - გამარჯობა. იმალებოდი?

ლენი (ოდნავ დაიხვეს უკან.) - გამარჯობა, მამა. ვიმალებოდი, ჰო. (მამას შეხედავს.)
რანაირად გამოიყურები?

მამა - მგზავრობამ სისხლი ამიჩქროლა.

ახველებს. მშრალი და მოკლე, მტკივნეული ხველით.

ლენი - ლაიფციგში გრიპია?

მამა (ვერ ხვდება.) - გრიპი? (მიხვდა.) არა. მახველებს. (ლენი ცოტათი შეშინებული
უყურებს.) შენ რას დაგიშავებს?

ლენი (მიტრიალდა და სიცარიელეში იყურება.) იმედი მაქვს, რომ არაფერს დამიშავებს.

პაუზა.

მამა (მხიარულად.) - მაშ, მჯაშუშობდი?

ლენი (თავაზიანად.) - გითვალთვალებდით. ყველას ჩვენი ჯერი და რიგი გვაქვს.

მამა - დროს არ კარგავ: ეს-ესაა მოვედი.

ლენი - მინდოდა გამეგო, რას იზამდით, როცა მოხვიდოდით.

მამა - ხომ ხედავ: ვერნერს ვესტუმრე.

ლენი (მაჯის საათს დახედავს.) - თქვენ კარგად იცით, რომ ვერნერი ნავსაშენშია.

მამა - დაველოდები.

ლენი (გაოგნებას გაითამაშებს.) - თქვენ?

მამა - რატომაც არა?

მამა დაჯდება.

ლენი - რატომაც არა, მართლაც? (თვითონაც დაჯდება.) ჩემთან ერთად?

მამა - მარტო.

ლენი - კარგი. (წამოდგება.) რა ქენით?

მამა (გაკვირვებული.) - ლაიფციგში?

ლენი - აქ.

მამა (იგივე თამაში.) - რა ვქენი?

ლენი - მე გეკითხებით.

მამა - ექვსი დღეა, რაც წასული ვარ, ჩემო პატარავ.

ლენი - რა ქენით კვირა სადამოს?

მამა - აჰ! მებრახებ უკვე. (პაუზა.) არაფერი. ვივახშმე და დავიძინე.

ლენი - ყველაფერი შეიცვალა. რატომ?

მამა - რა შეიცვალა?

ლენი - თქვენ ეს იცით.

მამა - ეს წუთია, თვითმფრინავიდან გადმოვედი: არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს.

ლენი - მე ხომ მხედავთ.

მამა - სწორედაც. (პაუზა.) შენ არასოდეს შეიცვლები, ლენი. რაც არ უნდა მოხდეს.

ლენი - მამა! (სარკეზე მიუთითებს.) მეც ვხედავ ჩემს თავს. (სარკეს უახლოვდება.) რა თქმა უნდა, თმა ამიჩეჩეთ. (ისწორებს თმას.) როცა ჩემს თავს ვხვდები...

მამა - თავს ვეღარ ცნობ?

ლენი - საერთოდ ვეღარ ვცნობ. (ხელები ჩამოუცვივა.) ოჰ! (თავის თავს შესცქერის გამჭრიახი და გაკვირვებული მზერით.) რა არარაობაა! (ისე, რომ არც მოტრიალდება.) გუშინ ვახშამზე, იოჰანამ ფერ-უმარილი წაისვა.

მამა - აჰ? (თვალები წამით გაუბრწყინდება, მაგრამ წონასწორობას დაიბრუნებს.) მერე?

ლენი - მეტი არაფერი.

მამა - ყველა ქალი ყოველ დღე ასე იქცევა.

ლენი - საქმეც ისაა, რომ იოჰანა არასოდეს იქცევა ასე.

მამა - ალბათ, თავისი ქმარი უნდა, კვლავ ხელში ჩაიგდოს.

ლენი - თავისი ქმარი! (შეურაცხყოფელი გრიმასა.) თქვენ მისი თვალები არ გინახავთ.

მამა (იღიმება.) - არ მინახავს. რა სჭირდათ?

ლენი (მოკლედ მოსჭრის.) - ნახავთ. (პაუზა. მშრალი სიცილი.) აჰ! თქვენ ვეღარავის იცნობთ. ვერნერი ხმამაღლა ლაპარაკობს: ოთხი კაცის სამყოფს ჭამს და სვამს.

მამა - მე არ შემიცვლიხართ.

ლენი - სხვამ ვინ?

მამა - არავინ: ამ ბებერის ხახის სიგიჟეებია. კეთილი: როდესაც მამა გემშვიდობებათ... მაგრამ რა გაქვს საწუწუნო? ექვსი თვით ადრე შეგატყობინეთ. საკმარისი დრო გექნებათ შესაგუებლად და მადლობას უნდა მეუბნებოდე.

ლენი - მადლობას გეუბნებით. (პაუზა. შეცვლილი ხმით.) კვირა სადამოს თქვენ შენელებული მოქმედების ბომბი გვაჩუქეთ. სად არის ის? (მამა მხრებს იჩეჩავს და ილიმება.) მე მას ვიპოვი.

მამა - ბომბი! რატომ გინდა, რომ...?

ლენი - დიდკაცნი ამა ქვეყნისა ვერ ჰგუობენ მარტო სიკვდილს.

მამა - და მთელ ოჯახს ავაფეთქებ?

ლენი - ოჯახს, არა: თქვენ ის საკმარისად არ გიყვართ საამისოდ. (პაუზა.) ფრანცს.

მამა - საბრალო ფრანცი! მე მარტო მას წავიყვან საფლავში, როცა მთელი სამყარო იცოცხლებს ჩემ შემდეგ? ლენი, ვიმედოვნებ, რომ შენ ხელს შემიშლი.

ლენი - ჩემი იმედი გქონდეთ. (ერთ ნაბიჯს გადადგამს მამისკენ.) ვინმე თუ შეეცდება, მას მიუახლოვდეს, თქვენ უმაღლეს წახვალთ და თანაც მარტო.

მამა - კეთილი. (სიჩუმე ჩამოვარდება. დაჯდება.) სხვა არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? (ლენი ანიშნებს, რომ არა. მბრძანებლურად, მაგრამ ტონის შეუცვლელად.) წადი.

ლენი ერთი წამით უყურებს, თავს დაუკრავს და გავა. მამა ადგება, წავა კარის გასაღებად, გაიხედავს დერეფანში, რომ შეამოწმოს, ლენი ხომ არ იმალება, მიხურავს კარს, გასაღებს გადაატრიალებს, გასაღებზე ცხვირსახოცს მიაფარებს, რომ ჭუჭრუტანა დამალოს. მობრუნდება, ოთახს გადაჭრის, მივა სიღრმეში არსებულ კართან და გააღებს მას.

სცენა მეორე

მამა, შემდეგ იოჰანა

მამა (ხმამაღლა.) - იოჰანა!

ხველის შემოტევა შეაწყვეტინებს. მობრუნდება: ახლა, როცა მარტოა. თავს ვეღარ ფლობს და აშკარად იტანჯება. საწერ მაგიდასთან მიდის, გრაფინს აიღებს. ერთ ჭიქა წყალს დაისხამს და დალევს. იოჰანა შემოდის სიღრმის კარიდან და მას ზურგშექცეულს ხედავს.

იოჰანა - რა არის... (მამა მიბრუნდება.) თქვენა ხართ?

მამა (ჯერ კიდევ იხრჩობა.) - ჰო, მე ვარ! (ხელზე კოცნის იოჰანას. ხმა გამოუსწორდება.) არ მელოდით?

იოჰანა - მე თქვენ დამავიწყდით. (გონს მოდის და იცინის.) კარგად მოიარეთ?

მამა - შესანიშნავად. (იოჰანა შეხედავს გასაღებზე მიფარებულ ცხვირსახოცს.) ეს არაფერია: ახვეული თვალი. (პაუზა. იოჰანას შესცქერის.) ფერ-უმარილი არ გისვიათ.

იოჰანა - არა.

მამა - ესე იგი, ფრანცთან არ წახვალთ?

იოჰანა - მე არავისთან არ წავალ: ჩემს ქმარს ველოდები.

მამა - მაგრამ თქვენ ის ნახეთ?

იოჰანა - ვინ?

მამა - ჩემი ვაჟი.

იოჰანა - თქვენ ორი ვაჟი გყავთ და მე არ ვიცი, რომელზე მელაპარაკებით.

მამა - უფროსზე. (სიჩუმე ჩამოვარდება.) აბა, ჩემო პატარავ?

იოჰანა (შეკრთება.) - მამა?

მამა - და ჩვენი შეთანხმება?

იოჰანა (მხიარული გაოცებით.) - მართალია: თქვენ უფლება გაქვთ! რა კომედიაა! (თითქმის გულახდილად.) ყველაფერი კომიკურია, პირველი სართულზე, თქვენი სიკვდილის ამბავიც კი. როგორ ახერხებთ, რომ დარბაისლურ იერს ინარჩუნებთ? (პაუზა.) კეთილი. მე იგი ვნახე. (პაუზა.) დარწმუნებული ვარ, ვერაფერს გაიგებთ.

მამა (ის მოელოდა ამ აღიარებას, მაგრამ არ შეუძლია, მოისმინოს ერთგვარი წუხილის გარეშე.) - თქვენ ნახეთ ფრანცი? როდის? ორშაბათს?

იოჰანა - ორშაბათსაც და ყოველ მომდევნო დღესაც.

მამა - ყოველდღე? (განცვიფრებული.) ხუთჯერ?

იოჰანა - სავარაუდოდ. მე არ დამითვლია.

მამა - ხუთჯერ! (პაუზა.) ეს სასწაულია.

მამა ხელებს იფშვნეტს.

იოჰანა (ავტორიტეტულად, ხმის აწევის გარეშე.) - გეთაყვა. (მამა ისევ ჯიბეში ჩაიწყო ხელეხს.) ნუ გიხარიათ.

მამა - უნდა მაპატიოთ, იოჰანა. უკან რომ ვბრუნდებოდი, თვითმფრინავში ცივი ოფლი მასხამდა: მეგონა, ყველაფერი დავკარგე.

იოჰანა - და მერე?

მამა - ახლა ვიგებ, რომ თქვენ მას ყოველდღე ხედავთ.

იოჰანა - ეს მე ვკარგავ ყველაფერს.

მამა - რატომ? (იოჰანა მხრებს იჩეჩავს.) ჩემო პატარავ, თუკი ის კარს გიღებთ, თქვენ ორი ერთმანეთს უნდა უგებდეთ.

იოჰანა - ჩვენ ვუგებთ ერთმანეთს. (ცინიკური და მკაცრი ტონით.) როგორც ქურდბაცაცები ბაზრობაზე.

მამა (დაბნეული.) - ჰა? (სიჩუმე ჩამოვარდება.) ესე იგი, კარგი მეგობრები ხართ?

იოჰანა - ყველაფერი მეგობრების გარდა.

მამა - ყველაფერი? (პაუზა.) თქვენ გნებავთ, თქვამთ, რომ...

იოჰანა (გაუკვირდება.) - რა? (სიცილი წასკდება.) საყვარლები? წარმოიდგინეთ, რომ ამაზე არც გვიფიქრია. თქვენი გეგმებისთვის ეს აუცილებელი იყო?

მამა (ცოტა განაწყენებული.) - ბოდიშს მოვითხოვ, ჩემო რძალო, მაგრამ თქვენი ბრალია: არაფერს არ მიხსნით, რადგან გადაგიწყვეტიათ, რომ ვერაფერს გავიგებ.

იოჰანა - არაფერია ასახსნელი.

მამა (შეწუხებული.) - ოღონდაც მითხარით... ავად ხომ არ არის?

იოჰანა - ავად? (ხვდება. გამანადგურებელი ზიზღით.) ოჰ! გიჟი? (მხრებს იჩეჩავს.) ამის რა უნდა გამეგებოდეს?

მამა - თქვენ ხედავთ, როგორ ცხოვრობს.

იოჰანა - თუ ის გიჟია, მეც გიჟი ვარ. რატომაც არ უნდა ვიყვე?

მამა - ის ხომ მაინც შეგიძლიათ მითხრათ, უბედურია თუ არა?

იოჰანა (გამხიარულებული.) - მოვედით! (განდობით.) ზემოთ სიტყვებს იგივე მნიშვნელობა არა აქვთ.

მამა - კეთილი. როგორ ამბობენ, ზემოთ, რომ იტანჯებიან?

იოჰანა - არ იტანჯებიან.

მამა - აჰ?

იოჰანა - დაკავებულები არიან.

მამა - ფრანცია დაკავებული? (იოჰანა ანიშნებს.) რითი?

იოჰანა - რითი? თქვენ გინდათ თქვათ: ვისით?

მამა - დიახ: ამის თქმა მინდა. მაშ?

იოჰანა - ეს მე არ მეხება.

მამა (წყნარად.) - არ გსურთ, მასზე მელაპარაკოთ?

იოჰანა (ღრმად დაქანცული.) - რა ენაზე? გამუდმებით უნდა ვთარგმნო: ძალიან ვიღლები. (პაუზა.) მე წავალ, მამა.

მამა - თქვენ მას მიატოვებთ?

იოჰანა - მას არავინ სჭირდება.

მამა - რასაკვირველია, ეს თქვენი უფლებაა, თავისუფალი ბრძანდებით. (პაუზა.) თქვენ მე შემპირდით.

იოჰანა - მე პირობა შევასრულე.

მამა - მან იცის... (იოჰანა ანიშნებს.) რა თქვა?

იოჰანა - რომ თქვენ ბევრს ეწეოდით.

მამა - მერე?

იოჰანა - მეტი არაფერი.

მამა (ღრმად გულნატკენი.) - ასეც ვიცოდი! ეს გომბიო მარჯვნივ და მარცხნივ ატყუებს! რა არ ექნება მოროშილი ცამეტი წლის განმავლობაში...

იოჰანა ჩუმად იცინის. მამა უცებ შეჩერდება და მას შეხედავს.

იოჰანა - ხომ ხედავთ, ვერ იგებთ! (მამა გამკაცრებული უყურებს.) თქვენ რა გგონიათ, მე რას უნდა ვაკეთებდე ფრანცთან? ვატყუებ.

მამა - თქვენ?

იოჰანა - პირს ისე არ გავაღებ, ტყუილი რომ არა ვთქვა.

მამა (განცვიფრებული და თითქმის განიარაღებული.) კი მაგრამ... თქვენ სიცრუე გმაგდათ.

იოჰანა - ახლაც მძაგს.

მამა - მაშ, როგორ?

იოჰანა - აი, ასე: ვიტყუები. ვერნერს დუმილით ვატყუებ, ფრანცს - სიტყვებით.

მამა (ძალზე მშრალად.) - ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართ.

იოჰანა - რა თქმა უნდა, არა!

მამა - მართალი იყავით: მე... მე არ მესმის. საკუთარი ინტერესების საპირისპიროდ იქცევით!

იოჰანა - ვერნერის ინტერესების საპირისპიროდ.

მამა - ისინი ხომ საერთოა.

იოჰანა - უკვე აღარაფერი გამეგება.

სიჩუმე ჩამოვარდება. მამა, მცირე ხნით დაბნეული, კვლავ აღიდგენს წონასწორობას.

მამა - სხვა ბანაკში გადაბარგდით?

იოჰანა - ბანაკები არ არსებობს.

მამა - კეთილი. მაშინ მომისმინეთ: ფრანცი საბრალო მდგომარეობაშია და ვფიქრობ, თქვენ გინდოდათ, ის დაგეზოგათ. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ გააგრძელოთ ამავე გზით სიარული! თუ დაჰყვებით იმ სიბრალულს, რასაც ფრანცი შთაგაგონებთ...

იოჰანა - ჩვენ ის არ გვებრალება.

მამა - ვის, თქვენ?

იოჰანა - ლენისა და მე.

მამა - ლენი სხვა საქმეა. მაგრამ თქვენ, ჩემო რძალო, რა სახელსაც არ უნდა უწოდებდეთ თქვენს გრძნობებს, ნულა მოატყუებთ ჩემს შვილს: თქვენ მას რყვნით. (იოჰანა იღიმება. მეტი ძალით.) მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: გაიქცეს. როცა თქვენი ტყუილებით გაბერავთ, ამით ისარგებლებს და სულ ფსკერზე დაეშვება.

იოჰანა - მე არა მაქვს დრო, დიდი ზიანი მივაყენო მას: ხომ გითხარით, მივდივარ.

მამა - როდის და სად?

იოჰანა - ხვალ. სულ ერთია, სად.

მამა - ვერნერთან ერთად?

იოჰანა - არ ვიცი.

მამა - ეს გაქცევაა?

იოჰანა - დიახ.

მამა - კი მაგრამ, რატომ?

იოჰანა - ორი ენა, ორი ცხოვრება, ორი სიმართლე, არ გეჩვენებათ, რომ მეტიმეტია ერთი ადამიანისთვის? (ივინის.) დიუსელდორფელი ობლები, თუნდაც, გონებიდან ვერ მომიშორებია.

მამა - ეს რა არის? სიცრუე?

იოჰანა - ზემოური სიმართლე. მიუსაფარი ბავშვები, რომლებიც შიმშილით იხოცებიან ბანაკში. რაიმე სახით უნდა არსებობდნენ ისინი, თუკი პირველ სართულამდეც მომდევნ. წუხელ ცოტა დამაკლდა, ვერნერისთვის მეკითხა, შეგვეძლო თუ არა მათი შველა. (ივინის.) ეს არაფერი იქნებოდა. მაგრამ ზემოთ...

მამა - რა?

იოჰანა - ჩემი თავის ყველაზე დიდი მტერი მე ვარ. ჩემი ხმა იტყუება, სხეული კი ამხელს მას. ვლასარაკობ შიმშილობაზე და ვამბობ, რომ სული გვძვრება. აბა ახლა შემომხედეთ: ვგავარ ნაშიმშილებს? ფრანცი რომ მხედავდეს...

მამა - როგორ, ვერ გხედავთ?

იოჰანა - ჯერ აქამდე არ მისულა საქმე. (თითქოს თავის თავს ელაპარაკება.) მოღალატე. შთაგონებული. დამაჯერებელი. ის ლასარაკობს, მას უსმენენ. და მერე, უცებ, სარკეში თავის თავს შეამჩნევს; მკერდზე წარწერა აქვს გადაჭიმული, ერთადერთი სიტყვით, რომელსაც წაიკითხავენ, თუკი გაჩერდება: ღალატი. აი კომმარო, რომელიც ყოველ დღე მელოდება თქვენი ვაჟის ოთახში.

მამა - ეს ყველას კომმარია. ყოველდღიური და ყოველდამეური.

სიჩუმე ჩამოვარდება.

იოჰანა - შეიძლება ერთი კითხვა დაგისვას? (მამის ნიშნის შემდეგ.) რა მესაქმება მე ამ ისტორიაში? რატომ შემეყვანეთ იქ?

მამა (ძალზე მშრალად.) - ჭკუას ჰკარგავთ, ჩემო რძალო. თქვენ თვითონ გადაწყვეტით, ჩარეულიყავით.

იოჰანა - საიდან იცოდით, რომ მე ამას გადავწყვეტიდი?

მამა - მე ეს არ ვიცოდი.

იოჰანა - ნუ იტყუებით. მე რომ მსაყვედურობთ ტყუილების გამო, ნუ იჩქარებთ მაინც. ექვსი დღე დიდი დროა, თქვენ მე ის დასაფიქრებლად მომეცით. (პაუზა.) საოჯახო თათბირი მხოლოდ ჩემთვის შედგა.

მამა - არა, ჩემო პატარავ, ვერნერისთვის.

იოჰანა - ვერნერისთვის? ჰმ! თქვენ მას უტევდით იმისათვის, რომ მე დამეცვა. ფრანკთან დალაპარაკება მე მომივიდა აზრად, ვაღიარებ. უფრო სწორად, მე ვიპოვე ეს აზრი, რომელიც თქვენ ოთახში დამალეთ და ისეთი ოსტატობით მიჩვენებდით გზას, რომ ბოლოს და ბოლოს თვალში მომხვდა. მართალია თუ არა?

მამა - მე მართლაც მსურდა, რომ ჩემს ვაჟს შეხვედროდით; იმ მიზეზების გამო, რომელთაც თქვენ ძალიან კარგად იცნობთ.

იოჰანა (მძლავრად.) - იმ მიზეზების გამო, რომელთაც მე არ ვიცნობ. (პაუზა.) როდესაც ერთად შეგვყარეთ მე, ვინც იცის და ის, ვისაც არ სურს, იცოდეს, გამაფრთხილეთ, რომ ერთი სიტყვაც იკმარებდა მის მოსაკლავად?

მამა (ღირსეულად.) - იოჰანა, მე არაფერი ვიცი ჩემი შვილის შესახებ.

იოჰანა - არაფერი, გარდა იმისა, რომ ის გაქცევას ესწრაფის და რომ ჩვენ ამაში ვეხმარებით ჩვენი ტყუილებით. კარგი, რა! თქვენ ზუსტად იცით, რა თამაშს თამაშობთ: ერთი სიტყვაც იკმარებდა-თქო, გითხარით, მის მოსაკლავად და არც კი შერხეულხართ.

მამა (იღიმება.) - რა სიტყვა, ჩემო პატარავ?

იოჰანა (პირში შესცინებს.) - ფუფუნება.

მამა - რა ბრძანეთ?

იოჰანა - ეს ან რომელიმე სხვა, სიტყვა, რომელიც გააგებინებს, რომ ჩვენ ევროპის ყველაზე მდიდარი ერი ვართ. (პაუზა.) ძალზე გაოცებული არ უნდა ჩანდეთ.

მამა - არცა ვარ. თორმეტი წლის წინ მე მივხვდი ჩემი შვილის შიშებს მისი ნალაპარაკებიდან. მან დაიჯერა, რომ გერმანიის მოსპობა სურდათ და განმარტოვდა, რათა ამ განადგურების მომსწრე არ გამხდარიყო. ჩვენ რომ შეგვძლებოდა, იმ დროს, მომავლისთვის საბურველი აგვეხადა, იგი მაშინვე გამოჯანმრთელდებოდა. დღეს უფრო ძნელი იქნება მისი ხსნა: გარკვეული ჩვეულებები შეიძინა, ლენი ანებივრებს, მონასტრულ ცხოვრებას ერთგვარი კომფორტი აქვს. მაგრამ ნურაფრის გეშინიათ: მისი ავადმყოფობის ერთადერთი წამალი სიმართლეა. თავიდან უარზე იქნება, თქვენ ხომ მას გაბუტვის მიზეზებს გამოაცლით, მაგრამ მერე, ერთ კვირაში, პირველი თვითონ გეტყვით მადლობას.

იოჰანა (მძაფრად.) - რას მიედ-მოედებით! (უხეშად.) მე ის გუშინ ვნახე, თქვენთვის ეს საკმარისი არაა?

მამა - არა.

იოჰანა - იქ, ზემოთ გერმანია მეტადაა მკვდარი, ვიდრე მთვარე. თუ მე მას მკვდრეობით აღვადგენ, ის პირში ტყვიას დაიხლის.

მამა (იცინის) - არც იფიქროთ!

იოჰანა - გეუბნებით, ეს ცხადზე ცხადია.

მამა - თავისი ქვეყანა აღარ უყვარს?

იოჰანა - გიჟდება მასზე.

მამა - ჰოდა, მერე? იოჰანა, ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება.

იოჰანა - ოჰ! სწორედაც რომ არა! (იცინის ცოტა დაბნეული.) საღი აზრი! აი, რა დევს ამ თავში (მამაზე მიუთითებს.) ჩემსაში კი მისი თვალგია. (პაუზა.) შეწყვიტეთ ყველაფერი. თქვენი ჯოჯოხეთური მანქანა ხელში აგიფეთქდებათ.

მამა - მე არაფრის შეწყვეტა არ შემიძლია.

იოჰანა - მაშინ მე წავალ მის უნახავად და სამუდამოდ. სიმართლეს რაც შეეხება, მე მას ვეტყვი, მშვიდად ბრძანდებოდეთ. მაგრამ ფრანცს არა. ვერნერს.

მამა (ცოცხლად.) - არა! (თავს მოერევა.) თქვენ მხოლოდ სიავეს უზამთ მას.

იოჰანა - განა მე მას სიკეთეს ვუშვრები, კვირა დღის შემდეგ? (შორიდან ისმის ავტომობილის საყვირის ხმა.) აი, ისიც: თხუთმეტ წუთში ყველაფერი ეცოდინება.

მამა (მბრძანებლურად.) - მოიცადეთ! (იოჰანა ჩერდება, საგონებელში ჩავარდნილი. მამა კართან მიდის, ცხვირსახოცს მოაშორებს და გასაღებს გადაატრიალებს, შემდეგ იოჰანასკენ მობრუნდება.) ერთ წინადადებას გთავაზობთ. (იოჰანა ჩუმადაა, სახემოკრუნჩხული. პაუზა.) ნურაფერს უამბობთ თქვენს ქმარს. ნახეთ ფრანცი უკანასკნელად და უთხარით, რომ შეხვედრას ვთხოვ. თუ დათანხმდება, ვერნერს ფიცისგან გავათავისუფლებ და თქვენ *ორივე* წახვალთ, როცა მოგესურვებათ. (სიჩუმე ჩამოვარდება.) იოჰანა! მე თქვენ თავისუფლებას გჩუქნით!

იოჰანა - ვიცი.

ავტომობილი პარკში შემოვიდა.

მამა - ესე იგი?

იოჰანა - ამ ფასად არ მინდა.

მამა - რა ფასად?

იოჰანა - ფრანცის სიკვდილის.

მამა - ჩემო პატარავ! რა დაგემართათ? ასე მგონია, ლენის ვუსმენ.

იოჰანა - თქვენ მას უსმენთ. ჩვენ ტყუპი დები ვართ. ნუ გიკვირთ: ეს თქვენ დაგვამსგავსეთ ერთმანეთს. დედამიწის ყველა ქალი რომ დაეწყოს თქვენი ვაჟის ოთახში, ამდენივე ლენი იქნებოდა, თქვენს წინააღმდეგ განწყობილები.

მუხრუჭების ხმა. ავტომობილი სახლის სადარბაზოსთან ჩერდება.

მამა - გთხოვთ, ჯერ ნუ გადაწყვეტთ! მე გპირდებით...

იოჰანა - უსარგებლოა. დაქირავებული მკვლელები სხვა სქესის წარმომადგენლებში მოიკითხეთ.

მამა - ყველაფერს ეტყვიტ ვერნერს?

იოჰანა - დიახ.

მამა - ძალიან კარგი. და მე რომ ლენისთვის მეთქვა ყველაფერი?

იოჰანა (განცვიფრებული და შეშინებული.) - ლენისთვის, თქვენ?

მამა - რატომაც არა? ეს სახლი აფეთქდებოდა.

იოჰანა (ნერვიული კრიზისის ზღვარზე.) - ააფეთქეთ ეს სახლი! ააფეთქეთ ეს პლანეტა! ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველანი დავმშვიდდებით. (იცინის ჯერ პირქუშად და ხმადაბლა, მერე ხმას მოუმატებს მისდა უნებურად.) დავმშვიდდებით! დავმშვიდდებით! დავმშვიდდებით!

კორიდორში ნაბიჯების ხმა ისმის. მამა სწრაფად მიუახლოვდება იოჰანას, მკვეთრი მოძრაობით მხრებში ჩაავლებს ხელებს და ანჯღრევს, თან დაჟინებით შესცქერის.

იოჰანა ახერხებს დამშვიდებას. მამა მაშინვე მოშორდება, როგორც კი კარი გაიღება.

სცენა მესამე

იგივენი, ვერნერი

ვერნერი (სწრაფი ნაბიჯით შემოდის, მამას დაინახავს.) - აი თქვენც!

მამა - გამარჯობა, ვერნერ.

ვერნერი - გამარჯობა, მამა. კმაყოფილი ხართ თქვენი მოგზაურობით?

მამა - ჰა! (ხელებს იფშვნეტს ისე, რომ ვერც ამჩნევს.) კმაყოფილი, ჰო. კმაყოფილი.
ძალიან კმაყოფილიც, შესაძლოა.

ვერნერი - ჩემთან დალაპარაკება გსურდათ?

მამა - შენთან? სულაც არა. დაგტოვებთ, ჩემო ძვირფასო შვილებო. (კართან.) იოჰანა,
ჩემი წინადადება ძალაშია.

მამა გადის.

სცენა მეოთხე

იოჰანა, ვერნერი

ვერნერი - რა წინადადება?

იოჰანა - გეტყვი.

ვერნერი - არ მინდა, აქ მოდიოდეს და ცხვირს გვიყოფდეს ჩვენს საქმეებში.
(კარადიდან შამპანურის ბოთლი და ორი ბოკალი გამოაქვს, ბოკლებს საწერ მაგიდაზე
დებს და ბოთლის გახსნას იწყებს.) შამპანური?

იოჰანა - არ მინდა.

ვერნერი - ძალიან კარგი. მარტო დავლევ.

იოჰანა ბოკლებს გასწევს.

იოჰანა - ამ საღამოს არა, მჭირდება.

ვერნერი - მაკვირვებ. (უყურებს. მკვეთრად.) რაც არ უნდა იყოს, დალევას ხელს არ
შეუშლის. (საცობს ამოაგდებს. იოჰანა მსუბუქად შეჰყვირებს. ვერნერი სიცილს
დაიწყებს, ორივე ბოკალს შეავსებს და ცოლს შეხედავს.) ღმერთმანი, გემინია!

იოჰანა - განერვიულებული ვარ.

ვერნერი (ერთგვარი კმაყოფილებით.) - გეუბნები, გემინია-თქო. (პაუზა.) ვისი? მამის?

იოჰანა - მისიც.

ვერნერი - და გინდა, რომ დაგიცვა? (ქირქილით, მაგრამ ცოტა უფრო მოშვებული.) როლები შეიცვალა. (თავის ბოკალს ერთი მოსმით დაცლის.) მიაშბე, რა გაწუხებს. (სიჩუმე ჩამოვარდება.) ასე ძნელია? მოდი! (იოჰანა არ ინძრევს. ვერნერი თავისკენ მიიზიდავს, იოჰანა დამაბულია.) მხარზე დამადე თავი. (თითქმის ძალით ხრის იოჰანას თავს. პაუზა. ვერნერი სარკეში იყურება და იღიმება.) ახლა ყველაფერი წესრიგშია. (მცირე სიჩუმე.) ილაპარაკე, ჩემო ძვირფასო!

იოჰანა (თავს სწევს, რომ შეხედოს.) - ფრანცი ვნახე.

ვერნერი (გაბრაზებული ხელს ჰკრავს იოჰანას.) - ფრანცი! (იოჰანას ზურგს შეაქცევს, საწერ მაგიდასთან მიდის, კიდევ ერთ ბოკალ შამპანურს დაისხამს, ერთ ყლუპს მოსვამს, დინჯად, იოჰანასკენ შემობრუნდება, დამშვიდებული, მომღიმარი.) მით უკეთესი! მთელ ოჯახს გაიცნობ. (იოჰანა მას უყურებს, შეცბუნებული.) როგორ მოგეწონა, ჩემი უფროსი ძმა, ნამდვილი კარადა, ჰა? (ისევ გაოგნებული, იოჰანა თავით უარს ანიშნებს.) მოიცა! (ხალისით) მოიცა! მოიცა! ხომ არ შეილახა? (იოჰანას ლაპარაკი უჭირს.) ჰა, რაო?

იოჰანა - შენ მასზე მაღალი ხარ.

ვერნერი (იგივე თამაში.) - ჰა! ჰა! (პაუზა.) და მისი ლამაზი ოფიცრის სამოსი? კიდევ აცვია?

იოჰანა - ლამაზი სამოსი აღარ არის.

ვერნერი - დაიდონმა? მითხარით ერთი, მაშ, ძალიან შელანძლულა ეს საბრალო ფრანცი. (იოჰანას დამაბული დუმილი. ვერნერი თავის ბოკალს აიღებს.) მისი გამოჯანმრთელებისა იყოს! (ბოკალს ასწევს, შემდეგ ამჩნევს, რომ იოჰანას ხელში არაფერი უჭირავს, მეორე ბოკალს მოიტანს და იოჰანას გაუწვდის.) მივუჯახუნოთ! (იოჰანა ყოყმანობს. ბრძანებით.) აიღე ეს ბოკალი.

იოჰანას სახე გაუმკაცრდება, ბოკალს აიღებს.

იოჰანა (გამომწვევად.) -ფრანცს გაუმარჯოს!

იოჰანა მოინდომებს, ვერნერს ბოკალი მიუჯახუნოს. ვერნერი სწრაფად წაიღებს უკან თავის ბოკალს.

ერთხანს ერთმანეთს უყურებენ, საგონებელში ჩავარდნილები. შემდეგ ვერნერს სიცილი წასკდება და ბოკლის შიგთავსს იატაკზე გადაღვრის.

ვერნერი (მმაფრად, მაგრამ მხიარულად.) - არ არის მართალი! არ არის მართალი! (იოჰანას განცვიფრება. ვერნერი ცოლისკენ მიდის.) შენ ის არასოდეს გინახავს. არც ერთი წამით არ გაგიცურებია. (სახეში შესვინებს.) და ურდული, ჩემო პატარავ? და რკინის კეტი? მათ სიგნალი აქვთ, ეჭვი არ შეგეპაროს.

იოჰანა (გაყინული სახე დაიბრუნა.) - სიგნალი აქვთ და მე ის ვიცი.

ვერნერი (ისევ იცინის.) - აბა საიდან? ლენის ჰკითხავდი!

იოჰანა - მამას ვკითხე.

ვერნერი (გულზე მოხვდა.) - აჰ! (ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. საწერ მაგიდასთან მიდის, ბოკალს დადებს და ჩაფიქრდება. იოჰანასკენ მოტრიალდება: მხიარულ სახეს ინარჩუნებს, მაგრამ იგრძნობა, რომ თავს ძალას ატანს.) მაშ, კარგი! ეს უნდა მომხდარიყო. (პაუზა.) მამაჩემი არაფერს აკეთებს არაფრისათვის: რა სარგებელი აქვს ამ ამბავში?

იოჰანა - ეგ მეც მინდა, ვიცოდე.

ვერნერი - რა შემოგთავაზა ამ წუთას?

იოჰანა - ფიცისგან გაგათავისუფლებს, თუ ფრანცი შეხვედრაზე დათანხმდება.

ვერნერი (მოღუშული და უნდობელი ხდება. მისი უნდობლობა იზრდება შემდეგი რეპლიკების დროს.) შეხვედრა?... და ფრანცი დათანხმდება?

იოჰანა (დარწმუნებით.) - დიახ.

ვერნერი - და მერე?

იოჰანა - არაფერი. თავისუფლები ვიქნებით.

ვერნერი - თავისუფლები რისთვის?

იოჰანა - რომ აქედან წავიდეთ.

ვერნერი (მშრალი სიცილი, მკაცრად.) - ჰამბურგში?

იოჰანა - სადაც მოვისურვებთ.

ვერნერი (იგივე თამაში.) - საუცხოოა! (მკაცრად იცინის.) ჰოდა, ჩემო ცოლო, ეს არის ყველაზე დიდი ჭიჭილაყი, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მოხვედრია ჩემს უკანალს.

იოჰანა (განცვიფრებული.) - ვერნერ, მამა ერთი წამითაც არ ფიქრობს...

ვერნერი - თავის უმცროს ვაჟზე? რა თქმა უნდა, არა. ფრანცი დაიკავებს ჩემს კაბინეტს, ჩაჯდება ჩემს სავარძელში და დალევს ჩემს შამპანურს, თავის ნიჟარებს ჩემი საწოლის ქვეშ შეყრის. გარდა ამისა, ვინმე იფიქრებს ჩემზე? მე სათვალავში მაგდებენ? (პაუზა.) მოხუცმა აზრი შეიცვალა: ეს არის და ეს.

იოჰანა - შენ რა, არაფერი გესმის?

ვერნერი - მე მესმის, რომ მამას უნდა, ჩემი ძმა წარმოების სათავეში დააყენოს. მე ისიც მესმის, რომ შენ შეგნებულად გაუწიე მათ შუამავლობა: ოღონდაც აქაურობას მომამშორო და რა გენადვლება, თუ წიხლით მომამშორებენ. (იოჰანა ცივად შესცქერის. საშუალებას აძლევს, გააგრძელოს, არც ცდილობს, აუხსნას.) ჩემს ადვოკატის კარიერას ამსხვრევინ, რათა ამ საშინელ შენობაში მეთვალყურეობის ქვეშ მაცხოვრონ, ჩემი ბავშვობის ძვირფას მოგონებათა შორის; ერთ მშვენიერ დღეს, უძღვები შვილი თანხმდება, დატოვოს თავისი ოთახი, მსუქან ხბოს დაუკლავენ, მე გარეთ გამისვრიან და ყველა კმაყოფილია, ჩემი ცოლით დაწყებული! ჩინებული ამბავია, არა? მოჰყვები ხოლმე, ჰამბურგში. (საწერ მაგიდასთან მიდის, შამპანურს ისხამს და სვამს. მისი სიმთვრალე, მსუბუქი, მაგრამ თვალსაჩინო, აქტის ბოლომდე სულ მატულობს.) ჩემოდნებს რაც შეეხება, მაინც ნუ იჩქარებ ჩალაგებას. რადგანაც, იცი, რა? მე ჯერ ვფიქრობ, დავყვე მათ თუ არა. (მძლავრად.) წარმოება ჩემია და მე მას შევინარჩუნებ: კარგად ნახავენ, თუ რად ვღირვარ. (საწერ მაგიდას მიუჯდება. მშვიდი და ავმეხსიერი ხმით, მნიშვნელობის მსუბუქი ხაზგასმით.) ახლა კი დამტოვე: უნდა დავფიქრდე.

პაუზა.

იოჰანა (აუჩქარებლად, ცივი და მშვიდი ხმით.) - წარმოებაზე არ არის ლაპარაკი: მას არავინ გეცილება.

ვერნერი - არავინ, გარდა მამაჩემისა და მისი ვაჟისა.

იოჰანა - ფრანცი ნავსაშენს არ უხელმძღვანელებს.

ვერნერი - იმიტომ, რომ?

იოჰანა - მას ეს არ სურს.

ვერნერი - არ სურს თუ არ შეუძლია?

იოჰანა (უხალისოდ.) - ერთიცა და მეორეც. (პაუზა.) და მამამ ეს იცის.

ვერნერი - მერე?

იოჰანა - მერე ის, რომ ფრანცის ნახვა სურს სიკვდილის წინ.

ვერნერი (ცოტა შვებით, მაგრამ უნდობლად.) - რაღაც საეჭვოა.

იოჰანა - ძალიან საეჭვოა, მაგრამ ეს შენ არ გეხება.

ვერნერი დგება და იოჰანასთან მიდის. თვალებში უყურებს. იოჰანა თვალს უსწორებს.

ვერნერი - გიჯერებ. (სვამს. იოჰანა თავს მიატრიალებს, გაღიზიანებული.) უნიჭო! (იცინის.) და ყველაფერთან ერთად უძღვური. კვირას მამა უშნო ქონს ახსენებდა.

იოჰანა (ცოცხლად.) - ფრანცი ძვალი და ტყავიდაა დარჩენილი.

ვერნერი - ჰო, პატარა ღიპით, როგორც ყველა პატიმარი. (სარკეში უყურებს თავის თავს და ტორსს გამოზნექს, თითქმის გაუცნობიერებლად.) უნიჰო. ჩამოძონძილი. სანახევროდ შეშლილი. (იოჰანასკენ მიტრიალდება.) შენ მას შეხვდი... ბევრჯერ?

იოჰანა - ყოველ დღე.

ვერნერი - მაინტერესებს, სალაპარაკოს რას პოულობთ. (დადის ახალი თავდაჯერებით.) „არ არის ოჯახი ნაგვის გარეშე“. აღარ მახსოვს, ვისი ნათქვამია. საშინელებაა, მაგრამ სიმართლეა, ჰა? ოღონდ აქამდე ნაგავი ჩემი თავი მეგონა. (იოჰანას მხრებზე ხელებს დააწყობს.) გმადლობ, ჩემო ცოლო: შენ მე გამათავისუფლე. (ბოკლის აღებას დააპირებს, იოჰანა შეაკავებს.) მართალი ხარ: შამპანური აღარ გვინდა! (ორივე ბოკალს ხელით გადაგვის, ბოკლები ძირს ეცემა და იმსხვრევა.) ბოთლებს გავუგზავნი ჩემი სახელით. (იცინის.) შენ რაც შეგეხება, მეტად აღარ ნახავ მას: გიკრძალავ.

იოჰანა (ისევ გაყინული.) - ძალიან კარგი. წამიყვანე აქედან.

ვერნერი - გეუბნები, შენ მე გამათავისუფლე . რას აღარ წარმოვიდგენდი, ხომ გესმის. ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება.

იოჰანა - არა ჩემთვის.

ვერნერი - არა? (იოჰანას შესცქერის, სახე ეცვლება, მსუბუქად მოიხრება მხრებში.) მაშინაც კი, თუ შემოგფიცავ, რომ გამოვიცვლები და ყველას ჩემს ჭკუაზე ვატარებ?

იოჰანა - მაშინაც კი.

ვერნერი (უხეშად.) - შენ მასთან იწექი! (მშრალი სიცილი.) მითხარი, არ გაგიბრაზდები: მას ოღონდ დაესტვინა და ქალები ზურგზე ეცემოდნენ. (იოჰანას უყურებს გაბოროტებული სახით.) კითხვა დაგისვი.

იოჰანა (ძალიან მკაცრად.) - არასოდეს გაპატიებ, თუ პასუხის გაცემას მაიძულებ.

ვერნერი - მიპასუხე და ნუ მაპატიებ.

იოჰანა - არა.

ვერნერი - არ წევხართ. კეთილი! მაგრამ ამის სურვილით კვდები.

იოჰანა - (სიმკვეთრის გარეშე, მაგრამ ერთგვარი სიძულვილით) - გულისამრევი ხარ.

ვერნერი (ღიმილით და გაბოროტებული.) - მე გერლახი ვარ. მიპასუხე.

იოჰანა - არა.

ვერნერი - მაშინ რისი გეშინია?

იოჰანა (ისევ გაყინული.) - სანამ შენ შეგხვდებოდი, სიკვდილმა და სიგიჟემ მიმიზიდეს. ზემოთ, ყველაფერი თავიდან იწყება. მე ეს არ მინდა. (პაუზა.) მისი კიბორჩხალების მასზე მეტად მჯერა.

ვერნერი - იმიტომ, რომ გიყვარს.

იოჰანა - იმიტომ, რომ ისინი ნამდვილები არიან. გიჟები სიმაღლეს ამბობენ, ვერნერ.

ვერნერი - მართლაც. რა სიმაღლეს?

იოჰანა - სიმაღლე ერთია: ცხოვრების საშინელება. (გზნება დაუბრუნდება.) არ მინდა! არ მინდა! მირჩევნია, თავი მოვიტყუო. თუ გიყვარვარ, მიხსენი. (ჟესტით ჭერს აჩვენებს.) ეს თავსახური მსრესს. წამიყვანე ქალაქში, სადაც ყველაფერი ყველასთვისაა, სადაც ყველა თავს იტყუებს. ქარს გავყვით. შორიდან მომავალ ქარს. ჩვენ ერთმანეთს ვიპოვით, ვერნერ, გეფიცები!

ვერნერი (უეცარი და ველური გამძაფრებით.) - ვიპოვით? ჰა! და როგორ დამეკარგებოდი, იოჰანა? შენ ჩემი არასოდეს ყოფილხარ. მოდი, არ გინდა ეს ლაპარაკი! მე არ მჭირდებოდა შენი მზრუნველობა. სხვა რამე შემომაჩეჩე! მე ქალი მინდოდა და მისი გვამი მქონდა მხოლოდ. მით უარესი, თუ გაგიჟდები: ჩვენ აქ დავრჩებით! (იოჰანას გამოაჯაღრებს.) „დამიცავი! მიხსენი!“ როგორ? გაქცევით? (თავს მოერევა. გაბოროტებული და ცივი ღიმილით.) ნერვებს ავყევი. მაპატიე. შენ ყველაფერს გააკეთებ, რომ პატიოსან მეუღლედ დარჩე: ესაა შენი ცხოვრების როლი. მაგრამ დიდ სიამოვნებასაც მიიღებ. (პაუზა.) სადამდე უნდა წავიდეთ, ჩემი ძმა რომ დაივიწყო? სადამდე გავიქცევით? მატარებლები, თვითმფრინავები, გემები: ამდენი ორომტრიალი და ქანცის გაწყვეტა! შენ ისევ ამ გამოცარიელებელი თვალებით იყურებ: როგორც ფუფუნებაში მცხოვრები უბედურების მსხვერპლი, ოდნავაც არ შეიცვლები. მე? გიკითხავს შენი თავისთვის, მე რას ვიფიქრებ ამ ხნის განმავლობაში? რომ თავი წინასწარ დამარცხებულად გამოვაცხადე და ისე გავიქეცი, თითოც არ გამინძრევია. ლაჩარი, გესმის, ლაჩარი: აი, ასე გიყვარვარ. შეგეძლება, რომ დამამშვიდო. დედობრივად. (მთელი ძალით.) ჩვენ აქ დავრჩებით! ვიდრე ერთი სამთაგანი არ ჩაძაღლდება: შენ, ჩემი ძმა ან მე.

იოჰანა - როგორ გძულვარ!

ვერნერი - მეყვარები, როცა დაგიპყრობ. და მე ვიბრძოლებ, მშვიდად იყავი. (იცინის.) მე გავიმარჯვებ: თქვენ, ქალებს, მხოლოდ ძალა გიყვართ. ძალა კი სწორედ მე მაქვს.

იოჰანას წელზე ხელს მოხვევს და უხეშად კოცნის. იოჰანა მუშტებს დაუშენს, თავს გაითავისუფლებს და სიცილს დაიწყებს.

იოჰანა (ხარხარებს.) - ოჰ! ვერნერ, შენ გგონია, რომ ის იკბინება?

ვერნერი - ვინ? ფრანცი?

იოჰანა - სალდაფონი, რომელსაც გინდა, რომ დაემსგავსო. (პაუზა.) თუ დავრჩებით, შენს ძმასთან ყოველდღე ვივლი.

ვერნერი - ასეც ვფიქრობ. ყოველ ღამეს კი ჩემს საწოლში გაატარებ. (იცინის.) შედარება თავისთავად მოხდება.

იოჰანა (ნელა და ნაღვლიანად.) - საბრალო ვერნერი!

კარისკენ გაემართება.

ვერნერი (უცხად დაიბნევა.) - სად მიდიხარ?

იოჰანა (ბოროტი სიცილით.) - შესადარებლად.

იოჰანა კარს აღებს და გადის ისე, რომ ვერნერი ერთ ჟესტსაც არ გააკეთებს მის შესაჩერებლად.

მესამე აქტის დასასრული

მეოთხე აქტი

ფრანცის ოთახი. იგივე დეკორაცია, რაც მეორე აქტში. მაგრამ კედელზე წარწერები აღარაა. ნიჟარებიც აღარ ყრია იატაკზე. მაგიდაზე ნათურა დგას. მხოლოდ ჰიტლერის პორტრეტი რჩება თავის ადგილზე.

სცენა პირველი

ფრანცი, მარტო

ფრანცი (მარტო.) - ჭერთა შენიღბულო ბინადრებო, ყურადღება! ჭერთა შენიღბულო ბინადრებო, ყურადღება! (სიჩუმე ჩამოვარდება. ჭერისკენ.) ეჰე? (კბილებში გამოსცრის.) მე მათ ვერ ვგრნობ. (მძლავრად.) ამხანაგებო! ამხანაგებო! თქვენ გერმანია გელაპარაკებათ, წამებული გერმანია! (პაუზა, სიმხნევეს ჰკარგავს.) ეს პუბლიკა გაიყინა. (დგება და დადის.) უცნაური შთაბეჭდილებაა, გადამოწმებას არ ექვემდებარება: ამ საღამოს ისტორია შეჩერდება. გაივსო! პროგრამაშია პლანეტის აფეთქება, მეცნიერებს ღილაკზე უდევთ თითი, მშვიდობით! (პაუზა.) თუმცა ვისურვებდით გაგვეგო, რა დაემართებოდა ადამიანთა მოდემას, იმ შემთხვევაში, თუკი იგი გადარჩებოდა. (გაღიზიანებული, თითქმის აგრესიულად.) მე აქ ბოზანდარასავით ვიტყლარჭები, რომ ამათ თავი მოვაწონო და ესენი არც კი მისმენენ. (გულმხურვალედ.) ძვირფასო მსმენელებო, გემუდარებით, თუ თქვენ ყურს აღარ დამიგდებთ, თუ ცრუ მოწმეებმა თვალი აგიხვიეს... (მკვეთრად.) მოიცადეთ! (ჯიბში იქექება.) აქა მყავს დამნაშავე. (ამოიღებს მაჯის საათს, რომელიც ტყავის სამაჯურის ბოლოთი უჭირავს, ზიზღით.) ეს ცხოველი მაჩუქეს და მივქარე, რომ მივიღე. (საათს უყურებს.) თხუთმეტი წუთი! თხუთმეტი წუთით იგვიანებენ! დაუშვებელია. ამ საათს დავამსხვრევ. (საათს მაჯაზე იკეთებს.) თხუთმეტი წუთი! თექვსმეტი ახლა. (ფეთქდება.) როგორ შევინარჩუნო ჩემი საუკუნოვანი მოთმინება, თუკი ქინძისთავის ჩხვლეტებით მაღიზიანებენ? ყველაფერი ცუდად დამთავრდება. (პაუზა.) კარს არ გავუღებ: ძალიან მარტივია; მთელ ორ საათს ვაყურყუტებ კიბის ბაქანზე.

სამჯერ აკაკუნებენ. ფრანცი ჩქარობს, კარი გააღოს.

სცენა მეორე

ფრანცი, იოჰანა

ფრანცი (უკან იხევს, რომ იოჰანა შემოუშვას.) - ჩვიდმეტი!

თითით აჩვენებს მაჯის საათს.

იოჰანა - ბატონო?

ფრანცი (საათ-ავტომატის ხმით.) - ოთხი საათი, ჩვიდმეტი წუთი, ოცდაათი წამი. ჩემი ძმის ფოტო მომიტანეთ? (პაუზა.) აბა?

იოჰანა (ცუდი განწყობით.) - დიახ.

ფრანცი - მაჩვენეთ.

იოჰანა (იგივე თამაში.) - რა უნდა უქნათ?

ფრანცი (თავხედურად იცინის.) - რას უშვრებიან ფოტოს?

იოჰანა (ცოტა ყოყმანის შემდეგ.) - ინებე.

ფრანცი (ფოტოს ათვალიერებს.) - მე მას ვერ ვიცნობდი. ნამდვილი ათლეტი გამხდარა! გილოცავთ! (ფოტოს ჯიბეში ჩაიდებს.) და ჩვენი ობლები, როგორ არიან?

იოჰანა (დაბნეული.) - რომელი ობლები?

ფრანცი - რას ჰქვია, რომლები! დიუსელდორფელები.

იოჰანა - ჰო... (მკვეთრად.) დაიხოცნენ.

ფრანცი (ჭერს მიმართავს.) - კიბორჩხალებო, ისინი შვიდასნი იყვნენ. შვიდასი საბრალო ბავშვი, უსახლკარონი, მიუსაფარნი... (ჩერდება.) ჩემო ძვირფასო მეგობარო, ფეხებზე მკიდია ეს ობლები. დაე, მალე დამარხონ! გზაც იქით ჰქონიათ! (პაუზა.) აი, ხედავთ! ხედავთ, რად გადავიქეცი: ცუდ გერმანელად. და ეს თქვენი ბრალია.

იოჰანა - ჩემი ბრალია?

ფრანცი - მე უნდა მცოდნოდა, რომ იგი ყველაფერს აურევდა. ხუთი წელი მოვანდომე, დრო რომ გამეძევებინა ჩემი ოთახიდან: მის უკან დასაბრუნებლად კი თქვენ მხოლოდ ერთი წამი დაგჭირდათ. (საათს უჩვენებს.) ეს ალერსიანი ცხოველი, რომელიც ჩემს მაჯაზე კრუტუნებს და რომელსაც ჯიბეში ვიჭურთავ, როდესაც ლენის დაკაკუნება მესმის, ეს უნივერსალური დროა, ეს საათ-ავტომატის დროა, ცნობარებისა და ობსერვატორიების დროა. მე რა უნდა ვუყო მას? მე რა, უნივერსალური ვარ? (საათს უყურებს.) ეს საჩუქარი საეჭვოდ მიმაჩნია.

იოჰანა - კარგი, დამიბრუნეთ.

ფრანცი - არამც და არამც! დავიტოვებ. ოღონდ მაინტერესებს, რატომ მაჩუქეთ.

იოჰანა - ვინაიდან მე კიდევ ვცოცხლობ, ისევე, როგორც ცოცხლობთ თქვენც.

ფრანცი - რა არის სიცოცხლე? თქვენი მოლოდინი? მე აღარაფერს ველოდებოდი უახლოესი ათასი წელი. ეს ნათურა არასოდეს ქრება; ლენი მოდის, როცა მოისურვებს, მეძინა განურჩევლად, როცა თვლელმა მომერეოდა: ერთი სიტყვით, საათი არასოდეს ვიცოდი. (გაღიზიანებული.) ახლა კი დღეები და ღამეები ჯგლეთით მისდევენ ერთმანეთს. (თვალს შეავლებს საათს.) ოთხი საათი და ოცდახუთი წუთი: ჩრდილი გრძელდება, დღე იწვლება: მეჯავრება ნაშუადღევით. როდესაც წახვალთ, დაღამდება: აქ,

სრულ სინათლეში! და მე შემეშინდება. (უეცრად.) იმ საბრალო პატარებს როდის მიაბარებენ მიწას?

იოჰანა - ორშაბათს, მგონი.

ფრანცი - ღია ცისქვეშ უნდა დაასვენონ, ეკლესიის ნანგრევებში. სანთლებით განათებული შვიდასი პატარა კუბო, რომელთაც ღამეს გაუთევს დაძმონძილი ბრბო! (იოჰანას უყურებს.) ფერ-უმარილი არ წაგისვამთ?

იოჰანა - როგორც ხედავთ.

ფრანცი - დაგავიწყდათ?

იოჰანა - არა. მოსვლას არ ვაპირებდი.

ფრანცი (უხეშად.) - რაო?

იოჰანა - დღეს ვერნერის დღეა. (პაუზა.) ასეა, დიახ: შაბათი.

ფრანცი - დღე რაში სჭირდება, ყველა ღამე მისია. შაბათი?.. აჰ, დიახ: სამუშაო კვირის დასასრული. (პაუზა.) კვირაც, რასაკვირველია!

იოჰანა - რასაკვირველია!

ფრანცი - თუ სწორად გაგიგეთ, დღეს შაბათია. აჰ, ქალბატონო, საათი ამას არ ამბობს: კალენდარიც უნდა მაჩუქოთ. (ცოტას ქირქილებს, შემდეგ მძაფრად.) ორი დღე უთქვენოდ? შეუძლებელია.

იოჰანა - როგორ გგონიათ, ჩემს ქმარს მოვაკლებ იმ იშვიათ წუთებს, რომლებიც ერთად შეგვიძლია გავატაროთ?

ფრანცი - რატომაც არა? (იოჰანა იცინის, არ პასუხობს.) მას თქვენზე უფლებები აქვს? მაპატიეთ, მაგრამ უფლებები მეცა მაქვს.

იოჰანა (ერთგვარი აგრესიით.) - თქვენ? არავითარი. იოტისოდენიც არა!

ფრანცი - მე ხომ არ მომიყვანიხართ? (ყვირის.) როდის გაიგებთ, რომ ეს წვრილმანი მოლოდინები მაცდენენ, ჩემი მოვალეობა აღვასრულო. კიბორჩხალები საგონებელში არიან ჩაცვენილები: ცრუ მოწმეები ზეიმობენ. (შეურაცხყოფელად.) დალილა!

იოჰანა (გაბოროტებული სიცილი წასკდება.) - პფუ! (მასთან მივა და თავხედურად უყურებს.) თქვენ კი სამსონი? (სიცილს უმატებს.) სამსონი! სამსონი! (სიცილს წყვეტს.) მე ის სხვანაირი წარმომედგინა.

ფრანცი (თავმოწონებით.) - ეს მე ვარ. საუკუნეები ჩემზე დგანან; თუ წამოვიმართები, ისინი ჩამოიქცევიან. (პაუზა. ბუნებრივი ხმით, მწარე ირონიით.) ჯერ ერთი, სამსონი

საბრალო კაცი იყო, დარწმუნებული ვარ. (ოთახში დააბიჯებს.) როგორი დამოკიდებულებაა! (სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცი დაჯდება.) ქალბატონო, თქვენ მე მაწუხებთ.

პაუზა.

იოჰანა - მეტად აღარ შეგაწუხებთ.

ფრანცი - რა ჰქენით?

იოჰანა - ვერნერს ყველაფერი ვუთხარი.

ფრანცი - აი თურმე, რა! ვითომ რატომ?

იოჰანა (მწარედ.) - ჩემ თავსაც ამას ვეკითხები.

ფრანცი - კარგად შეხვდა ამ ამბავს?

იოჰანა - ძალიან ცუდად შეხვდა.

ფრანცი (შეწუხებული, განერვიულებული.) - მიდის აქედან? მიჰყავხართ?

იოჰანა - აქ რჩება.

ფრანცი (დამშვიდდება.) - ყველაფერი კარგადაა. (ხელებს იფშვნეტს.) ყველაფერი ძალიან კარგადაა.

იოჰანა (მწარე ირონიით.) - თვალს არ მაშორებთ! კი მაგრამ, რას ხედავთ? (ფრანცს მიუახლოვდება, თავში ხელებს წაავლებს და აიძულებს, შეხედოს.) შემომხედეთ. დიახ. აი, ასე. ახლა კი გაბედეთ და თქვით, რომ ყველაფერი ძალიან კარგადაა.

ფრანცი (იოჰანას შეხედავს და თავს გაითავისუფლებს.) - მე ვხედავ, დიახ, ვხედავ! თქვენ ჰამბურგზე გწყდებათ გული. იოლი ცხოვრება. მამაკაცთა აღტაცება და მათი წადილი. (მხრებს იჩეჩავს.) ეს თქვენი საქმეა.

იოჰანა (ნაღვლიანი და მკაცრი.) - სამსონი მხოლოდ საბრალო კაცი იყო.

ფრანცი - დიახ. დიახ. დიახ. საბრალო კაცი.

გვერდულად სიარულს იწყებს.

იოჰანა - რას აკეთებთ?

ფრანცი (ხრინწიანი და მკერდისმიერი ხმით.) - კიბორჩხალას ვასახიერებ. (განცვიფრებული თავისივე ნათქვამით.) ჰა, რაო? (იოჰანასთან მიდის, ბუნებრივი ხმით.) რატომ ვარ საბრალო კაცი?

იოჰანა - იმიტომ, რომ არაფერი გესმით. (პაუზა.) ჩვენ ჯოჯოხეთის ტანჯვა მოგვიწევს, გადავიტანოთ.

ფრანცი - ვის?

იოჰანა - ვერნერს, თქვენ და მე. (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) ის აქ ექვიანობის გამო რჩება.

ფრანცი (განცვიფრებით.) - რა?

იოჰანა - ექვიანობის გამო. ნათელია? (პაუზა. მხრებს იჩეჩავს.) თქვენ არც კი იცით, ეს რა არის. (ფრანცი იცინის.) ის ყოველდღე გამომგზავნის თქვენთან, კვირასაც კი. თვითონ ჯვარს ეცმევა ნავსაშენში, თავის უზარმაზარ მინისტრის კაბინეტში. საღამოს კი მე გადავიხდი საფასურს.

ფრანცი (გულწრფელად გაკვირვებული.) - მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო. მაგრამ ვისზე ექვიანობს? (იოჰანა მხრებს იჩეჩავს. ფრანცი ფოტოს ამოიღებს და დახედავს.) ჩემზე? (პაუზა.) უთხარით კი მას... რაღაც გადავიქეცი?

იოჰანა - ვუთხარი.

ფრანცი - და მერე?

იოჰანა - და მერე, ის ექვიანობს.

ფრანცი - ეს გარყვნილებაა! მე ავადმყოფი ვარ, შესაძლოა, გიჟიც; ვიმალები. ომმა გამტეხა, ქალბატონო.

იოჰანა - მას თქვენი სიამაყე არ გაუტეხია.

ფრანცი - და ეს საკმარისია, რომ მან იექვიანოს?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - უთხარით, რომ ჩემი სიამაყე ნაფშვვენებადაა ქცეული. უთხარით, რომ მე ვყოყლოჩინობ, რათა თავი დავიცვა. იცით, რა; უკიდურესობამდე დავეშვები: ვერნერს უთხარით, რომ მშურს.

იოჰანა - მისი?

ფრანცი - მისი თავისუფლების, მისი კუნთების, მისი ღიმის, მისი ცოლის, მისი სუფთა სინდისის. (პაუზა.) ჰა? რა მალამოდ წაეცხება მის თავმოყვარეობას!

იოჰანა - არ დამიჯერებს.

ფრანცი - მით უარესი მისთვის. (პაუზა.) თქვენ?

იოჰანა - მე?

ფრანცი - თქვენ გჯერათ ჩემი?

იოჰანა (დაურწმუნებლად, გაღიზიანებული.) - რა თქმა უნდა, არა.

ფრანცი - ქალბატონო, უტაქტობა ჩავიდინეთ: ჩემთვის ცნობილია თქვენი პირადი ცხოვრების ყოველი წუთი.

იოჰანა (მხრებს იჩეჩავს.) - ლენი გატყუებთ.

ფრანცი - ლენი თქვენზე არასოდეს ლაპარაკობს. (თავის საათს აჩვენებს.) აი ეს ენაჭარტალა: ყველაფერს მიყვება. თქვენ როგორც კი მტოვებთ, ის მესაუბრება: ცხრის ნახევარი, ოჯახური ვახშამი; ათი საათი, ყველა თავის ოთახში მიდის, პირისპირ რჩებით თქვენს ქმართან. თერთმეტი საათი, სადამოს ტუალეტი. ვერნერი წვება, თქვენ აბაზანას იღებთ. ღამის თორმეტი საათი: თქვენ მის საწოლში წვებით.

იოჰანა (თავხედურად იცინის.) - მის საწოლში. (პაუზა.) არა.

ფრანცი - ტყუპი საწოლები გაქვთ?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - სიყვარულს რომელ საწოლში ეძლევი?

იოჰანა (სასოწარკვეთილი, თავხედურად.) - ხან ერთში, ხან მეორეში.

ფრანცი (ბურღლუნით.) - არა! (ფოტოს უყურებს.) ოთხმოცი კილო! ეს ათლეტი გაგსრესთ! მოგწონთ ეს?

იოჰანა - ვინაიდან ის ავირჩიე, ესე იგი, ათლეტები მირჩევნია გაჩხიკულებს.

ფრანცი (ბურღლუნით უყურებს ფოტოს, შემდეგ ჯიბეში იღებს მას.) - სამოცი საათია, თვალი არ მომიხუჭავს.

იოჰანა - რატომ?

ფრანცი - თქვენ არ დაწვებით მასთან, როცა მე მძინავს!

იოჰანა (მშრალი სიცილით.) - მაშ, ნულარასოდეს დაიძინებთ!

ფრანცი - ასეც ვაპირებ. ამაღამ, როცა ის დაგეუფლებათ, გეცოდინებათ, რომ მე ვფხიზლობ.

იოჰანა (აგრესიით.) - ვწუხვარ, მაგრამ უნდა მოგაკლოთ ეს მარტოსულის ბინძური სიამოვნებები. დაიძინეთ ამაღამ: ვერნერი არ შემეხება.

ფრანცი (დაბნეული.) - აჰ!

იოჰანა - იმედი გაგიცრუვდათ?

ფრანცი - არა.

იოჰანა - ის ვერ შემეხება, ვიდრე აქ დავრჩებით მისი მიზეზით. (პაუზა.) იცით, რა წარმოიდგინა? რომ თქვენ მაცდუნეთ! (შეურაცხყოფელად.) თქვენ! (პაუზა.) ერთმანეთს ჰგავხართ!

ფრანცი (ფოტოს აჩვენებს.) - არა, რა თქმა უნდა.

იოჰანა - როგორ არა. ორი გერლახი, ორი განყენებული, მეოცნებე ძმა! მე ვინდა ვარ, მე? არაფერი: წამების იარაღი. თითოეული თქვენგანი ჩემში მეორის ალერსს დაეძებს. (ფრანცს მიუახლოვდება.) ამ სხეულს შეხედეთ. (ფრანცს ხელს გამოართმევს და აიძულებს მას, ხელი მხარზე ჩამოადოს.) უწინ, როდესაც ადამიანთა შორის ვცხოვრობდი, მათ არ სჭირდებოდათ, შავი მესა აღევლინათ ჩემს სასურველად. (ფრანცს მოშორდება და უკუაგდება. პაუზა. უეცრად.) მამას თქვენთან საუბარი უნდა.

ფრანცი (ნეიტრალური ტონით.) - აჰ!

იოჰანა - თუ თქვენ მას მიიღებთ, იგი ვერნერს ფიცისაგან გაათავისუფლებს.

ფრანცი (მშვიდად და ნეიტრალურად.) - და მერე? აქედან წახვალთ?

იოჰანა - ეს მხოლოდ ვერნერზე იქნება დამოკიდებული.

ფრანცი (იგივე თამაში.) - თქვენ გსურთ, ეს შეხვედრა რომ შედგეს?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი (იგივე თამაში.) - მე უარი უნდა ვთქვა თქვენს ნახვაზე?

იოჰანა - თავისთავად.

ფრანცი (იგივე თამაში.) - მე რა მომივა?

იოჰანა - თქვენს მარადისობაში დაბრუნდებით.

ფრანცი - კეთილი. (პაუზა.) მამაჩემს უთხარით...

იოჰანა (მკვეთრად.) - არა!

ფრანცი - ჰა?

იოჰანა (გაცხოველებული სიმძაფრით.) - არა! მე მას არაფერს ვეტყვი.

ფრანცი (აუღელვებლად, გრნობს, რომ გაიმარჯვა.) - საჭიროა, რომ პასუხი გავცე.

იოჰანა (იგივე თამაში.) - აზრი არა აქვს: მე არ გადავცემ.

ფრანცი - მაშ მისი თხოვნა რატომ გადმომეცით?

იოჰანა - ჩემდა უნებურად მომივიდა.

ფრანცი - თქვენდა უნებურად?

იოჰანა (ჩაიცინებს, მზერა ისევ სიძულვილითა აქვს სავსე.) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მოკვლა მინდოდა.

ფრანცი (ძალიან კეთილმოსურნედ.) - ოჰ! დიდი ხანია?

იოჰანა - ხუთი წუთია.

ფრანცი - და უკვე გაგიარათ?

იოჰანა (მომღიმარი და მშვიდი.) - სურვილი დამრჩა, ლოყები ჩამოგვაროთ. (ორივე ხელით უკაწრავს სახეს. ფრანცი ხელს არ უშლის.) აი, ასე.

იოჰანა ხელებს დაუშვებს და მოშორდება.

ფრანცი (ისევ კეთილმოსურნედ.) - ხუთი წუთი! გაგიმართლათ: თქვენი მოკვლის სურვილი მე მთელი ღამე მიგრძელდება.

სიჩუმე ჩამოვარდება. იოჰანა საწოლზე ჩამოჯდება და სიცარიელეში იყურება.

იოჰანა (თავის თავს.) - მე აღარ წავალ.

ფრანცი (რომელიც მას უთვალთვალებს.) - აღარასოდეს?

იოჰანა (არ შეხედავს.) - აღარასოდეს.

იოჰანა დაბნეულად ჩაიცინებს, ორივე ხელს გაშლის, თითქოს რაიმე ნივთი დაუვარდაო და ფეხებზე დაიხედავს. ფრანცი მას აკვირდება და იცვლება: კვლავ მანიაკალური და ქედმაღლური ხდება, როგორც მეორე მოქმედებაში.

ფრანცი - მაშინ ჩემთან დარჩით. სულ.

იოჰანა - ამ ოთახში?

ფრანცი - დიახ.

იოჰანა - არასოდეს გავიდე აქედან? (ფრანცის ნიშანი.) განდევნილობა?

ფრანცი - სწორედაც. (ლაპარაკ-ლაპარაკით დადის. იოჰანა თვალს ადევნებს. სანამ ფრანცი ლაპარაკობს, იოჰანა თანდათან თავს ერევა და მკაცრდება: იგი ხვდება, რომ ფრანცი ცდილობს, განამტკიცოს თავისი ბოძვა.) თორმეტი წელი მწვერვალების თავზე, ყინულის სახურავზე ვიცხოვრე; წყვდიადში ვისროლე მოფუთფუთე ბრჭყვიალა ასხმულა.

იოჰანა (უკვე უნდობლად.) - რა ასხმულა?

იოჰანა - მსოფლიო, ძვირფასო ქალბატონო. მსოფლიო, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. (პაუზა.) ეს უსამართლო ხარა-ხურა მკვთრებით დგება. თქვენ აღადგენთ: როდესაც მტოვებთ, იგი გარს მეხვევა, რადგან თქვენა ხართ მის შიგნით. თქვენ მე მსრესთ საქსონური შვეიცარიის ძირში, მე დავბოდიხლავ მონადირის პავილიონში ზღვის დონიდან ხუთ მეტრში. წყალი კვლავ იშვება აბაზანაში თქვენი სხეულის გარშემო. ახლა ელბა მიედინება და ბალახი იზრდება. ქალი მოღალატეა, ქალბატონო.

იოჰანა (პირქუში და გამკაცრებული.) - თუ მე ვინმეს ვღალატობ, ეს თქვენ არა ხართ.

ფრანცი - მე ვარ! მეც ვარ, ორმაგო აგენტო! ოცი საათის განმავლობაში ოცდაოთხიდან თქვენ ხედავთ, გრძნობთ, ფიქრობთ სხვებთან ერთად ჩემი ფეხსაცმლის ლანჩებს ქვემოთ: ვულგარული სამყაროს კანონებს გინდათ, დამაქვემდებაროთ. (პაუზა.) თუ თქვენ აქ ჩაგკეტავთ, აბსოლუტური სიმშვიდე დაისადგურებს: მსოფლიო უფსკრულში დაბრუნდება, თქვენ კი იქნებით მხოლოდ ის, რაც ხართ: (იოჰანაზე მიუთითებს.) ეს! კიბორჩხალები თავიანთ ნდობას დამიბრუნებენ და მე მათ დაველაპარაკები.

იოჰანა (ირონიულად.) - მე დამელაპარაკებით ხანდახან?

ფრანცი (ჭერს აჩვენებს.) - ჩვენ ერთად დაველაპარაკებით მათ. (იოჰანას სიცილი წასკდება. ფრანცი დაბნეული უყურებს მას.) უარს ამბობთ?

იოჰანა - რა არის საუარო? თქვენ კომმარს მიაგნობთ: მე ვისმენ. სულ ესაა.

ფრანცი - ვერნერს არ მიატოვებთ?

იოჰანა - გითხარით, რომ არა.

ფრანცი - მაშინ მე მიმატოვებ. აი თქვენი ქმრის ფოტო. (აწოდებს ფოტოს, იოჰანა მას ართმევს.) რაც შეეხება საათს, ის მარადისობაში გადავა ზუსტად ოთხ დარტყმაში. (საათს იხსნის და ციფერბლატს დაჰყურებს.) ჰოპ! (საათს იატაკზე აგდებს.) ამიერიდან სულ ხუთის ნახევარი იქნება. თქვენს სახსოვრად, ქალბატონო. მშვიდობით. (კართან მივა, ურდულს გააღებს, კეტს ასწევს. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცი თავს უკრავს და კარს უჩვენებს. იოჰანა აუჩქარებლად მივა შესასვლელთან, ურდულს გასწევს, კეტს დაუშვებს. შემდეგ ფრანცს დაუბრუნდება, მშვიდი, გაუღიმარი, რეალური ძალაუფლების შეგრძნებით.) კეთილი! (პაუზა.) რას აპირებთ?

იოჰანა - იმას, რასაც ორშაბათს აქეთ ვაკეთებ: წინ და უკან ვივლი.

ჟესტი.

ფრანცი - რომ არ გაგიღოთ?

იოჰანა (მშვიდად.) - გამიღებთ.

ფრანცი იხრება, იღებს საათს და ყურთან მიაქვს. სახე და ხმა ეცვლება: ერთგვარი გზნებით ლაპარაკობს. ამ რეპლიკის შემდეგ ნამდვილი თანამზრახველობა მყარდება მათ შორის გარკვეული დროით.

ფრანცი - გაგვიმართლა: საათი მუშაობს. (ციფერბლატს უყურებს.) ოთხი საათი და ოცდათერთმეტი წუთი; მარადისობას პლიუს ერთი წუთი. იტრიალეთ, იტრიალეთ, ისრებო: უნდა ვიცოცხლოთ. (იოჰანას.) როგორ?

იოჰანა - მე არ ვიცი.

ფრანცი - ჩვენ სამი გადარეული გიჟი ვიქნებით.

იოჰანა - ოთხი.

ფრანცი - ოთხი?

იოჰანა - თუ შეხვედრაზე უარს ეტყვით, მამა ლენის გააფრთხილებს.

ფრანცი - ნამდვილად იზამს.

იოჰანა - რა შეიძლება მოხდეს?

ფრანცი - ლენის გართულებები არ უყვარს.

იოჰანა - მერე?

ფრანცი - გაამარტივებს.

იოჰანა (ხელში იღებს რევილვერს, რომელიც ფრანცის მაგიდაზე დევს.) - ამით?

ფრანცი - ამით ან სხვაგვარად.

იოჰანა - მსგავს შემთხვევაში ქალები ქალს ესვრიან.

ფრანცი - ლენი მხოლოდ სანახევროდაა ქალი.

იოჰანა - სიკვდილი დაგაღონებდათ?

ფრანცი - გულწრფელად რომ ვთქვა, კი. (ჭერისკენ მიმართული ჟესტი.) ჯერ არ მიპოვია სიტყვები, რომლებიც მათ შეუძლიათ, გაიგონ. თქვენ?

იოჰანა - არ ვისურვებდი, რომ ვერნერი მარტო დარჩეს.

ფრანცი (ჩაიციინებს, დასკვნის სახით.) - ჩვენ არც სიკვდილი შეგვიძლია, არც სიცოცხლე.

იოჰანა (იგივე თამაში.) - არც შეხვედრა, არც დაშორება.

ფრანცი - მაგრად მოვემწყვდიეთ კუთხეში.

ფრანცი ჯდება.

იოჰანა - მაგრად.

იოჰანა საწოლზე ჩამოჯდება. სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცი ზურგს აქცევს იოჰანას და ერთმანეთს უხახუნებს ორ ნიჟარას.

ფრანცი (იოჰანასგან ზურგშექცევით.) - უნდა არსებობდეს გამოსავალი.

იოჰანა - არ არსებობს.

ფრანცი (მძლავრად.) - უნდა არსებობდეს რაიმე! (ნიჟარებს უხახუნებს მანიაკალური და სასოწარკვეთილი გაშმაგებით.) - ჰა, რაო?

იოჰანა - შეეშვით ამ ნიჟარებს. აუტანელია უკვე.

ფრანცი - გაჩუმდით! (ნიჟარებს ჰიტლერის პორტრეტს ესვრის.) ხომ ხედავთ, რა ძალისხმევად მიჯდება. (სანახევროდ მიბრუნდება იოჰანასკენ და აცახცახებულ ხელებს აჩვენებს.) იცით, რა მაშინებს?

იოჰანა - გამოსავალი? (ფრანცი თანხმობას ანიშნებს, ისევ მოკრუნჩხული.) სად არის ის?

ფრანცი - ჩუმად. (დგება და მოუსვენრად დადის.) ნუ მაჩქარებთ. ყველა გზა გადაღობილია, ყველაზე მცირე ბოროტების გზაც კი. რჩება ერთი გზა, რომელსაც ვერასოდეს გადაღობავენ, ვინაიდან იგი გაუვალია: ეს ყველაზე უარესის გზაა. და ჩვენ მას დავადგებით.

იოჰანა (ყვირილით.) - არა!

ფრანცი - ხომ ხედავთ, გცოდნიათ გასასვლელი.

იოჰანა (გზნებით.) - ჩვენ ბედნიერები ვიყავით.

ფრანცი - ბედნიერები ჯოჯოხეთში?

იოჰანა (გზნებით აგრძელებს.) - ბედნიერები ჯოჯოხეთში, დიახ. თქვენდა უნებურად. ჩემდა უნებურად. გთხოვთ, გევედრებით, დავრჩეთ იმად, რაც ვართ. დავიცადოთ სიტყვაუთქმელად, შეურხევლად. (მკლავში ხელს წაავლებს.) არ შევიცვალოთ.

ფრანცი - სხვები იცვლებიან, იოჰანა, სხვები შეგცვლიან ჩვენც. (პაუზა.) ფიქრობთ, რომ ლენი გვაცოცხლებს?

იოჰანა (გაშმაგებით.) - ლენის ჩემს თავზე ვიღებ. თუ სროლაა საჭირო, პირველი მე ვისვრი.

ფრანცი - ლენის თავი დავანებოთ. ჩვენ მარტონი ვართ, ერთმანეთის პირისპირ: რა მოხდება?

იოჰანა (იგივე გზნებით.) - არაფერი მოხდება! არაფერი შეიცვლება! ჩვენ ვიქნებით...

ფრანცი - ის მოხდება, რომ თქვენ მე დამანგრევთ.

იოჰანა (იგივე თამაში.) არასოდეს!

ფრანცი - თქვენ მე დამანგრევთ ნელა, დანამდვილებით, მხოლოდ თქვენი აქ ყოფნით. ჩემს სიგიჟეს უკვე ეცლება ნიადაგი: იოჰანა, ეს ჩემი თავშესაფარი იყო; რა დამემართება, როდესაც დღის სინათლეს ვიხილავ?

იოჰანა (იგივე თამაში.) - თქვენ განიკურნებით.

ფრანცი (წამოიყვირებს.) - ჰა! (პაუზა. მკაცრი სიცილით.) ჭკუასუსტი გავხდები.

იოჰანა - მე არასოდეს დაგიშავებთ რაიმეს: მე არ ვფიქრობ, რომ განკურნოთ: თქვენი სიგიჟე ჩემი გალიაა. მის კედლებს ვაწყდები.

ფრანცი (ნაღვლიანი და მწარე სინაზით.) - კედლებს აწყდებით, პატარა ციყვო? ციყვებს ბასრი კბილები აქვთ: გისოსებს გადაღრღნით.

იოჰანა - ტყუილია! ამის სურვილიც არ გამაჩნია. თქვენს ყველა ჭირვეულობას ვეწყობი.

ფრანცი - ეს - კი. მაგრამ ძალზე თვალშისაცემია. თქვენი ტყუილები აღიარებას უდრის.

იოჰანა (სახე ეღმიჭება.) - მე არასოდეს გატყუებთ!

ფრანცი - სხვას არაფერს აკეთებთ. კეთილშობილურად. კეთილგონივრულად. როგორც ყოჩაღი პატარა ჯარისკაცი. ოღონდ ძალიან ცუდად იტყუებით. კარგად რომ მოიტყუო, თავად უნდა იყო სიცრუე: როგორც ჩემს შემთხვევაში. თქვენ კი ნამდვილი ხართ. თქვენ რომ გიყურებთ, ვიცი, რომ სიმართლე არსებობს და იგი ჩემს მხარეს არაა. (იცინის.) თუ დიუსელდორფელი ობლები მართლაც არსებობენ, ნამღევს დავდებ, რომ ისინი მწყრებივით ჩაპუტკუნებულები არიან!

იოჰანა (მექანიკური ხმით და ჯიუტად.) - ისინი დაიხოცნენ! გერმანია მოკვდა!

ფრანცი (უხეშად.) - გაჩუმდით! (პაუზა.) ახლა რა? ხომ იცით ყველაზე უარესის გზა? თქვენ თვალებს მიხელთ, როცა ცდილობთ, ისინი დამიხუჭოთ. მე კი, ყოველ ჯერზე, გიხვდებით და თქვენი თანამზრახველი ვხდები, რადგან... რადგან თქვენ ჩემთვის ძვირფასი ხართ.

იოჰანა (ცოტათი თავს მოერიდა.) - მაშასადამე, თითოეული ჩვენგანი იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რაც სურს?

ფრანცი - ზუსტად.

იოჰანა (მედიდურად და წყვეტილი ხმით.) - გამოსავალი სადღაა?

ფრანცი - თითოეულმა უნდა მოინდომოს ის, რასაც იძულებით აკეთებს.

იოჰანა - მე უნდა მოვინდომო, რომ თქვენ დაგანგრიოთ?

ფრანცი - ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, რომ სიმართლე მოვინდომოთ.

იოჰანა (იგივე თამაში.) - თქვენ სიმართლეს არასოდეს მოინდომებთ. ძვლებამდე სიცრუითა ხართ გაჟღენთილი.

ფრანცი (მშრალად და დისტანცირებულად.) - ეჰ! ჩემო ძვირფასო, თავი ხომ უნდა დამეცვა. (პაუზა. უფრო თბილად.) მე მაშინვე უარს ვიტყვი ილუზიებზე, როდესაც...

ფრანცი ყოყმანობს.

იოჰანა - როდესაც?

ფრანცი - როდესაც ჩემს სიცრუეზე მეტად შეგიყვარებთ, როდესაც თქვენ შემიყვარებთ მიუხედავად ჩემი სიმართლისა.

იოჰანა (ირონიულად.) - სიმართლე გაქვთ? რომელი? ის, რომელსაც კიბორჩხალებს ეუბნებით?

ფრანცი (იოჰანას მივარდება.) - რომელი კიბორჩხალები? გაგიჟდით? რომელი კიბორჩხალები? (პაუზა. მიტრიალდება.) აჰ! დიახ. რა თქმა უნდა, დიახ. (უცხად, ერთი ამოსუნთქვით.) კიბორჩხალები ადამიანები არიან. (პაუზა.) ჰა, რაო? (ჯდება.) საიდან მოვიტანე? (პაუზა.) ვიცოდი... უწინ... დიახ, დიახ, დიახ. მაგრამ იმდენი საზრუნავი მაქვს. (პაუზა. გადაწყვეტილი.) ნამდვილი ადამიანები, კეთილები და ლამაზები, საუკუნეთა აივნებზე გამოფენილები. ჯერ ეზოში დავხოხავდი, მეგონა, რომ მათი ხმა მესმოდა: „ძმაო, ეს რა არის?“ „ეს“ მე ვიყავი... (დგება. სამხედრო სალამს იძლევა, სწორდება, მძლავრი ხმით.) მე - კიბორჩხალა. (იოჰანას მიუბრუნდება და შინაურულად ელაპარაკება.) ჰოდა, მე ვთქვი - არა: ადამიანები ვერ გაასამართლებენ ჩემს დროს. რანი იქნებიან ისინი, კაცმა რომ თქვას? ჩვენი შვილთა შვილები. განა ბიჭუკელებს უფლებას აძლევენ, პაპები გაასამართლონ? მე სიტუაცია შევაბრუნე; ვიყვირე: „აი, ადამიანი; ჩემს შემდეგ- წარღვნა; წარღვნის შემდეგ - კიბორჩხალები, *თქვენ!*“ ნილაბახდილები, ყველანი! აივნებზე ათეფხა არსებები ფუთფუთებდნენ. (საზეიმოდ.) თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანთა მოდგმამ ცუდად დაიწყო: მისი საარაკო უიღბლობა მე დავასრულე იმით, რომ მისი ცხედარი ფეხსასრიათა სასამართლოს გადავულოცე. (პაუზა. გვერდულად დადის, ნელა.) კეთილი, ისინი ადამიანები იქნებიან. (ჩუმად იცინის, დაბნეული იერი აქვს და უკუსვლით მიდის ჰიტლერის პორტრეტისკენ.) ადამიანებო, ხედავთ ამას! (უცრად აიყალყება.) იოჰანა, მე არ ვცნობ მათ კომპეტენციას, ჩამოვართმევ ამ საქმეს და თქვენ გადმოგცემთ. გამასამართლეთ.

იოჰანა (უფრო მეტად მორჩილებით, ვიდრე გაკვირვებული.) თქვენ *გაგასამართლოთ?*

ფრანცი (ყვირის.) - დაყრუვდით? (აგრესია ადგილს უთმობს შეშფოთებულ გაოცებას.) - ჰა, რაო? (გონს მოეგება. მშრალი სიცილით, თითქმის ქედმაღლურად, მაგრად პირქუშად.) თქვენ მე გამასამართლებთ, სიტყვას გაძლევთ, თქვენ მე გამასამართლებთ.

იოჰანა - ჯერ კიდევ გუშინ მოწმე იყავით, ადამიანის მოწმე.

ფრანცი - გუშინ გუშინ იყო. (შუბლზე ხელს მოისვამს.) ადამიანის მოწმე... (ივინის.) აბა, ვინ გინდათ რომ იყოს? შევხედოთ, ქალბატონო, ბავშვიც კი მიხვდება, ეს ადამიანია. ბრალდებული საკუთარი თავის მოწმეა. ვაღიარებ, მოჯადოებული წრეა. (პირქუში სიამაყით.) მე ვარ ადამიანი, იოჰანა; მე ვარ ყველა ადამიანი და მთლიანად ადამიანი, როგორც ასეთი, მე საუკუნე ვარ (უეცარი მასხრული თავის დამდაბლებით), ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა.

იოჰანა - თუ ასეა, მე სხვას გაგასამართლებ.

ფრანცი - ვის?

იოჰანა - ნებისმიერ სხვას.

ფრანცი - ბრალდებული პირობას დებს, რომ სამაგალითოდ მოიქცევა: მე დაცვის მოწმე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ, თუ გნებავთ, ბრალს დავდებ. (პაუზა.) რასაკვირველია, თქვენ თავისუფალი ხართ. მაგრამ თუ მიმატოვებთ ისე, რომ არ მომისმენთ იმის შიშით, რომ მე კარგად გამიცნობთ, თქვენ ძალაუვნებურად განაჩენს გამოიტანთ. გადაწყვეტეთ. (პაუზა. ჭერზე მიუთითებს.) მე მათ ვეუბნები, თავში რაც მომივა: არასოდეს პასუხს არ ვიღებ. ზღაპრებს ვთხზავ, სასაცილო ისტორიებსაც ვყვები, ჯერაც არ ვიცი, ყლაპავენ ამას თუ ჩემს წინააღმდეგ განწყობიან. ჩემს თავს ზემოთ დუმილის პირამიდაა, ათასწლეული, რომელიც ხმას არ იღებს: ეს მკლავს. და თუ ისინი არ მცნობენ? თუ დამივიწყეს? რა ვიქნები მე, სასამართლოს გარეშე? რა უგულებელყოფაა! „შეგიძლია, რაც გსურს, ის გააკეთო, ფეხებზე ჰკიდიათ!“ მაშ რა გამოდის? სათვალავში არა ვარ? მიწა ხვრეპს სიცოცხლეს, რომელიც ნებადართული არ არის. ასეთი იყო ძველი აღთქმა. აი, ახალიც. თქვენ იქნებით მყობადი და აწმყო, სამყარო და თავად მე; თქვენ გარეშე არაფერი იქნება: თქვენ მე დამავიწყებთ საუკუნეებს, მე ვიცოცხლებ. თქვენ მე მომისმენთ, მე თქვენს მზერას მოვიხელთებ, თქვენს პასუხს ყურს ვუგდებ; ერთ დღესაც, ალბათ, წლების შემდეგ, თქვენ ჩემს უდანაშაულობას აღიარებთ და მე ამას მივხვდები. რაოდენ დიდი დღესასწაული დადგება: თქვენ ყველაფერი იქნებით ჩემთვის და მე გავმართლდები. (პაუზა.) იოჰანა! განა ეს შესაძლებელია?

პაუზა.

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - ჩემი შეყვარება კიდევ შეიძლება?

იოჰანა (სევდიანი ღიმილით, მაგრამ ღრმა გულწრფელობით.) - საუბედუროდ.

ფრანცი დგება. გათავისუფლებულად გამოიყურება, თითქმის ბედნიერია. იოჰანასთან მივა და ხელებს მოხვევს.

ფრანცი - მე აღარასოდეს ვიქნები მარტო... (კოცნას დაუპირებს, შემდეგ მკვეთრად მოშორდება და კვლავ მანიაკალურ და მკაცრს იერს დაიბრუნებს. იოჰანა მას უყურებს, ხვდება, რომ ფრანცი თავის სიმარტოვეშია და თვითონაც მკაცრდება.) ბოდიშს ვითხოვ, იოჰანა, ცოტა ნაადრევია, მოვისყიდო მოსამართლე, რომელიც ავირჩიე.

იოჰანა - მე თქვენი მოსამართლე არა ვარ. ვინც უყვართ, იმას არ ასამართლებენ.

ფრანცი - და თუ აღარ გეყვარებით? განა ეს სამსჯავრო არ იქნებოდა? უკანასკნელი სამსჯავრო?

იოჰანა - როგორ უნდა შევძლო ეს?

ფრანცი - იმის გაგებით, თუ ვინა ვარ.

იოჰანა - ეს უკვე ვიცი.

ფრანცი (გახარებული სახით იფშვნეტს ხელებს) - ოჰ! არა. სულაც არა! სულაც არა! (პაუზა. ნამდვილი გიჟის სახე აქვს.) დადგება დღე, ყველა სხვა დღის მსგავსი, მე ჩემს თავზე ვილაპარაკებ, თქვენ მე მომისმენთ და, უეცრად, სიყვარული გაცამტვერდება! თქვენ ძრწოლით შემომხედავთ და მე ვიგრძნობ, რომ კვლავ გავხდები... (ოთხზე დგება და გვერდულად დადის.) ... კიბორჩხალა!

იოჰანა (დაზაფრული უყურებს.) - შეწყვიტეთ!

ფრანცი (ოთხზე დგას.) - ასეთი თვალები გექნებათ! ზუსტად ასეთი! (მკვირცხლად ადგება.) მსჯავრდებული, ჰა? მსჯავრდებული გასაჩივრების უფლების გარეშე! (შეცვლილი ხმით, ცერემონიულად და ოპტიმიზმით.) რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, რომ გამართლებული ვიქნე.

იოჰანა (ზიზღით და დამაბული.) - არა ვარ დარწმუნებული, ეს გინდოდეთ.

ფრანცი - ქალბატონო, მე მინდა, ეს დამთავრდეს: ამგვარად თუ იმგვარად.

პაუზა.

იოჰანა - თქვენ გაიმარჯვეთ, ბრავო! თუ მე წავალ, მსჯავრს დაგდებთ; თუ დავრჩები, ჩვენს შორის უნდობლობას ჩამოაგდებთ: ის უკვე ბრწყინავს თქვენს თვალებში. კარგი, მიყვებით პროგრამას: ფხიზლად ვადევნოთ თვალი, როგორ გადავგვარდებით ერთად, რუდუნებით დავემცროთ ერთი მეორის მეშვეობით; ჩვენი სიყვარული წამების იარაღად ვაქციოთ; დავლიოთ ხოლმე, არა? თქვენ შამპანურს მიეძალებით; მე ვისკის ვსვამდი,

მოვიტან. თითოეული თავისი ბოთლით, ერთი მეორის პირისპირ და მარტო.
(უსიამოვნო ღიმილით.) იცით, რანი ვიქნებით, ადამიანის მოწმევ? ისეთივე წყვილი,
როგორიც ყველა სხვა! (შამპანურს ისხამს და ბოკალს სწევს.) ჩვენ გაგვიმარჯოს! (ერთი
მოსმით ცლის ბოკალს და მას ჰიტლერის პორტრეტს ესვრის. ბოკალი ხვდება პორტრეტს
და იმსხვრევა. იოჰანა დამტვრეული ავეჯის გროვიდან ერთ სავარძელს აიღებს,
გაასწორებს და მასში დაჯდება.) აბა, რას იტყვით?

ფრანცი (დაბნეული.) - იოჰანა... ნუთუ...

იოჰანა - კითხვებს მე ვსვამ. აბა? რა გაქვთ სათქმელი?

ფრანცი - თქვენ ვერ გამიგეთ. მარტო ჩვენ თუ ვიქნებოდით, გეფიცებით...

იოჰანა - კიდეც რა?

ფრანცი (მძიმედ.) - ლენი, ჩემი და. მე თუ ლაპარაკს გადავწყვეტ, იმისათვის, რომ
მისგან ვიხსნათ თავი. მე ვიტყვი... რაც სათქმელია, თავს არ დავზოგავ, მაგრამ
ჩემებურად, ნელ-ნელა; თვეებს მოვანდომებ, წლებს, რა მნიშვნელობა აქვს! მე მხოლოდ
ნდობას გთხოვთ და ჩემგანაც გექნებათ ნდობა, თუკი დამპირდებით, რომ ჩემს მეტს
აღარავის დაუჯერებთ.

იოჰანა (დიდხანს უყურებს. უფრო ნაზად.) - კეთილი. მხოლოდ თქვენ დაგიჯერებთ.

ფრანცი (ცოტა ზეიმურობით, მაგრამ გულწრფელად.) - ვიდრე ამ პირობას
შეასრულებთ, ლენის ჩვენზე ძალაუფლება ვერ ექნება. (დაჯდება.) მე შემეშინდა. თქვენ
ჩემს მკლავებში იყავით, მე მსურდით, დავაპირე, მეცოცხლა... და, უცებ, ჩემი და
დავინახე და გავიფიქრე: ის ჩვენ დაგვამსხვრევს. (ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და
შუბლს შეიმშრალავს.) უფ! (წყნარი ხმით.) ზაფხულია, არა? ალბათ, ცხელა. (პაუზა.
სიცარიელეში იყურება.) იცით, რომ მან ჩემგან საშინელი მანქანა შექმნა?

იოჰანა - მამამ?

ფრანცი (იგივე თამაში.) - დიახ. ბრძანებების გამცემი ავტომატი. (ჩაიცინებს. პაუზა.)
კიდეც ერთი ზაფხული დადგა! და მანქანა ისევ ტრიალებს. ფუჰად, როგორც
ყოველთვის. (წამოდგება.) მე გიამბობთ ჩემს ცხოვრებას; ოღონდ დიდ
ბოროტმოქმედებებს ნუ ელოდებით. ოჰ, არა: ესეც კი არ ყოფილა. იცით, რას
ვსაყვედურობ ჩემს თავს: მე არაფერი გამიკეთებია. (სინათლე ნელა იკლებს.) არაფერი!
არაფერი! არასოდეს!

სცენა მესამე
ფრანცი, იოჰანა, ქალი

ქალის ხმა (წყნარად.) - ჯარისკაცი!

იოჰანა (ქალის ხმა არ ესმის.) - თქვენ იომეთ.

ფრანცი - დიდი ამბავი!

დაბნელებას იწყებს.

ქალის ხმა (უფრო ხმამაღლა) - ჯარისკაცი!

ფრანცი (ფეხზე დგას სცენის წინა ნაწილში, მხოლოდ იგი მოჩანს. სავარძელში მჯდომი იოჰანა ჩრდილში მოექცევა.) - ადამიანები არ ქმნიან ომს: ომი გვექმნის ადამიანებს. სანამ ვიბრძოდით, კარგად ვერთობოდი: უნიფორმიანი სამოქალაქო ვიყავი. ერთ ღამეს ვიქეცი ჯარისკაცად, სამუდამოდ ვიქეცი. (უკან, მაგიდიდან აიღებს ოფიცრის ქუდს და მკვეთრი მოძრაობით დაიხურავს.) ერთი საცოდავი მათხოვარი, დამარცხებული, უუნარო. რუსეთიდან ვბრუნდებოდი, პარვა-პარვით ვკვეთდი გერმანიას, ნანგრევებად ქცეულ სოფელში შევედი.

ქალი (ისევ უჩინარი, უფრო ხმამაღლა.) - ჯარისკაცი!

ფრანცი - ჰა? (სწრაფად მიტრიალდება. მარცხენა ხელით ელექტროფარანი უჭირავს; მარჯვენა ხელით რევოლვერს ამოსწევს ბუდიდან, სასროლად გაამზადებს; ფარანი არ ანათებს.) ვინ მეძახის?

ქალი - მიმოიხედეთ.

ფრანცი - რამდენი ხართ?

ქალი - შენს სიმაღლეზე აღარავინ. მიწაზე მე ვარ. (ფრანცი უცებ ანთებს თავის ფარანს და ძირს მიმართავს. შავად შემოსილი ქალი კედელს მიყრდნობია, სანახევროდ ძირს წევს.) ეგ ჩააქრე, მაბრმავებ. (ფრანცი აქრობს. რჩება გაფანტული სინათლე, რომელშიც მოჩანან.) ჰა! ჰა! ისროლე! მიდი, ისროლე! დაამთავრე შენი ომი გერმანელი ქალის მოკვლით!

ფრანცი ამჩნევს, რომ, გაუაზრებლად, რევოლვერი ქალისთვის მიუშვერია. შეძრწუნებული ჯიბეში ჩაიდებს მას.

ფრანცი - აქ რას აკეთებ?

ქალი - თვითონაც ხედავ; კედელთან ვზივარ. (ამაყად.) ეს ჩემი კედელია. ყველაზე მყარი სოფელში. ერთადერთი, რომელმაც გაძლო.

ფრანცი - მოდი ჩემთან.

ქალი - აანთე ფარანი. (ფრანცი ანთებს. სინათლის ჭავლი იატაკს ანათებს. ჩრდილიდან გამოიკვეთება საბანი, რომელიც თავიდან ფეხებამდე ხურავს ქალს.) შეხედე. (ქალი ცოტათი გადასწევს საბანს. ფრანცი ფარანს მიმართავს იმისკენ, რასაც ქალი უჩვენებს და რასაც მაყურებელი ვერ ხედავს. უცებ ბურტყუნით აქრობს ფარანს.) ჰო, ოდესღაც ეს ჩემი ფეხები იყო.

ფრანცი - რა შემთხვევა გააკეთო შენთვის?

ქალი - ერთი წუთით ჩამოჯექი. (ფრანცი ქალის გვერდით ჯდება.) კედელთან ჩვენებური ჯარისკაცი მივაყენე! (პაუზა.) სხვა არაფერი მინდოდა. (პაუზა.) იმედი მქონდა, რომ ეს ჩემი ძმა იქნებოდა, მაგრამ იგი მოკლეს. ნორმანდიაში. მით უარესი; შენც გამოდგები. მე მას ვეტყოდი: „შეხედე! (სოფლის ნანგრევებს აჩვენებს.) ეს შენი ნამოქმედარია.“

ფრანცი - მისი ნამოქმედარი?

ქალი (ფრანცს, ჯიქურ.) - და შენი, ჩემო ბიჭო!

ფრანცი - რატომ?

ქალი (დარწმუნებით.) - შენ დანებდი.

ფრანცი - სისულელეს ნუ ამბობ. (მკვეთრად წამოდგება, ქალის წინ დადგება. თვალში მოხვდება პლაკატი, რომელიც აქამდე არ ჩანდა და რომელსაც პროექტორი ანათებს. პლაკატი კედელზეა გაკრული, მიწიდან ერთ მეტრსა და სამოცდათხუთმეტ სანტიმეტრზე, ქალის მარჯვნივ: „დამნაშავენი თქვენ ხართ!“) აი კიდეც! ყველგან ამას აკრავენ!

ჩამოხევას დააპირებს.

ქალი (თავი წინა აქვს გადაწეული, ფრანცს უყურებს.) - თავი დაანებე! დაანებე, გეუბნები, ეს ჩემი კედელია! (ფრანცი მოშორდება.) დამნაშავენი თქვენ ხართ! (კითხულობს და ფრანცზე მიუთითებს.) შენ, ჩემი ძმა, თქვენ ყველა!

ფრანცი - მათ ეთანხმები?

ქალი - როგორც ღამე დღეს. ისინი უამბობენ მამაღმერთს, რომ ჩვენ კაციჭამიები ვართ და მამაღმერთი ყურს უგდებს, ვინაიდან მათ გაიმარჯვეს. მაგრამ ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ნამდვილი კაციჭამია გამარჯვებულია. აღიარე, ჯარისკაცი: შენ არ გინდოდა, კაცის ხორცი გეჭამა.

ფრანცი (დაქანცული.) - ჩვენ დავანგრიეთ! დავანგრიეთ! ქალაქები და სოფლები! დედაქალაქები!

ქალი - რადგან მათ დაგამარცხეს, ესე იგი მათ თქვენზე მეტი დაანგრიეს. (ფრანცი მხრებს იჩეჩავს.) კაცის ხორცი გიჭამია?

ფრანცი - და შენმა ძმამ? ჭამა?

ქალი - არა მგონია: ის კარგ მანერებს ინარჩუნებდა. შენსავით.

ფრანცი (მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ.) - ბანაკებზე უამბიათ შენთვის?

ქალი - რომლებზე?

ფრანცი - კარგად იცი: მასობრივი განადგურების ბანაკებზე.

ქალი - მიაშვს.

ფრანცი - შენთვის რომ ეთქვათ, რომ შენი ძმა, სანამ მოკვდებოდა, ასეთ ბანაკში იყო მცველად, იამაყებდი?

ქალი (გააფთრებით.) - დიახ. კარგად მომისმინე, ჩემო ბიჭო, თუ ჩემი ძმის სინდისზე ათასობით მკვდარი იქნებოდა, თუ ამ მკვდართა შორის მოიძებნებოდნენ ჩემნაირი ქალები, ბავშვები - იმ ბავშვთა მსგავსნი, ამ ქვების ქვეშ რომ ღპებიან, მე მისით ვიამაყებდი: მეცოდინებოდა, რომ ის სამოთხეშია და აქვს უფლება, იფიქროს: „მე გავაკეთე, რაც შეეძელი!“ მაგრამ მე მას ვიცნობ: ჩვენ ნაკლებად ვუყვარდით, ვიდრე თავისი პატივი, თავისი ღირსებები. და აი! (გარეშემო აჩვენებს. გაშმაგებით.) ტერორი იყო საჭირო, ყველაფერი უნდა გაგეცამტვერებინათ!

ფრანცი - ჩვენ ეს გავაკეთეთ.

ქალი - საკმარისი არ იყო! არც საკმარისი ბანაკები! არც საკმარისი ჯალათები! შენ ჩვენ გვღალატობდი, როდესაც გასცემდი იმას, რაც შენ არ გეკუთვნოდა: ყოველ ჯერზე, როდესაც ზოგავდი მტრის სიცოცხლეს, თუნდაც აკვანში, შენ ერთ ჩვენგანს ართმევდი სიცოცხლეს; შენ გინდოდა, გებრძოლა სიძულვილის გარეშე და მე დამასწავლებოვნი სიძულვილით, რომელიც გულს მიღრღნის. სად არის შენი ღირსება, უვარგისო ჯარისკაცი? დამარცხებულ ჯარისკაცი, სად არის შენი პატივი? დამნაშავე შენ ხარ! ღმერთი შენი ქმედებებით კი არ განგსჯის, არამედ იმით, რისი გაკეთებაც ვერ გაბედე: იმ დანაშაულებით, რაც უნდა ჩაგედინა და არ ჩაიდინე! (ნელ-ნელა სიბნელე ჩამოწვება. მხოლოდ პლაკატი მოჩანს. ხმა იმეორებს სულ უფრო შორიდან.) დამნაშავე შენ ხარ! შენ ხარ! შენ ხარ!

პლაკატი ჩაბნელდება.

სცენა მეოთხე

ფრანცი, იოჰანა

ფრანცის ხმა (სიბნელეში.) - იოჰანა!

სინათლე ინთება, ფრანცი ფეხზე დგას, თავშიშველი, თავის მაგიდასთან. იოჰანა სავარძელში ზის. ქალი გაუჩინარდა.

იოჰანა (შეკრთება.) - რა მოხდა?

ფრანცი მიდის იოჰანასთან და დიდხანს უყურებს მას.

ფრანცი - იოჰანა!

ფრანცი უყურებს იოჰანას და ცდილობს, განდევნოს თავისი მოგონებები.

იოჰანა (უკან გადაიხრება ცოტა ცივად.) - ქალს რა დაემართა?

ფრანცი - ქალს? გააჩნია.

იოჰანა (გაკვირვებული.) - რას გააჩნია?

ფრანცი - ჩემს სიზმრებს.

იოჰანა - ეს მოგონება არ იყო?

ფრანცი - სიზმარიც არის. ხან თან მიმყავს, ხან ვტოვებ და ხანაც... ყველა შემთხვევაში, სული სძვრება, კოშმარია. (გაშტერებული მზერით, თავის თავს.) არ ვიცი, იქნებ მე მოვკალი.

იოჰანა (არ უკვირს, მაგრამ შიშით და ზიზღით.) - ჰა!

ფრანცი სიცილს იწყებს.

ფრანცი (წარმოსახვით სასხლეტს გამოჰკრავს.) - აი ასე. (გამოწვევით, ღიმილით.) თქვენ დატოვებდით სატანჯველად? ყველა გზა მოფენილია დანაშაულებით. მზამზარეული დანაშაულებით, რომლებიც მხოლოდ თავიანთ დამნაშავეს ელოდება. ნამდვილი ჯარისკაცი დადის და თავის თავზე იღებს მათ. (მკვეთრად.) უსიამოვნო ამბავია? თქვენი თვალები არ მომწონს! აჰ! აიღეთ და როგორც გესიამოვნებათ, ისე დაამთავრეთ. (დიდი ნაბიჯებით მოშორდება იოჰანას. მაგიდასთან მოტრიალდება.) „დამნაშავე შენ ხარ!“ რას იტყვით? მართალი იყო ის ქალი?

იოჰანა (მხრებს იჩეჩავს.) - ის სრულ ჭკუაზე არ იყო.

ფრანცი - ჰო. ეს რას ამტკიცებს?

იოჰანა (ძლიერად, მკაფიოდ.) - ჩვენ იმიტომ წავაგეთ, რომ საკმარისი ხალხი და თვითმფრინავები არ გვყავდა!

ფრანცი (აწყვეტივნებს.) - ვიცი! ვიცი! ეს ჰიტლერის საქმეა. (პაუზა.) მე ჩემ თავზე გელაპარაკებით. ომი ჩემი ხვედრი იყო: რამდენად ძლიერად უნდა მეცვარებოდა მე ის? (იოჰანას დალაპარაკება სურს.) დაფიქრდით! კარგად დაფიქრდით: თქვენი პასუხი გადამწყვეტი იქნება.

იოჰანა (მოუსვენრად გრძნობს თავს, გაღიზიანებული და მკაცრი.) - ნაფიქრია უკვე.

ფრანცი (პაუზა.) - მე რომ მართლა ჩამედინა ყველა ის ბოროტმოქმედება, რაც ნიურბერგში გაასამართლეს...

იოჰანა - რომლები?

ფრანცი - აბა რა ვიცი! გენოციდი და მთელი ეს ბორდელი!

იოჰანა (მხრებს იჩეჩავს.) - რატომ უნდა ჩაგედინათ?

ფრანცი - იმიტომ, რომ ომი ჩემი ხვედრი იყო: როცა ჩვენმა მამებმა ჩვენი დედები დააოროსულეს, მათ ჯარისკაცები გაუკეთეს. მე არ ვიცი, რატომ.

იოჰანა - ჯარისკაცი ადამიანია.

ფრანცი - ის პირველ რიგში ჯარისკაცია. მიპასუხეთ. ისევ გეცვარებოდით? (იოჰანა დალაპარაკებას აპირებს.) ნუ ჩქარობთ, ღვთის გულისათვის. (იოჰანა ჩუმად უყურებს მას.) აბა, რას იტყვით?

იოჰანა - არა.

ფრანცი - აღარ გეცვარებოდით? (იოჰანას ნიშანი.) შეგეზარებოდით?

იოჰანა - დიახ.

ფრანცი (სიცილი წასკდება.) - კეთილი, კეთილი, კეთილი! დამშვიდდით, იოჰანა: თქვენ საქმე გაქვთ უმანკო ყმაწვილთან. უცოდველობა გარანტირებულია. (იოჰანა კვლავ უნდობელი და მკაცრია.) შეგიძლიათ გამიღიმოთ: მე გერმანია მოვკალი მომეტებული მგრძნობიარობით.

იღება აბაზანის კარი. შემოდის კლაგესი, კარს მიიხურავს და ნელი ნაბიჯით გაემართება, რომ ფრანცის სკამზე დაჯდეს. არც ფრანცი, არც იოჰანა ყურადღებას არ აქცევენ მას.

სცენა მეხუთე

ფრანცი, იოჰანა, კლაგესი

ფრანცი - სმოლენსკთან ხუთასნი ვიყავით. ერთ სოფელთან დავბანაკდით. მეთაური მოგვიკლეს, კაპიტნები მოგვიკლეს: ოფიცრებიდან ორი ლეიტენანტი დავრჩით და ერთი ფელდფებელი. უცნაური ტრიუმფირატი ვიყავით: ლეიტენანტი კლაგესი პასტორის შვილი იყო: იდეალისტი, ღრუბლებში დაფრენდა... ჰაინრიხი, ფელდფებელი, მყარად იდგა მიწაზე, მაგრამ ასი პროცენტით ნაცისტი იყო. ზურგიდან პარტიზანებმა მოგვიჭრეს გზა, ისროდნენ. სურსათი მხოლოდ სამი დღის საკმარი დავგვრჩა. ორი რუსი გლეხი ვიპოვეთ, ბელელში ჩავკეტეთ და ტყვეებად მოვწათლეთ.

კლაგესი (დათრგუნული.) - რა პირუტყვია!

ფრანცი (არ მიტრიალებულა.) - ჰა?

კლაგესი - ჰაინრიხი! რა პირუტყვია- მეთქი!

ფრანცი (გაფანტული, იგივე თამაში.) - აჰ, ჰო...

კლაგესი (საწყლად და დაღონებით.) - ფრანც, შარში ვარ! (ფრანცი მკვეთრად მიუტრიალდება.) ამოიჩემა, ეს ორი გლეხი უნდა ავალაპარაკო.

ფრანცი - ჰა! ჰა! (პაუზა.) მერე, შენ არ გინდა, რომ შეაჯანჯლაროს ისინი?

კლაგესი - არა ვარ მართალი?

ფრანცი - საქმე ეგ არაა.

კლაგესი - აბა რა?

ფრანცი - შენ მას აუკრძალე ბელელში შესვლა? (კლაგესის ნიშანი.) ესე იგი, არ უნდა შევიდეს.

კლაგესი - შენც კარგად იცი, არ დამიჯერებს.

ფრანცი (აღშფოთებულ გაკვირვებას გაითამაშებს.) - ჰაა?

კლაგესი - სიტყვებს ვერ ვპოულობ.

ფრანცი - ჰაა?

კლაგესი - სიტყვებს, რომ დავარწმუნო.

ფრანცი (განცვიფრებული.) - ყველაფერთან ერთად მისი დარწმუნებაც გინდა! (უხეშად.) მოექეცი, როგორც ძაღლს, აიძულე, იხოხიალოს!

კლაგესი - არ შემძლია. ადამიანი თუ შევიზიზღე, თუნდაც ერთი, თუნდაც ჯალათი, სხვას ველარავის მოვექცევი პატივისცემით.

ფრანცი - თუ ერთი ხელქვეითი, ერთადერთი, უარს იტყვის, დაგმორჩილდეს, აღარავინ აღარ დაგმორჩილდება. მიმიფურთხებია ადამიანის პატივისცემისთვის, მაგრამ თუ დისციპლინა მოიშლება, ან მარცხს მიიღებ, ან ხოცვა-ჟლეტას, ან ორივეს ერთად.

კლაგესი (დგება, კართან მიდის, შეაღებს მას და გარეთ გაიხედავს.) - ბელლის წინა დგას: უთვალთვალე. (კარს ხურავს და ფრანცისკენ მიბრუნდება.) უნდა ვუშველოთ! ფრანცი - შენ მათ უშველი, თუ შენს ავტორიტეტს უშველი.

კლაგესი - მე ვიფიქრე...

ფრანცი - რა?

კლაგესი - ჰაინრიხი შენ ისე გიგდებს ყურს, როგორც მამაღმერთს.

ფრანცი - იმიტომ, რომ ისე ვექცევი, როგორც ნეხვის გროვას: ლოგიკურია.

კლაგესი (შეცბუნებული.) - თუ შენ უბრძანებდი... (ვედრებით.) ფრანც!

ფრანცი - არა. ტყვეები შენ გეხება. შენს ნაცვლად თუ ვუბრძანე, შენ დაგამცირებ. ერთ საათში რომ მომკლან, შენი გაფარჩაკების მერე, ჰაინრიხი მარტო მიიღებს გადაწყვეტილებებს. ეს კი კატასტროფა იქნება: ჩემი ჯარისკაცებისთვის, იმიტომ რომ ის სულელია, შენი ტყვეებისთვის, იმიტომ რომ ის სასტიკია. (ოთახს გადასჭრის და იოჰანას მიუახლოვდება.) და განსაკუთრებით კლაგესისთვის: რაც არ უნდა ლეიტენანტი ყოფილიყო, ჰაინრიხი მას მიწაში ამოღებდა.

იოჰანა - რატომ?

ფრანცი - კლაგესს იმედი ჰქონდა, რომ დავმარცხდებოდით.

კლაგესი - იმედი კი არა მაქვს, მინდა ეს!

ფრანცი - არა გაქვს ამის უფლება!

კლაგესი - ეს ჰიტლერის კრახი იქნება.

ფრანცი - და გერმანიისაც. (იცინის.) - კაპუტ! კაპუტ! (იოჰანას მიუბრუნდება.) კლაგესი გონებრივი შეზღუდულობის ჩემპიონი გახლდათ; სულით მსჯავრს დებდა ნაცისტებს და სხეულით კი ემსახურებოდა მათ.

იოჰანა - არ ემსახურებოდა!

ფრანცი (იოჰანას.) - კარგი, რა! თქვენ ერთი ჯიშისანი ხართ. მისი ხელები ემსახურებოდა, მისი ხმა ემსახურებოდა. ღმერთს ეუბნებოდა: “მე არ მსურს, რასაც ვაკეთებ!” მაგრამ მაინც აკეთებდა. (კლაგესს მიუბრუნდება.) ომი შენს სხეულზე გადის. თუ მასზე უარს იტყვი, შენს თავს უძლურებას მიუსჯი: არაფრის გამო გაჰყიდე შენი სული, მორალისტო. მე კი ჩემი სულისათვის საფასურს მოვითხოვ. (პაუზა.) ჯერ უნდა მოვიგოთ! ჰიტლერს მერე მივხედავთ.

კლაგესი - მეტი დრო აღარ იქნება.

ფრანცი - ამასაც ვნახავთ! (იოჰანას უბრუნდება, მუქარით.) მე მომატყუეს, ქალბატონო და მე გადავწყვიტე, რომ აღარასოდეს მომატყუებდნენ.

იოჰანა - ვინ მოგატყუათ?

ფრანცი - თქვენ მეკითხებით ამას? ლუთერმა. (იცინის.) თავისთავად ცხადია! ლუთერი ეშმაკთან გავაგზავნე და წავედი. ომი ჩემი ბედისწერა იყო და მე ის მთელი არსებით მიწოდდა. როგორც იქნა, მე ვმოქმედებდი! ბრძანებას ბრძანებაზე გავცემდი; ჩემს თავთან სრული თანხმობა მქონდა.

იოჰანა - მოქმედება მოკვლას ნიშნავს?

ფრანცი (იოჰანას.) - მოქმედება მოქმედებაა. საკუთარი სახელის ჩაწერაა.

კლაგესი - სად?

ფრანცი (კლაგესს.) - იქ, რაც შენს გარშემოა. მე ჩემს სახელს ამ მიწოდორში ვწერ. ომზე პასუხს ვაგებ ისე, თითქოს მარტო ვომოვდე და როდესაც მოვიგებ, ისევ თავიდან დავიწყებ.

იოჰანა (ძალიან მშრალად.) - ტყვეებს რა დაემართათ, ფრანც?

ფრანცი (მისკენ მიტრიალდება.) - ჰა?

იოჰანა - თქვენ, ვინც ყველაფერზე ხართ პასუხისმგებელი, აგეთ მათზე პასუხი?

ფრანცი (პაუზა.) - საქმიდან თავი დავამვრენინე. (კლაგესს.) როგორ ვუბრძანოთ ისე, რომ შენი ავტორიტეტი არ შეილახოს? ერთი წუთი მოიცადე. (დაფიქრდება.) კარგი! (კართან მიდის და ალებს მას. ეძახის.) ჰაინრიხ!

მაგიდასთან დაბრუნდება. ჰაინრიხი სირბილით შემოდის.

სცენა მეექვსე

ფრანცი, იოჰანა, კლაგესი, ჰაინრიხი

ჰაინრიხი (სამხედრო სალამს აძლევს, სწორდება.) - გისმენთ, ბატონო ლეიტენანტო.

ბედნიერი ნდობის ფართო, თითქმის ნაზი ღიმილი ანათებს მის სახეს, როდესაც ფრანცს მიმართავს.

ფრანცი (აუჩქარებლად მიიწევს ფელდფეხელისკენ და თავიდან ფეხამდე ათვალიერებს მას.) - ფელდფეხელო, ეს რა დაუდევრობაა? (აჩვენებს ღილს, რომელიც ჩამოკონწიალებულია ღილკილოდან.) რას ჰგავს ეს?

ჰაინრიხი - ეს... ისა... ღილია, ბატონო ლეიტენანტო.

ფრანცი (კეთილად.) - დაგეკარგებოდათ, მეგობარო. (სწრაფი მოძრაობით მოაწყვეტს ღილს და მარცხენა ხელში დაიჭერს.) უნდა მიაკეროთ.

ჰაინრიხი (შეწუხებული.) - ბატონო ლეიტენანტო, ძაფი არავის აღარა აქვს.

ფრანცი - მეპასუხები კიდეც, ნეხვის გროვავ? (მარჯვენა ხელს მოუქნევს და ორჯერ გააწნავს სილას.) აილე! (ღილს დააგდებს. ფელდფეხელი დაიხრება, რომ აილოს.) სწორდი! (ფელდფეხელი ღილს იღებს და სწორდება.) დღეიდან მე და ლეიტენანტმა კლაგესმა გადავწყვიტეთ, ყოველ კვირა ვცვალოთ ჩვენი ფუნქციები. თქვენ ახლავე გაჰყვებით მას ავან-პოსტებზე; მე კი, ორშაბათამდე, მის უფლებამოსილებას შევასრულებ. წადით. (ჰაინრიხი სამხედრო სალამს აძლევს.) მოიცადეთ! (კლაგესს.) ჩვენ ტყვეები გვყავს, მგონია?

კლაგესი - ორი.

ფრანცი - ძალიან კარგი: მე მივხედავ.

ჰაინრიხი (თვალები უბრწყინავს, ჰგონია, რომ ფრანცი დათანხმდება მის წინადადებას.) - ბატონო ლეიტენანტო!

ფრანცი (უხეშად. გაკვირვებული.) - რა?

ჰაინრიხი - ისინი პარტიზანები არიან.

ფრანცი - შესაძლოა! მერე?

ჰაინრიხი - თუ ნებას დამრთავთ...

კლაგესი - მე მას უკვე ავუკრძალე, ტყვეებით დაკავდეს.

ფრანცი - გესმით, ჰაინრიხ? გადაწყვეტილება მიღებულია. მიბრძანდით!

კლაგესი - მოიცა. იცი, რა მკითხა?

ჰაინრიხი (ფრანცს.) - მე... მე ვიხუმრე, ბატონო ლეიტენანტო.

ფრანცი (წარბს იჭმუხნის.) - ზემდგომთან? (კლაგესს.) რა გკითხა?

კლაგესი - „რას იზამდით, თუ არ დაგმორჩილდებოდით?“

ფრანცი (ნეიტრალური ხმით.) - აჰ! (ჰაინრიხს მიუბრუნდება.) დღეს მე გაგცემთ, ფელდფებელო, პასუხს. თუ არ დამმორჩილდებით... (რევოლვრის ბუდეზე დაირტყამს ხელს.)... მოგკლავთ.

პაუზა.

კლაგესი (ჰაინრიხს.) - წამომყევით ავან-პოსტებზე.

ფრანცს თვალს ჩაუკრავს და ჰაინრიხის მერე გავა.

სცენა მეშვიდე

ფრანცი, იოჰანა

ფრანცი - სწორი იყო, ჩემს ჯარისკაცებს რომ ვხოცავდი?

იოჰანა - თქვენ ისინი არ დაგიხოციათ.

ფრანცი - მე არ გამიკეთებია *ყველაფერი*, მათი სიკვდილისთვის ხელი რომ შემეშალა.

იოჰანა - ტყვეები ვერ აღაპარაკდებოდნენ.

ფრანცი - თქვენ რა იცით?

იოჰანა - გლეხები? არაფერი ექნებოდათ სათქმელი.

ფრანცი - ვინ ამტკიცებს, რომ ისინი პარტიზანები არ იყვნენ?

იოჰანა - როგორც წესი, პარტიზანები არ ლაპარაკობენ.

ფრანცი - როგორც წესი, კი. (დაჟინებით, გიჟივით.) გერმანია ღირს დანაშაულად, ჰა, რაო? (მანერულად, დაბნეული თავისუფლებით, თითქმის მასხრობით.) არ ვიცი, თქვენთვის გასაგებად ვლაპარაკობ თუ არა. თქვენ სხვა თაობა ხართ. (პაუზა. მძაფრად, მკაცრად, გულწრფელად, ისე, რომ არ უყურებს იოჰანას, თვალგამტერებული,

გაჯგიმული.) სიცოცხლე ხანმოკლეა; სიკვდილი ჩვენი ასარჩევია! ვიაროთ! ვიაროთ! ბოლომდე მივყვეთ საშინელებას, ჯოჯოხეთს მიღმა! დენტის საწყობი: მე მას ავაგიზგიზებდი წყვდიადში, ყველაფერი მაღლა აიწეოდა, ჩემი ქვეყნის გარდა; ერთი წამით საიუბილეო ფეიერვერკის თაიგულივით დავტრიალდებოდი და მერე აღარაფერი: წყვდიადი და ჩემი სახელი, ეულად, ბრინჯაოში ამოკვეთილი. (პაუზა.) ვაღიაროთ, რომ წინააღმდეგობას ვუწევდი. პრინციპები, ჩემო ძვირფასო, მუდამ პრინციპები. როგორც ხვდებით, იმ ორ უცნობ ტყვეს ჩემი ხალხი მერჩია. მაგრამ „არა“ ვთქვი! და რა, კანიბალი ვიქნებოდი? მაპატიეთ: დიდი დიდი, ვეგეტარიანელი. (პაუზა. საზეიმოდ, მოსამართლესავით.) ის, ვინც ყველაფერს არ აკეთებს, არაფერს აკეთებს: მე არაფერი გავაკეთე. ის, ვინც არაფერი გააკეთა, არავინაა. არავინ? (თავის თავზე მიუთითებს, თითქოს გამოიძახეს.) ვარ! (პაუზა. იოჰანას.) აი ბრალდების პირველი პუნქტი.

იოჰანა - მე თქვენ გამართლებთ.

ფრანცი - მე თქვენ გეუბნებით, რომ განხილვაა საჭირო.

იოჰანა - მე თქვენ მიყვარხართ.

ფრანცი - იოჰანა! (შემოსასვლელ კარზე აკაკუნებენ. ხუთი, ოთხი, ორგზის სამჯერ. ფრანცი და იოჰანა ერთმანეთს უყურებენ.) როგორც ჩანს, ცოტა დაგვიანდა.

იოჰანა - ფრანც...

ფრანცი - ცოტა დაგვიანდა ჩემი გამართლება. (პაუზა.) მამამ ილაპარაკა. (პაუზა.) იოჰანა, თქვენ ახლა დაესწრებით სიკვდილით დასჯას.

იოჰანა (უყურებს.) - თქვენსას? (კვლავ აკაკუნებენ.) და თქვენ ნებას მისცემთ, ყელი გამოგჭრან? (პაუზა.) მაშ არ გიყვარვართ?

ფრანცი (ჩუმად იცინის.) - ჩვენს სიყვარულზე ახლავე ვილაპარაკებ... (კარს უჩვენებს.) ... მისი თანდასწრებით. კარგი არაფერი მოხდება. და დაიმახსოვრეთ: მე თქვენ დახმარებას გთხოვთ და თქვენ არ დამეხმარებით. (პაუზა.) თუ ერთი შანსი მაინც დარჩა... შედით აქ.

იოჰანა მიჰყავს სააბაზანო ოთახისკენ. იოჰანა შედის. ფრანცი კარს მიხურავს და ლენის გაუღებს.

ფრანცი, ლენი

ფრანცი (სწრაფად მოიხსნის მაჯის საათს და ჯიბეში ჩაიდებს. ლენი შემოდის და თეფშით შემოაქვს შაქარმოფრქვეული პატარა ტორტი. ტორტში ოთხი სანთელია ჩარჭობილი. მარცხენა მკლავზე გაზეთი აქვს ამოდებული.) - ასეთ დროს რატომ მაწუხებ?

ლენი - შენ დრო იცი?

ფრანცი - მე ვიცი, რომ შენ ახალი წასული ხარ.

ლენი - დროს სწრაფად გაურბენია შენთვის.

ფრანცი - ჰო. (ტორტზე მიუთითებს.) ეს რა არის?

ლენი - პატარა ტორტი: ხვალ უნდა მომეტანა შენთვის დესერტად.

ფრანცი - მერე?

ლენი - ხომ ხედავ, ამ საღამოს მოგიტანე. სანთლებით.

ფრანცი - სანთლებით, რატომ?

ლენი - აბა, დაითვალე.

ფრანცი - ერთი, ორი, სამი, ოთხი. რა, მერე?

ლენი - ოცდაოთხმეტი წლის გახდი.

ფრანცი - დიახ: თხუთმეტ თებერვალს.

ლენი - თხუთმეტი თებერვალი წლისთავი იყო.

ფრანცი - და დღეს?

ლენი - თარიღია.

ფრანცი - კარგი. (ლანგარს იღებს და მაგიდასთან მიიტანს.) - „ფრანცი!“ შენ დააწერე ჩემი სახელი?

ლენი - აბა ვის გინდოდა, რომ დაეწერა?

ფრანცი - დიდებას! (თავის სახელს ათვალიერებს.) „ფრანცი“ ვარდისფერი კარამელით. უფრო ლამაზია, მაგრამ ნაკლებად ელამუნება პატივმოყვარეობას, ვიდრე ბრინჯაოში

ამოკვეთილი. (სანთლებს ანთებს.) ნელა დაიწვით, სანთლებო: თქვენთან ერთად მეც დავინთქები. (დაუდევრად.) მამა გინახავს!

ლენი - მესტუმრა.

ფრანცი - შენს ოთახში?

ლენი - ჰო.

ფრანცი - დიდხანს დარჩა?

ლენი - საკმაოდ.

ფრანცი - შენს ოთახში: განსაკუთრებული პატივია.

ლენი - რომლის საფასურსაც გადავიხდი!

ფრანცი - მეც.

ლენი - შენც.

ფრანცი (ტორტს ორ ნაჭერს მოაჭრის.) - ეს ჩემი სხეულია. (შამპანურს ჩამოასხამს ორ ბოკალში.) ეს ჩემი სისხლია. (ლენის ნამცხვარს გაუწვდის.) მიირთვი. (ლენი ღიმილით გადააქნევს თავს.) მოწამლულია?

ლენი - რატომ უნდა იყოს?

ფრანცი - მართალი ხარ: რატომ? (ბოკალს გაუწვდის.) სადღეგრძელოზე ხომ არ იტყვი უარს? (ლენი აიღებს ბოკალს და უნდობლად უყურებს.) რა იყო, კიბორჩხალაა?

ლენი - პომადა.

ფრანცი ბოკალს გამოგლეჯს და მაგიდაზე ჩამოამსხვრევს.

ფრანცი - შენია! ჭურჭლის რეცხვაც არ იცი. (მეორე სავსე ბოკალს უწვდის. ლენი გამოართმევს. ფრანცი თავისთვის მესამე ბოკალს ჩამოასხამს.) ჩემი სადღეგრძელო დალიე!

ლენი - გაგიმარჯოს!

ლენი ბოკალს ასწევს.

ფრანცი - გამიმარჯოს! (ლენის ბოკალს მიუჯახუნებს.) რას მისურვებ?

ლენი - რომ არაფერი მოხდეს.

ფრანცი - არაფერი? ოჰ! მერე? საუცხოო აზრია! (ბოკალს აწევს.) არაფერს გაუმარჯოს. (ფრანცი დალევს, ბოკალს დადებს. ლენი დაბარბაცდება, ფრანცი ხელებს მოხვევს და სავარძელთან მიიყვანს.) დაჯექი, დაიკო.

ლენი (ჯდება.) - მაპატიე: დავიღალე. (პაუზა.) ყველაზე მძიმე ჯერ წინაა.

ფრანცი - ზუსტად.

ფრანცი შუბლს შეიმშრალეbs.

ლენი (თითქოს თავის თავს ელაპარაკება.) - ვიყინებით. კიდევ ერთი დამპალი ზაფხული.

ფრანცი (განცვიფრებული.) - სული გვეხუთება.

ლენი (კეთილგანწყობით.) - ჰა? შეიძლება.

ფრანცს უყურებს.

ფრანცი - მე მიყურებ?

ლენი - ჰო. (პაუზა.) შენ სხვა ხარ. ეს უნდა დაგტყობოდა.

ფრანცი - არ მეტყობა?

ლენი - არა. მაგრამ მე *შენ* გხედავ. გულდასაწყვეტია. (პაუზა.) ეს არავის ბრალი არაა, ჩემო ძვირფასო: შენ მე უნდა გყვარებოდი. მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ შეგეძლო.

ფრანცი - მე მიყვარდი.

ლენი (ყვირის გაშმაგებით და გაცოფებით.) - გაჩუმდი! (თავს მოერევს, მაგრამ მისი ხმა ბოლომდე ინარჩუნებს სიუხემეს.) მამამ მითხრა, რომ ჩვენს რძალს იცნობ.

ფრანცი - დროდადრო მოდის ჩემს სანახავად. მშვენიერი გოგოა: მიხარია ვერნერის გამო. რაებს მიყვებოდი? სულაც არაა კუზიანი.

ლენი - როგორ არა.

ფრანცი - არა-მეთქი! (ხელის ვერტიკალური მოძრაობა.) ის...

ლენი - კი, ბატონო: სწორი ზურგი აქვს. ეს ხელს არ უშლის, კუზიანი იყოს. (პაუზა.) ლამაზია, შენი აზრით?

ფრანცი - შენი აზრით?

ლენი - სიკვდილივით ლამაზია.

ფრანცი - გამჭრიახად ნათქვამია: მეც შევნიშნე ერთხელ.

ლენი - მას გაუმარჯოს!

ლენი აცარიელებს ბოკალს და ისვრის მას.

ფრანცი (აუღელვებლად.) - ეჭვიანობ?

ლენი - არაფერს ვგრძნობ.

ფრანცი - ჰო, ჯერ ძალიან ადრეა.

ლენი - მეტისმეტად ადრე.

პაუზა. ფრანცი იღებს ტორტის ნაჭერს და ჭამს.

ფრანცი (მიუთითებს ტორტზე და იცინის.) - მახრჩობელა ნამცხვარია! (მარცხენა ხელით ტორტის თხელი ნაჭერი უჭირავს. მარჯვენათი უჯრას გააღებს, რევოლვერს ამოიღებს და ჭამა-ჭამით ლენის გაუწოდებს.) გამომართვი.

ლენი - რად მინდა?

ფრანცი (თავის თავზე მიუთითებს.) - მესროლე. და მას თავი დაანებე.

ლენი (იცინის.) - დააბრუნე უჯრაში. ისიც არ ვიცი, როგორ უნდა გამოვიყენო.

ფრანცი (ხელი გაწვდილი აქვს. რევოლვერი ბრტყლად უდევს ხელისგულზე.) - ხომ არაფერს დაუშავებ?

ლენი - განა მას ვუვლიდი ცამეტი წელი? მის ალერსს ვმათხოვრობდი? მის ნაფურთხს ვყლაპავდი? მას ვაჭმევდი, ვბანდი, ვაცმევდი, ყველასაგან ვიცავდი? ის ჩემგან დავალებული არ არის და მე მას არ შევცხები. კი ვუსურვებ, რომ ცოტა იტანჯოს, მაგრამ ეს შენი სიყვარულით მომდის.

ფრანცი (ეს უფრო მტკიცებაა, ვიდრე შეკითხვა.) - მე შენ ყველაფერს უნდა გიმადლოდე?

ლენი (პირგამეხებული.) - ყველაფერს.

ფრანცი (რევოლვერს უჩვენებს.) - ჰოდა, აიღე.

ლენი - კვდები, ისე გინდა, რომ გესროლო. რა ხსოვნას დაუტოვებდი! და როგორ მოუხდებოდა ქვრივობა: მოწოდებულია საამისოდ. (პაუზა.) მე არ ვფიქრობ შენს მოკვლას, ჩემო ძვირფასო სიყვარულო, და ქვეყნად არაფრის ისე არ მეშინია, როგორც შენი სიკვდილის. ოღონდ იძულებული ვარ, დიდი ტკივილი მოგაყენო: გადავწყვიტე, იოჰანას ყველაფერი ვუთხრა.

ფრანცი - ყველაფერი?

ლენი - ყველაფერი. მის გულში ნამსხვრევებად გაქცევ. (ფრანცი რევოლვერს მოუჭერს ხელს.) მიდი, ესროლე შენს საბრალო დაიკოს; მე წერილი დავტოვე; უბედურების შემთხვევაში, იოჰანა ამ სადამოსვე მიიღებს მას. (პაუზა.) შენ გგონია, რომ შურს ვიძიებ?

ფრანცი - არ იძიებ შურს?

ლენი - მე ვაკეთებ იმას, რაც სამართლიანია. მკვდარი თუ ცოცხალი, სამართლიანია, რომ მე მეკუთვნოდე, ვინაიდან მე ერთადერთი ვარ, ისეთი რომ მიყვარხარ, როგორიც ხარ.

ფრანცი - ერთადერთი? (პაუზა.) ჯერ კიდევ გუშინ, ხოცვა-ჟლეტას ავტეხდი. დღეს იმედი გამიჩნდა. ერთი შანსი ასიდან, რომ იგი ხელს არ მკრავს. (რევოლვერს უჯრაში დებს.) შენ თუ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, ლენი, ეს იმიტომ, რომ მე გადავწყვიტე, ამ შანსს ბოლომდე მივდიო.

ლენი - ძალიან კარგი. დაე, გაიგოს ის, რაც მე ვიცი და დაე, გაიმარჯვოს საუკეთესომ.

ლენი დგება, სააბაზანო ოთახის კართან მიდის. ფრანცის უკან რომ გაივლის, მაგიდაზე გაზეთს დააგდებს. ფრანცი შეკრთება.

ფრანცი - ეს რა არის?

ლენი - „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“: ჩვენზე ლაპარაკობენ.

ფრანცი - შენზე და ჩემზე?

ლენი - ოჯახზე. სტატიების სერიას აქვეყნებენ: „გიგანტები, რომლებმაც ააღორძინეს გერმანია“. ყველა ბობოლას პატივს მიაგებენ; გერლახებისგან დაიწყეს.

ფრანცი (ვერ გადაუწყვეტია, გაზეთი აიღოს.) - მამა გიგანტია?

ლენი (სტატიაზე მიუთითებს.) - ასე ამბობენ. წაიკითხე: ამბობენ, რომ მამა ყველაზე დიდია მათ შორის. (ფრანცი იღებს გაზეთს და ხრინწიანი ბურტყუნით გადაშლის მას. სახე მაყურებლისკენა აქვს მიქცეული, ზურგი - სააბაზანო ოთახისკენ, თავი გადაშლილ ფურცლებში აქვს ჩარგული. ლენი სააბაზანო ოთახის კარზე აკაკუნებს.) გააღეთ! მე ვიცი, რომ მანდ ხართ.

სცენა მეცხრე

ფრანცი, ლენი, იოჰანა

იოჰანა (კარს აღებს.) - მით უკეთესი. დამალვა არ მიყვარს. (თავაზიანად.) გამარჯობა.

ლენი (თავაზიანად.) - გამარჯობა.

იოჰანა, შეწუხებული, განზე გასწევს ლენის, პირდაპირ ფრანცთან მივა და უყურებს, როგორ კითხულობს იგი.

იოჰანა - გაზეთები? (ფრანცი არც შემოტრიალდება. იოჰანა ლენის მიუბრუნდება.) სწრაფად მოქმედებთ.

ლენი - მეჩქარება.

იოჰანა - მისი მოკვლა გეჩქარებათ?

ლენი (მხრებს იჩეჩავს.) - არა, რა თქმა უნდა.

იოჰანა - უნდა ირბინოთ: ჩვენ გაგასწარიო! დღეიდან, დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია, სიმართლე აიტანოს.

ლენი - რა სასაცილოა: ისიც დარწმუნებულია, რომ თქვენც შეგიძლიათ, სიმართლე აიტანოთ.

იოჰანა (იღიმება.) - მე ყველაფერს ავითან. (პაუზა.) მამამ მოხსენება ჩაგაბარათ?

ლენი - რა თქმა უნდა.

იოჰანა - დამემუქრა, რომ ასე იზამდა. აქ შემოსვლის საშუალება სწორედ მან მომცა.

ლენი - აჰ!

იოჰანა - ეს არ უთქვამს თქვენთვის?

ლენი - არა.

იოჰანა - ის ჩვენ გმართავს.

ლენი - ცხადია.

იოჰანა - და თქვენთვის ეს მისაღებია?

ლენი - დიახ.

იოჰანა - რას ითხოვთ?

ლენი (ფრანცს უჩვენებს.) - რომ მისი ცხოვრებიდან წახვიდეთ.

იოჰანა - არ წავალ.

ლენი - გაიძულებთ, რომ წახვიდეთ.

იოჰანა - სცადეთ!

სიჩუმე ჩამოვარდება.

ფრანცი (გაზეთს დადებს, წამოდგება, იოჰანასთან მიდის, რაც შეიძლება, ახლოს.) - თქვენ დამპირდით, რომ მხოლოდ მე დამიჯერებდით. იოჰანა, დადგა წუთები, როცა ეს პირობა უნდა შეგახსენოთ: დღეს ჩვენი სიყვარული მხოლოდ ამაზე ჰკიდია.

იოჰანა - მხოლოდ თქვენ დაგიჯერებთ. (ერთმანეთს უყურებენ. იოჰანა უდიდის ნაზი ნდობით, მაგრამ ფრანცის სახე გაფითრებულია და ნერვიული ტიკით აფორიაქებული. ფრანცი თავს ძალას ატანს, რომ გაუღიმოს, მოშორდება, თავის ადგილს დაუბრუნდება და გაზეთს აიღებს ხელში.) გისმენთ, ლენი.

ლენი - ჩვენ ორნი ვართ. მესამე ზედმეტია. თვითონ უნდა აღიაროს, რომ ზედმეტია.

იოჰანა - როგორ მოვიქცეთ?

ლენი - სერიოზული გამოცდაა საჭირო: თუ გაიმარჯვებთ, ჩემს ადგილს დაიკავებთ.

იოჰანა - თქვენ იყალთაბანდებთ.

ლენი - არც კი ღირს.

იოჰანა - რატომ?

ლენი - თქვენ უნდა წააგოთ.

იოჰანა - ვნახოთ, რა გამოცდაა.

ლენი - კეთილი. (პაუზა.) მან გიამბოთ ფელდფებელი ჰაინრიხისა და რუსი ტყვეების შესახებ? თავის თავს ბრალი დადო, რომ სასიკვდილოდ თავისი ამხანაგები გაიმეტა, რათა ორი პარტიზანისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა?

იოჰანა - დიახ.

ლენი - და თქვენ უთხარით, რომ სწორად მოიქცა.

იოჰანა (ირონიულად.) - ყველაფერი იცით!

ლენი - ნუ გიკვირთ: ეს მეც გამოვიარე.

იოჰანა - მერე? გინდათ, თქვათ, რომ მოიტყუა?

ლენი - ყველაფერი სიმართლეა, რაც გიამბოთ.

იოჰანა - აბა, რა?

ლენი - ის, რომ ამბავი ამით არ დასრულებულა. იოჰანა, აი, ესაა გამოცდა.

ფრანცი - გაუგონარია! (გაზეთს გადააგდებს და ადგება, გაფითრებულია, გიჟის თვალებით.) ას ოცი ნავსაშენი! დედამიწიდან მთვარემდე მიხვალ, თუ ჩვენი გემების მიერ ყოველწლიურად განვლილ მანძილს ერთმანეთს გადააბამ. გერმანია ფეხზე დგას!

გაუმარჯოს გერმანიას! (ლენისკენ გაემართება დიდი, მექანიკური ნაბიჯებით.)
გმადლობ, ჩემო დაო. ახლა კი, დაგვტოვე.

ლენი - არა.

ფრანცი (მზრძანებლურად, ყვირილით.) - გითხარი, დაგვტოვე-თქო.

უნდა, რომ გაიყვანოს.

იოჰანა - ფრანც!

ფრანცი - გისმენ.

იოჰანა - იმ ამბის დასასრული მინდა, შევიტყო.

ფრანცი - არავითარი დასასრული არ არსებობს: ყველა მოკვდა, ჩემ გარდა.

ლენი - ამას უყურეთ. ერთ დღეს, 49-ში, ყველაფერი აღიარა ჩემთან.

იოჰანა - აღიარა? რა?

ფრანცი - მონაჩმახი. მასთან სერიოზულად ლაპარაკი შეიძლება? ვხუმრობდი! (პაუზა.)
იოჰანა, თქვენ შემპირდით, რომ მხოლოდ მე დამიჯერებდით.

იოჰანა - დიახ.

ფრანცი - ჰოდა, დამიჯერეთ! ღვთის გულისათვის, დამიჯერეთ!

იოჰანა - მე... თქვენ სხვანაირი ხარო მისი თანდასწრებით. (ლენი იცინის.) უნდა
მომანდომოთ, რომ დაგიჯეროთ! მითხარით, რომ ის ცრუობს, ილაპარაკეთ! არაფერი
ჩაგიდენიათ, ასე არ არის?

ფრანცი (თითქმის ბურტყუნით.) - კეთილი.

იოჰანა (გაშმაგებით.) - თქვით-მეთქი, გამაგონეთ! თქვით: მე არაფერი ჩამიდენია!

ფრანცი (გაფანტულად.) - მე არაფერი ჩამიდენია.

იოჰანა (შემძრწუნებით უყურებს ფრანცს და აყვირდება.) - ჰა! (ყვირილს დაიოკებს.)
ვეღარ გცნობთ.

ფრანცი (ჯიუტად.) - მე არაფერი ჩამიდენია.

ლენი - ხელი არ შეუშალე.

იოჰანა - ვის?

ლენი - ჰაინრიხს.

იოჰანა - ის ორი ტყვე?..

ლენი - ის ორი დასაწყისისთვის.

იოჰანა - სხვებიც იყვნენ?

ლენი - საქმე დაწყებაა.

ფრანცი - მე აგისხნით. ორივეს რომ გხედავთ, თავგზა მერევა. თქვენ მე მკლავთ...
იოჰანა, როცა მარტონი ვიქნებით... ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა... მოვიკრებ აზრებს,
სრულ სიმართლეს გეტყვით, იოჰანა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ...

იოჰანას მკლავზე ხელს მოჰკიდებს. იოჰანა ღრიალით გაითავისუფლებს თავს.

იოჰანა - ხელი გამიშვით!

იოჰანა ლენის გვერდით დადგება. ფრანცი გაშტერებული რჩება მის წინ.

ლენი (იოჰანას.) - გამოცდა ძალიან ცუდად წარიმართა.

იოჰანა - წავაგე. თქვენი იყოს.

ფრანცი (დაბნეული.) - მომისმინეთ, ორივემ.

იოჰანა (ერთგვარი სიმულვილით.) - თქვენ აწამეთ! თქვენ!

ფრანცი - იოჰანა! (იოჰანა მას უყურებს.) ამ თვალებით არა! არა. ამ თვალებით არა!
(პაუზა.) ასეც ვიცოდი. (სიცილი აუტყდება და ოთხზე დადგება.) უკუსვლით!
უკუსვლით! (ლენი ყვირის. ფრანცი წამოდგება.) კიბორჩხალის სახით არასოდეს
გინახივარ, დაიკო? (პაუზა.) წადით აქედან, ორივე! (ლენი მაგიდასთან მიდის, უჯრის
გაღება უნდა.) ექვსის ათი წუთია. უთხარით მამაჩემს, რომ შეხვედრას ვუნიშნავ ექვს
საათზე სათათბირო ოთახში. მიბრძანდით! (ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. სინათლე
იკლებს. იოჰანა პირველი გადის უკანმოუხედავად. ლენი ცოტა ყოყმანის შემდეგ უკან
გაჰყვება. ფრანცი ჯდება და გაზეთს აიღებს.) ას ოცი ნავსაშენი: იმპერია!

მეოთხე მოქმედების დასასრული

მეხუთე მოქმედება

იგივე დეკორაცია, რაც პირველ მოქმედებაში. ექვსი საათია. სინათლე იკლებს. მაგრამ თავდაპირველად ეს შესამჩნევი არაა იმიტომ, რომ შემინული კარების დარაბები დახურულია და ოთახში ბინდია. საათი ექვსჯერ ჩამოკრავს. მესამე დარტყმაზე მარცხენა შემინული კარის დარაბა გარედან იღება და სინათლე შემოდის. მამა ხელს კრავს შემინულ კარს და შემოდის. ამავე მომენტში ფრანცის ოთახი იღება, მეორე სართულზე, და ფრანცი კიბის ბაქანზე გამოჩნდება. ორი მამაკაცი ცოტა ხანი ერთმანეთს შეჰყურებს. ფრანცს ხელში პატარა კვადრატული ფორმის ჩემოდანი უჭირავს: ეს მისი მაგნეტოფონია.

სცენა პირველი

მამა, ფრანცი

ფრანცი (გაუნძრევლად.) - გამარჯობა, მამა.

მამა (ზუნებრივი და შინაურული ხმით.) - გამარჯობა, პატარავ. (ბარბაცებს და სკამის საზურგეზე იმაგრებს თავს.) მოიცა: ოთახს გავანათებ.

აღებს მეორე შემინულ კარს და სწევს დარაბას. პირველი მოქმედების დასასრულის მომწვანო სინათლე შემოდის ოთახში.

ფრანცი (ერთი საფეხური ჩამოიარა.) - გისმენთ.

მამა - არაფერი მაქვს შენთვის სათქმელი.

ფრანცი - როგორ? ლენი ააწრიალეთ თხოვნებით...

მამა - შვილო, მე ამ პავილიონში იმიტომ ვარ, რომ შენ მიხმე.

ფრანცი (გაოგნებული უყურებს მამას, მერე სიცილი წასკდება.) - ღმერთმანი, მართალია. (კიდევ ერთ საფეხურზე ჩამოვა და ჩერდება.) მშვენიერი პარტიაა! იოჰანა ლენის წინააღმდეგ ათამაშეთ, მერე ლენი იოჰანას წინააღმდეგ. შამათი სამ სვლაში.

მამა - ვინ დაშამათდა?

ფრანცი - მე, შავების მეფე. მოგებამ არ დაგდალათ?

მამა - ყველაფერმა დამდალა, ჩემო ბიჭო, ამის გარეშე: ვერასოდეს მოიგებ; მე ვცდილობ, არ წავაგო.

ფრანცი (მხრებს იჩეჩავს.) - საბოლოოდ თქვენ ყოველთვის იმას აკეთებთ, რაც გსურთ.

მამა - ყველაზე ნაღდი საშუალებაა იმისთვის, რომ წააგო.

ფრანცი (მკვახედ.) - ეს- კი! (მკვეთრად.) მითხარით, რა გნებავთ?

მამა - ახლა? შენი ნახვა.

ფრანცი - თქვენ წინაშე ვარ! იჯერეთ გული ჩემი ყურებით, სანამ ეს კიდეც შეგიძლიათ: მე თქვენთვის ბევრი სათქმელი შემოვინახე. (მამა ახველებს.) ნუ ახველებთ.

მამა (ცოტა საწყლად.)- ვეცდები. (კიდეც ახველებს.) არც ისე მოსახერხებელია... (თავს მოერევა.) აი.

ფრანცი (მამას უყურებს. ნელა.) - რა მოწყენილობაა! (პაუზა.) მიდით, გაიღიმეთ! დღეს ხომ დღესასწაულია: მამა და შვილი ერთმანეთს ხვდება, მსუქანი ხბო უნდა დაიკლას (მკვეთრად.) თქვენ არ იქნებით ჩემი მოსამართლე.

მამა - ვინ ამბობს ამას?

ფრანცი - თქვენი მზერა. (პაუზა.) ორი დამნაშავე: ერთი მეორეს ბრალს სდებს იმ პრინციპების სახელით, რომლებიც ორივემ შელახა; რას დაარქმევდით ამ ფარსს?

მამა (მშვიდი და ნეიტრალური.) - სამართალს. (ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.) შენ დამნაშავე ხარ?

ფრანცი - დიახ. თქვენც. (პაუზა.) მე თქვენ აცილებას გაძლევთ.

მამა - მაშ რატომ მოინდომე ჩემთან ლაპარაკი?

ფრანცი - რათა გამცნოთ: მე ყველაფერი წავაგე. თქვენც ყველაფერს წააგებთ. (პაუზა.) ბიბლიაზე დაიფიცეთ, რომ არ განმსჯით! დაიფიცეთ, თორემ ახლავე დავბრუნდები ჩემს ოთახში.

მამა (ბიბლიასთან მიდის, გადაშლის მას და ხელს გაიწვდის.) - ვფიცავ!

ფრანცი - მშვენიერია! (ჩამოდის, მაგიდასთან მიდის და მაგნეტოფონს დებს მასზე. შემოტრიალდება. მამა და შვილი ერთმანეთის პირისპირ დგანან, თავისუფლად.) სად არის წლების კვალი? თქვენ ისევ ისეთი ხართ.

მამა - არა.

ფრანცი (მონუსხულივით მიუახლოვდება. ხაზგასმული თავხედობით, მაგრამ თავის დაცვით.) - არანაირი გრძნობა არ გამიჩნდა თქვენი კვლავ ნახვისას. (პაუზა. ხელს ასწევს და, თითქმის უნებური ჟესტით, მამას მკლავზე მოჰკიდებს.) ბებერი ჰინდენბურგი. ჰა, რაო? (უკან გადავარდება. მშრალად და გაბოროტებით.) მე ვაწამებდი. (პაუზა. მძაფრად.) გესმით, რა ვთქვი?

მამა (სახე არ ეცვლება.) - დიახ, განაგრძე.

ფრანცი - სულ ეს არის. პარტიზანები გასაქანს არ გვაძლევდნენ; სოფელი მათ ედგა გვერდში: მე შევეცადე, სოფლელები ამელაპარაკებინა. (სიჩუმე. მშრალად და ნერვიულად.) მუდამ ერთი და იგივე ამბავი.

მამა (მძიმედ და ნელა, მაგრამ გამომსახველობას მოკლებული.) - მუდამ.

პაუზა. ფრანცი ქედმაღლურად უყურებს.

ფრანცი - თქვენ განმსჯით, როგორც ვატყობ?

მამა - არა.

ფრანცი - მით უკეთესი. ჩემო ძვირფასო მამა, უნდა გაგაფრთხილოთ: მე ჯალათი ვარ, რადგან თქვენ ჩამშვები ხართ.

მამა - მე არავინ დამიბეზღებია.

ფრანცი - ის პოლონელი რაბინი?

მამა - არც პოლონელი რაბინი. მხოლოდ რისკი გავწიე... სავალალო.

ფრანცი - აღარაფერს ვიტყვი. (წარსული უდგება თვალწინ.) სავალალო რისკი? მეც, მეც ვწევდი რისკს. (იციინის.) ოჰ! ძალიან სავალალოს! (იციინის. მამა სარგებლობს მომენტით და ახველებს.) რა ხდება?

მამა - შენთან ერთად ვიციინი.

ფრანცი - თქვენ ახველებთ! შეწყვიტეთ, ღვთის გულისათვის, ყელი გამიგლიჯეთ.

მამა - მაპატიე.

ფრანცი - მოკვდებით?

მამა - შენ ეს იცი.

ფრანცი (აპირებს, მიუახლოვდეს. უცებ უკან იხევს.) - რა შვებაა! (ხელები უცახცახებს.) ალბათ ჯოჯოხეთურ ტკივილს გაყენებთ.

მამა - რა?

ფრანცი - ეს ოხერი ხველება.

მამა (გადიზიანებული.) - არა, არა.

ხველება განახლდება, შემდეგ დაცხრება.

ფრანცი - მე შევიგრძნობ თქვენს ტანჯვას. (თვალგაშტერებული.) წარმოსახვამ მიღალატა.

მამა - როდის?

ფრანცი - იქ. (ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. ფრანცმა მამას ზურგი აქცია, სიღრმის კედელს უყურებს. როდესაც ლაპარაკობს, წარსულს განიცდის, აწმყოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უშუალოდ მამას მიმართავს.) ხელმძღვანელობისგან სისხლიანი ფაფა დარჩა; ფელდფეხელი და კლაგესი ჩემს განკარგულებაში იმყოფებიან, ჯარისკაცები ჩემს ფეხქვეშ განთხმულან. ერთადერთი ბრძანება: გავძლოთ. მე ვძლებ. მე ვწყვეტ, ვინ იცოცხლებს და ვინ მოკვდება: შენ, წადი, თავი შეაკალი! შენ, დარჩი! (პაუზა. სცენის წინა ნაწილში, კეთილშობილი და ავისმომასწავლებელი.) უმაღლესი ძალაუფლება მიპყრია ხელთ. (პაუზა.) ჰა, რაო? (თითქოს უხილავ თანამოსაუბრეს უსმენს, შემდეგ მამისკენ მიტრიალდება.) მეკითხებოდნენ: „რას უზამ ამას?“

მამა - ვინ?

ფრანცი - ღამეულ ჰაერში ეკიდა ეს კითხვა. ყოველ ღამე. (უხილავი თანამოსაუბრის ჩურჩულს აჯავრებს.) რას უზამ ამას? რას უზამ ამას? (ყვირის.) რეგვენები. ბოლომდე წავალ. ძალაუფლების კიდემდე! (მამას, მკვეთრად.) იცით, რატომ?

მამა - დიახ.

ფრანცი (ცოტა დაბნეული.) - ჰა?

მამა - ცხოვრებაში ერთხელ შენ უსუსურობა განიცადე.

ფრანცი (ყვირის და იცინის.) - ბებერ ჰინდენბურგს თავი უმუშავებს: ვაშა მას! დიახ, მე ის განვიცადე. (სიცილს წყვეტს.) აჰ, თქვენ გამო! თქვენ მათ რაბინი გადაეცით, მე ოთხმა კაცმა გამაკავა, დანარჩენებმა კი ყელი გამოლადრეს. რა შემეძლო, მექნა? (მარცხენა ხელის ნეკათით აწევს და შეხედავს.) ნეკათითაც ვერ გავანძრევდი. (პაუზა.) იშვიათი გამოცდილებაა, მაგრამ მომავალ ბელადებს არ ვურჩევდი: ამის მერე წელში ვერ გაიმართები. თქვენ უფლისწულად შემქმენით, მამაჩემო. იცით, მეფედ ვინ მაქცია?

მამა - ჰიტლერმა.

ფრანცი - დიახ. სირცხვილის ძალმოსილებით. იმ... შემთხვევის შემდეგ ძალაუფლება ჩემს მოწოდებად იქცა. ისიც იცით, რომ მე მისით მოხიბლული ვიყავი?

მამა - ჰიტლერით?

ფრანცი - არ იცოდით? ოჰ! მე ის მძულდა. ადრეც, მერეც. მაგრამ იმ დღეს ის ღამეუფლა. როცა ორი ბელადია, ან ერთმანეთი უნდა დახოცონ, ან ერთი მეორეს დაუწვეს. მე ჰიტლერს დავუწეე. რაბინს სისხლი სდიოდა, მე კი ჩემი უსუსურობის

გულისგულში უცნაურად ვეთანხმებოდი. (წარსულში გადაინაცვლებს.) მე უმაღლესი ძალაუფლება მიპყრია ხელთ. ჰიტლერმა ჩემგან სხვა შექმნა, ულმობელი და შარავანდედით მოსილი: თავისი სახეა. მე ჰიტლერი ვარ და ჩემს თავზე მაღლა დავდგები. (პაუზა. მამას.) სურსათი გაგვითავდა; ჩემი ჯარისკაცები ბელის გარშემო დამრწოდნენ. (წარსულს აცოცხლებს.) ოთხი ჯანდონით სავსე გერმანელი მიწას გამაკრავს და ჩემი საკუთარი ხალხი ტყვეებს სისხლის ბოლო წვეთებს გამოადენს. არა! მე აღარასოდეს ჩავვარდები გულისამრევ უსუსურობაში. ვფიცავ. დამეა. საშინელებას ჯერ კიდევ ჯაჭვები აკავენ... მე მათ დავასწრებ: თუ ვინმე ჯაჭვებს მოგლეჯს, ეს მე ვიქნები. ბოროტებაზე ჩემს უფლებას განვაცხადებ და ჩემს ძალაუფლებას დაუვიწყარი, გაუგონარი ქმედებით გამოვხატავ: ადამიანს *სიცოცხლეშივე* მატლად ვაქცევ; ტყვეებს მართო მივხედავ, სიბილწეში ჩავძირავ და ისინი ალაპარაკდებიან. ძალაუფლება უფსკრულია და მე მის ფსკერს ვხედავ; მომავალი მკვდრების არჩევა საკმარისი არ არის; ჯაყვისა და სანთებლის მეშვეობით მე ადამიანის მეფობას გადავწყვეტ. (გაფანტულად.) მომწუსხავია! მეფენი ჯოჯოხეთში მიდიან, ესაა მათი დიდება: მე წავალ.

სცენის წინა ნაწილში დგას ჰალუცინაციით შეპყრობილი.

მამა (მშვიდად.) - ისინი ალაპარაკდნენ?

ფრანცი (მოგონებებს სწყდება.) - ჰა, რაო? (პაუზა.) მანამდე დაიხოცნენ.

მამა - ვინც აგებს, მოგებული რჩება.

ფრანცი - ეჰ! ყველაფერი სწავლით მოდის: ჯერ გამოცდილება არ მქონდა. ჯერ კიდევ.

მამა (სევდიანი ღიმილით.) - თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანის მეფობა სწორედ მათ გადაწყვიტეს.

ფრანცი (ღრიალებს.) - მეც მათსავით მოვიქცეოდი. მოვკვდებოდი დარტყმებქვეშ და ერთ სიტყვასაც არ ვიტყოდი! (მშვიდდება.) მაგრამ მიმიფურთხებია! ჩემი ავტორიტეტი ხომ შევინარჩუნე.

მამა - დიდი ხნით?

ფრანცი - ათი დღით. ამ ათი დღის შემდეგ მტრის ტანკებმა შემოგვიტოეს, ყველანი დავიხოცეთ - ტყვეებიც კი. (იციჩის.) უკაცრავად! ჩემ გარდა! მე არ მოვმკვდარვარ! სულაც არ მოვმკვდარვარ! (პაუზა.) არაფერია სარწმუნო ჩემი ნათქვამიდან - გარდა იმისა, რომ მე ვაწამე.

მამა - მერე? (ფრანცი მხრებს იჩეჩავს.) გზებზე დაიარებოდი? იმალებოდი? მერე ჩვენ დაგვიბრუნდი?

ფრანცი - ჰო. (პაუზა.) ნანგრევები მამართლებდნენ: მომწონდა ჩვენი შემუსრული სახლები, დასახიჩრებული ბავშვები. ჩემს თავს განვუცხადე, რომ ჩავიკეტებოდი, რათა არ მეყურებინა გერმანიის აგონიისათვის; ეს ტყუილია. ჩემი ქვეყნის სიკვდილი ვისურვე და გამოვიკეტე, მისი მკვდრეთით აღდგომის მოწმე რომ არ გავმხდარიყავი. (პაუზა.) გამასამართლეთ!

მამა - შენ მე ბიბლიაზე დამაფიცე...

ფრანცი - აზრი შევიცვალე: მოვრჩეთ.

მამა - არა.

ფრანცი - გეუბნებით, რომ გათავისუფლებთ თქვენი ფიცისგან.

მამა - ჯალათი დათანხმდება ჩამშვების განაჩენს?

ფრანცი - ღმერთი არ არსებობს, ასე არაა?

მამა - ვშიშობ, რომ არა: ეს ზოგჯერ ძალზე დასანანიცაა.

ფრანცი - ჰოდა, ჩამშვები ხართ თუ არა, თქვენ ჩემი ბუნებრივი მოსამართლე ხართ. (პაუზა. მამა თავით უარს ანიშნებს.) არ გამასამართლებთ? სულ არა? ესე იგი, თავში სხვა რამ გიტრიალებთ! ეს უარესი იქნება! (უხეზად.) რას ელოდებით?

მამა - არაფერს: შენ აქ ხარ.

ფრანცი - ელოდებით! ჩემთვის ნაცნობია თქვენი ხანგრძლივი, ხანგრძლივი მოლოდინები: თქვენს პირისპირ ბევრი მდგარა, სასტიკი და ბოროტი ხალხი. ისინი შეურაცხყოფდნენ, თქვენ კი დუმდით, ელოდებოდით: მერე და მერე ეს ხალხი ორთქლდებოდა. (პაუზა.) ხმა ამოიღეთ! ხმა ამოიღეთ! თქვით რაიმე. ასე აუტანელია.

პაუზა.

მამა - რას აპირებ?

ფრანცი - ზემოთ ავბრუნდები.

მამა - როდის ჩამოხვალ კიდეც?

ფრანცი - აღარასოდეს.

მამა - არავის მიიღებ?

ფრანცი - ლენის: რომ მომხედოს.

მამა - და იოჰანას?

ფრანცი (მშრალად.) - დამთავრებულია! (პაუზა.) ამ გოგოს საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდა...

მამა - შენ ის გიყვარდა?

ფრანცი - მარტოობა მთრგუნავდა. (პაუზა.) მას რომ ისეთი მიველე, როგორიც ვარ...

მამა - შენ თუ იღებ ასეთს შენს თავს?

ფრანცი - თქვენ? თქვენ მიღებთ?

მამა - არა.

ფრანცი (ღრმად შეძრული.) - მამაც კი არა.

მამა - მამაც კი არა.

ფრანცი (შეცვლილი ხმით.) - მაშ რა ჯანდაბას ვაკეთებთ ერთად? (მამა არ პასუხობს. ღრმა წუხილით.) აჰ, არ უნდა შეგხვედროდით! ასეც ვეჭვობდი! ასეც ვეჭვობდი.

მამა - რას ეჭვობდი?

ფრანცი - რაც დამემართებოდა.

მამა - შენ არაფერი გემართება.

ფრანცი - ჯერ არა. მაგრამ თქვენ მანდა ხართ და მეც აქა ვარ. როგორც ჩემს სიზმრებში. და, როგორც ჩემს სიზმრებში, თქვენ ელოდებით. (პაუზა.) ძალიან კარგი. მეც შემძლია დავიცადო. (თავისი ოთახის კარს უჩვენებს.) თქვენსა და ჩემს შორის მე ამ კარს ჩავდგამ. მოთმინების ექვსი თვე. (მამის თავისკენ იშვერს თითს.) ექვს თვეში ეს თავის ქალა დაცარიელდება, ეს თვალები ვეღარ დაინახავენ, ჭიკელები შეთქვლეფენ ამ ტუჩებს და იმ ზიზღს, რამაც ისინი დაბურცა.

მამა - მე შენ არ მეზიზღები.

ფრანცი (ირონიულად.) - მართლა! მას შემდეგაც, რაც ჩემგან შეიტყვეთ?

მამა - შენ ჩემთვის არაფერი შეგიტყობინებია.

ფრანცი (განცვიფრებული.) - რა ბრძანეთ?

მამა - შენი სმოლენსკის ამბები სამი წელია, რაც ვიცი.

ფრანცი (გაშმაგებით.) - შეუძლებელია! მკვდრები არიან! მოწმე არ არსებობს. მკვდრები და დამარხულები არიან. ყველა.

მამა - გარდა ორისა, რომლებიც რუსებმა გაათავისუფლეს. ისინი ჩემს სანახავად მოვიდნენ. ეს იყო 56 წლის მარტში. ფერისტი და შლაიდემანი: გახსოვს ისინი?

ფრანცი (ნირწამხდარი.) - არა. (პაუზა.) რა უნდოდათ?

მამა - ფული დუმილის სანაცვლოდ.

ფრანცი - მერე?

მამა - მე შანტაჟს არა ვცნობ.

მამა - ისინი...

მამა - დამუნჯდნენ. დაივიწყე ისინი: გააგრძელე.

ფრანცი (სიცარიელეში იყურება.) - სამი წელი?

მამა - სამი წელი. თითქმის მაშინვე გამოვაცხადე შენი გარდაცვალება, შემდეგ წელს კი ვერნერს ვუხმე: ასე უფრო წინდახედული იქნებოდა.

ფრანცი (არ მოუსმენია.) - სამი წელი! მე კიბორჩხალებს ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ვეუბნებოდი, ვატყუებდი მათ! და სამი წლის განმავლობაში, აჰ, სააშკარაოზე ვიყავი. (მკვეთრად.) იმ დროიდან ცდილობდით ჩემს ნახვას, არა?

მამა - დიახ.

ფრანცი - რატომ?

მამა (მხრებს იჩეჩავს.) - ისე!

ფრანცი - ისინი თქვენს კაბინეტში ისხდნენ, თქვენ მათ უსმენდით, ვინაიდან ისინი მე მიცნობდნენ და მერე - გარკვეულ მომენტში - ერთმა მათგანმა გითხრათ: „ფრანც ფონ გერლახი ჯალათია.“ კვანძის გახსნაც ასეთი უნდა! (ცდილობს, იხუმროს.) იმედი მაქვს, ამან ძალზე გაგაკვირვათ.

მამა - არა. არც მაინცდამაინც.

ფრანცი (ყვირის.) - მე სუფთა ვიყავი, როდესაც თქვენგან წავედი! უხინჯო ვიყავი, პოლონელის ხსნა მინდოდა... არც გაგკვირვებიათ? (პაუზა.) რა იფიქრეთ? ჯერ არაფერი იცოდით და უცებ, ერთბაშად, ყველაფერი გაიგეთ! (ყვირილს უმატებს.) რა იფიქრეთ, ღვთის გულისათვის!

მამა (ღრმა და ნაღვლიანი სინაზით.) - ჩემი საბრალო პატარა!

ფრანცი - რაო?

მამა - შენ მეკითხები, თუ რა ვიფიქრე! მეც გასაუხობ. (პაუზა. ფრანცი მთელი ტანით წამოიშორება, მერე ქვითინით დაემხო მამის მხარს.) ჩემი საბრალო პატარა! (მამა მოუხერხებლად ეფერება კეფაზე.) ჩემი საბრალო პატარა!

პაუზა.

ფრანცი (უცებ წამოიმართება.) - მოიცა! (პაუზა.) ეს მოულოდნელობის ეფექტი იყო. თექვსმეტი წელი არ მიტირია და კიდევ თექვსმეტი წელი არ ვიტირებ. ნუ მიცოდებთ, თორემ კბენა მინდებოდა. (პაუზა.) ჩემი თავი დიდად არ მიყვარს.

მამა - რად უნდა გიყვარდეს?

ფრანცი - მართლაც.

მამა - შენი სიყვარული ჩემი საქმეა.

ფრანცი - თქვენ გიყვარვართ? თქვენ? გიყვართ სმოლენსკელი ყასაბი?

მამა - სმოლენსკელი ყასაბი შენა ხარ.

ფრანცი - კარგი, კარგი, არ გინდათ თავის შეწუხება. (განგებ ვულგარული სიცილით.) ბუნებაში ყველანაირი გემოვნება არსებობს. (მკვეთრად.) თქვენ ჩემს დამუშავებას ცდილობთ! როდესაც გრძნობებს ამჟღავნებთ, ეს თქვენს გეგმებს ემსახურება. გეუბნებით, რომ მამუშავებთ: ჯერ მძლავრი დარტყმები და მერე გულის აჩვილება; როდესაც საბოლოოდ გამასამართლებთ... მიდით, დროზე! თქვენ საკმარისი დრო გქონდათ, რომ ეს ამბავი გადაგეხარშათ და საკმაოდ მბრძანებლური ბუნება გაქვთ იმისათვის, რომ სურვილი არ გაგჩენოდეთ, თქვენებურად მოგეგვარებინათ საქმე.

მამა (პირქუში ირონიით.) - მბრძანებლური! ეგ უკვე უკან მოვიტოვე. (პაუზა. თავისთვის ჩაიცინებს, მხიარულად, მაგრამ ავისმომასწავებლად. მერე ფრანცს მიუტრიალდება. დიდი სითბოთი, მაგრამ შეუვალად.) მაგრამ ამ საქმეს რაც შეეხება, დიახ: მე მას მოვაგვარებ.

ფრანცი (უკან გადახტება.) - მე ხელს შეგიშლით: განა ეს თქვენ გეხებათ?

მამა - მე მინდა, რომ აღარ იტანჯო.

ფრანცი (მკაცრად და უხეშად, თითქოს ვიღაც სხვას განსჯის.) - მე არ ვიტანჯები: მე სხვები ვიტანჯე. ეგება შეამჩნიოთ განსხვავება?

მამა - ვამჩნევ.

ფრანცი - ყველაფერი დამავიწყდა. მათი ყვირილიც კი. დავცარიელდი.

მამა - მესმის. ეს კიდევ უფრო მძიმეა, არა?

ფრანცი - რატომ გგონიათ?

მამა - უკვე თოთხმეტი წელია შეპყრობილი ხარ ტანჯვით, რომელიც შენ შვი და რომელსაც ვეღარ შეიგრძნობ.

ფრანცი - კი მაგრამ, ვინ გთხოვთ, ჩემზე გელაპარაკათ? დიახ. ეს კიდეც უფრო მძიმეა: ეს ტანჯვა ზურგზე მაზის და ცხენივით დამაჭენებს. არ გისურვებდით ასეთ მხედარს. (მკვეთრად.) მერე? სადაა გამოსავალი? (თვალეზგადმოკარკლული შეჰყურებს მამას.) ეშმაკსაც წაუღიხართ!

მამას ზურგს შეაქცევს და მძიმე ნაბიჯებით აუყვება კიბეს.

მამა (ერთი მოძრაობაც არ გაუკეთებია ფრანცის შესაჩერებლად. მაგრამ, როდესაც ფრანცი მეორე სართულის კიბის ბაქნამდე მივა, ხმამაღლა დაიწყებს ლაპარაკს.) გერმანია შენს ოთახშია! (ფრანცი ნელა შემოტრიალდება.) ის ცოცხლობს, ფრანც! შენ მას ვეღარ დაივიწყებ.

ფრანცი - სული უდგას, ვიცი, მიუხედავად დამარცხებისა. შევეგუები ამას.

მამა - თავისი დამარცხების გამო, ის ევროპის ყველაზე ძლიერი ქვეყანაა. შევეგუები ამას? (პაუზა.) ჩვენ განხეთქილების ვაშლი და ფსონი ვართ. ჩვენ გვანებივრებენ; ყველა ბაზარი გახსნილია ჩვენთვის, ჩვენი მანქანები გუგუნებენ: ეს ნამდვილი სამქედლოა. განგების მოვლენილი დამარცხება, ფრანც: ჩვენ გვაქვს კარაქი და ქვემეხები. ჯარისკაცები, ჩემო ბიჭო! ხვალ ბომბი იქნება! აი, მაშინ კი შევარხევთ ფაფარს და ნახავ, ეს ჩვენი მეურვეები რწყილებივით რომ დაგცვივდებიან.

ფრანცი (ბოლო თავდაცვლა.) - ჩვენ ვბატონობთ ევროპაზე და ჩვენ დაგვამარცხეს! რას ვიზამდით, რომ გაგვემარჯვა?

მამა - ჩვენ არ შეგვეძლო, გაგვემარჯვა.

ფრანცი - მაშ ეს ომი უნდა წაგვეგო?

მამა - „წაგებული იგებს“ უნდა გვეთამაშა: როგორც ყოველთვის.

ფრანცი - თქვენ ასე მოიქცით?

მამა - დიახ: როგორც კი საომარი მოქმედებები დაიწყო.

ფრანცი - ისინი, ვისაც იმდენად უყვარდათ ეს ქვეყანა, რომ გამარჯვებისათვის სწირავდნენ თავიანთ მხედრულ ღირსებას...

მამა (მშვიდად და მკაცრად.) - ისინი მხოლოდ გაახანგრძლივებდნენ ხოცვა-ჟლეტას და ხელს შეუშლიდნენ რეკონსტრუქციას. (პაუზა.) სიმართლე ისაა, რომ მათ სრულიად არაფერი გაუკეთებიათ, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მკვლელობებს.

ფრანცი - შესანიშნავი თემაა განსჯისთვის: აი, რითი დავკავდები ჩემს ოთახში.

მამა - შენ იქ ერთი წუთიც აღარ გაჩერდები.

ფრანცი - აქ კი ცდებით: მე უარს ვიტყვი ქვეყანაზე, რომელიც მე უარმყოფს.

მამა - ცამეტი წელი ცდილობდი ამას, მაგრამ უშედეგოდ. ახლა შენ ყველაფერი იცი: როგორ შეძლებ გააგრძელო კომედიის თამაში?

ფრანცი - იმას როგორ შევძლებ, რომ შევწყვიტო? გერმანიას სული უნდა გაბვრეს ანდა მე უნდა ვიყო ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავე.

მამა - სწორედაც რომ.

ფრანცი - მერე? (მამას შეხედავს. მკვეთრად.) მე არ მინდა მოვკვდე.

მამა (მშვიდად.) - რატომაც არა?

ფრანცი - თქვენ შეგიძლიათ ეს იკითხოთ. თქვენ ჩაწერეთ თქვენი სახელი.

მამა - რომ იცოდე, რა ნაკლებ მანაღვლებს!

ფრანცი - ცრუობთ, მამა: თქვენ გინდოდათ, გემები შეგექმნათ და შექმენით კიდეც.

მამა - მე მათ შენთვის ვქმნიდი.

ფრანცი - ჰო? მე კი მეგონა, რომ მე შემქმენით გემებისთვის. ასეა თუ ისე, ისინი არსებობენ. მკვდარსაც ფლოტი გერქმევათ. მე კი? მე რას დავტოვებ ჩემს შემდეგ?

მამა - არაფერს.

ფრანცი (გაფანტულად.) - სწორედ ამიტომ მე ას წელს ვიცოცხლებ. მე მხოლოდ ჩემი სიცოცხლე მაბადია. (ველურივით.) მხოლოდ ჩემი სიცოცხლე! მას ვერ წამართმევენ. დამიჯერეთ, მე ის მძაგს, მაგრამ არაფერს მირჩევნია.

მამა - შენი სიცოცხლე თუ შენი სიკვდილი, სულ ერთია, არაფერს წარმოადგენს. შენ არაფერი ხარ, არაფერს აკეთებ, არაფერი გიკეთებია და არც შეგიძლია, აკეთო. (ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდება. მამა ნელა უახლოვდება კიბეს. ის დადგება ნათურის წინ, ფრანცის ქვემოთ და თავაწეული ელაპარაკება.) მე პატიებას გთხოვ.

ფრანცი (შიშისგან გაშეშებული.) - მე, თქვენ? ეს რაღაც კომბინაციაა! (მამა იცდის. მკვეთრად.) პატიებას რისთვის?

მამა - შენთვის. (პაუზა. ღიმილით.) - მშობლები იდიოტები არიან: ისინი მზეს აჩერებენ. მეგონა, რომ სამყარო აღარ შეიცვლებოდა. ის კი შეიცვალა. გახსოვს, რა მომავალი მოგიმზადე?

ფრანცი - დიახ.

მამა - გაუთავებლად გელაპარაკებოდი ამ მომავალზე და შენც ხედავდი მას. (ფრანცი თანხმობის ნიშანს აძლევს.) არადა, ეს მხოლოდ ჩემი წარსული იყო.

ფრანცი - დიახ.

მამა - შენ ეს იცოდი?

ფრანცი - ყოველთვის ვიცოდი. თავდაპირველად მომწონდა კიდეც.

მამა - ჩემი საბრალო პატარა! მე მსურდა, რომ ჩემს შემდეგ შენ გემართა წარმოება. წარმოება გემართავს ჩვენ. ის ირჩევს თავის ხალხს. მე მან განზე გამწია: ვფლობ, მაგრამ ვეღარ ვმბრძანებლობ. შენ კი, პატარა უფლისწულო, პირველივე წუთიდან უკუგაგდო: რაში სჭირდება უფლისწული? ის თვითონ აყალიბებს და ნიშნავს თავის მმართველებს. (სანამ მამა ლაპარაკობს, ფრანცი ნელა ჩამოდის საფეხურებზე.) მე შენ გადმოგეცი ყველა ღირსება და ჩემი მძაფრი ლტოლვა ძალაუფლებისკენ, არ გამოგვადგა. ძალზე დასანანი! იმისათვის, რომ გემოქმედა, მსხვილ რისკებს გასწევდი ხოლმე, და ხედავ, ყველა შენი ქმედება მან მხოლოდღა შესტებად აქცია. შენმა ტანჯვამ საბოლოოდ დანაშაულისკენ გიბიძგა და მან ამ დანაშაულშიც კი გაგაუქმა: წარმოება შენი მარცხით იკვებება. მე არ მიყვარს სინდისის ქენჯნა, ფრანც, უსარგებლოა ეს. რომ შემემდლოს ვირწმუნო, რომ შენ ეფექტური იქნები სხვაგან ან სხვაგვარად... მაგრამ მე შენ მონარქად შეგქმენი; დღეს ეს უვარგის ნიშნავს.

ფრანცი (ღიმილით.) - განწირული ვიყავი?

მამა - დიახ.

ფრანცი - უძლურებისთვის?

მამა - დიახ.

ფრანცი - დანაშაულისთვის?

მამა - დიახ.

ფრანცი - თქვენგან?

მამა - ჩემი ვნებებისგან, რომლებიც მე შენში ჩავდე. გადაეცი შენს კიბორჩხალების სასამართლოს, რომ ერთადერთი დამნაშავე მე ვარ, თანაც ყველაფერში.

ფრანცი (იგივე ღიმილით.) - აი, რისი მოსმენა მინდოდა თქვენგან. (ბოლო საფეხურებზე ჩამოდის და მამის პირისპირ დგება.) მაშინ მე თანახმა ვარ.

მამა - რა?

ფრანცი - ვთანხმდები იმას, რასაც ჩემგან მოელით. (პაუზა.) ერთადერთი პირობა, ორივე და ახლავე.

მამა (უეცრად ნირწამხდარი.) - ახლავე?

ფრანცი - დიახ.

მამა (გაბზარული ხმით.) - შენ გულისხმობ დღეს?

ფრანცი - მე ვგულისხმობ: ამ წუთასვე. (სიჩუმე ჩამოვარდება.) ეს არ გინდოდათ?

მამა (ახველებს.) - არა... ასე მალე.

ფრანცი - რატომაც არა?

მამა - ეს-ესაა, რაც კვლავ გიპოვე.

ფრანცი - თქვენ არავინ გიპოვიათ. თქვენი თავიც კი. (მშვიდი და სადაა, პირველადაა ასეთი, მაგრამ სრულიად სასოწარკვეთილია.) მე არაფერი ვიქნები, გარდა ერთისა თქვენს წარმოსახვათაგან. დანარჩენი ხატებები თქვენს გონებაში დარჩა. უბედურებამ იწება, რომ სწორედ ამ ხატებამ შეისხა ხორცი. სმოლენსკში, ერთ ღამეს, მან მოიპოვა... რა? დამოუკიდებლობის ერთი წუთი. და ამიტომ: თქვენ ყველაფერში ხართ დამნაშავე, გარდა ამისა. (პაუზა.) ცამეტი წელი უჯრაში დატენილი რევოლვერი მედო. იცით, რატომ არ მოვიკალი თავი? ვფიქრობდი: რაც მოხდა, ასე დარჩება. (პაუზა. სრულიად გულწრფელი.) სიკვდილი ვერაფერს მოაგვარებს: ვერაფერს მომიგვარებს. მე ვისურვებდი... გაგეცინებათ: ვისურვებდი, სულ არ დავბადებულიყავი. ყოველთვის როდი ვცრუობდი, ზემოთ. სადამოლობით ოთახში დავდიოდი და თქვენზე ვფიქრობდი.

მამა - მე აქ ვიყავი, ამ სავარძელში. შენ დადიოდი: მე გისმენდი.

ფრანცი (გულგრილი და ნეიტრალური.) - აჰ! (აგრძელებს.) ვფიქრობდი: მას რომ მოენახა საშუალება და ეს მეამბოხე ხატება მოეხელთებინა, ამოეგლიჯა ჩემგან, ამოეწოვა, მის გარდა არასოდეს სხვა არავინ დარჩებოდა.

მამა - ფრანც, არასოდეს სხვა არავინ ყოფილა ჩემ გარდა.

ფრანცი - თქმა იოლია: დაამტკიცეთ. (პაუზა.) ვიდრე ვიცოცხლებთ, ჩვენ ორნი ვიქნებით. (პაუზა.) მერსედესში ექვსი ადგილი იყო, მაგრამ თქვენ მარტო მე დაგყავდით. მეუბნებოდით: „ფრანც, უნდა გამოიწრთო, სისწრაფეს მოვუმატებთ.“ რვა წლისა ვიყავი, იმ გზას მივუყვებოდით, ელბის ნაპირზე... კიდევ არსებობს „ემშაკის ხიდი“?

მამა - კიდევ არსებობს.

ფრანცი - სახიფათო გადასასვლელია; ყოველ წელიწადს იხოცებოდა ხალხი.

მამა - უფრო მეტი იხოცება ყოველ წელიწადს.

ფრანცი - თქვენ ამბობდით: „აი, ჩვენც მოვედით“ და პედალს ფეხს აჭერდით. ვგაჟდებოდი შიშისა და სიხარულისაგან.

მამა (ოდნავ იღიმება.) - ერთხელ კინაღამ გადავყირავდით.

ფრანცი - ორჯერ. მანქანები დღეს უფრო სწრაფად დადიან?

მამა - შენი დის პორშე 180-ით დადის.

ფრანცი - ჰოდა მასში ჩავსხდეთ.

მამა - ასე მალე!...

ფრანცი - რისი იმედი გაქვთ?

მამა - სულის მოთქმის.

ფრანცი - თქვენ გაქვთ ამის საშუალება. (პაუზა.) თუმცა კარგად იცით, რომ დიდხანს ვერ გასტანს. (პაუზა.) ერთ საათსაც არ ვატარებ, თქვენ რომ არ მძულდეთ.

მამა - ამ წუთებშიც?

ფრანცი - ამ წუთებში, არა. (პაუზა.) თქვენი ხატება დაიმსხვრევა ყველა დანარჩენთან ერთად, რომლებიც თქვენი გონებიდან არც გამოსულან არასოდეს. ბოლომდე დარჩებით ჩემს მიზეზად და ჩემს ბედისწერად.

პაუზა.

მამა - კეთილი. (პაუზა.) მე შეგქმენი და მევე გაგაქრობ. ჩემი სიკვდილი შენსას გარს შემოეხვევა და საბოლოოდ მარტო მე მოვკვდები. (პაუზა.) მოიცა. ჩემს შემთხვევაშიც არ მეგონა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა. (ღიმილით, რომელიც ცუდად ფარავს მის წუხილს.) უცნაურია, სიცოცხლე, რომელიც აფეთქდება ცარიელი ცის ქვეშ. ეს... ეს არაფერს ნიშნავს. (პაუზა.) მოსამართლე არ მეყოლება. (პაუზა.) იცი, არც მე მიყვარდა ჩემი თავი.

ფრანცი (მამას მკლავზე ხელს დაადებს.) - ეს ჩემი საქმე იყო.

მამა (იგივე თამაში.) - აი, როგორც იქნა. მე ღრუბლის ჩრდილი ვარ: იწვიმებს და მზე გაანათებს იმ ადგილს, სადაც ვიცხოვრე. მიმიფურთება: ვინც იგებს, აგებს. წარმოება, რომელიც გვსრესს, ჩემი შექმნილია. დასაწყისი არაფერია. (პაუზა.) ფრანც, გინდა სისწრაფე? ეს გამოგაწრთობს.

ფრანცი - პორშეში ვსხდებით?

მამა - რა თქმა უნდა. წავალ, გარაჟიდან გამოვიყვან. დამელოდე.

ფრანცი - ნიშანს მომცემთ?

მამა - ფარებით? ჰო. (პაუზა.) ლენი და იოჰანა ტერასაზე არიან. გამოემშვიდობე.

ფრანცი - მე... დაე, იყოს... დაუძახე მათ.

მამა - ახლავე გნახავ, ჩემო პატარა.

მამა გადის.

სცენა მეორე

ფრანცი, მარტო, შემდეგ ლენი და იოჰანა

კულისებიდან ისმის მამის ხმა

მამა (კულისებში.) - იოჰანა! ლენი!

ფრანცი ბუხარს უახლოვდება და თავის ფოტოს უყურებს. უცებ სამგლოვიარო არშიას ჩამოგლეჯს და ძირს დააგდებს.

ლენი (ზღურბლზე გამოჩნდება.) - რას აკეთებ?

ფრანცი (ივინის.) - მე ცოცხალი ვარ, ასე არ არის?

შემოდის იოჰანა. ფრანცი სცენის წინა ნაწილში დგება.

ლენი - სამოქალაქო ტანსაცმელი გაცვია, ჩემო ლეიტენანტო?

ფრანცი - მამა ჰამბურგში წამიყვანს და ხვალ გემში ჩავჯდები. ველარ მნახავთ. იოჰანა, თქვენ გაიმარჯვეთ: ვერნერი თავისუფალია. ჰაერივით თავისუფალი. ილბალს გისურვებთ. (მაგიდის კიდესთან დადგება და საჩვენებელი თითით მაგნეტოფონს შეეხება.) მაგნეტოფონს გაჩუქებთ. ჩემი საუკეთესო ჩანაწერით: 53 წლის 17 დეკემბერს. შთაგონებული ვიყავი. მოგვიანებით მოუსმენთ: ერთ დღეს, როცა მოისურვებთ გაიგოთ დაცვის არგუმენტი, ან უბრალოდ, ჩემი ხმა გაიხსენოთ. მიიღებთ ამ საჩუქარს?

იოჰანა - მივიღებ.

ფრანცი - მშვიდობით.

იოჰანა - მშვიდობით.

ფრანცი - მშვიდობით, ლენი. (თმაზე ეფერება მამასავით.) რბილი თმა გაქვს.

ლენი - რომელი მანქანით წახვალთ?

ფრანცი - შენი მანქანით.

ლენი - რომელი გზით?

ფრანცი - ელბის გზატკეცილით.

გარეთ ავტომობილის ორი ფარი ინთება; მათი სინათლე შემინული კარიდან შემოდის და ოთახს ანათებს.

ლენი - გასაგებია. მამა ნიშანს გაძლევს. მშვიდობით.

ფრანცი გადის. ისმის მანქანის ხმაური. ხმაური მატულობს, მერე იკლებს. სინათლემ გადაუარა მეორე შემინულ კარს და გაქრა. მანქანა დაიდრა.

სცენა მესამე

იოჰანა, ლენი

ლენი - რომელი საათია?

იოჰანა (უფრო ახლოსაა საათთან.) - ექვსი საათი და ოცდათორმეტი წუთი.

ლენი - ექვს საათსა და ოცდაცხრამეტ წუთზე ჩემი პორშე წყალში აღმოჩნდება. მშვიდობით!

იოჰანა (აღელვებული) - რატომ?

ლენი - იმიტომ, რომ „ემმაკის ხიდი“ აქედან შვიდი წუთის სავალზეა.

იოჰანა - ისინი აპირებენ...

ლენი - დიახ.

იოჰანა (გაქვავებული და სახემოკრუნჩხული.) - თქვენ ის მოკალით!

ლენი (ასევე გაქვავებული.) - და თქვენ? (პაუზა.) რა მნიშვნელობა აქვს: მას არ უნდოდა, რომ ეცოცხლა.

იოჰანა (ჯერ კიდევ ფლობს თავს, მაგრამ საცაა, დაკარგავს ძალას.) - შვიდი წუთი.

ლენი (საათს უახლოვდება.) - ახლა ექვსი. არა. ხუთნახევარი.

იოჰანა - ნუთუ არ შეგვიძლია...

ლენი (ისევ გაქვავებული.) - დავეწიოთ? სცადეთ. (სიჩუმე ჩამოვარდება.) ახლა რას იზამთ?

იოჰანა (ცდილობს, გამაგრდეს.) - ვერნერი გადაწყვეტს. თქვენ?

ლენი (ფრანცის ოთახზე მიუთითებს.) - ერთი განდევნილი აუცილებელია, ზემოთ. ეს მე ვიქნები. მე თქვენ აღარ გნახავთ, იოჰანა. (პაუზა.) კეთილ ინებეთ, ჰილდეს უთხარით, ხვალ დილას ამ კარზე დააკაკუნოს, განკარგულებებს მივცემ. (პაუზა.) კიდევ ორი წუთი. (პაუზა.) მე თქვენ არ მძულდით. (მაგნეტოფონს მიუახლოვდება.) დაცვის არგუმენტი.

მაგნეტოფონის ყუთს ხსნის.

იოჰანა - მე არ მინდა...

ლენი - შვიდი წუთი! შეეშვით: ისინი მკვდრები არიან.

ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისთანავე ლენი მაგნეტოფონის ღილაკს თითს აჭერს. მაშინვე გაისმის ფრანცის ხმა. სანამ ფრანცი ლაპარაკობს, ლენი გადაჭრის ოთახს, კიბეზე ავა და ოთახში შევა.

ფრანცის ხმა (მაგნეტოფონიდან.) - საუკუნეო, თქვენს წინაშეა ჩემი საუკუნე, მარტოსული და უგვანო, ბრალდებული. ჩემი კლიენტი საკუთარი ხელებით იფატრავს მუცელს; ის, რაც თქვენ თეთრი ლიმფა გგონიათ, სისხლია: წითელი ბურთულები არ არსებობენ, ბრალდებული შიმშილით კვდება. მაგრამ მე თქვენ გეტყვით ამ მრავალრიცხოვანი იარების მიზეზს: ეს საუკუნე კეთილი იქნებოდა, ადამიანს რომ ჩასაფრებული არ ჰყოლოდა თავისი დაუნდობელი, საუკუნო მტერი, მტაცებელი მოდგმა, რომელმაც მისი დაღუპვა ამოიჭრა გულში, უბალნო და უძალო მხეცი, ადამიანი. ერთს მივუმატოთ ერთი ერთია, აი ჩვენი მისტერია. მხეცი იმალებოდა, ჩვენ მის მზერას უცაბედად გადავაწყდებოდით ხოლმე ჩვენს მოყვარეთა მახლობელ თვალებში; ამ დროს ჩვენ ვურტყამდით, ეს კანონიერი გამაფრთხილებელი თავდაცვა იყო. მე მოვიხელთე მხეცი, დავარტყი, ადამიანი დაეცა. მის მომაკვდავ თვალებში მხეცი ვიხილე, ისევ ცოცხალი და ეს მე ვიყავი. ერთს მივუმატოთ ერთი ერთია: რა გაუგებრობაა! ვისია, რისია, ეს მძალე და სამაგელი გემო ჩემს ხახაში? ადამიანისა? მხეცისა? ჩემი თავისა? ეს საუკუნის გემოა. ბედნიერო საუკუნეო, თქვენთვის უცნობია ჩვენი სიძულვილები, როგორ გაიგებთ ჩვენი მომაკვდინებელი სიყვარულების საზარელ ძალას. სიყვარული, სიძულვილი, ერთს მივუმატოთ ერთი... გაგვამართლეთ! ჩემი კლიენტი პირველი იყო, ვინც სირცხვილი შეიცნო: მან იცის, რომ შიშველია. მშვენიერო ბავშვებო, თქვენ ჩვენგან გამოხვალთ, ჩვენი ტკივილები გზოვებ თქვენ. ეს საუკუნე დედაკაცია, იგი მშობიარობს, განა დედათქვენს გაასამართლებდით? ჰა? მაშ მიპასუხეთ! (პაუზა.) ოცდამეათე აღარ მპასუხობს. ეგება, აღარც იქნება საუკუნეები ჩვენს შემდეგ. ეგება ბომბი შეუბერავს სულს ყველა სინათლეს. ყველაფერი მოკვდება: თვალები, მოსამართლენი, დრო. წყვილია. ო, წყვილია სამსჯავროვ, შენ, ვინც იყავი, იქნები, ხარ, მე ვარსებობდი! მე ვარსებობდი! მე, ფრანც ფონ გერლახმა აქ, ამ ოთახში, ჩემს მხრებზე ვიტვირთე ეს საუკუნე და ვთქვი: მე პასუხს ვაგებ. დღეს და მარადის. ჰა, რაო?

ლენი ფრანცის ოთახში შევიდა. ვერნერი პავილიონის კარში გამოჩნდება. იოჰანა ხედავს მას და მისკენ გაემართება. არაფრის მთქმელი სახეები აქვთ. უხმოდ გადიან. სიტყვების „მაშ, მიპასუხეთ!“ შემდეგ სცენა ცარიელია.

ფარდა

შენიშვნები:

გვ.3. ჰინდენბურგი - პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847-1934), გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პირველი მსოფლიო ომის გამორჩეული მხედართმთავარი, გერმანიის რაიხსპრეზიდენტი 1925-1934 წლებში.

გვ.3. ბისმარკი - ოტო ფონ ბისმარკი (1815-1898), გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი.

გვ.50. Don't disturb (ინგლ.) – არ შეგვაწუხოთ

გვ.51. In secula seculorum – in saecula saeculorum (ლათ.), უკუნითი უკუნისამდე

გვ.57. – No man's land (ინგლ.) – ნეიტრალური ტერიტორია

გვ. 59. - პრუსიული ნაბიჯი - იგივე „ბატის ნაბიჯი“, სამხედრო მოსამსახურეთა ცერემონიალური, სააღლუმე ნაბიჯის ფორმა. ამ დროს ფეხს სწევენ ისე მაღლა, რომ იგი, ფაქტობრივად, პირდაპირ კუთხეს ჰქმნის სხეულთან, მუხლი არ იხრება.

გვ. 63. De profundis clamavi (ლათ.) – 129-ე ფსალმუნის დასაწყისი, „სიღრმეებიდან მოგიხმო (შენ, უფალო)“

გვ.70. Requiescat in pace (ლათ.) - შემოკლებით RIP, მშვიდობით განუსვენე